

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**GORI STATE TEACHING UNIVERSITY**



სამეცნიერო შრომების კრებული

**COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS**

**№10**

2016

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2015 წლის 22 ივლისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on July 22, 2015 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

**სარედაქციო კოლეგია:**

გიორგი სოსიაშვილი  
გიორგი ხორბალაძე  
ალექსანდრე მღებრიშვილი  
მარიკა შერაზადიშვილი  
იოსებ ალიმბარაშვილი  
დავით ჩოჩიშვილი  
ელდარ მამისთვალაშვილი  
ვიანორ ახალაია  
ჯემალ ქირია  
ნელი ჭამპურიძე  
თეა ხორგუაშვილი  
ზურაბ ჩხიკვაძე  
ივანე ბალახაშვილი  
ნუგზარ აბრამიშვილი  
ქეთევან ბარბაქაძე  
თამარ გოგოლაძე  
ციური დურული  
კლარა ელჩიბეგაშვილი  
ზურაბ ზერაკიძე  
მარიამ კობერიძე  
მალხაზ ლომსაძე  
ლევან მიდოდაშვილი  
პაატა ქურდაძე  
გიორგი ყაზიშვილი

**Editorial Board:**

Giorgi Sosiashvili  
Giorgi Khorbaladze  
Aleksandre Mghebrishvili  
Marika Sherazadishvili  
Ioseb Alimbarashvili  
David Chochishvili  
Eldar Mamistvalishvili  
Vianor Akhalaia  
Jemal Kiria  
Neli Champuridze  
Tea Khorguashvili  
Zurab Chkhikvadze  
Ivane Balakhashvili  
Nugzar Abramishvili  
Ketevan Barbakadze  
Tamar Gogoladze  
Tsiuri Duruli  
Klara Elchibegashvili  
Zurab Zerakidze  
Mariam Koberidze  
Malkhaz Lomsadze  
Levan Midodashvili  
Paata Kurdadze  
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შპს „ჯეოპრინტი“  
თბილისი 2016 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

- ვიანორ ახალაია - პარატაქს-ჰიპოტაქსის აგების სტილური თავისებურებანი მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით – 6
- თამარ გოგოლაძე - შემოქმედის ცხოვრების მხატვრული ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეპოქის ბიოგრაფიულ რომანში (ზ. წაქაძის „ვაჟაფშაველიანა“) – 10
- ვახტანგ ინაური - ვეზირის სახის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ – 14
- მარიამ კობერიძე - ორატორული სტილის ზოგიერთი საკითხისათვის – 18
- ლელა მახვილაძე - ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით სახეცვლილი სიტყვები გერმანულ ენაში – 21
- ნიკოლოზ ოთინაშვილი - 1713 წელს შედგენილი „მზითვის წიგნის“ ენობრივი თავისებურებანი – 27
- ზურაბ ოქროპირიძე - „ოლე“ – „ყორანთაგან ჩაყეფილი“ სამშობლოს მხატვრული სახე – 31
- მარინე ცერცვაძე - გიორგი გვაზავა - ემიგრანტი მწერალი, მოღვაწე – 35

### გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

- ნანა ნადირაძე - მასწავლებლის როლი კლასის მართვასა და კონფლიქტების მოგვარებაში – 38
- ნინო ორჯონიკიძე, მალხაზ ელიაური - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდები – 45

### ზ უ ს ტ ი და სა ბ უ ნ ე ბ ის მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

- ნელი გოგინაშვილი, რობერტ მალლაკელიძე, გიორგი მალლაკელიძე - სამცხე-ჯავახეთის ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეები – 49
- ალექსანდრე იაშვილი - ქართველი სპორტსმენები ევროპის 2015 წლის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე – 53
- მარიამ უბირია, გიორგი მძინარაშვილი - ადაპტაციურად განვითარებადი ფიზიკური მომზადების შესახებ (რუსულ ენაზე) – 56

### ბ ი ზ ნ ე ს ი და მ ა რ თ ვ ა

- მაია აზმაიფარაშვილი - „დიდი აბრეშუმის გზა“ და ღვინის ტურიზმი საქართველოში – 58
- ლია ბიბილაშვილი - კომუნიკაციის როლი ფირმის მმართველობით საქმიანობაში – 62
- დავით ბიძინაშვილი - სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საქართველოში – 65
- გიული გიგუაშვილი - ეკონომიკური თავისუფლების არსი და საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში – 71
- ლელა მაისურაძე - კონკურენციის ფორმები და თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე – 76
- ლეილა მამულაშვილი, ციური დურული - საბაზრო ეკონომიკის განვითარების ციკლორობის თავისებურებები თანამედროვე პირობებში – 82
- ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე - საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო – 85
- თეა ხორგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი - საბაჟო ტარიფისა და საბაჟო გადასახადის განსაზღვრისათვის საქართველოში – 89

## სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

**მალხაზ ლომსაძე** - *პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი ქურდობისათვის – 93*

**ალექსანდრე მღებრიშვილი** - *რეპორტაჟის მომზადების მეთოდები და მისი, როგორც პუბლიცისტური ჟანრის განვითარების ეტაპები ქართულ მედიაში – 99*

**ლალი სრესელი** - *შრომის ბაზრის არსისა და შინაარსის გაგებისთვის – 108*

**პაატა ქურდაძე** - *ახალგაზრდა თაობის საზრისის სოციალური საფუძვლები – 112*

## CONTENTS

### *Philology*

- Vianor Akhalaia** - *CONSTRUCTING STYLISTIC PARATAXIS AND HYPOTAXIS ACCORDING TO PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI* – 6  
**Tamar Gogoladze** - *ARTISTIC INTERPRETATION OF A WRITER'S LIFE IN BIOGRAPHICAL NOVELS OF VARIOUS EPOCH ("VAZHAFSHAVELIANA" BY Z. TSAKADZE)* – 10  
**Vakhtang Inauri** - *ARTISTIC FEATURES OF VIZIER IN 'THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN'* – 14  
**Mariam Koberidze** - *FOR SOME ISSUES OF ORATORICAL STYLE* – 18  
**Lela Makhviladze** - *REINTERPRETED WORDS BY FOLK ETYMOLOGY IN THE GERMAN LANGUAGE* – 21  
**Nikoloz Otinashvili** - *LANGUAGE SPECIFICATIONS OF A 'DOWRY BOOK' DRAWN UP IN 1713* – 27  
**Zurab Okropiridze** - *'OLE' – ARTISTIC FEATURES OF HOMELAND 'RUPTURED BY RAVENS'* – 31  
**Marine Tsertsvadze** - *GIORGI GVAZAVA, EMIGRANT WRITER, PUBLIC FIGURE* – 35

### *Education*

- Nana Nadiradze** - *TEACHERS' ROLE IN CLASS MANAGEMENT AND HANDLING CONFLICT* – 38  
**Nino Orjonikidze, Malkhaz Eliauri** - *MAIN METHODS OF QUALITY ASSURANCE IN EDUCATION* – 45

### *Exact and Natural Sciences*

- Neli Goginashvili, Robert Maghlakelidze, Giorgi Maghlakelidze** - *ENDEMIC, RARE AND RELICT PLANTS OF SAMTSKHE-JAVAKHETI* – 49  
**Aleksandre Iashvili** - *GEORGIAN SPORTSMEN ON FIRST 2015 EUROPEAN OLYMPIC GAMES* – 53  
**Mariam Ubiria, Giorgi Mdzinarashvili** - *ADAPTIVE AND DEVELOPING PHYSICAL TRAINING* (in Russian) – 56

### *Business and Management*

- Maia Azmaiparashvili** - *"GREAT SILK ROAD" AND THE WINE TOURISM IN GEORGIA* – 58  
**Lia Bibilashvili** - *ROLE OF COMMUNICATION IN COMPANY MANAGEMENT* – 62  
**Davit Bidzinashvili** - *SYSTEM OF STATE FINANCE CONTROL IN GEORGIA* – 65  
**Giuli Giguashvili** - *THE ESSENCE OF ECONOMIC FREEDOM AND RATING GEORGIA OF THE WORLD ECONOMIC FREEDOM INDEX* – 71  
**Lela Maisuradze** - *FORMS AND FEATURES OF COMPETITIONS ON A MODERN STAGE* – 76  
**Leila Mamulashvili, Tsiuri Duruli** - *CYCLE FEATURES OF MARKET ECONOMY DEVELOPMENT IN MODERN CONDITIONS* – 82  
**Lali Osadze, Sofio Tsetskhladze** - *INTERNATIONAL MONETARY FUND AND GEORGIA* – 85  
**Tea Khorguashvili, Tamar Makasarashvili** - *FOR DETERMINATION TAX TARIFF AND TAX FEES IN GEORGIA* – 89

### *Social Sciences and Law*

- Malkhaz Lomsadze** - *LIABILITY FOR INCOMPLETE CRIME* – 93  
**Aleksandre Mghebrishvili** - *METHODS OF REPORTING PREPARATION AND ITS, - AS A GENRE OF JOURNALISM, - DEVELOPMENT STAGES IN GEORGIAN MEDIA* – 99  
**Lali Sreseli** - *UNDERSTANDING ESSENCE AND CONTENT OF LABOUR MARKET* – 108  
**Paata Kurdadze** - *SOCIAL BASIS OF OPINION OF YOUNG GENERATION* – 112

**ფილოლოგია**  
**Philology**

**პარატაქს-ჰიპოტაქსის აგების სტილური თავისებურებანი  
მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით**

*ვიანორ ახალაია, პროფესორი*

წინადადება შედგება სინტაქსური ფუნქციის მქონე გრამატიკულად დაკავშირებული, ისე ოდენ აზრობრივად და ინტონაციურად დამოკიდებული სიტყვებისა და ფრაზებისაგან.

წინადადებათა და მათ შიგნით სიტყვათა მიმდევრობის გარკვეულ რიგს თავისი ფუნქცია აქვს: იგი ქმნის რიტმს ან, პირიქით, არღვევს მას. ეს ის ერთეულია, რომელიც გადადის თხრობის ერთიდან მეორე მონაკვეთში და რომლის უცვლელობა განაპირობებს მყარი რიტმის შექმნას. ფრაზაში ეს შეიძლება იყოს მთელი წინადადება (რომელიც შედგება ორი ან სამწევრიანი რიტმული ერთეულისაგან), წინადადებაში - სინტაგმა (სახელური ან ზმნური). ამ გარკვეული სტრუქტურული ერთეულის არსებობა განაპირობებს იმას, რომ ეს წინადადებები თუ ფრაზები შევისწავლოთ როგორც სტრუქტურები, რომ დავადგინოთ, რა მექანიზმი უდევს საფუძვლად მათ: ჰარმონიულობის, რიტმულობის განმაპირობებელი თუ დისონანსური პოტენციის მქონე.

ფრაზაში წინადადებები და წინადადებებში სინტაქსური წყვილები ერთმანეთს უკავშირდებიან სინტაქსური კავშირებით. მიხეილ ჯავახიშვილთან სინტაქსურ ანუ წინადადებათა კავშირს, რომელსაც ქმნის მათი რიგი, მკვეთრად გამოხატული ფუნქცია აქვს. მას სტილური ღირებულება გააჩნია, რადგან იგი არის მეტყველების ნაკადში რიტმის შექმნის პროდუქტიული საშუალება.

მნიშვნელობა ენიჭება წინადადების სახესაც - მარტივია იგი თუ რთული, და რა სახის რთულია - თანწყობილი თუ ქვეწყობილი, გავრცობილია თუ გაუვრცობელი.

მარტივი და შერწყმული წინადადების რიტმული თავისებურებანი, რის გამოც ფრაზა ხდება მუსიკალური და ადვილად აღსაქმელი, ჩვენ ადრე წარმოვადგინეთ, ახლა შევეცდებით იგივე თავისებურებანი რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა მიხედვით წარმოვაჩინოთ და დავადგინოთ შემთხვევითი ხასიათისაა მისი გამოყენება, თუ რაიმე კანონზომიერებას აქვს ადგილი.

მარტივისაგან სტრუქტურის თვალსაზრისით რთული თანწყობილი თითქმის არ განსხვავდება - აქაც გვაქვს ელემენტთა რეგულარული შესატყვისობანი, დარღვევა ზომაში და ა. შ.

„ჯაყოს გული ბრაზით გაუსივდა და ენის ქავილი აუვარდა. ძლივს გაჩუმდა და ყალიონი ააბოლა.“

(I, 389).

ორი რთული თანწყობილი წინადადება შედგენილია ორ-ორი მარტივი წინადადებით. მეორე წინადადებაში „ენის“ პრედიკატია „ქავილი“ ამიტომ „ენის ქავილი“ ერთ წევრად შეიძლება განვიხილოთ. წინადადებათა რიტმი ერთნაირია, ხოლო ზომა - სხვადასხვა.

რიტმული ერთეულების საინტერესო განაწილება გვაქვს ამ ნიმუშში:

„ტალახშემხმარი ღორი კიტრის და საზამთროს ნაფცქვენებს  
ახრამუნებს და თანაც ტლაპოს ეძებს.“

დუბელა რუში ბატ-იხვები ჰყიყინებენ და ტიტველი ბავშვები  
ჰყუმპალობენ.

მინდვრებში ზოგან ჩალას სწვავენ, ზოგან კიდევ ჰხნავენ  
და ოროველას იძახიან.“

(I, 298).

ფრაზა სამი რთული თანწყობილი წინადადებისაგან შედგება. ეს რთული თავისთავად მარტივი წინადადებების შემცველებია, მხოლოდ ერთია შერწყმული - პირველი, მაგრამ ერთგვარი წევრები აქ არიან პირდაპირი დამატების პრედიკატები, მეორეხარისხოვან წევრებს წინადადებაში დისონანსის შეტანა არ შეუძლიათ. ასევე, ბოლო რთულის პირველი წინადადება ერთგვარ გარემოებებს შეიცავს (მინდვრებში; ზოგან). 'ზოგან' გადადის მომდევნო წინადადებაშიც, რის გამოც იგი რიტმს კიდევ უფრო

აძლიერებს. ამდენად, ერთნაირია როგორც რთული წინადადების საერთო რიტმი, ისე მათი შემადგენელი მარტივებისაც. თხრობის ერთგვაროვანი რიტმი, რასაც ქმნის წინადადებათა ასეთი განლაგება, სოფლის მშვიდი, იდილიური სურათის წარმოდგენის საშუალებადაა გამოყენებული.

რთულ თანწყობილ წინადადებაშიც შეიძლება გვეპოვდეს ბინარული სინტაქსური წყვილები, რომლებიც შინაგან რიტმს ქმნიან. ემოციური მახვილი ზუსტად გამოყოფს ამ წყვილებს. პროზის ჩვეულებრივი ფორმა რომ შევცვალოთ სტროფული ჩაწერით, სარიტმო ერთეულის რეგულარობა კიდევ უფრო ნათელი გახდება.

მოწინავე წითელი დროშა / ახლა ზურაბს ეჭირა.

მის მიერ მოყვანილი ლაშქარი / იმ ზღვაში ჩაინთქა.

თვითონ ზურაბი და მისი მეგობრები / ტრიბუნას მიეკედლენ.

ის ორატორიც აღფრთოვანებით იმეორებდა / სხვების ნათქვამს.

წყვილის წევრი შეიძლება გავრცობილი იყოს გაძლიერებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელით ან გარემოებით, ან იყოს გაორმაგებული, მაგრამ, რამდენადაც ყველა წინადადებაში არის ერთი, სტრუქტურულად მყარი ერთეული, რომელიც მოცემულ ფრაზაში ოთხწევრიანია (სახელი პრედიკატით და ზმნა პრედიკატით), იგი ქმნის ფრაზის შინაგან რიტმს, რითაც მიიღწევა თხრობის ჰარმონიულობა.

ზუსტად ასეთი ვითარებაა რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც. აქ ფრაზის ჰარმონიულობას განაპირობებს ის, რომ ერთ მიმდევრობაში მოქცეული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც ასე განსხვავდებიან დამოუკიდებლობის უნარის შინაგანი პოტენციით, იგივეობრივნი არიან რიტმული სტრუქტურის თვალსაზრისით.

„ბოლოს, როცა ტირილით გული მოიოხა და ფიქრთა

ბრძოლა გაათავა, წელმოწყვეტილი ნაკაცარი ძლივს წამოდგა

და ზღაზვნით გზას გაუდგა.“

(I, 328).

რთული ქვეწყობილიც და რთული თანწყობილიც ორ-ორი წინადადებისაგან შედგება. ზომში განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, რომ თანწყობილში ქვემდებარე ნაკაცარი, რომელიც, ბუნებრივია, აკლია დამოკიდებულ წინადადებას. მაგრამ სამწევრიანი სარიტმო ერთეული, რომელიც ორ წევრად აუცილებლად მოიცავს ქვემდებარეს ან დამატებას + ზმნა (მესამე ან უბრალო დამატება ან გარემოება), ქმნის წინადადებათა საერთო სტრუქტურას, რაც თანამიმდევრობაში მყოფ წინადადებებს შინაგან დინამიზმს ჰმატებს.

ყველა აქამდე განხილულ შემთხვევაში ფრაზა წარმოდგენილი იყო ერთიანი ან მსგავსი აგებულების მქონე წინადადებები, რომლებიც მსგავსნი იყვნენ ზომითაც. და თუ გვეპოვება ზომის დარღვევა, რიტმი ფრაზისა მაინც უცვლელი იყო, რადგან ფრაზას კრავდა ერთი სტრუქტურის მქონე სარიტმო ერთეული ამით მიიღწეოდა თხრობის მშვიდი მდინარეობა.

არ შეიძლება ითქვას, რომ წინადადებათა რიგი განპირობებული იყოს მათი შინაგანი აგებულებით, რადგან ერთი და იმავე აგებულების - რთული ქვეწყობილი წინადადება შეიძლება ერთ შემთხვევაში მოწესრიგებული, რიტმული სტრუქტურისა იყოს, მეორეგან კი წინადადებათა დაქვემდებარება დისონანსური რიტმის მისაღწევად იყოს გამოყენებული. ასე მაგ., თუ შევადარებთ ერთმანეთს ორ ასეთ ნიმუშს:

- 1) „ექიმი ისევ დადის, პაპა ისევ დაბორიალობს,  
სენი კი ჟინიანობს, სიცხეს უმატებს და პატარა რეჯანს  
აყვითლებს, თოვლივით აღნობს და წყალივით ჰლევეს.“

(III, 67).

- 2) „ქეთო ზევით ავიდა, თავის ოთახში შევიდა,  
ფანჯარაში გაიხედა და მართა დაინახა, რომელიც ნელი  
ნაბიჯით ავიდა კუთხემდის და ფრთხილად მოათვალიერა ქუჩები“.

(M, 110).

პირველი ფრაზა რთული აგებულებისაა: შეიცავს ორ მარტივსა და ერთ რთულ ქვეწყობას, მაგრამ მარტივი და რთული წინადადებების შინაგანი რიტმი ერთნაირია - შეიცავს ორ სარიტმო ერთეულს - ქვემდებარესა და შემასმენელს, დამოკიდებულ წინადადებებში ქვემდებარე დამატებით ან ვითარების გარემოებითაა შეცვლილი, მაგრამ სტრუქტურა ერთია - ორწევრიანი, ამიტომ სრული რიტმული თანხმობა დაცულია. იგი შესაბამება მოქმედების განვითარების იმ თანდათანობით პროცესს, რასაც აღწერს.



საკმარისია, თხრობის ამგვარი ნაკადი რაიმე მოულოდნელობით დაირღვეს, რომ ეს გავლენა მოახდენს მის რიტმებზეც. ამის დასტურია მეორე ნიმუში: ქეთომ უჩვეულო რაღაც იგრძნო მართას ქცევაში („ფრთხილად მიათვალა ქუჩები“). ბუნებრივია, რაღაც შეიცვალა მასში, ქეთო ახლის მოლოდინით განეწყო, ამის გადმოცემა იმავე ტონითა და მანერით, რაც მის წინა მოქმედებას ასახავდა, არ შეიძლება. ამის გამოა, რომ რიტმი დარღვეულია: სამი მარტივი წინადადება ერთნაირი - მშვიდი თხრობის მანერითაა წარმოთქმული, რასაც ესადაგება მათი ერთნაირი სარიტმო ერთეულიც - იგი სამივეგან სამწევრიანია. ამას მოსდევს რთული ქვეწყობილი, რომელსაც რთული ინფორმაცია შემოაქვს. მისი რიტმი რთულ კონტრასტშია წინა მეტყველების ნაკადის რიტმთან: „მართამ დაინახა, რომელიც ნელი ნაბიჯით ავიდა კუთხემდის და ფრთხილად მიათვალა ქუჩები“. არა მარტო წინამავალი ფრაზის რიტმს არღვევს, მისი შინაგანი რიტმის დადგენაც გაჭირდება. მოულოდნელმა ინფორმაციამ დისონანსი შეიტანა გმირის მდგომარეობაში და ამან თითქმის გავლენა მოახდინა მის სტრუქტურულ გამოსახულებაზე, ფრაზაშიც დაარღვია ზომიერება.

რიტმის მონაცვლეობა დამოკიდებულია მოსაწოდებელი მასალის შინაგანი ბუნებით: მშვიდ, მცირე თხრობას შეესაბამება წინადადებათა ისეთი რიგი, რომელიც თანაბარ რიტმს ქმნის, ხოლო თხრობაში დისონანსი ასახავს, პოულობს ფორმისეულ გამოსახულებაში სტრუქტურა ირღვევა. წინადადებათა ზომის მონაცვლეობის მიხედვით დისონანსური რიტმის სამი სახე გვხვდება მის. ჯავახიშვილის პროზაში;

1) ფრაზაში ორი სახის რიტმული ერთეულია, ერთი ენაცვლება მეორეს: „მიადგა და შესდგა. ოდნავ სული მოითქვა. ადუღებული სისხლი პირსახეში აუვარდა. გული საგულედან ამოვარდნას ლამობს. ქვაბივით გახურებული თავი საცაა უნდა გასკდეს.“

(I, 351)

ზომის მიხედვით პირველი ორი წინადადება ერთნაირია, ერთნაირია მათი რიტმიც, ინფორმაციაც მსგავსია - გმირის მოქმედების აღწერა. როგორც კი იცვლება ინფორმაციის ხასიათი, გმირის მდგომარეობის ვიზუალურ აღწერას ენაცვლება მისი შინაგანი ექსპრესიის გადმოცემა, იცვლება თხრობის რიტმიც: ორწევრიან სარიტმო ერთეულს ენაცვლება ორწევრიანი სარიტმო ერთეული .

2) ფრაზაში სარიტმო ერთეულის მონაცვლეობა ხდება - ფრაზის დასაწყისის სარიტმო ერთეული მეორდება ფრაზის ბოლოს. ამ მსგავსებით. ისინი უპირისპირდებიან სარიტმო ერთეულით განსხვავებულ შუა ნაწილის ფრაზის ბოლოს. იმავე რიტმის გამეორება მის რიტმულ სტრუქტურას ჩაკეტილ სისტემად აქცევს:

„კუთხეში დუღუკი აგუგუნდა, დოლი მძაფრად აკაკანდა, ტაში რუხივით აჰყვა. ილიკომ ჩოხის სახელოები აიკეცა, ხელები ფრთხილად გაშალა, ქარიშხალივით მოირბინა ასპარეზი, ქეთოს წინ შედგა და დაბალი სალამი მისცა. ალექსი ქეთო მაშინვე გამოვარდა. და-მმა ორი თეთრი პეპელასავით დაჰქროდა ოთახში.“

გარემო სიტუაციის აღწერა რამდენიმე მარტივი წინადადებით ხდება. ამას მოჰყვება პერსონაჟის მოქმედების აღწერა, რაც ერთი რთული თანწყობილი წინადადებითაა გადმოცემული და, ბუნებრივია, მისი რიტმი მარტივი - წყვეტილი ფრაზების რიტმისგან განსხვავებულია. შემდეგ ისევ ხდება გმირის მდგომარეობის ცვლის გარეგანი მიზეზის შემოტანა („ალექსი ქეთო მაშინვე გამოვარდა ასპარეზზე, ორი პერსონაჟი გამოვიდა“), რის გამოც თხრობის რიტმი იცვლება და უბრუნდება პირველი ფრაზის დასაწყის რიტმს. ამის გამოა შუა ნაწილის - ილიკოს ცეკვის აღწერის დინამიკა, თავისთავად გამოეყოფა თხრობის მთელ მდინარეობას.

3) რიტმული „არიტმია“ კიდევ უფრო ძლიერდება, როცა სარიტმო მონაცვლეობის ჩაკეტილი სისტემა იხსნება და ასეთ სურათს ვიღებთ: ფრაზა ოთხ რიტმულ მონაკვეთს შეიცავს, რომელთაც თანაბარი მონაცვლეობა ახასიათებს: მესამე იმეორებს პირველს, მეოთხე მეორეს და დისჰარმონიას გარკვეული მოწესრიგებული სახე ეძლევა.

„უცებ შორს, ქუჩის მოსახვევებში ხალხი აჩოჩქოლდა, აქეთ-იქით გარბოდნენ, იმალებოდნენ, ქუჩას აცარიელებდნენ. ვაჭრები დარაბებს ჰკეტავდნენ. ეტლები უკანვე ბრუნდებოდნენ. ქუჩა სალდათებმა აფორიაქეს. თოფმომარჯვებული მცირე გუნდს ქუჩა სიგანეზე დაეჭირა, წინ მოიწვედა და ხალხს თოფის დამიზნებით, ყვირილით და მუქარით ჰფანტავდა“.



პირველი წინადადება ემოციურად ნეიტრალურია იმიტომ, რომ იგი შესავალია, ერთგვარი უვერტიურაა მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი რიტმი განსხვავებულია მომდევნო წინადადების რიტმისაგან, რომელსაც მეტი დინამიურობა ახასიათებს: მესამე მონაკვეთი „ვაჭრები დარაბებს... სალდათებმა აქვს“ მეორე წინადადებასთან შედარებით უფრო მშვიდია, რადგან მოქმედებები დანაწილებულია - ყოველი წინადადება ერთ პროცესს აღწერს. ეს თხრობის რიტმს სცვლის და პირველი წინადადების რიტმს აახლოვებს. ხოლო მეოთხე რთული წინადადება არღვევს მესამის რიტმს და იმეორებს მეორე წინადადებისას, რადგან აქ იმათ ბედზეა ლაპარაკი, ვინც მეორე წინადადებაში 'გარბოდნენ, იმალებოდნენ, ქუჩას აცალიერებდნენ'. შინაგანი მსგავსება გარეგანითაც გამოიხატა: მეორე წინადადება შერწყმულია, შერწყმულია მეოთხეც. ეს, ცხადია, იწვევს მათი სარიტმო მექანიზმის ერთიანობას.

ასეთივე ნიმუშია:

„მეფე-დედოფალი ერთად ჩასხეს ლანდოში. ცხენოსნებმა მაშხალები

აანთეს, გარს შემოეხვივნენ და ყველანი გაქანებული თოხარიკით წამოვიდნენ.

მათ ყვავილებით მორთული ოციოდე ეტლი გაჰყვა.

შიგ მსხდომიც საუკეთესოდ მორთულიყვნენ და

ყოველ ფაიტონში მოზრდილი თაიგული მოსჩანდა.“

( V, 2 2 3 ).

წინადადებათა რიგი ასეთია: მარტივი-რთული თანწყობილი - მარტივი-რთული თანწყობილი. ამის გამო სარიტმო ერთეულიც შესაბამისად იცვლება წინადადების შინაგანი წყობის ცვლასთან ერთად: დისონანსური რიტმის ჰარმონიულ მონაცვლეობას განაპირობებს წინადადებათა სისტემატიური აგებულების მონაცვლეობა.

ამრიგად მიხ. ჯავახიშვილის პროზაში წინადადებათა რიგს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: რიტმის ჰარმონიულობის შექმნა ან, პირიქით, დისჰარმონიულობის შეტანა თხრობის მდინარეებში. რიტმის მონაცვლეობა ავტორს საშუალებას აძლევს გამიჯნოს ერთმანეთისაგან სხვა მხრივ განურჩეველი მოვლენები, მკითხველის ყურადღება გაამახვილოს მისთვის მნიშვნელოვანზე. ამასთანავე, ეს ისე უჩუმრად, ისეთი ტაქტით კეთდება, რომ, ერთი შეხედვით, ძნელია შემჩნევა მწერლის ამგვარი პოზიციისა. ამგვარად, სტილური ფუნქცია პროზის რიტმის მექანიზმის ამოქმედება, - განხორციელებული სინტაქსური საშუალებით - სხვადასხვა აგებულების წინადადებათა მიმდევრობით, მწერალმა გამოიყენა მხატვრული ფუნქციით, რათა გამოვლენილიყო როგორც მწერლის, ისე პერსონაჟის მხატვრული პიროვნების თავისებურებები.

#### ლიტერატურა:

1. მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, თბ., 1977, ტ. III, თბ., 1973, ტ. V, თბ., 1977.

## რეზიუმე

ფრაზისა და წინადადების კონსტრუქციას მიხედვით ჯავახიშვილის ნაწარმოებებში მკვეთრად გამოხატული სტილური ფუნქცია აქვს. იგი არის რიტმის შექმნის საშუალება.

## CONSTRUCTING STYLISTIC PARATAXIS AND HYPOTAXIS ACCORDING TO PROSE OF MIKHEIL JAVAKHISHVILI Vianor Akhalaia, Professor RESUME

Construction of a phrase and a sentence have sharply expressed stylistic function. It enables creation of rhythm.

## შემოქმედის ცხოვრების მხატვრული ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეპოქის ბიოგრაფიულ რომანში (ზ. წაქაძის „ვაჟაფშაველიანა“)

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

მწერლის ბიოგრაფია ძირითადი და განუყოფელი ნაწილია თავად შემოქმედებისა. ამიტომაც, რომ მას, არაიშვიათად, ჰკიდებს ხელს თვით მწერალი, იძლევა მოკლე ინფორმაციულ ცნობებს, ან მოგონებებს საკუთარ წარმომავლობასა და შთაბეჭდილებებზე. ბიოგრაფიის ცოდნა ეხმარება ლიტერატურათმცოდნეს თუ კრიტიკოსს ჩაწვდეს შემოქმედებით პროცესს, როგორც პიროვნულ შთაბეჭდილებათა გარდასახვას, ანუ ცდილობს შეგვახედოს მის მხატვრულ ლაბორატორიაში. არაიშვიათად მწერლის ბიოგრაფია თავად იქცევა ახალი მხატვრული ნაწარმოების თემად. ამ თვალსაზრისით ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იქმნება ავტობიოგრაფია, ბიოგრაფიული რომანი თუ მოგონებანი (ზოგჯერ თავად ავტორის, ზოგჯერ სხვა შემოქმედის, ლიტერატურათმცოდნის, ახლობლის თუ, უბრალოდ, ნაცნობის მიერ). ამას გარდა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ლიტერატურის შესწავლის ერთგვარი ბიოგრაფიული მეთოდიც (სენტ-ბევი). ამ თვალსაზრისით თვით XX საუკუნე უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა სხვადასხვა შემოქმედთა შესახებ ბიოგრაფიული რომანებისა. არსებობდა სერიაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-გამომცემლობით სივრცეში, სახელწოდებით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, რომელიც ეხებოდა თითქმის ყველა სფეროში მოღვაწე წარჩინებულ ადამიანთა შესახებ საკუთარი ფანტაზიითა თუ გამომცემლობის შეკვეთით დაწერილი ბიოგრაფიულ რომანებს. ასე იქცა მკითხველთა არეალში გამოჩენისთანავე ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, მოგვიანებით, XX საუკუნეში ქართველთათვის ფრიად საინტერესო და საყურადღებო ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ და სხვ. 2010 წლიდან გამოდის „100 წიგნი. ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“, „ილუსტრირებული ბიოგრაფიები“ (გამომცემლობა „პეგასი“ და სხვ.), ზოგი მათგანი თავად იქცეოდა ახალ ბესტსელერადაც, რომელიც გზას უკაფავდა მკითხველს ავტორის ერთგვარი „აღმოჩენისაკენ“.

„მწერლის ბიოგრაფიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედების შესასწავლად, მწერლის შემოქმედების ამა თუ იმ მხარის, საიდუმლოების ასახსნელად, მით უმეტეს, რომ მწერლის ბიოგრაფიული მომენტი ზოგჯერ ხან ეპიზოდურად, ხან ცალკეულ ელემენტად ვლინდება მხატვრულ ნაწარმოებში, ხშირად ბიოგრაფიული შემთხვევა საფუძვლად ედება ნაწარმოებს. ამიტომ ბიოგრაფიები, ლიტერატურის ისტორიკოსები, საერთოდ ლიტერატურათმცოდნეები ცდილობენ, როგორმე მოხერხდეს მწერლის ცხოვრების ყველა დეტალის ახსნა, მისი შესაძლო გათვალისწინება შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

„დიდი მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის ცხოვრების საყურადღებო მომენტების ცოდნას არა მარტო ესთეტიკური და შემეცნებითი, არამედ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს“ - წერდა ანდრო ჭილაია (ა. ჭილაია 1971:80). თვით სიტყვა ბიოგრაფიაც ხომ ბერძნულიდან მომდინარეობს (ბერძნ. – bios - სიცოცხლე და grapho - ვწერ- რ. ჭილაია).

ბიოგრაფიები XIX-XX საუკუნის ქართველ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა იქცა კრიტიკოს როსტომ ჩხეიძის მთელი შემოქმედების თემად ბიოგრაფიულ რომანების სახით.

წინამდებარე სტატიაში ვცადეთ მოგვეხდინა ერთგვარი კლასიფიკაცია ბიოგრაფების სახეებისა, რომლებსაც თავად წერენ ავტორები, ან სხვები მის შესახებ.

გამოიკვეთა რამდენიმე სახეც:

1. ავტორ-შემოქმედის მიერ შექმნილი ბიოგრაფია;
2. ავტორ-შემოქმედის მოგონებათა ის ნაწილი, სადაც მსჯელობს საკუთარ ცხოვრებაზე;
3. მოგონებანი ავტორ-შემოქმედის შესახებ, შთამომავლებისა თუ ნაცნობებისა ლიტერატურულ-მემუარული, თუ შეკრებილ-ჩაწერილი;
4. ავტორ-შემოქმედის ცხოვრების ამსახველი ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევი;
5. ბიოგრაფიული რომანი, რომელშიც მოჩანს ახალი ავტორის მსოფლმხედველობითი თუ ესთეტიკური მრწამსი და ფანტაზია.

აღნიშნული კლასიფიკაცია რამდენადმე პირობითია, მაგრამ წინამდებარე, თუ მომდევნო სტატიებში ვეცდებით დავიცვათ მათი სახეების ობიექტური კვლევის პრინციპები.

ბიოგრაფია ვაჟა-ფშაველასი, რაც ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტივში მოხვდა, არაა რაიმეთი გასაიდუმლოებული ან გასაცნობ-გამოსაცნობი. არსებობდა, მას იცნობდნენ, თავადაც ცდილობდა

თავისი ბიოგრაფიის წერას, უცნაური და, ამავდროულად, ბრძნული სახელწოდებით „ჩემი წუთისოფელი“, მას იგონებდა შთამომავალი (გულქან რაზიკაშვილი, ვახტანგ რაზიკაშვილი), მეგობრები, ნაცნობები (მაგ.: ვეფხო აკობაშვილი - „მოგონებანი ვაჟაზე“), XX-XXI საუკუნეების ავტორები (მიხო მოსულიშვილი, გიგი ხორნაული, ზაურ წაქაძე, როსტომ ჩხეიძე), ლიტერატურათმცოდნეები და სხვ.

რამდენად სუბიექტურ-ობიექტურნი არიან ბიოგრაფიები, ეს თვით მწერლის არქივის გაცნობის, მის შესახებ არსებული ვრცელი მასალის გამოკვლევა-შეჯერება-შეფასებასაც გულისხმობს და მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გამოხმაურება-რეცენზიებიც აღნიშნულ მწერლებზე, გათვალისწინებულ იქნეს ავტორ-ბიოგრაფოსთა იდეურ-ესთეტიკური მრწამსი თუ მსოფლმხედველობრივი მხარე, ეპოქა და ავტორის მიმართება მწერლის პიროვნებასა და იმ ეპოქასთან, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა და სხვა.

ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფიის ნაწყვეტი გადმოცემულია „ჩემ წუთისოფელში“. თავად ავტორი ბიოგრაფიის დასაწყისში აღნიშნავს, რომ იგი მეგობრების თხოვნით დაიწყო და ცდილობს იყოს, რაც შეუძლია, ობიექტური: „ვასრულებ ჩემი მეგობრების თხოვნას, ვიწყებ ავტობიოგრაფიას, თუმცა კი ამთავითვე საჭიროდ ვრაცხ გამოუტყდე მკითხველებს, რომ ყველაფერს, რაც მახსოვს ჩემი ცხოვრებიდან, ვერ გავუზიარებ, ბევრ რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო, ხოლო, რასაც ვწერ, რაც კი შემიძლიან, ვეცდები სიმართლე დავიცვა, ვსთქვა ისე, როგორც იყო, უფერადოდ, გადაუჭარბებლად. ვგონებ, ასეთს ავტობიოგრაფიას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კრიტიკისათვისა და მკითხველისთვისაც, ვიდრე მოგონილსა და ნაკეთებს“. (ვაჟა-ფშაველა X, 1964:134).

ეს ბიოგრაფია დასრულებული არაა და პირველად გამოქვეყნდა ხელნაწერიდან 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, წ. I. რამდენად ცდილობდა ავტორი ობიექტური ყოფილიყო, ეს კარგად ჩანს „ჩემი წუთისოფლის“ ორივე თავში, იმის გათვალისწინებითაც, რომ იძლევა არა უბრალო ფაქტების გადმოცემას, არამედ ცდილობს (თუ ასე გამოსდის), მხატვრულ ფორმას აძლევს მას, რადგანაც, მისი აზრით, პირველი შთაბეჭდილებები უტყუარია მომავალი მწერლისათვის. განსაკუთრებულად საინტერესოა ვაჟას პირველი სიყვარულის ისტორია, რომლითაც სრულდება ხელნაწერი. რატომ აღარ გააგრძელა შემდგომად ავტობიოგრაფია, უცნობია მკვლევართათვისაც, საარქივო მასალებში გარკვეული პირებისთვისაც. ფაქტი კი ისაა, „რომ 1915 წელს ვაჟას „ავტობიოგრაფიული ცნობაც“ შეუქმნია, რომელშიც სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისსა და ფსევდონიმის გაშიფრვაზეც მიაწინებებს. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, სწორედ ამ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს „ჩემი წუთისოფელიც“, რომლის დასრულებაში ვაჟას, ალბათ, ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

1937 წელს გამოდის სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველა“, რომელიც მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიას წარმოადგენს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოგვიანებით ს. ყუბანეიშვილი ადგენს „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეს“.

1975 წელს კლიმენტი გოგიავა აქვეყნებს ბიოგრაფიულ რომანს ვაჟა-ფშაველაზე „მთების სიმღერა“ („მერანი“, თბ., 1975). ფაქტიურად ეს უნდა იყოს პირველი ბიოგრაფიული რომანი ვაჟა-ფშაველაზე.

გააქტიურდა ვაჟას ცხოვრებისადმი ინტერესი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე თავისუფლებამოპოვებულ საქართველოში. და აი, იწყება ვაჟაზე ბიოგრაფიული რომანების შექმნა, რაც მეტად სპეციფიკური და განუყოფელია ავტორთა სტილისა და მიზანდასახულობის თვალსაზრისით. თვით შვილის, ვახტანგ რაზიკაშვილის („მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“ – 1977 წ.), ძირითადად საკუთარი თუ სხვისი მოგონებების კრებულია ერთ ფორმაში ჩამოსხმული, ამიტომ მასზე არ შევაჩერებთ ყურადღებას. ჩვენთვის საინტერესოა აღმოჩნდა რამდენიმე ბიოგრაფიული რომანი ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომლებიც ძირითადად XXI საუკუნეში შეიქმნა. ესენია გიგი ხორნაულის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, მიხო მოსულიშვილის „ვაჟა-ფშაველა“ (რომელმაც დაიმსახურა „საბას“ ნომინაცია), ზაურ წაქაძის „ვაჟაფშაველიანა“ (2004 წ.) და როსტომ ჩხეიძის „დევების სტუმარი“ - ვაჟა-ფშაველას „ცხოვრების ქრონიკა“ (2014 წ.). როსტომ ჩხეიძე თავისი რომანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „იყო დრო, როდესაც გრიგოლ კიკნაძემ სცადა შეექმნა ახალი დისციპლინა - ვაჟალოგია. და თუმცა დასაწყისი წარმატებული გახლდათ, ამ დიდებული მკვლევრის შესაფერისი ეს წამოწყება რეალურად ვეღარ გაგრძელდა და ვეღარც დაფუძნდა. და მაინც, წარმატებული დასაწყისი ნიშნავს, რომ ის ადრე თუ გვიან შეიძენს დისციპლინის სახეს, მითუმეტეს, რომ ამ მხრივ მასალა სულ უფრო და უფრო გროვდება - არაერთი ლიტერატურული ესეი, სამეცნიერო ნარკვევი თუ მონოგრაფიაა შექმნილი, მათ შორის მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისაც, რომელთაგან ჟანრობრივად ორია სრულფასოვანი ბიოგრაფიული რომანი - გიგი ხორნაულისა და ზაურ წაქაძის“ (რ. ჩხეიძე 2014).



რამდენადაც თვით როსტომ ჩხეიძის რომანიც ამ კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს, ჩვენი კვლევის საწყის ეტაპზე შევჩერდებით ზაურ წაქაძისა და თვით როსტომ ჩხეიძის რომანებზე, გიგი ხორნაულისა და მიხო მოსულიშვილის ნაწარმოებები კი შემდგომი პერიოდისათვის გადავდეთ (თვით ეს ორი წიგნი აღნაგობით, ფორმითა და შინაარსით უფრო დოკუმენტური ბიოგრაფიის იერს ატარებს).

ზაურ წაქაძის (დაიბადა 1937 წ.) „ვაჟაფშაველიანა“ (2004 წ.) ავტორის ხანგრძლივი კვლევის, საარქივო მასალების საფუძვლიანი გაცნობის, მწერლის ლაბორატორიაში, ფანტაზიის წყალობით, გადახარშვა-გასიგრძელებების შედეგია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ვაჟაში გარდასახული XX-XXI საუკუნეების მწერლის შემოქმედებითი ნაყოფი.

საოცრად გამჭვირვალე და მშვენიერი პოეტური სტილის მქონეა მწერალი ზაურ წაქაძე. მისი პროზა უცნაური ნაყოფია იმერეთში დაბადებული, ქართლში მთელი ცხოვრება გატარებული, მწერლად დაჭარმაგებული ადამიანისა, რომლის ნიჭი XX საუკუნის 50-იან წლებში შენიშნა ლექტორმა და თავად მწერალმა ოთარ ჩხეიძემ. მის გვერდით, მის კვალდაკვალ იხვეწებოდა იუმორნარევი, ზოგჯერ სარკასტული აღქმა სამყაროსი, რომელსაც „საბჭოური ეპოქა“ ეწოდებოდა. გორი იქცა მის მშობლიურ ქალაქად, მისი თითოეული კუთხე-კუნჭული სათავისოდ გაიზარა მწერალმა, ამიტომ ახლავს უცნაური სილაღეც მის პოეტურ ფრაზას და დინჯი, ფილოსოფიური ჩაკვირვებაც. სწორედ ამას უნდა განემზადებინა ადგილი მის შემოქმედებით ფანტაზიაში ვაჟა-ფშაველას პიროვნების დასაკავებლად. ეს არ იყო შემთხვევითი და წინასწარდაგეგმილი. ეს იყო სულის შენივთება მისთვის ზაურ წაქაძის რომანი ნაწილებად დაყოფილი: „მზე მოლოდინით“, „მთვარე ღრუბლებით“, „ძილისპირული ოცნებებით“ და ეპილოგით. თითოეული ნაწილი 12-იოდე თავიანია და 0 თავით იწყება. ესეც მწერლის თავისებური ხერხია და ამის გამართლებასაც ახერხებს: „არც კი მეკითხებით, რატომ დავეწერე პირველი თავის დასაწყისში ნოლი, იქნებ იფიქრეთ, რომ შემეშალა. არავინ იწყებს ამ არაფრისმთქმელი ციფრებით რომანის თავების ათვლას, დავარღვიე ტრადიცია და სამანივით ჩავსვი ნოლი, მერე როგორ მოუხდა!... ის ნოლის მსგავსი პლანეტა ჩემი იქნება, ადამიანებიც მე დამემგვანებიან, ფიქრით იცხოვრებენ, ბატრუჭაკს დაუკლავენ ღმერთს, ეყვარებათ ერთმანეთი და ვერასოდეს გამოიგონებენ უბრალო დანასაც კი“ (წაქაძე, 2004:8).

აქ უკვე მწერალია თვით ლირიკული გმირი, ვაჟას ნიღაბქვეშ შეფარებული და საკუთარის მისაში გათავისებული. „ეს გაზაფხულიც მოვიდა! ვაჟასავით ამოვიძახე და ვეამბორე შემთბარ ცხრათვალა მნათობს, მერე როგორ მოუხდა კონცა?... ახლა ველარაფერი შემაჩერებს, ახლა მთელი ზამთრის სიზმრები უნდა გადმოვალაგო, მაინც ვუფრთხილდები მსმენელსა. მეშინია, ზურგი არ მაქციოს, ცოტა ხანს გამიძლოს, მომისმინოს და მერე თქვას - კარგი“ (წაქაძე 2004: 125).

ვაჟაზე ნაწარმოების შექმნა ზ. წაქაძის ოცნება ყოფილა ახალგაზრდობიდანვე: „ახალგაზრდობის ჟამს დავეწერე პიესა, ვაჟას მაგნიტურ არეს ვერ მოვშორდი, თითქოს მისი სული ჩავიდგი და დაიბადა „დედა“ (წაქაძე 2004:84). დადგმულა კიდევ ეს პიესა სტუდენტების მონაწილეობით გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სიხარული უგემია ავტორს, ამ სიხარულის განფენაა სწორედ „ვაჟაფშაველიანა“.

მთელ საქართველოს უვლის ლირიკული გმირი ვაჟასთან ერთად, ფუძემდირი კი მაინც ქართლია, გორი. აქ ზის იმერეთიდან მოსული, ქართლში დამკვიდრებული მწერალი გორში განათლებამიღებულ და ქალაქთან დაკავშირებულ დიდებულ პოეტზე.

„ვაჟას დროს გორი გორის ციხე იყო.

ვაჟას დროს გორი სამეფო ქუჩა გახლდათ.

ვაჟას დროს გორი გორელებით იყო ცნობილი

და გორშია ვაჟა“ (წაქაძე 2004:154).

ამიტომ ტექსტში ხშირად მოჩანს ლუკა, ლუკარიკა მოსწავლე, ვაჟა ამილახვრების სახლში, ორთაშენში, ვაჟა - მამა - და შვილის დამლოცველი საქორწინოდ... თბილისსაც მოატარებს ავტორი: „მთლად უცხო არ უნდა ყოფილიყო ქართველისთვის ვაჟა, რომლის ფესვები ხალხი გახლდათ, მისი პოემები ხალხურ ლეგენდებზეა დამყნობილი“ (წაქაძე 2004:111). „ვაჟამ გაუთქვა არწივის სახელი, ვაჟას ლექსმა აქცია საქართველოში ეს ფრინველი არწივად... არწივი საქართველოსთან გააიგივა, საქართველოდ გადააქცია და ამიტომ ასწავლიან ქართველი დედები „არწივს“ აკვანში. დიახ, „არწივი“ აკვნის ლექსია, აკვნიდან უნდა გაგყვეს, რომ სამშობლო, მისი ჭირ-ვარამი იგრძნო“ (წაქაძე 2004:117) - პუბლიცისტური ტონიც იჭრება არაიშვიათად რომანში.

წაქაძის ვაჟა ვაჟკაციც არის, ძლიერი, ხანაც დაფიქრებული, შორსგამჭვრეტი მზერითა და ახლობლური სითბოთი. წაქაძის ვაჟა ნაცნობია, ძალზე ნაცნობია და, ამავე დროს, რაღაცა კუთხით უცნობიც. ავტორი ორივეს დაედებს და სხვადასხვა რაკურსით აწვდის. ვაჟასთან მაინც ის პროცესებიც აწუხებს, რომლებიც ლევანის დაპატიმრებას მოჰყვა და რომელიც დამლად დააჩნდა მთვარელიძეების

ოჯახს, რამდენადაც რაზიკაშვილების ემინოდა თამარ მთვარელიძეს, ბავშვების გამო ემინოდა. მათ მომავალს გაუფრთხილდა. ეს ყველაფერი ნაამბობებად მოჰყვება ავტორს, ვაჟას შვილიშვილის, პეპელას, ნაამბობებად. ამდენად ახლობელიცაა ეს შორეული ამბავი და, ამდენად, შორეულიც. ავტორი ამიტომ ცდილობს ამ ტკივილს ჩაწვდეს და გაითავისოს.

მწერალმა კარგად იცის, რომ ვაჟა-ფშაველა ცალკე სამყაროა: „ვაჟა-ფშაველა ცალკე სამყაროა, რომელსაც თავისი ღერძი გააჩნია და თუ ასცდა იმ ღერძს, აუცილებლად დაილუპება“ (წაქაძე 2004:316). ამ სამყაროს სხვადასხვა ეტაპებიდან გადადის და გადმოდის ავტორი „ღერძიან“ პოეტთან. კეკესთან ქორწინებაც ორი ადამიანის გულის ძაფების ძებნაა და განსხვავებული ეპიზოდი.

ამაყი და შეუვალი ვაჟა გულჩვილია, ასეც ხედავს ზ. წაქაძე გმირს. აქ მიმართებაც არის ღმერთთან, ბუნებასთან, ადამიანებთან.

რომანის დასასრული მისი დაბადებით მთავრდება: „ასე ყოველივე იქმნა, რათა საქართველოს მოვლენოდა მგოსანი“.

რომანს ახლავს თანამშრომლისა და შესანიშნავი ჟურნალისტის, ლალი ჭანკოტაძის, პატარა წერილი: „სამარადისოს ჩურჩულებს ვიდაც...“ ისაა წიგნის პირველი კრიტიკოსი: „ზაურ წაქაძე „ვაჟაფშაველიანაში“ მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც დიდი ვაჟას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ღრმად დაფიქრებული მოაზროვნე. იგი ჩვეული ოსტატობით, შთაგონებითა და გატაცებით წარმოგვიდგენს რეალურსა და იდეალურს, ხელეწიფება სიტყვა ვაჟასეულად მოიქნოს და ააჟღეროს, გაულრმასოს, გაამდიდროს ქართული სიტყვით გამოხატული ცნების არსი“ (წაქაძე 2004:368).

ჩვენი აზრით, კი „ვაჟაფშაველიანას“ ღირსება თვით ავტორის უშუალობაშია, რომელიც ზღაპრულად იყენებს სიუჟეტურ ქარგას, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ლირიკული გმირის „სანავარდოდ“. ვაჟასთან მისი თანხლება XXI საუკუნისეულია, გენეტიკურად მყარი და მომავალი თაობისათვის დასანახად იმისა, რაც ახალმა ძველიდან უნდა გამოარჩიოს, ნაკლებად იდეალიზირებული, მაგრამ მაინც რეალისტური. ამამია რომანის ავტორის წარმატება.

#### ლიტერატურა:

- ზაურ წაქაძე, „ვაჟაფშაველიანა“, „დილა“, გორი, 2004;  
ვახტანგ რაზიკაშვილი, „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“, „ნაკადული“, თბილისი, 1977;  
როსტომ ჩხეიძე, „დევეების სტუმარი“, „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2014;  
მიხო მოსულიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“, „პეგასი“, თბილისი, 2011;  
გიგი ხორნაული, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2008;  
ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. X, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964;  
თ. ნაკაშიძე, ი. გორგაძე, „ვაჟა-ფშაველა“, ბიობიბლიოგრაფია, 1979-1979, თსუ, თბილისი, 1987;  
ვეფხო აკობაშვილი, „მოგონებანი, ვაჟაზე“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965;  
ანდრო ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თსუ, თბილისი, 1971;  
ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2008;  
რამაზ ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობა“, თბილისი, 2003;  
Краткий словарь литературоведческих терминов, «Просвещение», М., 1985.

#### რეზიუმე

მწერლის ბიოგრაფია ძირითადი და განუყოფელი ნაწილია თავად მისი შემოქმედების აღსაქმელად. ამიტომ მას ხელს ჰკიდებს როგორც ლიტერატურათმცოდნე, ისე მწერალიც, რომელიც გაიაზრებს ცხოვრების ეპიზოდს, ნაწარმოებს და საკუთარი ფანტაზიით წარმოადგენს მას. ბიოგრაფია არაიშვიათად მხოლოდ ცხოვრების ქრონიკის აღწერას არ არის, იგი იქცევა თავად მხატვრულ ნაწარმოებად. ამიტომაც შეიქმნა ვაჟა-ფშაველას (1861-1915) ბიოგრაფიის თემაზე არაერთი ნაშრომი, გამოკვლევა, ბიოგრაფიული რომანიც. ასეთია გიგი ხორნაულის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, მიხო მოსულიშვილის „ვაჟა-ფშაველა“, როსტომ ჩხეიძის „დევეების სტუმარი“, ზაურ წაქაძის „ვაჟაფშაველიანა“. სწორედ ამ უკანასკნელს ეხება წინამდებარე სტატია. ზ. წაქაძის „ვაჟაფშაველიანაში“ საოცარი მხატვრულობითაა წარმოდგენილი მწერალში გარდასახული შემოქმედი, მისი ცხოვრება, რაც განუმეორებელ კოლორიტს ქმნის ბიოგრაფიულ რომანში.

**ARTISTIC INTERPRETATION OF A WRITER'S LIFE IN BIOGRAPHICAL NOVELS OF  
VARIOUS EPOCH  
("VAZHAFSHAVELIANA" BY Z. TSAKADZE)**

**Tamar Gogoladze, Professor  
RESUME**

The biography of a writer is always interesting as for the literary critics as for readers, because it represents the bases of his creative works and due to fantasy it gives possibility of interpretation of various impressions. The biography created by a literary critic differs from the chronicles of his life and it also differs from a biographical novel. In the given case we draw your attention to biographical novels created concerning Vazha-Pshavela (1861-1915). A novel by Klimenti Gogiava is worth of mentioning. In the XX-XXI centuries several authors tried autobiographical novels, from which "The Life of Vazha-Pshavela" by Gigi Khoranauli, "Vazha-Pshavela" by Mikho Mosulishvili, "The Guest of Giants" by Rostom Chkheidze and "Vazhaphshaveliana" by Zaur Tsakadze should be noted. We aim monographic study of these works. In the presented article the attention is drawn to "Vazhaphshaveliana" by Zaur Tsakadze, where the author gives an artistic interpretation of Vazha-Pshavela's life in a very original way.

**ვეზირის სახის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“**

*ვახტანგ ინაური, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

ვეზირის თანამდებობრივი სტატუსი არაბეთში როსტევან მეფის კარზე ფიქსირდება. ინდოეთში ფარსადან მეფის კარზე მაღალი რანგის ოფიციალური პირები ხასეზად მოიხსენიებიან. შესაძლოა მათ ვეზირის მოვალეობა ჰქონდეთ. რადგან ხასი დიდებულს, სამეფო კარის მაღალ ჩინოსანს, გულისხმობს. ისინი მეფის ახლობელი ადამიანები არიან, სავარაუდოდ, ნათესავებიც კი. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ნესტანის გათხოვების გამო თათბირზე მეფე-დედოფალი ისხდნენ „ხასითა ოდენ სამითა“. ე. ი. სხვა დიდებულებიც არიან, მაგრამ მეფემ ეს სამი დაისწრო სახელმწიფოებრივ და ოჯახურ საკითხზე მსჯელობისას. ცხადია, იგივე სამი ხასი მიუგზავნა ფარსადანმა ხვარაზმშას ძის მოკვლის შემდეგ თავის ქალაქში გამაგრებულ ტარიელს. „ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად“ – უამბობს იგი ავთანდილს.

ინდოეთში, მულაზანზარსა, ზღვათა სამეფოსა და ქაჯეთში ვეზირის სახე და მისი მხატვრული ფუნქცია გამოკვეთილი არ არის. ხოლო არაბეთში ორი ვეზირი ფიგურირებს „სოგრატის, მოახლე მეფისა დასთა დასისა“, რომელიც ავთანდილთან ერთად ტახტს უდგამს მეფედ საკურთხებლად გამზადებულ თინათინს. ამ ფაქტით იკვეთება სოგრატის მნიშვნელოვანი თანამდებობრივი მოვალეობა სახელმწიფოში. ახალი მეფისთვის ტახტის დადგმა უდიდესი სიმბოლური რიტუალია ქვეყანაში, რომელსაც განსაკუთრებულად საპატიო ადამიანი უნდა ასრულებდეს. მისი უფლებები ვლინდება აგრეთვე ნადიმზე, როდესაც იგი მოწყენილ მეფესთან მიდის და თავისუფლად და თამამად აძლევს შენიშვნას:

„მივიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო,  
მართალ ხარ წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,  
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო  
ყოლამცა მეფედ რად დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო“.

ასეთი საყვედური მხოლოდ მეფესთან ძალიან ახლობელ ადამიანს შეუძლია, სხვა შემთხვევაში ძნელია ვინმე მეფის რისხვას გადარჩენოდა.

სოგრატის სახე წარმოაჩენს ოფიციალურ პირს, რომელიც ვიზუალურად ავლენს თავის მოვალეობას, მისი შინაგანი სამყარო, სულიერი მდგომარეობა გახსნილი არ არის. ვეზირის ხასიათს, თვისებებსა და უნარს შოთა რუსთაველი გვიჩვენებს როსტევანის მეორე ვეზირის სახით, რომელთანაც საუბრობს ავთანდილი გაპარვის წინა დღეს.

ეს ეპიზოდი ასახავს რუსთაველის დროინდელი საქართველოს სტუმარ-მასპინძლობას, აჩვენებს მაღალი რანგის ადამიანთა ურთიერთობას პირადულ ასპექტში, რითიც ვლინდება გმირების შინაგანი



კულტურა, დიპლომატიაც და უშუალობაც. ავთანდილი ვეზირთანაც გულახდილი, პირდაპირი და გულუხვია. ვეზირი კი დახვეწილი, საქმიანი და გულთბილია. მან კარგად იცის ხელსაყრელი მომენტი როგორ გამოიყენოს სათავისოდ. ამას აკეთებს ელეგანტურად და თან ისე, რომ ავთანდილი კმაყოფილი და მადლიერი დატოვოს.

ავთანდილის სტუმრობის დროს ერთდროულად ჩანს ვეზირის ეთიკა, სტუმართმოყვარეობა და გამჭირახობა: იგი ავთანდილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიეგება:

„ვაზირმან ცნა, გაეგება: „ჩემსა მზეა ამოსული  
ამას თურე მანიშნებდა დღეს ნიშანი სახარული!“  
მიეგება, თაყვანი სცა, ჰკადრა ქება სრულსა სრული,  
ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“.

ვეზირის სიხარული ავთანდილის სტუმრობით განპირობებულია, პირველ რიგში, ავთანდილის ავტორიტეტით, მისი კარგი ადამიანობით, მეორე მხრივ, მეფის გაზრდილია და მისადმი პატივისცემა მეფისადმი სიყვარულის გამოხატულებაცაა. ასე, რომ ავთანდილი ვეზირთან სასურველი სტუმარია. ამიტომ მის სტუმრობას სახლში მზის ამოსვლას ადარებს. ამასთანავე სასიხარულო ნიშანი (ხელის გულის ქავილი, ან მარჯვენა თვალის თამაში) მან ავთანდილის მოსვლას დაუკავშირა, რასაც ვეზირისთვის ასი ათასი ოქრო, სამასი სტაგრა დიბა-ატლასი, სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი მოჰყვა. იგი შემთხვევით არ ახსენებს „სახარულ ნიშანს“, მისი გამჭირახი გონება კარგად ხვდება, რომ ასეთი რანგის პიროვნებისა და რაინდის სტუმრობა აუცილებლად დიდ სიკეთეს მოუტანს მას და მის ოჯახს. აბსოლუტური მხატვრული დამაჯერებლობითაა ასახული ოჯახის წევრების შეხვედრა ავთანდილთან.

რუსთაველი თავისი დიდებული აფორიზმით „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“ წარმოაჩენს სტუმარმასპინძლობის ტრადიციის სიწმინდესა და ყოფითი კულტურის მაღალ დონეს. ვეზირმა მხიარულად „არ ღაფახმან, ავმან, უქმან“ ცხენიდან ჩამოსვლა სთხოვა და სახლში შესვლისას ხატური ხალიჩა დაუფინა პატივისცემის ნიშნად. ხატურზე გადავლით, ანუ კეთილი გულით იწვევენ მასპინძლები სტუმარს. „ფერხთაქვემე ხატურსა უფენენ და მიწად უქმან“. ეს პასაჟი შეესატყვისება ხალხურ გამოთქმას „ფიანდაზად დაეფინა“ ანუ ხალიჩასავით გაეგო ქვემ მასპინძელი სტუმარს. ვეზირმა კარგად იცის, რომ ავთანდილი საუკეთესო სტუმარია მთელ არაბეთში, რასაც ავტორი მშვენიერი მეტაფორით ამტკიცებს: „ყმამან სახლი განანათა, ვით სამყარო მზისა შუქმან“.

ავთანდილს თავისი მიზანი აქვს ვეზირთან სტუმრობისას, მან კარგად იცის მისი უფლება-მოვალეობანი და დარწმუნებულია, თხოვნის შესრულება მას შეუძლია. ნათელია, რომ საკითხი, რომელიც აწუხებს, ვეზირის ფუნქციებში შედის, ცხადია, სამეფო კარის მენეჯმენტი მოწესრიგებულია და მეფე ამ ვეზირთან ერთად წყვეტს გარკვეულ საკითხებს, მათ შორის, სამეფო კარზე თანამდებობის პირის წასვლა ანუ დათხოვნაც მისი საქმეა. ავთანდილი ეუბნება ვეზირს: „შენი დამალული დარბაზს არა არ იქნების, რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნევის.“ ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს, რომ ვეზირს აქვს იმის უნარი და შესაძლებლობა, მოხერხება და ავტორიტეტი, თავისი შეხედულებების შესაბამისად გადააწყვეტინოს მეფეს ნებისმიერი პრობლემა.

ვეზირის გამოცდილება და საქმიანი თვისება ავთანდილის თხოვნის მოსმენისთანავე ვლინდება. იგი მაშინ სცემს პასუხს ავთანდილს, როდესაც სპასპეტი ქრთამს უხსენებს. „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად მიითვალეო“. მან სწრაფად და კარგად გაიაზრა საკითხის არსი და მისი შესრულების სიძნელე. ფაქტობრივად, ავთანდილი ვეზირს სთხოვს, უშუამდგომლოს მეფესთან, რომ გაუშვას იგი უცხო მოყმესთან შესაყრელად. მის გამო სთავაზობს ასი ათასი წითელს, ანუ ოქროს. ვეზირმა იცის, რომ მეფე არ გაუშვებს და შუამავლობისთვის მასაც დასჯის. იგი მშვიდი, მსუბუქი იუმორით ეპასუხება ავთანდილს:

„ვაზირმან უთხრა სიცილით: ქრთამი შენ გქონდეს, შენია!  
შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგიჩენია.  
მაგას რა ვკადრებ მეფესა, რაცა აწ თქვენგან მსმენია,  
ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება არ-საწყენია.“

ვეზირი ერთ-ერთი პირველი პერსონაჟია, რომელიც თქვენობით მიმართავს თანამოსაუბრეს. აგიოგრაფიულ და არა მხოლოდ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მიმართვა მხოლოდითი ფორმით არის გამოხატული. ამ პასუხებშიც ნათლად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ცხოვრებისეული სინამდვილე, რაც მისაღები და სარწმუნოა პოემის ავტორის თანამედროვე რეალობაშიც.

შებრუნებული აზრი, ან პირუკუ ნათქვამი უფრო მკვეთრად გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გადასაჭრელი საკითხისადმი. „ირიბად ნათქვამი პირდაპირ ხვდება“ კ. გამსახურდია, „ამ შემთხვევაში ვეზირი უკუთქმით მიანიშნებს ავთანდილს, რომ მისი თხოვნის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ ეუბნება მას, თქვენს ნათქვამს რომ ვკადრებ მეფეს, ვიცი, აუცილებლად ამავსებს, იგულისხმება საჩუქრებით, ქონებით ავსება. სინამდვილეში კი ამით იმის თქმა უნდა, რომ მეფე შერისხავს. ხოლო შემდეგი ფრაზა „შოება არ საწყენია“ ანუ ქონების შოვნა კაცს არ მოსწყენდება, გვამცნობს, რომ ვეზირი მდიდარი პიროვნებაა, მაგრამ თუ მეტს იშოვის, ზედმეტი არ იქნება.

ამ იუმორს და მსუბუქ ირონიას ვეზირი მოაყოლებს რეალურად მოსალოდნელ შედეგს, რომ მეფის მწვავე რეაგირება გარდუვალია, თუ კი ის ჰკადრებს მეფეს და სთხოვს ავთანდილის გაშვების ნებართვას.

„თავმან მისმან მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!  
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე გლახ მიწა მესამაროს,“

ვეზირი მეფეს ფიცულობს იმის დასამოწმებლად, რომ იგი ნამდვილად მოკლავს მას ამის თქმის გამო. აქედან ჩანს მისი მეფისადმი სიყვარული და ისიც, რომ კარგად იცის მეფის თვისებები, განწყობა და მისი საკითხისადმი მიდგომისა და გადაწყვეტის წესი. ამიტომ არასწორად მიაჩნია ავთანდილის შეთავაზებული ქრთამის მოხმარება, რადგან თხოვნას ვერ შეუსრულებს.

გარდა ამისა აქვე, ამ კერძო საუბარშიც კი ვეზირი ქვეყნის ერთგული და პასუხისმგებლობით აღსავსე პირად გვევლინება. მეფემაც რომ გაგიშვას, ჯარი რატომ უნდა მოტყუვდეს: „შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდნენ გაგვისწორდნენ, ეგე ასრე არ ეგების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“.

ასე რთულ საკითხად მიაჩნია ვეზირს ავთანდილის გაშვება. მაგრამ ავთანდილის მიერ თავის გულისტკივილის წარმოჩენისა და ჩუმად გაპარვის ქადილისა და ვეზირზე ზნეობრივი ზემოქმედების შემდეგ პოეტი გვიჩვენებს მის მგრძობიარეობას, გულისხმიერებას და სიბრძნეს. მან უმაღლესად გაიაზრა, რომ ავთანდილის გაპარვაზე გარკვეული პასუხი მას უნდა გაეცა მეფისთვის. ამასთან ავთანდილი არწმუნებს მის გამო მეფე „არას უზამს“, მან მხოლოდ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მეფეს და არ იღებს თავის თავზე ავთანდილის გაშვების ნებართვას. ამდენად ვეზირი მეფესთან ავთანდილის წასვლის შესახებ ამბის მიტანისთვის სამ საქმეს ერთდროულად აგვარებს, პირველი თავის მოვალეობას ასრულებს მეფის საქმის კურსში ჩაყენების შემთხვევაში. მეორე, მოიმაღლიერებს ავთანდილს და, მესამე, დიდ ქრთამს აიღებს. რა თქმა უნდა, მან ეს უმაღლესე გაიაზრა და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო, რასაც გამოხატავს აფორიზმით - „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. ვეტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზემცა თქვენ მოგხვდების“. ამ სიტყვებით იგი გადაუდებლად გაემშრა მეფესთან, რაც მის საქმიან და ოპერატიულ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ვეზირისა და მეფე როსტევანის შეხვედრა ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია პოემაში. აქ ასახულია მეფის სამუშაო პროცესი, მისი ურთიერთდამოკიდებულება ვეზირთან. მისი ადამიანური ხასიათი, ემოცია და უშუალოება. ვეზირმა კი, რომელმაც კარგად იცის მეფის თვისებები, თვითონ არ იწყებს მასთან საუბარს. „შეკაზმულ“ მეფეს ვერ შეჰკადრა საწყენი სიტყვა. ამით შექმნა პრეცედენტი, მეფე თავად შეჰკითხვოდა, რადგან პასუხის გაცემა გამართლების ერთგვარი გარანტიაა. მან, თავდახრილი და გაოგნებული პოზით, დაინტერესა როსტევანი ეკითხა „დადრეჯისა“ და „დაყმუნების“ მიზეზი. მის საპასუხო სიტყვებში ვლინდება გონიერება, დამაბულობიდან გამოსვლის უნარი და სიბრძნე:

„ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა არაცა ჰმატს და არცა სდიდობს  
მეშინიან, თუმცა შიშსა მოციქული არ დაჰრიდობს,  
აწ ავთანდილ მეთხოვების, მოაჯეობს, არ წამკიდობს  
უმის ყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს“.

მან ავთანდილის წასვლის სურვილიც და მიზეზიც უთხრა. თავისი თავიც ჭირისუფლად წარუდგინა მეფეს, რომლის რისხვასაც თვითონ იღებს თავის თავზე. „მართალ ხარ, თუმცა რისხვიანი ჩემთვის იანაზდენითა“.

ვეზირთან ურთიერთობისას შოთა რუსთაველი ორიგინალური და მაღალმხატვრული ოსტატობით ხატავს მეფის განრისხებულ სახეს. როსტევანი ვეზირთან მოქმედებს სრული უშუალოებით, სამეფო ეტიკეტების გარეშე. ამით იგი, ერთი მხრივ, ამჟღავნებს ავთანდილისადმი მის ძლიერ სიყვარულს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს თავის ადამიანურ სისუსტეს: ემოციებს, თავშეუკავებლობას და აგრესიას. რეალურად ვეზირი ამ რისხვას არ იმსახურებს, მაგრამ მეფე ცუდი ამბის გაგებისას, როგორც წესი, ამბის მიმტანს შერისხავდა ხოლმე, სწორედ ამას ერიდებოდა

ვეზირი, როდესაც ავთანდილს უარს ეუბნებოდა დახმარებაზე. იშვიათია მეფის ისეთი განწყობისა და გაავეების ასახვა, როგორსაც რუსთაველი ხატავს; როსტევეანის რისხვით ნათქვამი სიტყვები ანადგურებს ვეზირს, როგორც მაღალი რანგის მოხელეს და როგორც კაცს. აქვე ვლინდება მეფის სიბრძნე და ენაწყლიანობა, ამავე დროს ნათლად ჩანს მისი შეხედულებები ვეზირის პიროვნებაზე:

„რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა,  
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეამთობდა,  
შეუზახა: „რა სთქვი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა,  
ავსა კაცსა ურჩევნია ავსამცა რას ადრე სცნობდა.  
შმაგო ენა ვით იხმარე აწ მაგისა ჩუმად კადრად,  
აგრე შმაგი არ ვაზირად, არ ვარგხარ არცა სხვად რად“.

უარყოფითი ეპითეტების ფეიერვერკის შემდეგ, მეფე ვეზირს სკამსაც სტყორცნის, რაც უკვე სამეფო კარის ყველა ნორმისა და ეთიკეტის ზღვარს გადადის.

და თან თავისი მახვილი ენით ფრიად დამამცირებელ და ორიგინალურ ლანძღვას მიაყოლებს:

„წა უკუდექ ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი წბილი,  
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“

ვაზირის სახე უფრო მკვეთრად ჩანს, მეფისაგან გამოსვლისას „ვაზირმან, გლახ გამოჰრიდნა... გამოდრწა და გამომელდა“.

საინტერესო წარმოსადგენია ქვეყანაში მეორე-მესამე პირი მელასავით როგორ პარვით გამოდის მეფის დარბაზიდან. აქ ირონიაც არის და რეალური ცხოვრების სინამდვილეც, მეფე განრისხების დროს, სულ ერთია, მონას შერისხავს თუ ვეზირს. პატრონყმულ საზოგადოებაში ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ვეზირის შემდგომი განცდები უფრო ნათლად წარმოაჩენს მის სულიერ მდგომარეობას „შეიხს ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასე მოაყივნებს: მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.“ ამ სტრიქონებშიც გამოსჭვივის ვეზირის სიბრძნე და ცოდნა. მეფესთან ასეთი კომმარის გადატანის შემდეგ ვეზირი, რა თქმა უნდა, ქრთამს მოითხოვს, მაგრამ მანამდე ავთანდილი უნდა დაარწმუნოს, რომ მან თავისი ავტორიტეტი გაწირა ავთანდილისთვის.

„მაღლი რა გკადრო, აწ თქვენგან გავხასდი მე მაშა ვითა,  
ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე დავაშავითა“.

ამ პასაჟში აისახება ვეზირის მიერ ავთანდილისგან ქრთამის მიღების უნარი. ამიტომ უფრო ამძიმებს მეფისაგან მის თავს დატეხილ რისხვას.

„ვით გიამბო, რა მიბრძანა, არ ეგების ჩემგან თხრობა,  
რა სიავე, რა სირეგენე, რა შლეუობა, რა შმაგობა.  
მე ვით კაცად აღარ ვარგვარ, აღარა მიც თავსა ცნობა  
ესე მიკვირს, რად არ მომკლა, მისცა თურე ღმერთმან თმოზა“.

ამას ეუბნება ავთანდილს, თუმცა, კარგად იცის, ავთანდილის მიგზავნილს მეფე არ მოკლავდა, ეს ავთანდილმაც უთხრა მას დარბაზს შეგზავნამდე და მეფემაც მიუგო: მოგკლავდი, მისი მიგზავნილი რომ არ იყოვო.

ვეზირი აზუსტებს: მისი მეფესთან ასეთი კომმარული ვიზიტის შემდეგ წავა თუ არა ავთანდილი უცხო მოყმის დასახმარებლად. ცხადია, თუ არ წავა ის ქრთამს ვერ მიიღებს, ამიტომ ამხნევეს ავთანდილს და ამსუბუქებს მეფესთან საუბარში მის მიერ გადატანილ საფრთხეს და იმედს გამოთქვამს, რომ მეფე „მოიწყრომებს შე-ცა-მინდობს“, ანუ აპატიებს და შეივრდომებს.

ავთანდილი არ გადაიფიქრებს და არც გადადებს უცხო მოყმესთან გამგზავრებას, რაც იმის გარანტია, რომ ვეზირი დიდ თანხას მიიღებს ქრთამად. ამ საკითხის დაზუსტების შემდეგ ვეზირი კვლავ ავლენს თავის სტუმართმოყვარეობას:

„ვაზირმან ქმნა ჭამა-სმანი მათნი ფერნი, უმასპინძლა  
მღვენი უძღვნა მშვენიერსა მშვენიერნი“,

ამ ქმედებით მან კიდევ უფრო მეტად მოიგო ავთანდილის გული და ავთანდილმა კი თავის მხრივ ასი ათას წითელს სამასი თავი სტავრა-ატლასი და სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი დაუმატა და ისე გაუგზავნა ვეზირს.

ისტორიის ნებისმიერ პერიოდში ავთანდილის მიერ ვაზირისადმი მირთმეული ფულით გამოხატული ქრთამი დიდი თანხაა, რაც იმას მოწმობს, რომ სამეფოში სარდლები ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ, აურაცხელ ქონებას ფლობენ. ისინი ომებში მოიპოვებენ სიმდიდრეს, ხოლო სამეფო კარის მსახურნი მოხერხებულობითა და გონივრული მოქმედებით შოულობენ დამატებით ქონებას.

### ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1974.
2. რევაზ სირაძე, „სახის მეტყველება“, თბ., 2002.
3. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტომი I, თბ., 1991.
4. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება“, თბ., 1991.

### რეზიუმე

ვეფხისტყაოსნის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ წარმოაჩენს პოემაში ასახული ეპოქის სამეფო კარის მაღალ თანამდებობრივ ხელისუფალთა ურთიერთობას, ამ პერიოდის მენეჯმენტისა და ქვეყნის მესვეურთა ზნეობრივ სახეს.

როსტევეან მეფის ვეზირი ბრძენი, გონებამახვილი და მეფის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პიროვნება, თავის უნარს პირადი კეთილდღეობისთვისაც იყენებს. ამავე დროს ჩანს, რომ სამხედრო ხელისუფალნი მატერიალურად და ავტორიტეტით მაღლა დგანან მეფის ქვეშევრდომთა შორის.

### ARTISTIC FEATURES OF VIZIER IN ‘THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN’

Vakhtang Inauri, Specialist by contract, Doctor

### RESUME

Artistic function of vizier indicates relations of the royal court of the described epoch in the poem ‘the Knight in a Panther’s Skin’, as well as moral character of supporters of the country and management of that period.

Vizier of the King Rostevan was a wise, smart and responsible person who uses their capacity for their own prosperity too. At the same time, it is clear that military authorities take higher rank compared to other Inferiors of the king.

### ორატორული სტილის ზოგიერთი საკითხისათვის

*მარიამ კობერიძე, პროფესორი*

ორატორული ანუ რიტორიკული სტილი ახასიათებს მჭევრმეტყველებას. მას ორატორულ ხელოვნებასაც უწოდებენ. ორატორის მთავარ მიზანს საგანგებოდ შერჩეული ენობრივი საშუალებებით სათქმელის საინტერესოდ და მიმზიდველად გადმოცემა წარმოადგენს.

მველ საბერძნეთსა და რომში სპეციალური რიტორიკული სკოლებიც იყო გახსნილი სტილის ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორცაა მეტყველების სიზუსტე, სილამაზე და დარწმუნების ხერხები, ადამიანზე ფსიქიკური ზეგავლენის მოსახდენად სათანადო სიტყვებისა და ფორმების ძიება.

ქართული ორატორული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები საკმაოდ არის შემონახული როგორც ქართულ, ისე უცხო (ბერძნულ, ლათინურ) წყაროებში. „ეს მდიდარი მასალა გაფანტულია უამრავ მეცნიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მემუარულსა და სხვა სახის ნაწარმოებებში, განვენილია თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე, წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის სანდო პირველ-წყაროს“ (კანდელაკი, 1968: 26).

საქართველოში მჭევრმეტყველების შემსწავლელი შესანიშნავი კერებიდან აღსანიშნავია კოლხეთის აკადემია (IV ს.), ნეკრესის ტაძარი (IV-V ს. ს.), ბოლნისის ტაძარი (V ს.), არქეოპოლისი (VI ს.), გელათის



აკადემია ( XII ს.), იყალთოს აკადემია (XII ს.)... (ჯავახიშვილი, 1928: 24, 219, 225; ყაუხჩიშვილი, 1940: 94, 95; 1948: 71,72).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორატორის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ლამაზი მეტყველება, შემდეგ გაჩნდა მოთხოვნილება საჭირო ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ენობრივი საშუალებების შერჩევასა, რომელიც უფრო ნათელს, მიმზიდველს, ემოციურს, ექსპრესიულს გახდიდა გადმოსცემ აზრს. „რიტორიკის ანუ მჭევრმეტყველების თეორიის განვითარება შემდეგ საფუძვლად დაედო სტილისტიკის ცალკე საგნად გამოყოფას“ (ბასილაია, 1991: 5).

სალიტერატურო ენის ნორმების სიზუსტე არის ენის მაღალი კულტურის აუცილებელი ელემენტი. ენის კულტურა ნიშნავს არა მარტო სალიტერატურო ენის ნორმებისა და სიწმინდის დაცვას, არამედ ენობრივ საშუალებათა მოხდენილად, ოსტატურად ხმარებასაც. მართლმეტყველება აუცილებელი საფეხურია მჭევრმეტყველებისაკენ. „საზოგადოდ, „მეტყველების კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც „აზროვნების კულტურა“ მოიკოჭლებს და, მამასადამე, „მეტყველების კულტურისათვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია. ენა აზრის ხორცშესხმა“ (ჩიქობავა, 1952: 254).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სტილისტიკის ცალკეულ საკითხებია წარმოდგენილი ზ. ჭუმბურიძის (1956, 1962), შ. ძიძიგურის (1957, 1965, 1971), შ. ღლონტის (1957, 1961), გ. გაჩეჩილაძის (1958), გ. იმედაშვილის, ვ. ბაკაშვილის, რ. ბარამიძის (1965), ი. იმნაიშვილის (1968), ა. გვენცაძის (1971), გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავას (1974) და სხვათა ნაშრომებში. ენათმეცნიერული სტილისტიკის ძირითადი თეორიული საკითხები ქართულ ენაზე პირველად განხილულია არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალში“ (1952, 2008).

ორატორული სტილის შესახებ ვრცელი ანალიზი მოცემულია შემდეგ ნაშრომებში: გრ. კიკნაძე „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957); ვ. რამიშვილის „სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები“ (1968); გ. კანდელაკის „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ (1961); ნ. ბასილაიას „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“ (1991), გ. კვარაცხელიას „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“ (1990), „მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები“ (1995), ლ. კვანტალიანის „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ (1990)...

ორატორული სტილის სახეებად მიჩნეულია: აკადემიური (მეცნიერულად გამართული), სასამართლო ანუ ოფიციალურ-საქმიანი; პოლიტიკურ-პუბლიცისტური (ბასილაია, 1991: 74). შინაარსისა და მიზნის მიხედვით ორატორული სტილის სახეებად შეიძლება მივიჩნიოთ სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, საელჩო, სადღესასწაულო ანუ საზეიმო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველება (კანდელაკი, 1961: 91). მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს შინაარსი, ფორმა და დანიშნულება. საერთო დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ის მოთხოვნები, რაც უნაკლო სტილს წარედგინება.

არნ. ჩიქობავა წერს: „სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელობის მიხედვით გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება“ (ჩიქობავა, 1952: 314). ამ ტიპის შეცდომების გასწორება ისეთივე დიდი მნიშვნელობის საქმეა, როგორცაა, მაგალითად, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომებისა“ (ბასილაია, 1991: 23). სხვადასხვა ადამიანის მეტყველების სტილურ თავისებურებებს განაპირობებს მრავალი ფაქტორი: საუბრის თემა, საგანი, მოვლენა, პირობები, მოქმედების სფერო, სიტუაცია, მოუბრის მიზანი, შეხედულება, ინტერესი, დამოკიდებულება, ხასიათი, გემოვნება, მისწრაფება, განწყობილება, სოციალური მდგომარეობა, პროფესია.... (ბასილაია, 1991:72, 73). მსმენელზე ძლიერი შთაბეჭდილებების მოსახდენად გამოყენებულია არა მარტო ემოციური და ექსპრესიული ლექსიკა, არამედ სინტაქსური ფიგურებიც (რიტორიკული მიმართვა, შეკითხვა, გაჩუმება, ელიპსისი, გამეორება, ინვერსია, გრადაცია, პარალელიზმები, ანტითეზა...), ფრაზის გასაგებად აგება, მოკლე წინადადებები.... (ბასილაია, 1991:74).

არისტოტელეს შეხედულებით „მეტყველებამ რომ საჭირო შთაბეჭდილება მოახდინოს, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია ეს სათანადოდ ითქვას“ (კიკნაძე, 1957: 3). არისტოტელეს კარგი სტილის მთავარ ნიშნად მიაჩნდა ზომიერების დაცვა, სასაუბრო თქმების გამოყენება, სტილის მაღალ თვისებად-გრძნობის გამოხატვა, ხოლო სტილის უარყოფით მხარეებად - აზრის ბუნდოვნად ან ორაზროვნად გადმოცემა, ზოგადი ფრაზები, უმნიშვნელო საგნებზე მაღალფარდოვანი სიტყვებით და ზერელედ ლაპარაკი. შესაბამისობა და ზომიერება - აი, ორი არსებითი მნიშვნელობის მოთხოვნა, რასაც არისტოტელე უყენებდა მეტყველების სტილს“ (კიკნაძე, 1957: 1-9, 9-26).

ორატორულ სტილის ტექსტი ფორმის მიხედვით უმთავრესად არის ზეპირი ან წერილობითი, რომელსაც ავტორი გამოსვლისას კითხულობს. ზეპირი გამოსვლა ხშირად ქვეყნდება გაზეთში, ჟურნალში

ან ცალკე გამოცემად. ჩვენამდე მოღწეულია ორატორული სტილის ნიმუშები წერილობითი სახით. ფორმა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოხსენების, დისკუსიის, ლექციის, საუბრის სახით.

ორატორული სტილის ფუნქცია არის სუბიექტური, აზრის ნათლად, ემოციურად, ექსპრესიულად და დამაჯერებლად გამოხატვა, მსმენელზე იდეური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება: აუდიტორიის დაინტერესება, მასში დადებითი ან უარყოფითი განწყობილების შექმნა (მხიარული, საზეიმო, სინანული, წუხილი, ზიზღი) (ბასილაია, 1991: 71).

გასათვალისწინებელია აუდიტორიის განათლების დონე და მოთხოვნები. ორატორული სტილი ერთი შეხედვით ჰგავს პუბლიცისტურ სტილს: ორივეს ფუნქციაა საზოგადოების პოლიტიკური ზემოქმედება, მათ შორის განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ორატორულ სტილზე ზემოქმედება შეიძლება იყოს ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა.

ორატორული სტილისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას, მახვილის სწორად გამოყენებას. ყურადღება ექცევა ხმის ტონალობას, დიქციას, ტემპს, პაუზებს. ორატორს მოეთხოვება ორთოეპიის წესების ზედმიწევნით დაცვა, მაგრამ გასათვალისწინებელია მისი განათლების დონე.

როგორც ავთანდილ არაბული აღნიშნავს, მჭევრმეტყველების საპირისპიროდ წინ წამოიწია რიტორიკის იმ ფუნქციამ, რომელსაც ძველადვე გაესმოდა ხაზი - დარწმუნების ხელოვნებამ და, ამდენად, იგი დაუკავშირდა თანამედროვე დისკურსის ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, სოციალურად აქტიურ, მიზანმიმართულ მეტყველებას (ტექსტს) გულისხმობს (არაბული, 2004: 43).

ტექსტის ლინგვისტიკა ანუ დისკურსის ლინგვისტიკა შეისწავლის სამეტყველო პროცესის ანუ ლოკაციური აქტის შედეგად შექმნილ ენობრივ გამონათქვამთა სიმრავლეს, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურად დასრულებულ საკომუნიკაციო ერთეულს-ტექსტს, რომელსაც უნდა ახასიათებდეს აზრის მთლიანობა და უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს - როგორც ლინგვისტურს, ისე არალინგვისტურს (სიტუაციურს). ლოკაციური (ე. ი. სამეტყველო) მიზნებისათვის შექმნილი ტექსტი აიგება ენობრივი სისტემის ერთეულებისა და მისი ყველა დონის სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენებით. დასრულებული ტექსტის მახასიათებლებია საკომუნიკაციო კონტექსტის გათვალისწინება და გადმოცემული აზრის მთლიანობა (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 434).

ორატორულ სტილს კავშირი აქვს პარალინგვისტიკასთან, რომელიც შეისწავლის კომუნიკაციის პროცესში სამეტყველო მეტყობინების სწორედ იმ თანხლებს არაენობრივ საშუალებებს (როგორც არის ჟესტ-მიმიკა, სხეულის მოძრაობა, სახის გამომეტყველება და სხვ.), რომლებიც ერთგვარად აზუსტებენ და ავსებენ მეტყველების გზით გადაცემულ ინფორმაციას (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 448).

ორატორული სტილის დროს გამოიყენება ფონაციური (სამეტყველო) და კინესიკური (მოძრაობითი) პარალინგვიზმები. ფონაციურ პარალინგვიზმებად მიიჩნევა მეტყველების ისეთი მახასიათებლები, როგორც არის, მაგალითად, ხმის ტემბრი, ინტენსივობა, მეტყველების ტემპი და სხვ. ეს კომპონენტები მეტყველების შემადგენელი და განუყოფელი მახასიათებელია - სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება ყოველი სამეტყველო აქტი.

კინესიკური პარალინგვიზმებით (ჟესტ-მიმიკა, სხეულის მიმოხვრა...) ხდება ზეპირი მეტყველების გზით გადაცემული ინფორმაციის „შევსება“ და „დაზუსტება“. განსაკუთრებით ნათლად ვლინდება კინესიკური პარალინგვისტური ელემენტები ზეპირი მეტყველების პროცესში ისეთ ენობრივ ნიშნებში, როგორც არის, მაგალითად, შორისდებულები ან დეიქსისი და დეიქტიკური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გულისხმობენ მითითებას სამეტყველო სიტუაციის მონაწილეებზე თუ მეტყველების დროითსა და სივრცით ლოკალიზაციაზე: ასეთ ვითარებაში ინფორმაციული დატვირთვის გასაძლიერებლად სამეტყველო პროცესში ბუნებრივად ერთვება ჟესტ-მიმიკა და სხეულის მოძრაობები. ისინი შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელი სემანტიკის მქონე ნიშნებადაც (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003: 448).

ამრიგად, კარგ ორატორულ სტილს წარედგინება ის მოთხოვნები, რაც ძველად ჰქონდა: რა ითქვას, როგორ ითქვას, რატომ ითქვას და სად ითქვას. ორატორულ სტილთან დაკავშირებით დღეს წინ წამოიწია რიტორიკის ერთ-ერთი ფუნქცია - საზოგადოების დარწმუნება. ამან კი განაპირობა სტილისტიკის კავშირი ტექსტის ლინგვისტიკასა და პარალინგვისტიკასთან.

### ლიტერატურა:

- გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2008.  
გვენცაძე ა., სტილისტიკის საკითხები, თბ., 1971.  
გვენცაძე ა., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბ., 1974.



- იმედაშვილი გ., ბაკაშვილი ვ., ბარამიძე რ., ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-VIII ს.ს.), თბ., 1965.
- იმნაიშვილი ი., ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, თბ., 1968.
- კანდელაკი ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 1961.
- კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.
- კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
- კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995.
- კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
- რამიშვილი ვ., სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ., 1965.
- დლონტი შ., „ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, თბ., 1961.
- დლონტი შ., ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი, თბ., 1967.
- ყაუხჩიშვილი ს., რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში: მუზეუმის მოამბე, X, თბ., 1940.
- ყაუხჩიშვილი ს., გელათის აკადემია, თბ., 1948.
- შალამბერიძე შ., გაბეჩავა რ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974.
- ჩიქოზავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2008.
- ძიმიგური შ., მწერლის ენა, თბ., 1957.
- ძიმიგური შ., ენა და ლიტერატურა, თბ., 1965.
- ძიმიგური შ., ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.
- ჭუმბურიძე ზ., ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

## რეზიუმე

კარგ ორატორულ სტილს წარედგინება ის მოთხოვნები, რაც ძველად ჰქონდა: რა ითქვას, როგორ ითქვას, რატომ ითქვას და სად ითქვას. ორატორულ სტილთან დაკავშირებით დღეს წინ წამოიწია რიტორიკის ერთ-ერთი ფუნქცია - საზოგადოების დარწმუნება. ამან კი განაპირობა სტილისტიკის კავშირი ტექსტის ლინგვისტიკასა და პარალინგვისტიკასთან.

## FOR SOME ISSUES OF ORATORICAL STYLE

Mariam Koberidze, Professor

### RESUME

Those requests are submitted to a good oratorical style, what it had aforesaid: what to say, how to say, why to say and where to say. Connected to the oratorical style one of the functions of rhetoric - persuasion of the public are raised today. This conditioned connection of stylistic with linguistic of text and paralinguistic.

## ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით სახეცვლილი სიტყვები გერმანულ ენაში

*ლელა მახვილაძე, პროფესორი*

ენის მატარებელი ცდილობს „ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე ან უკვე აღარ გამჭვირვალე სიტყვები საკუთარ ლექსიკურ მარაგში ჩართოს და ნაცნობი სიტყვათა მარაგიდან ახსნას. [...] ცდილობს მისთვის უცნობი სიტყვები ჟღერადობით და - როგორც მას მიაჩნია - აზრობრივად მსგავს ლექსემებს დაუკავშიროს“<sup>1</sup> - აღნიშნავს შიპანი (Schippan 2002: 44). ენის მატარებელი არამოტივირებული ენობრივი ერთეულის ახსნის / განმარტების მიზნით ენობრივ ცნობიერებაში უძებნს სემანტიკურ საყრდენს /

<sup>1</sup> აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

საფუძველს” (იქვე: 45), რათა სიტყვების სისტემურად გამოყენება კვლავ შესაძლებელი გახდეს. ამ საშუალებით სიტყვა იღებს ახალ მოტივაციას. ასეთი ვარაუდები და განმარტებები უმეტესად არ არის შესაბამისი.

ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა არის ისტორიული სიტყვაწარმოებითი პროცესი, რომლის დროსაც ზოგიერთი სემანტიკურად გაუმჭვირვალე, არამოტივირებული ენობრივი ერთეული, რომელიც სიტყვაში გაუგებარ ნაწილს წარმოადგენდა (ფსევდომორფემა)<sup>1</sup>, ან უცხო ენიდან შემოსული ზოგიერთი გაუგებარი სიტყვა ენის მატარებელმა მშობლიური ენის ლექსიკური ერთეულით სხვაგვარად ახსნა. ამისათვის კი მან გაუგებარი სიტყვა ან მისი შემადგენელი ნაწილი - განმარტების მიზნით - მიამსგავსა მსგავსი მნიშვნელობის და/ან მსგავსი ჟღერადობის ნაცნობ (მოცემულ შემთხვევაში გერმანულ) სიტყვას. ე.ი. ბგერითი მსგავსების საფუძველზე და შინაარსიდან გამომდინარე ენობრივ ერთეულს მისცა ახალი მოტივაცია და სემანტიკურად გაუმჭვირვალე ან უცხო სიტყვა გახდა მოტივაციურად გამჭვირვალე.<sup>2</sup>

თვითონ ტერმინი ”ხალხური ეტიმოლოგია” (“Volksetymologie“) 1852 წელს ენათმეცნიერებაში შემოიტანა ერნსტ ვილჰელმ ფორსტემანმა (Ernst Wilhelm Förstemann) თავისი ნაშრომით „Ueber deutsche volksetymologie“. ტერმინი, კრიტიკის მიუხედავად, სწრაფად გადაიღეს სხვა ენებშიც (შდრ., ინგლ. folk, popular etymology, ფრ. étymologie populaire, იხ. MLSP 1993: 683-684). ენობრივი მოვლენა ცნობილია შემდეგი ტერმინებითაც: ”Pseudoetymologie” (“ფსევდოეტიმოლოგია“), ”Fehletymologie” (“მცდარი / არასწორი ეტიმოლოგია“), ”sekundäre Motivation” (“მეორეული / სეკუნდარული მოტივაცია“) (იხ. მაგ.: Kluge/Seebold 2002: XXXII; MLSP 1993: 683-684; v. Polenz 1980: 171; Iskos/Lenkowa 1963: 23; Käge 1980: 113)<sup>3</sup>. ტერმინთან დაკავშირებული დისკუსია ძირითადად უკავშირდება ენობრივი მოვლენის შინაარსის უფრო მკაფიოდ გადმოცემას (შდრ. მაგ., Henzen 1965: 256-257; Iskos/Lenkowa 1963: 23-24; და სხვ.).

ლინგვისტიკაში ცნობილია ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის მრავალი დეფინიცია. შმიდტი მას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

ამ მოვლენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვა ან სიტყვის ნაწილი, რომელიც გარკვეული მიზეზებით გაუგებარია (უცხო სიტყვა), ან გაუგებარი გახდა (ბგერითი ცვლილებების ან გამოუყენებლობის შედეგად გაუმჭვირვალე ეროვნული სიტყვები), სხვა რომელიმე მსგავსი ან ერთნაირი ჟღერადობის სიტყვასთან მიმსგავსებით შეიცვლის შინაარსობრივ და ბგერით სახეს. (Schmidt 2008: 142)

მსგავს დეფინიციას ვკითხულობთ ასევე წიგნში Metzler Lexikon Sprache:

ხალხური ეტიმოლოგია (ასევე: ფსევდოეტიმოლოგია) არის ეტიმოლოგიის გულუბრყვილო ფორმა, რომლის საშუალებითაც წარმოშობით გაუმჭვირვალე ლექსემა შინაარსობრივად აიხსნება (განიმარტება) და/ან რომელიმე მსგავსი ფორმის და/ან მსგავსი მნიშვნელობის ლექსემასთან მიმსგავსებით შეიცვლის სახეს. (Schaefer წიგნში: MLSP 1993: 683-684, ”Volksetymologie“)

ცნობილია ოლშანსკის მიერ შედგენილი ხალხური ეტიმოლოგიის მოვლენით სახეცვლილი ლექსიკური ერთეულების ლექსიკონი Olschansky (2004): Täuschende Wörter. Kleines Lexikon der Volksetymologien. ავტორი, წარმოადგენს რა ასეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებშიც ე.წ. ენობრივი ალღოს (Sprachgefühl) საშუალებით ისტორიულად არასწორი კავშირები დამყარდა, ხსნის მათ სწორ ენობრივ-ისტორიულ წარმომავლობას. განხილული სიტყვები და გამოთქმები შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ისტორიულად (ენიდან სიტყვათა ოჯახების გაქრობის / დაკარგვის ან სხვა უცხო ენებიდან სესხების შემთხვევაში) იზოლირებულ ერთეულებად ჩაითვლება, ე.ი. აღარ მიეკუთვნება რომელიმე სიტყვათა ოჯახს. ზოგიერთი ასეთი იზოლირებული ელემენტი შესაძლებელია შემთხვევითი ფონეტიკური ან ფორმობრივი მსგავსების, ან მასთან მიმსგავსების საფუძველზე დაუკავშირდეს სხვა, ისტორიულად არამონათესავე სიტყვათა ოჯახს - აღნიშნავს ოლშანსკი (Olschansky 2004: 7).

<sup>1</sup> სიტყვაწარმოებაში განიხილავენ მორფემული წარმოშობის სემანტიკურად გაუმჭვირვალე სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინითაა ცნობილი, მაგ.: უნიკალური ან ბლოკირებული მორფემები, ფსევდომორფემები, კვაზიმორფემები, ნარჩენი ელემენტები და მისთ.

<sup>2</sup> ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის არსი შესწავლილია ენათმეცნიერების: ჰირტის (Hirt 1921), ჰენცენის (Henzen 1965), შმიდტის (Schmidt 2008), ოლშანსკის (Olschansky 2004), ისკოს და ლენკოვას (Iskos/Lenkowa 1963), შიპანის (Schippa 2002), ზიმლერის (Simmler 1998), კეგეს (Käge 1980) და სხვების მოსაზრებების საფუძველზე. ენობრივი მოვლენის შესახებ იხ. ვრცლად მახვილაძე 2001: 43-49, 121-134; ასევე: მახვილაძე 2011.

<sup>3</sup> ქართულ ლექსიკოლოგიაში გამოიყენებენ ტერმინს ”ხალხური ეტიმოლოგია” (იხ. მაგ., ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, 1972: 156-157; ფოჩხუა 1974: 118; და სხვ.).

ენობრივი მოვლენის საილუსტრაციოდ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს არსებითი სახელი *Maulwurf* 'თხუნელა' (მიწის ქვეშ მცხოვრები, ბალნით დაფარული ცხოველი, რომელიც მწერებით იკვებება და ნიჩბისმაგვარი წინა ფეხებით მიწას ყრის). სიტყვის უძველესი ფორმები დამოწმებულია ძველი ზემოგერმანული პერიოდიდან, შდრ. ძვ.ზ. *mūwerf* (-wurf) (Duden 2007: 516), *mū(l)werf* (Kluge 2002: 606-607), *mūlwerfo* (Schütz., 243; EWD 1993: 851), რამაც შემდგომში "ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება" (EWD: იქვე). როგორც კლუგე აღნიშნავს, სიტყვა გამოჩნდა მრავალი შეცვლილი ფორმით, ასე რომ, მისი თავდაპირველი ფორმის დადგენა შეუძლებელია (Kluge 2002: 606-607). რთული სიტყვის პირველ უშუალო შემადგენელს (უ.შ.) შეესაბამება ძვ.ინგლ. *mūga mūha*, *mūwa* 'მარცვლეულის გროვა' 'Kornhaufen' (Kluge: იქვე), მეორე უ.შ. ნაწარმოებია *werfen*-იდან 'გადაგდება'. განსახილველი სიტყვა თავდაპირველად აღნიშნავდა 'გროვის ამომყრელს' 'Haufenwerfer'. გვიანდელი ძველი ზემოგერმანული დროიდან სიტყვის პირველი კომპონენტი, მას შემდეგ, რაც ის აღარ გვხვდება დამოუკიდებლად (როგორც მარტივი სიტყვა) და ამის გამო შეკავშირებაში გაუგებარი ხდება, ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით იცვლის ფორმას, კერძოდ, შდრ. ფორმები: ძვ.ზ. *molta*, საშ.ზ. *molt[e]* 'Erde, Staub' 'მიწა, მტვერი', შუაგ., საშ.ქვ. *mul[le]*-ს 'Erde, Staub' 'მიწა, მტვერი' (Duden 2007: 516). ამ დროიდან ფორმები: გვ.ძვ.ზ. *mul(t)wurf*, საშ.ზ. *moltwurf* (ასევე სხვა ფორმები) იღებენ მნიშვნელობას - 'Erd(auf)werfer' 'მიწის ამომყრელი' (Duden: იქვე; EWD 1993: 851). სიტყვის პირველ კომპონენტს, რომელიც კვლავ ხდება სემანტიკურად გაუმჭვირვალე, ხელახლა უცვლიან სახეს და მნიშვნელობას, კერძოდ, საშ.ზ. *mūl[e]* -ს მიხედვით 'Maul, Mund' 'პირი, დინგი', რასაც ეფუძნება თანამედროვე ფორმა *Maulwurf* 'ცხოველი, რომელიც მიწას დინგით ყრის' (Duden 2007: 516)<sup>1</sup>.

ცხადი ხდება, რომ სიტყვის პირველ კომპონენტთან გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივი პროცესი: სიტყვის მნიშვნელობის გაბუნდოვნება - დემოტივაცია და მისი ხელახალი ინტერპრეტაცია, რაც ეფუძნება შინაარსობრივ (ლოგიკურ) და ბგერით (ფონეტიკურ) მსგავსებას. ამდენად, დემოტივაციისა და ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენები ერთმანეთს უკავშირდება ენაში სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტების გაჩენის საერთო მიზეზებით (იხ. მახვილაძე 2001: 48-49).

ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით სახეცვლილ სიტყვებს გავმიჯნავთ ორ ძირითად ჯგუფად: I - სიტყვა ეტიმოლოგიურად ვერ აიხსნება, II - სიტყვა ეტიმოლოგიურად აიხსნება. ჯგუფში, რომელშიც სიტყვა ეტიმოლოგიურად აიხსნება, გამოყოფთ ქვეჯგუფებს. შესაბამისად საანალიზო სიტყვებს წარმოვადგენთ იმ პრინციპით, რომ სემანტიკური გაბუნდოვნება და ხელახალი მოტივაცია განიცადა სიტყვის პირველმა ან მეორე კომპონენტმა, ან ორივე კომპონენტმა (მთელმა სიტყვამ). ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ენობრივი პროცესი ეფუძნება როგორც ფონეტიკურ (ბგერით), ისე შინაარსობრივ მსგავსებას (შდრ. Schmidt 2008: 142; Schaeder წიგნში: MLSP 1993: 683-684, "Volksetymologie"; Schippan 2002: 44; და სხვ.).

განვიხილოთ ჯგუფი, რომელშიც სიტყვები ეტიმოლოგიურად ვერ აიხსნება ან სიტყვის ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

მაგალითად, ზმნის *ausmerzen* ('როგორც უვარგისის, გამოუსადეგარის გამოყოფა, მოცილება, მოშორება, აღმოფხვრა') წარმოშობა უცნობია. სიტყვა იხმარება მე-16 საუკუნიდან მეცხვარეთა ენაში იმ მნიშვნელობით, რომ გასამრავლებლად უვარგის ცხვარს ფარადან გამოარჩევენ და მოაცილებენ. ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით - მარტთან მიმსგავსებით *ausmerzen* ძველად გაიგებოდა შემდეგნაირად: 'ცხვარს მარტში გადაარჩევენ' (Duden 2007: 58). როგორც ვხედავთ, სიტყვის ხელახალ მოტივაციას და ახალ ინტერპრეტაციას საფუძვლად დაედო შინაარსობრივი ასოციაცია, თუმცა შესაძლებელია, რომ არა მარტო შინაარსობრივი.

სხვა მაგალითები: *Karneval* 'კარნავალი', *Küchenschelle* (ბოტ.) 'ფრინტასებური მცენარე', *Lebkuchen* 'თაფლის ნამცხვარი, თაფლაკვერი' და სხვ.

განვიხილოთ ჯგუფი, რომელშიც სიტყვები ეტიმოლოგიურად აიხსნება. წარმოვადგენთ ქვეჯგუფს: სემანტიკური გაბუნდოვნება და ხელახალი მოტივაცია განიცადა სიტყვის პირველმა უშუალო შემადგენელმა.

საწერი ხელსაწყო სახელწოდება *Griffel* 'გრიფელი' (საშ.ზ. *griffel*, ძვ.ზ. *griffil*) ნაწარმოებია -el სუფიქსით. სიტყვის პირველი წევრი ფორმობრივად მიმსგავსებულია ძვ.ზ. *grifan* -თან 'ხელის წავლება, ხელის მოკიდება' (შდრ. ძვ.ზ. *graf* 'საწერი ხელსაწყო' 'Schreibgerät', სიტყვა ნასესხებია ლათ. *graphium* -

<sup>1</sup> სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი იხ. ვრცლად მახვილაძე 2012: 260-261.

დან, რაც ბერძნ. *grapheion*, *graphion* -იდან 'საწერი ხელსაწყო' მოდის - Duden 2007: 302; Olschansky 2004, 61). ამ შემთხვევაშიც ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა ეფუძნება როგორც შინაარსობრივ, ისე ფონეტიკურ მსგავსებას.

არსებითი სახელი *Kreisel* 'ბავშვის სათამაშო ბურიალა' მოდის *Kräusel* -დან, საიდანაც *Kreis*, *kreisen* 'წრე; ტრიალი, ბრუნვასთან' მიმსგავსებით განვითარდა ფორმა *Kreisel*. როგორც ჩანს, თვითონ *Kräusel* არის კნინობითი ფორმა დიალექტში შემონახული *Krause* -დან 'დოქი, ხელადა; ტოლჩა; ქვაბი, ქოთან' და ნიშნავს 'პატარა ქვაბს' (Duden 2007: 452). სიტყვას საფუძვლად უდევს როგორც შინაარსობრივი, ისე ფონეტიკური ასოციაცია.

არსებითი სახელის *Flederwisch* 'ფრინველის ფრთებისაგან დამზადებული პატარა ცოცხი' თავდაპირველი ფორმაა: სამ.ზგ. *vederwisch* 'ბატის ფრთები, რომელსაც გადასაწმენდად იყენებენ'. აქედან საშუალო ზემოგერმანულ *vlederen* -თან 'flattern' 'ფრიალი, ფრენა' მიმსგავსებით მივიღეთ *vlederwisch* 'კონა გასანიაველად ან გადასაწმენდად'. დღეს *Flederwisch* აღნიშნავს ფრთების კონას (Duden 2007: 222).

განვიხილოთ ქვეჯგუფი, რომელშიც სემანტიკური გაბუნდოვნება და ხელახალი მოტივაცია განიცადა სიტყვის მეორე უშუალო შემადგენელმა.

არსებითი სახელის *Leinwand* '(სელის) ტილო; ეკრანი' ძველი ფორმა სამ.ზგ. *linwät* 'სელის ქსოვილი' (*Leinengewebe*) ადრეულ ახალ გერმანულ პერიოდში მიახლოებულა სიტყვას *Gewand* 'ტანსაცმელი, სამოსი', შდრ. სამ.ზგ. *līngewant* 'სელის სამოსი' (*Leinengewand*) (Duden 2007: 480). დღეს სიტყვის მეორე კომპონენტი *Wand* -ის 'კედელი' ასოციაციას იწვევს. სიტყვაში გვაქვს როგორც ფონეტიკური, ისე შინაარსობრივი ასოციაცია.

არსებითი სახელის *Beispiel* 'მაგალითი' ძველი ფორმებია: სამ.ზგ., ძვ.ზგ. *bī-spel* 'ყურადსადები, ჭკუის სასწავლებელი, სამოდგრო დარიგება, მოთხრობა, ანდაზა' (*'belehrende Erzählung, Sprichwort'*), ნაწარმოებია სამ.ზგ., ძვ.ზგ. *bī* -სა და სამ.ზგ., ძვ.ზგ. *spel* -ით 'მოთხრობა' მნიშვნელობით - 'რადაცასთან დაკავშირებით ნაამბობი' (*'nebenbei Erzähltes'*). სიტყვა ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით მიახლოებულა დღეს *'Spiel'* -ით გადმოცემულ ფორმას: გვ.სამ.ზგ. *bīspil*. მე-16 საუკუნიდან განვითარდა დღევანდელი მნიშვნელობა: 'მაგალითი, ნიმუში' (Duden 2007: 79; შდრ. Olschansky 2004, 23).

არსებითი სახელი *Hebamme* გერმანულენოვან ქვეყნებში გავრცელებული სახელწოდება 'მეანი ქალისათვის' მოდის სამ.ზგ. *heb[e]amme* -დან მნიშვნელობით 'ზებიაქალი' (*'Hebe-Amme'*). სიტყვა ხალხური ეტიმოლოგიური სახეცვლილებაა ძვ.ზგ. ფორმიდან *hev[i]anna*, ე.ი. *Hebe-Ahnin* (შდრ., ძვ.ზგ. *hevan* 'მშობიარობის მიღება' *'heben'* და ძვ.ზგ. *ana* 'ზებიაქალი' *'Ahnin, Großmutter'* (Duden 2007: 321).

წარმოვადგენთ ისეთი სიტყვების ქვეჯგუფს, რომელშიც ორივე უშუალო შემადგენელმა, შესაბამისად, მთელმა სიტყვამ განიცადა მეორეული მოტივაცია.

არსებითი სახელი *Vatermörder* (საუბრ.) 'შაღალი, გახამებული, ზევით აწეული საყელო': სავარაუდოდ, სიტყვა ხალხური ეტიმოლოგიური სახეცვლილებაა ფრ. *parasite* -სი 'პარაზიტი' (საყელოს გრძელ ზევით აწეულ კუთხეებზე საჭმლის ნარჩენები რჩებოდა) ფორმისაკენ *parricide* 'მამის მკვლეელი / სულის შემხუთავი' (*'Vatermörder'*) (Duden 2007: 886). ცვლილება ეფუძნება როგორც ფონეტიკურ, ისე შინაარსობრივ ასოციაციას.

ფრინველის სახელწოდების *Wiedehopf* 'ოფოფი' ძველი ფორმებია: სამ.ზგ. *witehopf[e]*, ძვ.ზგ. *witihopfa*. სიტყვა ხმაბაძვითი წარმოშობისაა, საფუძვლად უდევს ფრინველის ძახილი წყვილის მიმართ - *'wudhup'* (შდრ. იმავე მნიშვნელობის ლათ. *upupa*, ბერძნ. *pupukis* (Duden 2007: 928), ასევე ქართ. 'ოფოფი'. ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა ეფუძნება მხოლოდ ფონეტიკურ, ბგერით ასოციაციას.

სიტყვა *Adebar* -ს გამოიყენებენ ქვემოგერმანულ და დასავლეთგერმანულ მხარეში 'წეროს' აღსანიშნავად. არსებითი სახელი მოდის გერმანიკული *udafaran* -დან. სიტყვის პირველი უშუალო შემადგენელი ნიშნავს 'ჭაობიან ადგილს, სველ მდელოს' (*'sumpfige Stelle, feuchte Wiese'*), მეორე უშუალო შემადგენელი *faran* - 'სიარულს' (*'gehen'*), ე. ი. *'Sumpfgänger'* 'ჭაობში მოსიარულე' (Schmidt 2008: 63; შდრ. ასევე: Olschansky 2004, 12). ძველი ქვემოგერმანული *odafaro* გრამატიკული ცვლილებებით გადაკეთდა *odabaro*-დ, რამაც სავარაუდოა, რომ ძვ.საქს. *ōd*, ძვ.ზგ. *ōt* -თან 'ბედნიერება, სიმდიდრე' მიმსგავსებითა და ფორმით *boro* 'მტარებელი' (შდრ., *bēran* 'ტარება') მიიღო ახალი ინტერპრეტაცია - 'ბედ-იღბლის მომტანი'. შემდეგ კი განვითარდა ახალი მნიშვნელობა - 'ბავშვების მომყვანი' (იქვე).

სიტყვიდან *Katarrh*, რაც ნიშნავს 'ლორწოვანი გარსის ანთებას', მე-19 საუკუნიდან ლაიფციგურ დიალექტში განვითარდა არსებითი სახელი *Kater* მნიშვნელობით - 'ნაბახუსევი' და სტუდენტურ ენაში



მეტად პოპულარული გახდა. სიტყვა ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის შედეგია და განვითარდა Kater -თან 'კატა (ხვადი)' მიმსგავსებით (Duden 2007: 397; იხ. ასევე: Olschansky 2004, 76).

ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა ხშირია უცხო სიტყვებთან, რადგან ისინი ხშირად გაუგებარია. როგორც შმიდტი აღნიშნავს, მათ „ხშირად ამსგავსებენ მსგავსი ჟღერადობის მშობლიურ სიტყვებთან და მანამ უცვლიან ბგერით ფორმას, ვიდრე გასაგები და ადვილად წარმოსათქმელი არ გახდება“ (Schmidt 2008: 142).

ალისფერი ძვირფასი ქვის სახელწოდება Karfunkel 'კარბუნკული' (საშ.ზგ. ფორმა: karfunkel) საშუალო ზემოგერმანულ დროში ნასესხებია ლათ. carbunculus -იდან (კნინობითი წარმონაქმნი მნიშვნელობით 'პატარა ნახშირი'), რასაც, განმარტების მიზნით, ფორმა შეუცვალეს გერმანულ Funke -სთან 'ნაპერწყალი' მიმსგავსებით (Duden 2007: 392). სიტყვაში ხალხურ ეტიმოლოგიურ მოვლენას საფუძვლად დაედო შინაარსობრივი და ფონეტიკური ასოციაცია.

ასევე სიტყვა Hängematte 'ჰამაკი' ნასესხებია იმავე მნიშვნელობის ნიდერ. hangmat (უფრო ძველი: hangmak) -იდან, მოდის ფრ. hamac, ესპ. hamaca -ს გავლით ჰაიტური [h]amaca -დან "ჰამაკი" (Duden 2007: 315). გაუგებარი უცხო სიტყვა მეორეული მოტივაციით განიმარტა როგორც 'hängen' და 'Matte', ე. ი. 'უხეში მოქსოვილი ქვეშაგები, რომელიც ჰკიდია'.

სიტყვა blümerant 'თავბრუ, თავბრუდამხვევი, სუსტი, უღონო, მოდუნებული, დაუძლურებული' ('schwindelig, flau') ნასესხებია ფრანგულიდან: bleu mourant 'მკვდრისფერი, ფერმიხდილი, ფერმკრთალი ცისფერი' ('sterbendes (=blasses) Blau'); სიტყვის მნიშვნელობა განვითარდა გამოთქმიდან: "blümerant vor den Augen" 'თვალის დაბნელება, თავბრუ, თავბრუდახვევა' (Duden 2007: 103; Olschansky 2004, 29). სიტყვას განმარტების მიზნით შეუცვალეს ფორმა მსგავსი ჟღერადობის სიტყვასთან 'Blume' 'ყვავილი' მიმსგავსებით. ცვლილება ეფუძნება ფონეტიკურთან ერთად შინაარსობრივ, ლოგიკურ ასოციაციას.

ამდენად, ჩატარებული ანალიზიდან გამოჩნდა, რომ განხილულ სიტყვებში ადგილი აქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივ მოვლენას: ერთი მხრივ, სიტყვის მნიშვნელობის გაზრდას - დემოტივაციას და მეორე მხრივ, მის ახლებურ ინტერპრეტაციას, მეორეული მოტივაციას. დამოუკიდებელი მარტივი სიტყვა, რომელიც ენაში უკვე იშვიათად იხმარება, ენის განვითარების რომელიღაც ეტაპზე შეიძლება დაიკარგოს დამოუკიდებელი ხმარებიდან და დარჩეს მხოლოდ შეკავშირებაში, მაგრამ ახლა უკვე როგორც მნიშვნელობის არმქონე სტრუქტურული ელემენტი. ეს კი ნიშნავს, რომ კომპონენტმა დაკარგა მოტივაცია და ერთ დროს თავისუფალი მორფემა გადაიქცა სემანტიკურად გაუმჭვირვალე დაკავშირებულ ფსევდომორფემად. მაგრამ, როგორც დავინახეთ, შესაძლებელია გაუმჭვირვალე კომპონენტმა განიცადოს ფორმობრივი და/ან სემანტიკური სახეცვლილება და ენაში გააგრძელოს ფუნქციონირება. ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა სიტყვის დემოტივაციის შემდგომი პროცესია, მაგრამ არა სავალდებულო. ეს ენობრივი პროცესები ჩვენ შეიძლება ერთ ხაზზე წარმოვიდგინოთ. გაზრდადობის ელემენტებით შედგენილი სიტყვები ერთგვრიან ამ ენობრივ პროცესში, ჩერდებიან სხვადასხვა ეტაპზე და ასე აგრძელებენ ენაში ფუნქციონირებას (დემოტივირებული სიტყვების ჩამოყალიბების პროცესის შესახებ იხ. მახვილაძე 2008).

დასკვნისათვის აღვნიშნავთ, რომ ხალხური ეტიმოლოგია არ არის უბრალოდ მცდარი, ხელოვნურად შექმნილი ეტიმოლოგია. ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა არის ისტორიული სიტყვაწარმოებითი პროცესი, რომელიც გულისხმობს სემანტიკურად გაუმჭვირვალე (მოდველებული), უკვე აღარ მოტივირებული სიტყვის ან მისი ნაწილის, ან სხვა ენიდან შემოსული გაუგებარი სიტყვის ნაცნობ სიტყვასთან მიმსგავსების საშუალებით მის ხელახალ ინტერპრეტაციას, ე.ი. სემანტიკურად გაუმჭვირვალე სიტყვის ან მისი ნაწილის მეორეული მოტივაციას.

#### შემოკლებათა განმარტებანი:

ბერძნ. - ბერძნული

გერმ. - გერმანიკული

გვ.ძვ.ზგ. - გვიანდელი ძველი ზემოგერმანული

ესპ. - ესპანური

ლათ. - ლათინური

საშ.ზგ. - საშუალო ზემოგერმანული

ფრ. - ფრანგული

ქვემოგ. - ქვემოგერმანული

ძვ.ზგ. - ძველი ზემოგერმანული

ძვ.ინგლ. - ძველი ინგლისური  
ძვ.საქს. - ძველი საქსონური  
შუაგ. - შუაგერმანული  
საშ.ქვგ. - საშუალო ქვემოგერმანული

### ლიტერატურა:

- Duden (2007): *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache* (4., neu bearb. Aufl.). B.7. Mannheim: Dudenverlag.
- Erben, J. (2006): *Einführung in die deutsche Wortbildungslehre*. 5., durchges. u. erg. Aufl. Berlin: Erich Schmidt Verlag.
- EWD = *Etymologisches Wörterbuch des Deutschen* (1993): 2. Auflage, durchgesehen und ergänzt von W. Pfeifer, 2 Bände, Berlin: Akademie Verlag.
- Henzen, W. (1965): *Deutsche Wortbildung*. 3., durchges. und erg. Auflage. Tübingen: Max Niemeyer Verlag.
- Hirt, H. (1921): *Etymologie der neuhochdeutschen Sprache. Darstellung des deutschen Wortschatzes in seiner geschichtlichen Entwicklung*. 2., verbess. und verm. Aufl. München: Beck.
- Iskos, A., Lenkowa, A. (1963): *Deutsche Lexikologie*. 2. Aufl. Leningrad: Staatsverlag des Ministeriums für Bildungswesen.
- Käge, O. (1980): *Motivation: Probleme des persuasiven Sprachgebrauchs der Metapher und des Wortspiels*. Göppingen: Kümmerle.
- Kluge, Fr. (2002): *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*. Bearb. von E. Seebold, 24., durchges. u. erw. Aufl. Berlin: Walter de Gruyter.
- Lexer, M. (1992): *Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch*. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Aufl. Stuttgart: Hirzel Verlag.
- MLSP = *Metzler Lexikon Sprache* (1993): Hrsg. von H. Glück. Stuttgart: Metzler.
- Olschansky, H. (2004): *Täuschende Wörter. Kleines Lexikon der Volksetymologien*. Stuttgart: Philipp Reclam.
- Polenz, P. von (1980): Wortbildung. In: Althaus, H. P./Henne, H./Wiegand, H. E. (Hg.), *Lexikon der Germanistischen Linguistik*. 2., vollst. neu bearb. u. erw. Aufl., Tübingen: Max Niemeyer Verlag, S. 169-180.
- Schippan, Th. (2002): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. 2., Aufl., Tübingen: Max Niemeyer Verlag.
- Schmidt, W. (2008): *Deutsche Sprachkunde*. 8., bearb. Aufl., Paderborn: IFB Verlag.
- Schütz. = Schützeichel, R. (2006): *Althochdeutsches Wörterbuch*. 6., überarb. Aufl. Tübingen: Max Niemeyer.
- Simmler, Fr. (1998): *Morphologie des Deutschen. Flexions- und Wortbildungslehre*. Mit 166 Schemata, Skizzen und Tabellen. – Berlin: Weidler (Germanistische Lehrbuchsammlung 4).
- ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. (1972): გ. ახვლედიანის რედაქციით, თბილისი.
- მახვილაძე, ლ. (2001): *სემანტიკურად გაბუნდოვებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში*. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მახვილაძე, ლ. (2008): დემოტივირებული ლექსემების ჩამოყალიბების პროცესი გერმანულ ენაში (დემოტივაცია, ხალხური ეტიმოლოგია, იდიომატიზაცია). *სენათმეცნიერო ძიებანი*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ტ. XXVII, აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 148-159.
- მახვილაძე, ლ. (2011): ხალხური ეტიმოლოგია - ენობრივი ცვლილების სპეციფიკური ფენომენი (გერმანული ენის მასალაზე). *სენათმეცნიერო ძიებანი*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ტ. XXXIII, აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 167-177.
- მახვილაძე, ლ. (2012): სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი "maul-" ელემენტით შედგენილ სიტყვებში (ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა). გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის *განათლება და ინოვაცია* სამეცნიერო შრომათა კრებული, გამომც. "უნივერსალი", თბილისი, გვ. 259-264.
- ფოჩხუა, ბ. (1974): *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.



## რეზიუმე

ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა არის ისტორიული სიტყვაწარმოებითი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოძველებული, უკვე აღარ მოტივირებული ან სხვა ენიდან შემოსული გაუგებარი სიტყვის ან მისი ნაწილის მსგავსი ჟღერადობის და/ან მსგავსი მნიშვნელობის ნაცნობ სიტყვასთან მიმსგავსების საშუალებით მის ხელახალ ინტერპრეტაციას, ე.ი. სემანტიკურად გაუმჭვირვალე სიტყვის ან მისი ნაწილის მეორეულ მოტივაციას, რათა ასეთი სიტყვის სისტემური გამოყენება კვლავ შესაძლებელი გახდეს. ნაშრომში განხილულია ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის არსი. გამოიკვეთა, რომ ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა სიტყვის დემოტივაციის შემდგომი პროცესია, მაგრამ არა სავალდებულო. საანალიზო სიტყვები წარმოდგენილია და განხილული შემდეგი ჯგუფების მიხედვით: სემანტიკური გაბუნდოვნება და ხელახალი მოტივაცია განიცადა სიტყვის ა) პირველმა კომპონენტმა, ბ) მეორე კომპონენტმა, გ) ორივე კომპონენტმა (მთელმა სიტყვამ). ცალკე წარმოვადგენთ ისეთ სიტყვებსაც, რომელთა ეტიმოლოგია ბუნდოვანია. სტატიაში შევეცადეთ ენობრივი პროცესი წარმოგვედგინა ყველა ზემოხსენებულ ჭრილში.

## REINTERPRETED WORDS BY FOLK ETYMOLOGY IN THE GERMAN LANGUAGE

Lela Makhviladze, Professor

### RESUME

Folk etymology is a historical word-formation process, that means re-interpretation of old non-motivated or a foreign unknown word or part of word according to similar-sounding and/or similar-meaning known word. In other words, secondary motivation of semantically opaque word or its part to use the word again systematically. In the work the essence of folk etymology is discussed. It appeared, that folk etymology is a process, which follows the word's demotivation, but it is not an obligatory process. The analyzing words are presented according to the following groups: the semantic opacity and remotivation has influenced: a) the first constituent of the word, b) the second constituent of the word, c) the both constituents of the word (the whole word). We tried to present the process in all above mentioned aspects.

## 1713 წელს შედგენილი „მზითვის წიგნის“ ენობრივი თავისებურებანი

*ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

„მზითვის წიგნი ქსნის ერისთავის დავითის ასულისა ელენესი“ დაწერილია გრაგნილ ქაღალდზე მხედრული ხელით. ეს მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს სხვებთან ერთად აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა და მანვე გამოაქვეყნა 1910 წელს. ამ ძეგლს დიდი როლი ენიჭება ხეობის ისტორიულ-კულტურული ყოფის შესწავლის თვალსაზრისით.

სალიტერატურო ენის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. საბუთების ენას. ეს ძეგლები არის ლოკალური წარმოშობისა. მათ შორის, ზემოხსენებული ქსნის ხეობაშია შედგენილი, რაც შეიძლება იყოს ფორმათა სიჭრელის გამომხატველი მეზობელი მთის დიალექტების გავლენით.

მიუხედავად ამისა, „მზითვის წიგნი“ იმდროინდელი სალიტერატურო ენის შედგენილობის ნაწილია და ერთდროულად წარმოადგენს წყაროს, თუ რა სახით იყო წარმოდგენილი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. მიგვაჩნია, რომ ხსენებული საბუთი იმდროინდელი ენობრივი მოვლენებისა და ძველი ქართულის ნაზავია.

„მზითვის წიგნში“ არეკლილია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქსნის ხეობის კულტურული ცხოვრების სურათი, ეკონომიური მხარე, ხოლო ძეგლის ენა წარმოგვიდგენს მოცემული საფეხურისათვის ნიშანდობლივ ძირითად თავისებურებებს, უმთავრეს ენობრივ ტენდენციებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეთვრამეტე საუკუნე ენის საკითხში დემოკრატიზაციით ხასიათდება, რასაც მოჰყვა გრამატიკულ-ორთოგრაფიულ ნორმათა სიჭრელე და ქართლ-კახური მეტყველების მომრავლება. ამ ეპოქაში მაინც კარგად ჩანს არქაიზაცია, რომელიც ზემოხსენებულ ძეგლში ზოგჯერ ფონეტიკურად სახემეცვლილი ჩანს. ასევე კარგად ჩანს გრამატიკულ ნორმათა ნაირგვარობა, ძველისა და ახლის თანაარსებობა, რაც შეიძლება გაპირობებული იყოს ენის ზრდა-განვითარებით, ლექსიკაში ახალი ნაკადის შემოჭრით, ფორმათა ნასესხობით, დიალექტური მოვლენებით.

ძეგლში გვხვდება უმარცვლო უ, რომელიც მარცვლისაგან არ განსხვავდება გრაფიკულად, მაგრამ მათ განსასაზღვრად გვეხმარება თანამედროვე ქართული, სადაც ძველი უმარცვლო უ, ვ-ს სახით არის წარმოდგენილი. უმარცვლო უ-ს შესახებ ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა შემოიღო „ბრჯგუს“ ნიშანი მათი განსხვავებისათვის.

მოცემული ძეგლის ტექსტში უმარცვლო უ არ დასტურდება სიტყვის თავში. იგი არის წარმოდგენილი სიტყვის შუაში, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, თანხმოვნების შუაში, ასევე ხმოვნებს შორის:

ქუმოურის გარდასაფარებელის ჯეჯიმით  
გამოგუიტანებია გამდელი პატოსანი  
დიდროანი წყული ერთი  
ას ექუსის ოქროს ბირკით  
ექუსის ოქროს მარგალიტით

ტექსტში ჩანს უბრჯგუსა და ვ-ის პარალელური გამოყენება:

თვალი ჩვენთა. სინათლე თვალთა. ცხოველის მყოფლისა ჯვარისათა.  
გამოგვიტანებია ფარეში. ჩვენ შორის მოყვრობისა სითბო და სხვა.

ტექსტში გვხვდება ხორხისმიერი ჯ (ხარი) ბგერა, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნეში ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან განასხვავებდა სიტყვის მნიშვნელობას. ის ძირითადად გვხვდება სიტყვის თავში:

ჯემწიფეთაგან მოყუსად ხსენებულმან  
ჯმობილმან მყოფმან  
ჯელსახოცი სირმით ნაკერი  
ჯელსაჭერი მარაო ერთი  
ჯელის ტანისამოსი

ტექსტში ძირითადად მაინც ხ ბგერა დასტურდება: ხებელი, ხუთი, ხელი, ხელსახვევი, ხავედი, ორი ხოშირის მარგალიტი, ხალასათ ნაკერი და სხვა.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ემფატიკური ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს. აკაკი შანიძის დაკვირვებით, ემფატიკური ა მსაზღვრელი ნაწილაკის, ე.წ. ნაწევრის ნაშთია (ა. შანიძე, 1930). ასევე აღნიშნულია, რომ ემფატიკური ა-ს ბუნება მორფოლოგიური კი არ არის, არამედ ფონეტიკურია. იგი ჩნდება თანხმოვნთან ამოსავლის შემდეგ, მიზეზი კი არის მარცვალთლიაობის შექმნა (ა. ფოცხიშვილი, 1959).

მოცემულ ტექსტში იგი გვხვდება სხვადასხვა ადგილას, ძირითადად ნათესაობით ბრუნვასთან. მაგალითები:

მიჭვრიტა ვერცხლისა, სავარცხელი თევზის კბილისა, სადაფი ვერცხლისა,  
სალესავი ბროლისა, ოქროთი მოჭედილი. თასი ინისა. მაკრატელი კავნისა,  
ახალუხი დარისა. საბანი ფათანის ყუთნისა, კიდევ ფათანის ყუთნისა. სასანთლე  
ვერცხლისა, წყლის სასმელი ვერცხლისა და სხვა.

ტექსტში გამოყენებულია როგორც -ებ-იანი ისე ნართანიანი მრავლობითის ფორმები:

აგრევე ხალიჩები, ჯეჯიმები, ფარდაგები, თეფშები, ჯამები.  
ნაქსოვი ქათიბები, ქვეშაგები, ფარდაგები.  
ბანოვანნი ჩვენთა.  
ჟამნი ხელით ნაწერი.  
იელქანნი შავ ატლსაზედ ნაკერნი.

მოთხრობითი ბრუნვა ძირითადად წარმოდგენილია არქაული ფორმით:

სიმაღლედ აღწევილმან და გაძლიერებულმან.  
ერისთავთ-ერისთავთაგან ხმობილმან, მყოფმან და მყოფადმან ზედ ანშენებულმან  
სახლისა და სალაროს მქონებელმან.

ერისთავმან, ბატონმან დავით, ძემან როსტომისამან და სხვა.

თხზულებაში გან თანდებული წარმოდგენილია ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებთან:

მეფისაგან განდიდებულმან, ხელმწიფეთაგან პატივ მოუკლებარმა.

საპირფარეშოს იარაღისაგან, საცხენოს იარაღისაგან.

აგრევე ქუშაგებისაგან.

ვერცხლის თარიღისაგან სასანთლე ვერცხლისა.

აგრევე ქარხნის იარაღისაგან ფიალა ცხრა.

აგრევე საცხენოს იარაღისაგან ტყავ-კაბა და სხვა.

ტექსტში სიტყვათწარმოება, როგორც ენობრივი მოვლენა სახელთა დერივაციის ძირითადი საშუალებაა. ამავე ფუნქციით შეიძლება გამოყენებული იქნას ბრუნვის ნიშნებიც და თანდებულებიც. მოცემული მაგალითები ძირითადად ახალი ქართულისეხურია. ქონების სახელთა მაწარმოებლებიდან ძირითადად გამოყენებულია -იან, -ოსან, სა-ო, სა-ე მაწარმოებლები:

თმის სატანები სამ-სამ გოზგრიანი.

სურა ყურიანი ვერცხლისა.

მოგიმღვანეთ ქალი პატიოსანი.

ჯილა პატიოსანი. თორმეტი საუფლოდ მოჭრილი.

პირის ფარეში პატიოსანი.

საქინძისთავე ხალასად მოჭრილი. სასანთლე ვერცხლისა.

მედოშაკე პატიოსანი.

სამეხრეო გამართული. სადიასახლისო ფური და სხვა.

ტექსტში რთული სიტყვები მიღებულია ერთი და იმავე სიტყვის ფუძის გაორკეცებით, ასევე სხვადასხვა ფუძის შეერთებით. მაგალითად: ერთი თახ თახი დარაია გილანისა. წყვილი თექნაზადი. კომპოზიტის ფუძეები ინარჩუნებენ თავიანთ ლექსიკურ მნიშვნელობას და იმდენი საგნის ცნებას შეიცავენ, რამდენი ფუძეცაა მათში: ტყავ-კაბა. ოქრო-მკერდი. ქარვა-ნარევი. თორმა-შალი. გულისპირი. თავსაბურავი.

„მზითვის წიგნში“ გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საინტერესოა შინაარსობრივად და ეტიმოლოგიურად. ბევრი მათგანი ლექსიკონებში არ დასტურდება და საჭიროა სისტემატური კვლევის ჩატარება ამ მიმართულებით.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“ დავადასტურეთ რამდენიმე. მაგალითად:

დიბა სულხან-საბასთან არის ჩასაცმელი.

დორი - ზურგის მისაყუდებელი.

დოშაკი თეთრეული.

ჯანგაფა - სამღერელი

ტექსტში გვხვდება ფორმაშეცვლილი უნარიგი, რომელიც ლექსიკონში უნაგირია და განმარტებული, როგორც ცხენის შესადგმელი. ტყავ-კაბა განმარტებულია, როგორც კაცისა და ცხოველთ ხორცთ გარეგანი საფარველი. ასევე ბეწვიანი ჩასაცმელი.

ვაშკარანი - ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა შთასადებელთა. ტექსტის ლექსიკა მრავალფეროვანია და საინტერესო გრამატიკული თვალსაზრისით.

„მზითვის წიგნში“ ყველა აზრადი იწყება ტერმინით „აგრევე“ და შემდეგ ჩამოთვლილია მზითვის სხვადასხვა სახეობანი.

თანამედროვე ქართულში გვაქვს მიმართებითი ნაწილაკი - ც(ა), რომელმაც შეცვალა ნაწევარი ესე, ეგე, იგი. ესენი სახელის განსაზღვრასთან ერთად მიუთითებენ პირებთან მიმართებას სიახლოვე-სიშორის მიხედვით. პირველ პირთან მყოფი საგნისთვის გამოყენებულია ესე, მეორე პირთან - ეგე, ხოლო მოშორებით მყოფთან - იგი, ისი.

ისევე ც(ა) ძველ ქართულში ორი ფუნქცია ჰქონდა

1. მნიშვნელობით უდრიდა - და, კიდევ, აგრეთვე

2. ასრულებდა (ეს, ეგე) ნაცვალსახელის ფუნქციას

მიგვაჩნია, რომ „მზითვის წიგნში“ ასე ხშირად დადასტურებული „აგრევე“ უნდა იყოს „აგრეთვეს“ სახესხვაობა, რომელიც დგას სამზითვო ერთეულების ჩამოთვლის წინ და ნიშნავს და-ს ან კიდევ.

„მზითვის წიგნის სრულყოფილი შესწავლა ხელს შეუწყობს ბევრი ფაქტის გამოვლენას, რომელიც ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვან შედეგებს მოიცავს.

### ლიტერატურა:

1. „საქართველოს სიძველენი“. ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910.
2. შანიძე ა. მორფოლოგია. თბ., 1930.
3. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
4. მოწინაძე ქ. ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956.
5. ფოცხიშვილი ა., მარცვალთვლიანობის ა ახალ ქართულში. საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს - დაბადების 80 წლისთავზე, 1959.
6. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული I, II, თბ., 1991, 1992 წწ.

### რეზიუმე

„მზითვის წიგნი ქსნის ერისთავის დავითის ასულისა ელენესი“, დაწერილია გრაგნილ ქაღალდზე მხედრული ხელით. ეს მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს სხვა ძეგლებთან ერთად აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა და მანვე გამოაქვეყნა 1910 წელს. ამ ძეგლს დიდი როლი ენიჭება ხეობის ისტორიულ-კულტურული ყოფის შესწავლაში.

სალიტერატურო ენის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. საბუთების ენას. ეს ძეგლები არის ლოკალური წარმოშობისა. მათ შორის ზემოხსენებული ქსნის ხეობაშია შედგენილი, რაც შეიძლება იყოს ფორმათა სიჭრელის გამომხატველი მეზობელი მთის დიალექტების გავლენით.

მიუხედავად ამისა, „მზითვის წიგნი“ იმდროინდელი სალიტერატურო ენის შედგენილობის ნაწილია და ერთდროულად წარმოადგენს წყაროს, თუ რა სახით იყო წარმოდგენილი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში.

„მზითვის წიგნში“ არეკლილია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქსნის ხეობის კულტურული ცხოვრების სურათი, ეკონომიური მხარე, ხოლო ძეგლის ენა წარმოგვიდგენს მოცემული საფეხურისათვის ნიშანდობლივ ძირითად თავისებურებებს, უმთავრეს ენობრივ ტენდენციებს. ძეგლში კარგად ჩანს გრამატიკულ ნორმათა ნაირგვარობა. ძველი ფორმები ვლინდება, მაგრამ არქაიზაცია ყველგან ერთნაირი სიჭარბით არ არის წარმოდგენილი.

უმარცვლო უ ისეა წარმოდგენილი, როგორც მარცვლიანი. ჯ-ხარი ბგერა ტექსტში ხშირად არის გამოყენებული. ძეგლში პირველ ადგილზეა -ებ-იანი მრავლობითობის ფორმები, მაგრამ ამავე დროს გვხვდება ძველი ნართანიანიც. მოთხრობითი ბრუნვა წარმოდგენილია არქაული მან ფორმით. გვხვდება ძველი და ახალი ფორმები, რომელთა შესწავლა აუცილებელი საქმეა ენის ისტორიისათვის.

### LANGUAGE SPECIFICATIONS OF A ‘DOWRY BOOK’ DRAWN UP IN 1713

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

### RESUME

„Dowry book“ which was belonged to Elene, a daughter David Ksani Eristavi is an important written document which was found by Ekvtime Takaishvili while travelling in Ksani Gorge. He published it in 1910. This document has a big importance to study the historic-cultural role of the Gorge.

In the development of the literary language the place of official language is very important. The above mentioned document is made in official way and is a good example to imagine how the documents were made in the 18<sup>th</sup> century.

In this book we can see the social life of the Gorge, its economical side, the language peculiarities, grammar forms.

There are given old archaic forms ჯ sound is often used. Plurals with –eb can be also widely found but old forms are also represented there.

There are many examples of old and new forms.



## „ოლე“ – „ყორანთაგან ჩაყეფილი“ სამშობლოს მხატვრული სახე

*ზურაბ ოქროპირიძე, უფროსი მასწავლებელი*

„ჩვენზე რას იტყვი, ჩვენზე რას ჩაწერ, მამულის წიგნში, მამულის სულო...?“ მხოლოდ გიორგი ლეონიძის მსგავს „მშობელ მიწაში ფესვებით მდგარ“ გიგანტებს შეეძლოთ ეკითხათ მემატანეთათვის. „ნატურის ხის“ ავტორის შემოქმედება ძირფესვიანადაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს უშორეს წარსულთან. მკვლევართა თქმით, „მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ძნელად მოიძებნება მეორე პოეტი, რომელიც ისე იყოს შესისხლბორცებული ეროვნულ წიაღს, როგორც გიორგი ლეონიძე...“ (3, 600; 5, 389, 4, 398) საქართველოს გამირული და ცრემლიანი მატანე მძაფრი ვნებებით არის განცდილი პოეტის „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილ ლექსებში. მათი სიმძაფრე, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის აზრით, განპირობებულია საქართველოს 1921 წლის რუსულ-ბოლშევიკური ანექსიით, 1923-24 წლების ქართველთა აჯანყების სისხლში ჩახშობით, მასობრივი რეპრესიებით. ლექსში „ლიტანია“ (1922) პოეტის სამშობლოს „ცა დასისხლული სოღანლულზე გადმომდგარა...“ (1, 175) ავტორი მუქი ფერებით ხატავს მტრის ურდოების წინამძღოლ მოღალატე ქართველებს („საქართველო“, 1923) და უღრმეს მოწიწებას გამოხატავს სამშობლოსათვის შეწირულთა მიმართ. „ცისფერყანწელი“ პოეტი ქალი ელენე დარიანი (ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი) იგონებს: „...ერთი ლექსი მქონდა „თხუთმეტს“, 1923 წელს რომ დახვრიტეს 15 კაცი, მათ შორის გენერალი აფხაზი... იმათადმი მიძღვნილი. ძალიან მოსწონდა გოგლას, მაგრამ მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა და ვერც დაიბეჭდებოდა...“ (8, 51)

სავალალო სურათებია ლექსებში: „ძველი საქართველო“ (1925 წ. - აქ სინამდვილეში საბჭოთა საქართველოზეა საუბარი), „მეცამეტე საუკუნე“ (1925), „წიგნი ქართლის ცხოვრებისა“ (1928) და სხვა. უმკაცრეს ტერორზე დაფუძნებული კომუნისტური იდეოლოგია ქართული სიტყვის ოსტატებს, მათ შორის გიორგი ლეონიძეს აიძულებდა მსოფლმხედველობრივი კომპრომისის გზას დასდგომოდა, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდევ. თუმცა, „ნატურის ხის“ ავტორმა სიცოცხლის რისკის ფასად თავისი გამორჩეული ქმნილებებით შეძლო ქართველებისათვის განცდევინებინა ძალა და შეუვალობა იმ რწმენისა, რომელმაც უამრავ განსაცდელში გამოატარა ქართული ეროვნული სული.

1997 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ ერთ-ერთ კონფერენციაზე ცნობილმა მკვლევარმა გიორგი გაჩეჩილაძემ გაიხსენა იმ ხანებში აშშ-ში ლიტერატორთა მსოფლიო მასშტაბის ყრილობაზე ერთ-ერთი უცხოელი მონაწილის მიერ მისი მისამართით დასმული კითხვა: თუ შეგიძლიათ, დაგვისახელეთ ქართული პოეზიის მეთაური ლექსიო. მცირე პაუზის შემდეგ მეცნიერს უპასუხია, რომ ასეთად მიიჩნევდა დიდი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის ლექსს - „ოლეს“. შეიძლება სადავო იყოს კრიტიკოსის ეს მოსაზრება, მაგრამ რეცენზენტთა უმეტესობა თანხმდება მისი პოეტური ენის, არაჩვეულებრივ მხატვრულ-შინაარსობრივ და სიმბოლური აზროვნების სრულყოფილებაში (3, 594; 4, 402-403). მიუხედავად აღიარებისა, ათეული წლების მანძილზე ქართული სალიტერატურო კრიტიკა მას ცალმხრივად განიხილავდა. მარტოხეში - ოლეში, მხოლოდ მარტოსული ადამიანის განცდებს ხედავდა. ვფიქრობთ, იდეოლოგიურმა წნეხმა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო „არასაბჭოთა“ თემები, გარკვეული როლი ითამაშა ლექსის ტენდენციურ გაგებაში. მკვლევარ სარგის ცაიშვილის აზრით, ლექსი „ღრმა ადამიანურ ტრაგიზმზე“ მოგვითხრობს (4, 402). პოეტმა ემზარ კვიციანიშვილმა „ოლეს“ „სიმარტოვის ულამაზესი სიმღერა“ უწოდა. მისი თქმით, „ასეთი უნაზესი სიყვარულით ჯერ ხეს იშვიათად თუ მოჰყვრებია ვინმე...“ (11, 46) მოგვიანებით ამ სიტყვების ავტორმა დაუშვა, „შეიძლება ხეში გაცხადებული მრავალტანჯული ქართლია და სტიქიონური ძალები მის წალეკვას ლამობენ...“ (12, 150). ცნობილმა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ „ოლეში“ თავად ავტორი დაინახა: „...იყო და იდგა ოლესავითა, მარტოდმარტო, ოლესავითა: შიგნი-შიგან დახლეჩილი შრეებად და კეცად, ყორანთაგან ჩაყეფილი ხეი ერთი ბეწვა...“ (9).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ლექსს „ამ თემაზე (მარტოობის, სულიერი მიუსაფრობის - ზ.ო.) შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებს უწოდებს“. სარგის ცაიშვილის მსგავსად, ისიც ფიქრობს, რომ „ოლეში“ მარტოობის შხამით გულშეღონებული პიროვნების ტრაგედიაა გამოხატული. თუმცა იქვე აღნიშნავს: ლექსი იმდენად ღრმა აზროვანია, განსხვავებული ინტერპრეტაციით წაკითხვის საფუძველსაც იძლევაო (3, 607-610). ერთ-ერთი პირველი, ვინც ქმნილების ეროვნულ-პატრიოტულ ხასიათზე გადაჭრით მიუთითა, მწერალი რევაზ მიშველაძეა. მას აკვირვებს კრიტიკოსთა „ორმაგი სტანდარტი“: ისინი ვაჟას „არწივში“, აკაკის „სატრფოში“ დაპყრობილ სამშობლოს ხედავენ, ტყავდამსკდარ, ნამეხარ და მარტოობის შხამით გამომწვარ, ფრთებდაწყვეტილი არწივის მსგავს მარტოხეში უჭირთ სამშობლოს სახის გააზრება.

ქართული პროზის ოსტატის თქმით, „დროა „ოლე“ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაცილოთ მკვლევართა მოქსოვილი ბუნდოვანების პირსაბური და იგი პოეტის პატრიოტულ ლირიკას მივაკუთვნოთ“ (6, 326). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სრულად გასაზიარებელია მწერლის თვალსაზრისი. „ოლე“ 1931 წელს - სულისშემხუთველი საბჭოური რეჟიმის დროს იწერება. იგი გაგრძელებაა „ქართლის ცხოვრების“ ციკლის ლექსებისა. მასში გარეგნული ნიშნებით არც ჩანს ეროვნული საკითხი, რადგან სამშობლოს და ღმერთის ხსენება პოლიტიკურ დანაშაულად ეთვლებოდათ ქართველ (და არა მარტო ქართველ) შემოქმედთ. აქ ახალი, უნივერსალური ფორმით, ღრმა მხატვრულ-რელიგიური სახე-სიმბოლოებითაა გადმოცემული იავარქმნილი რწმენის, „ყინვის კარჩხით თვალდაკაწრული“ სამშობლოს ძვირფასი წარსული, უნუგეშო აწმყო და იმედიანი მომავალი. ერთი შეხედვით ჩვეულებრივ საგან-მოვლენებში (ხე-ოლე, ლიახვის კლდე, დაჭრილი არწივი, ცის ელვა, ყორანი, ნამეხარი, რაში, მზე და სხვა) განჭვრეტილია მათი მიღმიერი სინამდვილე. ეს არის შეფარვითი მოწოდება: ქართველი ერი „იდგეს მტკიცედ და შეურყევლად“, რადგან ასეთი შავი დღეები წარსულშიც მრავალი ჰქონია ჩვენს ქვეყანას. პოეტი ქართლის ცხოვრების ჭირისუფალია. „ოლეში“ თითქოს პოეტური ბრწყინვალეების საჩემპიონო დოლი გაუმართავთ სტრიქონებს. „ოლე“ - ესაა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ზეიმი ერის მებრძოლი სულის, ქართული სიტყვის, მისი უსაზღვრო და უნაპირო შესაძლებლობების, ქართული ნიჭის სიდიადის, ჭირსა შიგან თმენისა და უფლისადმი რწმენის აუცილებლობის, ეროვნულ-საკაცობრიო პრობლემატიკის, სამშობლოს თავისუფლებისა და უკვდავების იდეის ფანტასტიკური დემონსტრირება. თუ ტატოს პოეზიის სიმბოლო „მერანია“, ვაჟასი - „არწივი“, გალაკტიონისა - „ლურჯა ცხენები“, „ოლე“ მიგვაჩნია გოგლას პოეზიის არწივად, მეტაფორული აზროვნების მწვერვალად. ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა ღირსებათა გამო ქართველმა მეცნიერმა ეს უდიდესი ქმნილება ეროვნული პოეზიის მეთაურ ლექსად წარუდგინა მსოფლიოს ლიტერატურულ საზოგადოებას. პოეტმა „მუხლად, ბედაურ, მამდარ“ (2, 5). სიტყვაში გაცხადებული გმირული, ჰეროიკული სული შეაგება საბჭოთა რეჟიმს, რომელიც უფრო მძიმდებოდა 30-იანი წლების დასაწყისში და მისი და მისი სამშობლოს თავისუფალ ნებას სპობდა:

„...რაშო მიწას მიჭედოლო,  
გასჭერ, აიქროლე,  
მარტოობის არტახები  
გადახიე, ოლე!..“ (1, 278)

„ოლეში“ სიცოცხლე ჩქეფს, რითმა, პოეტური სახეები ისე დანავარდობენ, როგორც მთის არწივი ცაში. აქ ვერ შეხვდებით დინჯ, პროზაულ მსჯელობას, ყოყმანს. ლექსის თავბრუდამხვევ, პოეტ რიტმსა და ჟღერადობას განსაზღვრავს ავტორის დაუდგარი სული და ეროვნული მრწამსი. ლექსის, ზოგადად ლეონიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მხატვრულ სახე-სისტემათა მრავალმნიშვნელობა, რეალურ და ირეალურ საგანთა სინთეზი, რომელიც მაღალი ნიჭით აღბეჭდილ ქმნილებებს ახასიათებთ. „ნამეხარი“ ოლე მიუსაფარი ადამიანიცაა, „მიწას მიჭედოლი რაშია“, „ფრთებმომსხვრეული არწივი“ - უმთავრესად, განსაცდელში მყოფი ლიახვის ხეობის, სამშობლოს სახეა. „ერთი ბეწვა“ მტერმომძალებული ხის შედარება რაშთან და არწივთან, ცხადია, არ არის შემთხვევითი. ორივე მათგანი სულიერი ქროლვის, სიკეთის მამიებელი სიმბოლოა. გენიალური შედარებით საოცარ კონტრასტს ქმნის ავტორი: გაქროლების მოსურნენი დაჭრილ-დატყვევებულნი არიან. მიუხედავად ამისა, ბოროტი ძალა ვერ ჰკლავს მათში თავისუფლების წყურვილს. ავტორი დიდ წინაპარ მეკალმეთა იდეის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი ბრძოლისა და მოძრაობის ერთგულია. მან იცის, რომ მისი შემოქმედება ჩვენი ნამეხარი, მაგრამ უწყვეტი ისტორიის ჯაჭვის გაგრძელებაა. იგი არ უნდა ჩაიშალოს. ოლე უნდა გადარჩეს, თავი დააღწიოს ბოროტ სულს - ყორანს და უსაზღვრო სივრცეებს დაეუფლოს ტატოს მერანივით, ვაჟას არწივივით და გალაკტიონის ლურჯა ცხენებივით.

„ოლე“ ადულაბებს, ჰკრავს გიორგი ლეონიძის შემოქმედებას. მისი სულითაა გაჟღენთილი პოეტის მხატვრული ქმნილებები, მათ შორის ქართული პროზის მარგალიტი - „ნატვრის ხე“. მარტოსული ხე სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება ლექსებში: „შავი ზღვის პირას შავი მუხა“ (1925), „მუხა და მეხი“ (1934), „რემინისცენციები“ (1957), თელავის ნეკერჩხალი“ (1957), „კესანე“ (1958) და სხვა. ზემოთჩამოთვლილ ლექსთა ანალიზი გვარწმუნებს, რომ შავი მუხაც, სისხლმდინარე მუხაც, კესანეც და ნეკერჩხალიც, ოლეს მსგავსად, განსაცდელში მყოფი სამშობლოს მეტაფორული სახეებია.

საოცარ სურათს ვიღებთ: პოეტი იქ ხედავს მარტოსულ, დაცრემლილ და ტყავდამსკდარ ხეს, სადაც ყველაზე მეტად უჭირს საქართველოს. 1925 წელს დაწერილი ლექსი „ოლეს“ წინამორბედა. ვფიქრობთ, შავი ზღვის პირიც და შავი მუხაც აფხაზეთია, რომელიც ოლესავით მარტაა:

„შავი ზღვის პირს შავი მუხა  
მარტოდმარტო შრიალებდა,

ტიტველ მკერდზე ილეწავდა  
ტალღებს ნისლით მფშვინვარეთა...“ (1, 186)

შავი მუხაც ეუღლია, „რამდენიც ჰქონდა ბზარი, ცას იმდენჯერ დაექუხა...“, მტრებიც საერთო ჰყავთ: მეხი, ზღვისა და მდინარის ტალღები, ქარიშხალი... თუმცა „ოლე“ უფრო მაღალსამრეკლოიანია და მრავალწახნაგოვანი, მაგრამ პოეტურ ხერხებს აქაც ოსტატურად იყენებს ავტორი. ლექსში მუხა მრისხანე ვეფხვთანაა შედარებული. ცა ორივეგან უფალია - მხსნელია, ცისარტყელის - რწმენის სხივის მფენელია. მრავალთაგან საინტერესოა კიდევ ერთი: ობოლი მუხა „ტყის ნარჩენია“. „ოლემი“ ტყე საქართველოს სხვადასხვა კუთხედ გვესახება, აქ კი იგი მხატვრული სახე გვგონია პროტობერიული მოდგმისა, რომლის ფესვზეცაა ამოზრდილი შავი მუხა - საქართველო. „შავი“ მძიმე წარსულისა და აწმყოს სიმბოლოა. „მუხა და მეხიც“ იდეურ-აზრობრივად და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით „ოლეს“ ნაწილია. იგიც იგავურად სამშობლო ტკივილებს ასახავს. სტიქიური ძალები მოთხრას უპირებენ მუხას - სიცოცხლის ხეს, უფლის, სამშობლოს სიმბოლოს. მეხმა „მუხას დაუპრიალა, დაჰკრა ზურგის ბაწარში...! აშიშინა ხორცივით... ჰგავდა მუხა დამფრთხალი ბუღას დანადარტყმულს“ (1, 285). მუხა აქაც ტყავდამსკდარია, ნამეხარია... თუ ოლე დაჭრილი „მიწას მიჭედილი რაშია“, შავი მუხა ვეფხვია, ჩვენი მუხა - დაჭრილი არწივია, ბუღა-ხარი, რომელიც მოიშუშებს იარებს. საოცრად მეტაფორულია, მრავლისმეტყველი ალეგორიებითაა გადაწყვეტილი ლექსის ფინალი: დაჭრილმა მუხამ „შეიშრიალა“ და სიცოცხლის ცეცხლებმა იგი განკურნეს. მეხი კი - მიწაში წვეს. „სიცოცხლის ცეცხლები“ მეტაფორული სახეა ღვთაებრივი სინათლისა. ოლეს - მარტოსულ სამშობლოს - ნეკერჩხლის სახით მშობლიურ კახეთში ხედავს უკვე ექვს ათეულ წელს მიტანებული მგოსანი. ნეკერჩხლის ათასწლოვანი ტოტები და მრავალშრიანი ოლე პარალელური პოეტური სიმბოლოებია ერის დიდი წარსულისა. ფიქრმორეულ ნეკერჩხალში სამშობლოსთან ერთად შეიძლება მხცოვანი პოეტის სევდიანი სახეც დავლანდოთ. ავტორი ბებერ ხეს (სამშობლოს) და, ვფიქრობთ, თავის თავსაც, იჭვენულად ეკითხება: „რა სევდას აქანავებ?...“ შენ ხომ „ყმად არავის ეახელ... შენ ფატრავდი ქარიშხლებს... ხომ არც ერთხელ არ მოტყედი... მიწაზე არ იცოცე...“ (1, 365). ავტორის მსჯელობა ოლეს და პოეტის უთანასწორო ბრძოლის გახსენება სტიქიონურ (ბოლშევიკურ) ძალებთან:

„...დაკიდებულ არწივს ჰგეხვარ  
მომსხვრეული ფრთებით...  
ქარის ეშვებს,  
მეხის ბრეშას  
შენი მოთხრა უნდათ!..“ (1, 273)

რეჟიმის წინაშე არც პოეტი და არც მისი სამშობლო მუხლებზე არ დაცემულან, მაგრამ მაინც გულს უღრდნის გარკვეული კომპრომისის საბჭოურ რეჟიმთან მიმართებაში, რომელსაც ვერ ასცდა თითქმის ვერცერთი შემოქმედი. „რემინისცენციები“ ავტორის განვლილი პოეტური გზის გახსენება-შეფასებაა. პოეტის თქმით, მისი გული და „პოეზიის ცხენი“ მუდამ შემართულნი იყვნენ, მაგრამ „ახლა სად დაიმუხლეს ან ერთმა, ან მეორემ...“ (1, 366) ლექსში ოლეს ხსენება ნათელს ხდის: მარტოსული ხე - ქართლია, საქართველოა, პოეტია, რომელიც მხოლოდ ავტორმა იცის. კითხვანარევი სინანული გზადაგზა ახსენებს თავს პოეტს:

„ქართულ სიტყვის სიუხვეს  
რა დალევს... რად ვეომე...  
ოლე რად ავატირე  
ხომ ვიცოდი ვინც არი...“ (1, 366-367)

ოლეს ბედი - საქართველოს თავისუფლების იდეა სიცოცხლის ბოლომდე აწუხებდა გოგლას. „კესანე“ მისი ერთ-ერთი ბოლო ლექსია. კესანე, ნაზი, ბალახოვანი ყვავილი, იგივე ოლეა - დატყვევებული სამშობლოა. მეტად ნიშნულია, რომ ეს უნაზესი ყვავილი „გაზრდილია საინგილოში“. ავტორს ესმის პატარა, „ცრემლებით ამოყვანილი“ არსების მუდმივი კვნესის მიზეზი:

„რომ ერთად არ ვართ კესანე  
ამისთვის შემომკვნესარებ“ (1, 368)

„კესანე“ უმშვენირესი და სულის სიღრმეში მწვდომი სევდით გაჯერებული სიმღერაა სამშობლოს ერთიან სხეულს მოწყვეტილ საინგილოზე. მართალს წერდა პოეტის შვილიშვილი გიორგი ქავთარაძე: „გიორგი ლეონიძე გააზრებული ცხოვრების დასაწყისიდან სიკვდილის კარამდე გამსჭვალული იყო საქართველოს თავისუფლების იდეითა და დამპყრობელთაგან ერის გადარჩენის საჭიროებით...“ (10, 26) დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც მართლმადიდებლობას, ქართულ გვარ-სახელებსა და ტრადიციებს ავიწყებენ ინგილოებს, ამაღელვებლად ჩაგვესმის პოეტის სიტყვები:



„მოდი და ერთად ვიმღეროთ  
ის ჩვენი ტკბილი „ალილო“ (1, 368)

მნიშვნელოვანია პოეტის სიტყვები: „მე არ დაგტოვებ კესანე... შენთვის სიყვარულს ვკვებავ მე“ (1, 368). ასეთი სულისძვრა, უმწვავესი განცდა სამშობლოს ტკივილებისა, ასე მოფერება სამშობლოს მხოლოდ მას შეეძლო. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს საეჭვო: ოლე სიცოცხლის, რწმენის ხეა ლიახვის ხეობაში დანახული, პოეტის სამშობლოა (თავად პოეტია), რომელსაც ავტორის მახვილი თვალი გრძნობს და ხედავს აფხაზეთში შავი მუხის, კახეთში - სისხლმდინარე მუხის, ნეკერჩხლის, საინგილოში - კესანეს სახით. ქართული სალიტერატურო კრიტიკა ამ მიმართებით ერთ მთლიანობაში არ განიხილავს წინამდებარე ლექსებს. არადა, ისინი „ოლესთან“ ერთად „ქართლის ცხოვრების“ იგავურ გაგრძელებას წარმოადგენენ. პოეტი დატყვევებულ სამშობლოზე - გასხვისებულ თუ გასასხვისებელ კუთხეებზე გოდებს. ავი წინათგრძნობა ღრღინის შემოქმედის გულს: ერთიან სხეულს სურთ ჩამოაჭრან ისტორიული შიდა ქართლი - სამაჩაბლო, აფხაზეთი. საინგილო კი პოეტის ხსოვნაშივე სამუდამოდ „გავაშვილეთ“... სამწუხაროდ, პოეტის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი სუკუნის შემდეგ ლიახვზე გადმომდგარი ოლე და შავი ზღვის პირს შავი მუხა (აფხაზეთი) კიდეც ერთხელ „ჩაიყვებენ ყორანთაგან“ - კესანე კი გაბმულად კვნესის საინგილოში.

ერთი დეტალიც: „ოლე“ საქართვე-ვლო-ს ბოლოკიდური ნაწილია მარჯვნიდან წაკითხული, პოეტის გვარის თავკიდურიც (ლეო-ნიძე) ბგერათა გადანაცვლებით გვამღვებს ოლეს.

**ლიტერატურა:**

1. ქართული პოეზია, გიორგი ლეონიძე, ლექსები, ტ. 14, თბ., 1984;
2. გიორგი ლეონიძე, „ნატურის ხე“, „ქართული პროზის საგანძური“, ტ. 61, თბ., 2011;
3. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, I, ქუთაისი, 1994;
4. სარგის ცაიშვილი, ქართული მწერლობა, თბ., 1990;
5. გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988;
6. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998;
7. გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი, თბ., 1999;
8. გიორგი ჯავახიშვილი, ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე, თბ., 2001;
9. ოთარ ჩხეიძე, რკალი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1986;
10. გიორგი ლეონიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი IV და V რესპუბლიკური კონფერენციების მასალები, თბ., 2005;
11. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N4, გვ. 46, თბ. 1984;
12. „მნათობი“, N11-12, გვ. 150, თბ. 1992.

**რეზიუმე**

გიორგი ლეონიძის ლექსი „ოლე“ ქართული პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალია. პოეტი „ნამეხარ“, „ერთი ბეწვა“ ხეში - ოლეში - მართოსული ადამიანის სულიერ განცდებს ღრმა ქვეტექსტებით, იშვიათი პოეტური საშუალებებით განაზოგადებს და მასში რუსულ-ბოლშევიკური რეჟიმისაგან დაპყრობილი სამშობლოს მხატვრულ სახეს გვამღვებს.

**OLE' – ARTISTIC FEATURES OF HOMELAND 'RUPTURED BY RAVENS'**

**Zurab Okropiridze, Senior Teacher**

**RESUME**

The poem "TREE" of Giorgi Leonidze is one of the peak of Georgian Poetical Art. The Poet Expressing the Spiritual Feeling of a Lonely Human by Deep Down Texts and Rare Poetical Means in "Lightning Fallen", "Very Small" Tree and in it Gives us Artistic Image of Conquered Homeland by the Regime of Russia – Bolsheviks.



## გიორგი გვაზავა - ემიგრანტი მწერალი, მოღვაწე

*მარინე ცერცვაძე, პროფესორი*

„კვირა, 26 მაისი, 1918 წელი, ქალაქი თფილისი, სასახლე  
სხდომას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი.  
ლოჟებში და ქანდარაზე მრავალრიცხოვანი საზოგადოება.  
მოედანი სასახლის წინ და უახლოესი ქუჩები გაჭედულია ხალხით.  
სასახლის თავზე ფრიალებს ქართული დროშა.

...თავმჯდომარე ნოე ჟორდანი: ეროვნული საბჭოს სხდომას გახსნილათ ვაცხადებ.

...ახალი სახელმწიფო-საქართველო, რომელიც დღეს არსდება, არ წავა რომელიმე ერის,  
ხალხის, ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

მისი მიზანია - თავი გადაირჩინოს თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში“ [1, გვ. 79].

ეს ხდება იმ დღეს, როდესაც ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

2000 წლის სექტემბერში, შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, შვეიცარიელი ქართველოლოგის, ლეა ფლურის კერძო კოლექციაში აღმოჩენილ ამ აქტის დედანს, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ, გიორგი შარაძემ, ხელს აწერს 88 კაცი. მათ შორის, ოცდამესამეა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი გვაზავა.

1911 წელს, რევაზ გაბაშვილმა, გაემიჯნა რა სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-ფედერალისტების პარტიას, შექმნა ახალი ეროვნული პარტია. რევაზ გაბაშვილის რედაქტორობით, 1926 წლის სექტემბერში, გამოვიდა გაზეთ „მამულიშვილის“ პირველი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გიორგი გვაზავას „დიდი შინაგანი ექსპრესიითა და ეროვნული მუხტით დაწერილი სტატია - „ეროვნული ფრონტი“ [1, გვ. 25]. გაზეთი „საქართველო“ კი გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის პარიზში გამომავალი ორგანო იყო, რომელიც ივანე ზურაბიშვილი-გიორგი გვაზავას დაჯგუფებას ეკუთვნოდა. ამ დაჯგუფების წარმოქმნის ისტორიას ნათლად მოგვითხრობს გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული „ოქმი - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ წევრთა კრებისა, სამზღვარგარედ“. 28 აპრილს 1929 წ. პარიზი. კრებას თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგი და ერთი დაამარსებელთაგანი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა. კრებას დაესწრნენ „წევრნი პარიზის კომიტეტისა“: ივ. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, პავ. თუმანიშვილი, დავ. სხირტლაძე, ნიკო ჯაყელი, ი. სარჯველაძე და დ. აბხაზი. ოქმიდან ირკვევა, რომ ამ დაჯგუფებას რეზო გაბაშვილის მიერ დაარსებულ საზღვარგარეთის კომიტეტთან შეუთანხმებლად გადაუდგია ეს მცდარი პოლიტიკური ნაბიჯი და ჩამოუყალიბებია ახალი დაჯგუფება. პარიზში, თანაპარტიელებმა „ბიულეტენ-მანიფესტიც“ კი გამოსცეს, სადაც დაგმობილია ზურაბიშვილი-გვაზავას დაჯგუფების მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯი. მაგრამ ამ დაჯგუფებას მხარს უჭერდნენ არა მარტო უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ექვთიმე თაყაიშვილი), არამედ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები, რომლებსაც მოწოდებაც გამოუქვეყნებიათ თანამემამულე ემიგრანტებისათვის. მოწოდება ამ სიტყვებით მთავრდება: „ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო „საქართველოს“ გამოსვლას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ შემოქმედებას“ [1, გვ. 665].

გიორგი გვაზავას სახელი არ არის ცნობილი მკითხველთა ფართო წრისათვის, ამიტომ, გავარკვიოთ, ვინ არის გიორგი გვაზავა, რა დამსახურება აქვს მას ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე. თვითონ ასე ფიქრობს: „...მე არ ვიცი, არიან თუ არა გმირები სასარგებლონი სახელმწიფოსათვის, მაგრამ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან კაცობრიობისათვის. მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ცრუობს, ამ დროს რწმენა სიყვარულისა და სამართლიანობისა, ვაჟკაცობისა და პირის გაუტეხველობისა დაილუპება ყოველდღიურობაში, თუ დრო და დრო არ გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს გასწირავენ სამშობლოს გადასარჩენად“ [2, გვ. 44]. რომ გავარკვიოთ, რა ეროვნული ინტერესები ამომრავებს ემიგრაციაში მცხოვრებ გიორგი გვაზავას, რა არის მისი „სასიცოცხლო მიზანდასახულება“, ეს სიტყვებიც საკმარისია, მაგრამ ჯერ, ძალიან მოკლედ, მისი საინტერესო ბიოგრაფიის დეტალები.

გიორგი გვაზავა დაიბადა 1869 წელს, 23 აპრილს, სოფელ სუჯუნაში, შეძლებული ვაჭრის ოჯახში. გომნაზიის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ, ის შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ

ფაკულტეტზე, როგორც კავკასიის სტიპენდიანტი. მალე მიემგზავრება პარიზს, სადაც ჩაირიცხა სორბონის უნივერსიტეტში.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან გიორგი გვაზავა თბილისშია და მუშაობს ნაფიცი ვეჟილის თანამშემწედ, ამავე პერიოდში იწყებს ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობას: სცემს წიგნებს, თანამშრომლობს ქართულ და რუსულ პრესაში. ამ დროს ზედიზედ გამოდის მისი წიგნები, თარგმანები (ბერანჟე, სოფოკლე), იბეჭდება გამოხმაურება მის წიგნებზე, „ზოგჯერ ძალიან კრიტიკულიც“ [2, გვ. 45].

1905 წელს, არის „უკვე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და ბრწყინვალე ადვოკატი, პუბლიცისტი, პოეტი და მთარგმნელი“ [2, გვ. 45]. 1907 წელს, გიორგი გვაზავა მონაწილეობს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისათვის „ქართველი ერის პეტიციის“ გაგზავნაში. ამავე წელს მან, ვარლამ ჩერქეზიშვილთან და მიხაკო წერეთელთან ერთად, გამოსცა ჟურნალი, რომელიც მამინვე აკრძალეს და რედაქციას გადასახლებით დაემუქრნენ. 1911 წელს კი გიორგი გვაზავა მთავრობის საწინააღმდეგო კორესპონდენციისათვის მეტეხის ციხეში ჩასვეს.

1912 წელს გიორგი გვაზავა დაქორწინდა ნინო ჩერქეზიშვილზე, რომლის მამა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ახლო მეგობარი და თანამშრომელი იყო. გიორგი გვაზავას დარჩა ქალ-ვაჟი, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობდნენ და არ წყვეტდნენ კავშირს მშობლიურ საქართველოსთან.

სანამ ვიტყვით გიორგი გვაზავას ღვაწლს შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანის“ კვლევის საქმეში, განვიხილოთ მისი 1917 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე გამოსული წიგნი: „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“. იმ დროს, როცა მწვავედ დადგა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი, გიორგი გვაზავა ამ წიგნში ასაბუთებს (ისტორიულად და იურიდიულად), რომ საქართველოს ამის უფლება ჰქონდა. აკეთებდა რა ღრმა ისტორიულ ექსკურსს, გ. გვაზავამ აღწერა საქართველოს მომავალი ტერიტორია, მისი ეთნიური და სავარაუდო პოლიტიკური საზღვრები და ასაბუთებდა იმ აზრს, რომ საქართველო ეროვნულად ერთიანი იყო, და რომ ეროვნული ერთიანობის შეგნება ძველთაგანვე მოდიოდა. ასაბუთებდა, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველო გაერთიანდა და ისე შევიდა რუსეთის პროტექტორატში. გურამ შარაძე ფიქრობს, რომ გიორგი გვაზავას ასეთი მსჯელობა იმისთვის სჭირდებოდა, რომ დაესაბუთებინა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლება 1917 წელს.

ემიგრაციაში გ. გვაზავას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნოთ მხოლოდ ამ „მოღვაწეობის გვირგვინი“ - შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანის“ მის მიერ შესრულებული პირველი სრული ფრანგული პროზაული თარგმანი, რომელიც ანი მარსელ-პიონთან ერთად გამოსცა პარიზში 1938 წელს. ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემა, მხოლოდ გ. გვაზავას ხელმოწერით, მოწმობს იმას, რომ თარგმანი ეკუთვნის მთლიანად მას და ანი მარსელ-პიონის როლი მხოლოდ მეცენატობით შემოისაზღვრება.

გურამ შარაძე გვაწვდის ცნობებს იმის შესახებაც, რომ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა გ. გვაზავას ჯერ კიდევ 1910 წელს დაუწყია „ცნობილ ქართველ მთარგმნელთან და პოეტ ქალთან, ელისაბედ ორბელიანთან ერთად... მაგრამ საბოლოოდ მან თარგმანი დამოუკიდებლად შეასრულა საზღვარგარეთ ყოფნის დროს 1931 წელს, - როგორც ამას გვამცნობს ლარუსის ენციკლოპედია 1933 წელს“ [2, გვ. 50]. ცნობილია, რომ ამ თარგმანზე პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკაზში“ უარყოფითი რეაქცია დაუბეჭდავს ცნობილ ქართველ ემიგრანტ მეცნიერ-რუსთველოლოგს, პროფესორ ზურაბ ავალიშვილს, რაზედაც „გამანადგურებელი პასუხი გაუცია გ. გვაზავას „დამოუკიდებელი საქართველოს“ მეშვიდე ნომერში. გიორგი გვაზავას ეს პასუხი მარტო საკუთარი თარგმანის დაცვას კი არ წარმოადგენს, იგი, პირველ რიგში, ზემოთ მოყვანილ მოხსენებასთან ერთად, დასრულებული ლიტერატურული გამოკვლევაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყვეს გათვალისწინებული, როგორც რუსთველის პოემის ფრანგული თარგმანის ავ-კარგიანობის დასადგენად, ისე „ვეფხისტყაოსანის“ ზოგიერთი კარდინალური პრობლემის გადასაწყვეტად“ [2, გვ. 290].

ვნახოთ, როგორ განიხილავს იმ 7 თუ 8 შეცდომას გიორგი გვაზავა, რომელიც ზურაბ ავალიშვილმა „ექვსი ათას სამასი ლექსიდან“ აღმოაჩინა და რას პასუხობს ოპონენტს:

პირველი შეცდომა გ. გვაზავამ ახსნა იმ ფაქტით, რომ „მან ვერ გაიგო მე-4 ლექსი მე-17 ტაეპისა... სადაც, აშკარაა, მე-18 ტაეპი ხორც-მეტია, ყალბია; მე ამოვადე იგი და მას მივაცოლე სამი უკანასკნელი ტაეპიც, რომელიც განვითარება იმავე ყალბი დებულებისა“. შეცდომები და პასუხები დაახლოებით ასეთი ხასიათისაა. ყველა შეცდომის განხილვა სცილდება სტატიის ფორმატს. გიორგი გვაზავას გული სტკივა, რომ ეს უაზრო დავა წამოწყებულია იმ ადამიანის მიერ, ვინც თვითონაც იკვლევს ამ დიდებულ პოემას და „სულელსაც“ უწოდებს ბ-ნ ავალიშვილს, რომელიც „აგრე ამასხარავებს

რუსთაველის დიდებულ შემოქმედებას“ [2, გვ. 295] მაშინ, როცა ედმონდ ჟალუს წაუკითხია „საერთაშორისო ინტელექტუალურ თანამშრომლობის დარბაზში“ ვრცელი მოხსენება რუსთაველზე და დიდი ქებით მოუხსენიებია რუსთაველიც და გიორგი გვაზავას თარგმანიც.

„ვეფხისტყაოსანის“ თემას აგრძელებს გიორგი გვაზავას გამოკვლევა „რუსთაველი და მისი შემოქმედება“, რომელიც მას მოხსენების სახით წაუკითხავს 1938 წლის 30 იანვარს პარიზში გამართულ „ვეფხისტყაოსანის“ დაწერის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე და დაბეჭდილია „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1938 წლის №143-ში. გამოკვლევა იწყება იმის გარკვევით, ხდება თუ არა მოქმედება პოემის დასაწყისში არაბეთში, რომ ის რიტუალი გამეფებისა, რომ ის ფაქტი დედაკაცის სამეფო ტახტზე ასვლისა, შეიძლება თუ არა მომხდარიყო მუსულმანურ ქვეყანაში? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: არსად და არამც და არამც. მუსულმანურ ქვეყნებში, წერს გ. გვაზავა, არ იციან „არც გვირგვინი, არც სკიპტრა, არც პორფირი (მეფეთა სამოსელი). არც ერთ სამუსლიმანო ქვეყანაში არ ყოფილა, რომ მამას თავის სიცოცხლეში ტახტზე აეყვანოს თავისი ქალიშვილი“ [2, გვ. 285]... სხვა მრავალი ასეთი ფაქტი მიუთითებს, რომ შოთა რუსთაველის პოემა არის უაღრესად ეროვნული, ქართულ-ნაციონალური შემოქმედება, რომ ის სრულებით გაჟღერებულია ქართული სულით და ხასიათით. გიორგი გვაზავას მიაჩნია, რომ ეს „სრულებით არ უშლის ხელს მის საკაცობრიო, მსოფლიო მნიშვნელობას“ [2, გვ. 286].

რაც შეეხება მსოფლიო ხასიათს, ის „ვეფხისტყაოსანში“ იხატება რუსთაველის ფილოსოფიურ კონცეფციაში, ხოლო რუსთაველის სიდიადეზე გიორგი გვაზავას აზრი ასეთია: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში მგონი პირველი მწერალია, რომელმაც ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში და თვალწინ გადაგვიშალა ბრძოლა არა მატერიათა შორის, არა ნივთიერი, არამედ ბრძოლა სულისა, რომელიც არანაკლებ საშინელია, ვიდრე შეხლა-შემოხლა მატერიალურ სფეროში. ეს გახლავს განუწყვეტელი კონფლიქტი გონების და გულისა, აზრისა და მოქმედებისა... რუსთაველი ეხლა გამოდის წარსულ საუკუნეთა ბურუსიდან და ეჭვი არ არის, ის დაიჭერს არა უკანასკნელ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავთა შორის“ [2, გვ. 289]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს გამოკვლევა უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, ისევე როგორც ნოე ჟორდანიას ამავე თემაზე დაწერილი გამოკვლევა. ისინი მხოლოდ გურამ შარაძის მიერ ქართული სოციალ-დემოკრატიის არქივის ჩამოტანის შემდეგ გახდა ცნობილი.

გიორგი გვაზავას სახელი დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. მისი ღვაწლის გამომზეურება მომავალი კვლევების საქმეა. რუსუდან ნიშნიანიძეს მიაჩნია, რომ ემიგრაციაში მყოფი ყველა მოღვაწე საქართველოსთვის და ქართველებისათვის წერდა. ისინი ბოლომდე დარჩნენ საკუთარი ერისა და კულტურის მსახურებად.

გიორგი გვაზავა გარდაიცვალა 1941 წლის 21 იანვარს. იგი დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.

### ლიტერატურა:

1. გურამ შარაძე - ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001.
2. გურამ შარაძე - ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004.
3. რუსუდან ნიშნიანიძე - „საქართველო... სამანს აქეთ და სამანს იქით“, ტ. II თბ., 2004.

### რეზიუმე

2000 წლის სექტემბერში, შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, შვეიცარიელი ქართველოლოგის, ლეა ფლურის კერძო კოლექციაში აღმოჩენილ ამ აქტის დედანს, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ, გიორგი შარაძემ, ხელს აწერს 88 კაცი. მათ შორის ოცდამესამეა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი გვაზავა, რომლის სახელი დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. მისი ღვაწლის გამომზეურება მომავალი კვლევების საქმეა.

**GIORGI GVAZAVA, EMIGRANT WRITER, PUBLIC FIGURE**  
**Marine Tsertsvadze, Professor**  
**RESUME**

In September 2000, in Switzerland, City of Zurich, 88 persons signed the original of this act, which was discovered in the private collection of Leah Flury, Georgian literature translator from Switzerland. The Act was brought in Georgia by Giorgi Sharadze, Cultural Attache of Georgian Embassy. The 23rd among those 88 persons is Giorgi Gvazava, whose name is not known publicly. Disclosure of his activities is a matter of future research.

*გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა*  
*E d u c a t i o n*

**მასწავლებლის როლი კლასის მართვასა და კონფლიქტების მოგვარებაში**

*ნანა ნადირაძე, სტუდენტთა საქმის მწარმოებელი*

კლასის მართვა - ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვასა და მოსწავლეთა არასასურველი ქცევის თავიდან აცილებას. კლასის ეფექტური მართვა გულისხმობს პირობების შექმნას მიზანმიმართული სწავლებისა და სწავლისათვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მასწავლებელს და კლასის მართვის სტილს. განსხვავებულ კლასის მართვის სამ სტილს: 1. ავტორიტარულს; 2. დემოკრატიულს; 3. ქაოსურს.

ავტორიტარული სტილი – გამოირჩევა მაღალი კონტროლით, დადგენილია მკაცრი, შეუვალი წესები. არასასურველი საქციელისას გამოიყენება მკაცრი დასჯა. აღსაზრდელის შესაძლებლობები, პირადი ინიციატივა და შეხედულებები უგულვებელყოფილია. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ავტორიტარულად აღზრდილი ბავშვი აგრესიულობისკენ არის მიდრეკილი, ასევე ნაკლები სოციალური კომპეტენციით და საკუთარი ღირსების ნაკლები გრძნობით გამოირჩევა.

ავტორიტარული მართვის დროს მასწავლებლის მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ ბიჰევიორისტულია. ზედმეტად აკონტროლებს პროცესს, გაკვეთილის სასწავლო მიზანი განისაზღვრება საგნის შინაარსიდან, მასწავლებელი წარმართავს სასწავლო პროცესს, განსაზღვრავს გაკვეთილის ტემპს, ასწორებს და ამოწმებს მოსწავლეთა საპასუხო რეაქციებს, გადასცემს, აკონტროლებს, აფასებს. მასწავლებლის საუბრის ხანგრძლივობა მოსწავლის საუბრის ხანგრძლივობას სჭარბობს. სასწავლო პროგრამების წარმართვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მასწავლებელი მთლიანად ეყრდნობა სახელმძღვანელოს. მოსწავლეები აკეთებენ მასწავლებლის ნათქვამის პერიფრაზს. მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ნაკლებად აქვთ. დავალება ყველასათვის საერთოა, მასზე პასუხი ერთგვაროვანია.

მოსწავლეთა მოტივაცია ძირითადად გარეგანია და დამოკიდებულია ჯილდოებზე, შექებაზე, ნიშნებსა და დასჯის შიშზე. ნიშანს მასწავლებელი იყენებს როგორც მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად, ასევე უცოდინარობისა და უწყესრიგობის დასასჯელად.

სწავლების მეთოდები ორიენტირებულია მთლიანად კლასზე და არა ინდივიდებზე. სწავლება ძირითადად ერთდროულად მთელ კლასთან მიმდინარეობს. დავალებები ძირითადად კომენტარის გარეშე მიწოდებული, მასწავლებელი მხოლოდ გვერდსა და სავარჯიშოს ნომერს უთითებს.

გაკვეთილზე დროის დანაწილება ყოველთვის ერთნაირია და მკაცრად განსაზღვრულია ინსტრუქციით. გაკვეთილი ხშირად დასვენების ხარჯზე გრძელდება, მოსწავლეები აღარ უსმენენ მასწავლებელს.



საკლასო ოთახის სივრცე დაუნაწევრებელია; კლასში მერხების განლაგება ერთფეროვანია, მასწავლებლისათვის და მოსწავლეთათვის განსაზღვრულია ტერიტორია. მოსწავლეები სხედან დაფისა და მასწავლებლის პირდაპირ რიგებად განლაგებულ მერხებთან.

ქცევის წესებს ადგენს სკოლის ადმინისტრაცია, ხოლო კლასში მასწავლებელი საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც ემორჩილება ყველა. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეთა არასასურველი ქცევის არა პრევენციას, არამედ არასასურველი ქცევის კორექციას; ამ დროს ხდება: ნეგატიური ქცევების აღმოფხვრა, პოზიტიურის განმტკიცება.

სკოლა ჩაკეტილია თემთან ურთიერთობაში, არ ხდება თანამშრომლობა არცერთ სოციალურ ჯგუფს შორის (სკოლებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის), მასწავლებელი ერევა მოსწავლეთა ურთიერთობებში და თავის თავზე იღებს მცირედი პრობლემის გადაჭრასაც კი იმის მიხედვით, თუ, როგორ აფასებს თავად სიტუაციას. მასწავლებლები და სკოლები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ავტორიტარულად აღზრდილი ბავშვი:

- აგრესიულობისკენ არის მიდრეკილი;
- ნაკლები სოციალური კომპეტენციით და საკუთარი ღირსების ნაკლები გრძნობით გამოირჩევა;
- ნაკლებად და ან არასწორად აქვს განვითარებული საკომუნიკაციო უნარები;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომყვანების უნარის დეფიციტს განიცდის;
- ნაკლებად აქვს განვითარებული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება;
- ნაკლებ ტოლერანტულია.

აღზრდის დემოკრატიული სტილი გულისხმობს თანამშრომლობით დამოკიდებულებას მასწავლებელსა და აღსაზრდელს შორის, აღსაზრდელი მიიჩნევა პარტნიორად და ასაკის ზრდასთან ერთად მან დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა იმოქმედოს. ამ დროს აღსაზრდელის ყოველი ინიციატივა მოსმენილია და გათვალისწინებულია.

დემოკრატიული მართვისას:

ურთიერთობა დაფუძნებულია მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობაზე. მასწავლებელი გადაწყვეტილებას არ იღებს დამოუკიდებლად. მისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრება და დამოკიდებულება საკითხთა მიმართ. მასწავლებელი ამ დროს მიმართულების მიმცემია.

კლასი მასწავლებელთან ერთად მუშაობს, ადგენს ქცევის წესებს და იღებს გადაწყვეტილებას ამ წესების რეალური განხორციელებისათვის.

საკლასო ოთახში არსებული მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და მათი გამოყენება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც. ხშირად სასწავლო მასალის შერჩევა ხდება მოსწავლეებთან შეთანხმებით.

საკლასო ოთახში სივრცე დანაწევრებულია; გამოყოფილია ფუნქციური ზონები საპრეზენტაციო, ბიბლიოთეკა, ტექნიკური და ა.შ. ავეჯის განლაგება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. მთავარია დანაწევრებული საკლასო ოთახის სივრცე გაკვეთილის მიზანსა და ფორმატს შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებში სასურველი ქცევის ჩამოყალიბება ხდება, მხოლოდ სწორი არჩევანის გაკეთებით და არა დასჯით. კლასის მართვის დემოკრატიული სტილის დროს უპირატესობა ენიჭება მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობას, რათა მოხდეს არასასურველი ქცევის პრევენცია.

მასწავლებელი ხშირად მიმართავს შექებას. ცდილობს დაანახოს, ასწავლოს მოსწავლეებს სამართლიანობა და მოვლენათა ობიექტური შეფასება. აკეთებს პოზიტიურ კომენტარს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ კარგად მოსწავლეები. შექება სტიმულის მიმცემია მოსწავლეებისათვის. მათ უჩნდებათ მოსალოდნელი წარმატების განცდა და ცდილობენ კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ეს კი მათ უყალიბებთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, თვითკონტროლსა და მიზანდასახულობას. ამისათვის მასწავლებელი ასე მიმართავს მოსწავლეებს:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ეს კარგად გამოგივა“;

„სხვა შემთხვევაში უკეთეს შედეგს მიიღებ, დღევანდელი გამოცდილება დაგეხმარება ამაში“;

„კიდევ სცადე“, „სცადე მეგობრებთან ერთად“;

„სცადე მეგობრებთან ერთად, ჩემი მხარდაჭერის იმედი გქონდეთ“.

იმისათვის, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ კარგი ჩვევები, გახდნენ თვითდაჯერებულები და კომუნიკაბელურები, მასწავლებელი მათ უფრო ხშირად ამხნევებს, ვიდრე აქებს.

კლასის მართვისადმი დემოკრატიული თანამშრომლობითი მიდგომა მოსწავლეებს ეხმარება:

- სოციალური და ინტელექტუალური კომპეტენციის განვითარებაში;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- კომუნიკაციური უნარების გამომუშავებაში;
- რეალური თვითშეფასების უნარის გამომუშავებაში;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომჟღავნების უნარის განვითარებაში;
- ტოლერანტული უნარების განვითარებაში.

ქაოსური კლასის მართვის დროს:

- არ არის გამოკვეთილი საგაკვეთილო წესები და ჩარჩოები;
- მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი დაბალია, მას კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან; შესაბამისად, მოსწავლეებიც არ არიან შეზღუდულნი სასწავლო პროცესის დროს.
- ქაოსური მართვისას ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან და ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

ასეთ პირობებში რთულია კონკრეტული მიზნის დასახვა და თანმიმდევრული შესრულება.

მასასადამე, ქაოსური მიდგომის შედეგად აღზრდილ ბავშვებს:

- აქვთ ნაკლები პასუხისმგებლობის უნარი;
- არიან მოუწესრიგებლები როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თავიანთ საქმიანობაში;
- უჭირთ დროის სწორად დაგეგმვა და განაწილება;
- უჭირთ საკუთარი იმპულსებისა და ემოციების მოთოკვა;
- მართალია, არიან გახსნილები სხვებთან ურთიერთობაში, მაგრამ ხშირად არაადეკვატურად იყენებენ კომუნიკაციის საშუალებებს და არასწორად იქცევიან სოციუმში.

#### კლასის ეფექტურად მართვის სტრატეგიები და უნარ-ჩვევები

სწავლების მეთოდების ეფექტურად გამოყენება და სასწავლო გეგმის განხორციელება კლასის მართვის ეფექტურობაზე დამოკიდებულია.

კლასის ეფექტური მართვა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, სწავლების მეთოდების დახვეწასა და მოსწავლეებში თვითდისციპლინის უნარების ჩამოყალიბებას.

1. წესებისა და პროცედურების გაცნობა და შემუშავება.

გამოყოფენ წესების ორ ჯგუფს:

- ზოგადი წესები – როგორ საქციელს მოელის მასწავლებელი მოსწავლეებისაგან;
- კონკრეტული პროცედურები – უფრო დეტალური განმარტება, თუ როგორ განვახორციელოთ კონკრეტული ქმედება.

წესების შემუშავებისას გაითვალისწინეთ:

- მოსწავლეთა ასაკი – განვითარების საფეხური;
- უნდა მოხდეს წესებისა და პროცედურების იდენტიფიკაცია კლასისათვის (ქცევა კლასში; ქცევა ჯგუფური მუშაობისას; ქცევა ექსკურსიაზე და ა.შ.);
- ჩამოყალიბდეს წესები პოზიტიური ფორმით;
- ჩამოყალიბდეს წესები კონკრეტულად და ნათლად;
- განვიხილოთ და განვმარტოთ წესები;
- წესების შემუშავებაში აქტიურად უნდა ჩაებან თავად მოსწავლეები, რადგან ამით იზრდება მათი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გამოვაკრათ წესები თვალსაჩინო ადგილას.

განვიხილოთ, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების კლასში ქცევის წესები და პროცედურები რომელ სფეროებს ეხება?

დაწყებით კლასებში ქცევის წესები და პროცედურები შემდეგ სფეროებს ეხება:	საბაზო საფეხურზე ქცევის წესები და პროცედურები შემდეგ სფეროებს ეხება:
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზრდილობიანი დამოკიდებულება; ადამიანების დახმარება;</li> <li>• სხვისი საკუთრების პატივისცემა;</li> <li>• მასწავლებლის ან მოსწავლეთა საუბარში უნებართვო ჩართვა;</li> <li>• სხვისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო მასალის სკოლაში ტარება;</li> <li>• წინასწარგანსაზღვრულ ადგილას დაჯდომა;</li> <li>• სხვების პატივისცემა;</li> <li>• საუბრისაგან თავის შეკავება გაკვეთილზე, როცა სხვები საუბრობენ;</li> </ul>

როდის სწავლობენ მოსწავლეები წარმატებით?

- როცა მათ მიმართ არსებული მოთხოვნები და მოლოდინები ნათელია;
- თავად იღებენ მონაწილეობას წესების შემუშავებაში და იციან, როგორი რეაგირება მოყვება მისაღებ თუ მიუღებელ ქცევას.

ქცევის წესების პრევენცია თუ კორექცია?

წარმატებული მასწავლებლები პრევენციას /წინასწარი ღონისძიებებით მოსწავლეთა არასასურველი ქცევის თავიდან აცილება/ და კორექციას შორის არჩევენ პირველის სასარგებლოდ აკეთებენ.

ისინი ახერხებენ ქცევის წესების დარღვევა თავიდან აცილონ ან მისი პირველი სიმპტომების გამომჟღავნებისთანავე, აღკვეთონ იგი. რადგან ქცევის წესების სერიოზული დარღვევის შემდგომი რეაგირება არასოდესაა ისე ეფექტური, როგორც პრევენცია.

ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა შექმნილი. ამგვარი გარემოს შექმნისათვის კი უნდა გვახსოვდეს, რომ

რა უნდა გვახსოვდეს?	როგორ მივალწიოთ?
მოსწავლე ხალისით თანამშრომლობს მასწავლებელთან, რომელიც უყვარს და პატივს სცემს.	ამიტომ მასწავლებელი უნდა იცნობდეს მოსწავლის მდგომარეობას ხასიათს და პატივს სცემდეს მის პიროვნულ თვისებებს
მოსწავლეს არ სცალია წესების დასარღვევად, როცა იგი საქმიანად დაკავებული.	ამიტომ მასწავლებელმა დეტალურად უნდა დაგეგმოს გაკვეთილი და შეეცადოს მთელი დრო საინტერესო, მნიშვნელოვანი დავალებებით შეავსოს.
მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობის ფაქტი.	ამიტომ მასწავლებლები და მშობლები ერთნაირად უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ მათ შორის შედგეს თანამშრომლობა.
მოსწავლისათვის მასწავლებელი სამაგალითო უნდა იყოს.	ამიტომ წესს, რომელსაც მასწავლებელი თავად ემორჩილება, მის დაცვას სამართლიანად და აუცილებლად მიიჩნევენ მოსწავლეებიც

### კონფლიქტის მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებას ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისთვის აუცილებელია საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში, მეორე მხარეში, რომლის მიღწევაც წარმოუდგენელია მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გარეშე.

კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კლასიფიკაციაა თომასისა და ქილმენის კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფილია ხუთი ძირითადი სტრატეგია: 1) განრიდება, 2) კონკურენცია (შეჯიბრი), 3) შეგუება, 4) კომპრომისი, 5) თანამშრომლობა.

კონფლიქტების მოგვარების გზები:

• მასწავლებელი უნდა ქმნიდეს ისეთ სასწავლო გარემოს, რომ მოსწავლეები ორიენტირებულნი იყვნენ თანამშრომლობასა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე. ამისათვის მასწავლებელს, ცხადია, რომ ჯერ თავად უნდა შეეძლოს კონფლიქტის აღმოცენებისთანავე მიზეზის ამოცნობა, სწორი სტრატეგიის არჩევა, მიმდინარე პროცესებში საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. მთავარია, გარედან კი არ ელოდოს პრობლემის გადაწყვეტას, არამედ თავად გამოიჩინოს აქტიურობა, შეეცადოს, დაძლიოს და მართოს პრობლემური სიტუაცია. და, რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეებს უნდა ასწავლოს კონფლიქტების მართვა, რათა მათ გამოუმუშაოს საჭირო უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

• მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში უნდა იყენებდეს სხვადასხვა აქტივობებს (როლური თამაში, მოდელირება, დისკუსია, სიტუაციური ამოცანები და ა.შ.), რომლის დროსაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება კარგად გაიცნონ ერთმანეთი, ერთობლივად შეასრულონ დავალებები, გამოხატოს საკუთარი აზრი, დამოკიდებულება, პატივი სცენ სხვათა მოსაზრებებს, ეძიონ კომპრომისის მიღწევის გზები, თავად იმუშაონ პრობლემაზე, მიიღონ გადაწყვეტილება. მასწავლებელი თავად უნდა იძლეოდეს პიროვნების პატივისცემის მაგალითს.

რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, რა უნდა მოიმოქმედოს მასწავლებელმა, როცა მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციაა:

• შორიდანვე შევაფასოთ სიტუაცია. განვსაზღვროთ, ვინ მონაწილეობს კონფლიქტში და რა ვიციტ ჩვენ მათ შესახებ; როგორ აღიქვამენ ისინი ჩვენს გამოჩენას. ამ შეფასების შედეგად, კონფლიქტის სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება მოვუხმოთ დამხმარეს, სხვა მასწავლებელს ან დირექტორს;

• გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანია, განვმუხტოთ სიტუაცია ისე, რომ არავინ დაზიანდეს და არც ერთი მონაწილის თავმოყვარეობა არ შეილახოს;

• შევეცადოთ, თავიდან მოვიშოროთ გარეშე პირები, მაყურებლები და სიტუაციას გავარიდოთ ერთ-ერთი მოჩუბარი. თუ ეს არ ხერხდება, უნდა შევეცადოთ, რამე საშუალებით (მაგ. ხმის აწევით) ჩვენზე გადმოვიტანოთ მოსწავლეების ყურადღება;

• შევეცადოთ, თავდაპირველად მცირე შეზღუდვები დავაწესოთ და თანდათანობით გავამკაცროთ მოთხოვნა. მაგალითად, ჯერ მოვითხოვოთ: „რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ხმას დაუწიეთ“. როცა ამ ბრძანებას დაემორჩილებიან, დავამატოთ შემდეგი მოთხოვნა: „უხეში სიტყვების გამოყენება შეწყვიტეთ“ და ა.შ.

• მოსწავლეები დავარწმუნოთ, რომ ამ საკითხის მოგვარება მშვიდობიანი საუბრით აჯობებს. შეიძლება ვუთხრათ, რომ ჩხუბის გაგრძელებას ყოველთვის მოახერხებენ და მასწავლებელი ამას ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ ჯერ შეიძლება სხვა ხერხი ვცადოთ;

• დავეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი ემოციების მოთოკვაში. ამისთვის ხშირად საკმარისია, რომ მათ ყურადღებით და თანაგრძნობით მოვუსმინოთ;

• დავეხმაროთ მოსწავლეს გამოსავალის პოვნაში. შევთავაზოთ მას კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტები. მაგალითად, შევთავაზოთ მას სხვაგან, უფრო წყნარ ადგილას შეხვედრა და საუბარი. სასურველია, ამ დროს მოვახერხოთ მოსწავლის ყურადღების გადატანა რამე დადებით ემოციასა და ქმედებაზე. აგრესიის ფაქტის აღკვეთა მხოლოდ პირველი ნაბიჯია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისკენ.

მასწავლებელს ხშირად სერიოზული როლის შესრულება უხდება მოსწავლეთა კონფლიქტის დარეგულირებაში. ამ დროს მან სხვადასხვა მიდგომა შეიძლება გამოიყენოს:

• დირექტიული მიდგომის შემთხვევაში მასწავლებელი თავად იძლევა მითითებებს, თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა. იგი არ ეთათბირება

კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, არამედ თავად იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. დირექტიული სტილის გამოყენება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონფლიქტური სიტუაცია კონტროლიდან გამოდის და დაუყოვნებელ ჩარევას მოითხოვს, რათა მოსწავლეთა უსაფრთხოება ექვეყემ არ დადგეს.

• როცა მასწავლებელი გამოდის არბიტრის როლში, იგი ყურადღებით ისმენს ორივე მხარის მოსაზრებებს და პრობლემის არსში ჩაწვდომის შემდეგ ეუბნება მათ, რა უნდა გაკეთდეს. ეს საკმაოდ ეფექტური მიდგომაა, რადგან კონფლიქტში მონაწილე მხარეებს თავიანთი პოზიციების გამოხატვის საშუალება ეძლევათ და თანაც შედეგი საკმაოდ მოკლე დროში მიიღწევა. ამ სტილის ნაკლი ისაა, რომ მოსწავლეები თავად ვერ იღებენ ინიციატივას პრობლემის მოგვარების პროცესში და კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზებიც შეიძლება აუხსნელი დარჩეს;



• მასწავლებელი-მოსამართლე მონაწილეობს ისეთი კონფლიქტების მოგვარებაში, როცა ერთმა მხარემ მეორეს აშკარა ზიანი მიაყენა და საჭირო ხდება სამართლიანობის აღდგენა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მხარეებს და გადაწყვიტოს, ვინ არის დამნაშავე. ბავშვები ხშირად მიანდობენ ხოლმე უფროსს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. მასწავლებელსვე ევალება ამ დროს განსაზღვროს „სასჯელის ზომა“, ანუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს მიუღებელ ქმედებას მისი ჩამდენისათვის.

სამივე მიდგომას ერთი საერთო ნაკლი აქვს. ვერც ერთი მათგანი ვერ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარებას, კომპრომისზე წასვლის და ერთმანეთთან შეთანხმების მიღწევის უნარის ჩამოყალიბებას.

კონფლიქტების მოგვარების უფრო ეფექტური სტრატეგიაა, როცა თავად მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ კონფლიქტების მოგვარებაში, ამისათვის მათ უნდა ვასწავლოთ მოლაპარაკების წარმართვა და მოვამზადოთ ისინი კონფლიქტში მედიატორის როლის შესასრულებლად.

რა არის გასათვალისწინებელი მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის:

- მედიატორად უნდა შეირჩეს მოსწავლე, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს თანატოლთა შორის;
- მედიაციის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ძირითადი წესები, რომლებიც დაარეგულირებს მთელ პროცესს. მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს, პირველად რომელი მხარე იწყებს საუბარს და ა.შ;
- მედიატორი თავად არ კარნახობს გადაწყვეტილებებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და არ გამოხატავს თავის მხარდაჭერას რომელიმე მათგანის მიმართ. იგი რჩება აბსოლუტურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი;
- მედიატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს აქტიური მოსმენისა და ღია კითხვების დასმის უნარ-ჩვევები. მისმა შეკითხვებმა სტიმული უნდა მისცეს კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებს, ღიად გამოხატონ თავიანთი გრძნობები და დამოკიდებულებები და შეძლონ ნაბიჯების გადადგმა ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად;
- შეხვედრის ადგილი, დრო და ხანგრძლივობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. პროცესს უნდა მიეცეს ოფიციალური მოლაპარაკებების ფორმა და ყველაფერი, რაც ამ დროს ხდება, უნდა იყოს კონფიდენციალური;
- მედიაციის პროცესი სრულდება გარკვეული ხელშეკრულებით, რომელშიც თანაბრადაა ასახული ორივე მხარის პოზიცია და დაკონკრეტებულია, როგორ უნდა მოგვარდეს მსგავსი კონფლიქტური სიტუაციები მომავალში.

როგორ მოვაგვაროთ მოსწავლეებს შორის ღირებულებითი კონფლიქტები

როდესაც ერთი მოსწავლის ცოდნა, შეხედულებები (ფასეულობები) და დასკვნები არ ემთხვევა მეორე მოსწავლის ცოდნას, შეხედულებებსა და დასკვნებს, იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც ღირებულებითი კონფლიქტის სახელითაა ცნობილი.

განვიხილოთ ღირებულებითი კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი კონკრეტული სტრატეგია - ინტელექტუალური ღირებულებითი კონფლიქტების მოგვარებისადმი შემოქმედებითი მიდგომა: კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის შეხედულების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვა და, არსებულ შეხედულებებზე დაყრდნობით, ახალი კონცეფციის შემუშავება.

• კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფმა ყოველმა წყვილმა ფორმულირება უნდა გაუკეთოს თავის პოზიციას და რაც შეიძლება მომგებიანად წარუდგინოს ის თავის ოპონენტებს. ოპონენტები ყურადღებით უსმენენ, საჭიროების შემთხვევაში აკეთებენ ჩანაწერებს და სვამენ შეკითხვებს, თუ მათთვის რაიმე გაუგებარია.

1. ოპონენტები აკრიტიკებენ ერთმანეთის შეხედულებებს, იგერიებენ ურთიერთშეტევებს. ამისათვის იყენებენ მათთვის ცნობილ ყველა ფაქტებს და ცდილობენ, იყენენ მაქსიმალურად დამაჯერებლები და შემტევები. რიგრიგობით აანალიზებენ წარმოდგენილ ინფორმაციას და ითხოვენ (საჭიროების შემთხვევაში) დამატებითი მონაცემების მოყვანას. პოულობენ პოზიციებს შორის პრინციპულ სხვაობებს. ამასთან, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ დისკუსიის შედეგი უნდა იყოს ორივე პოზიციის „რაციონალური მარცვლების“ სინთეზი.

2. იმის შემდეგ, რაც ამოიწურება არგუმენტების მარაგი, ოპონენტები გაცვლიან როლებს, და თითოეული დაიწყებს იმ პოზიციის დაცვას, რომელსაც ცოტა ხნის წინ აკრიტიკებდა. მათ შეუძლიათ განსახილველად ახალი ინფორმაციის წარმოდგენაც, რომელიც ადრე ოპონენტებს არ გამოუყენებიათ. ამავე დროს უნდა მოახერხონ, შეაფასონ ორივე პოზიციის ყველა “pro et contra”.

3. ერთიანი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ორივე პოზიციას ეყრდნობა, წყვილები წყვეტენ კამათს და იწყებენ ისეთი ფორმულირებების ძიებას, რომელიც მისაღებია ყველა მონაწილისათვის.

ამგვარი დისკუსიების დროს ბავშვები იცავენ საკუთარ პოზიციას, უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ერთმანეთის შეხედულებების გათვალისწინებით ახდენენ საკუთარი მოსაზრებების გადაფასებას. არცთუ იშვიათად ახალი შეხედულებები თავდაპირველზე უფრო “ხარისხიანი” აღმოჩნდება ხოლმე.

კონფლიქტური სიტუაციის ასეთი გზით მოგვარება ეხმარება მოსწავლეებს ისეთი სასარგებლო უნარების გამომუშავებაში, როგორცაა ლოგიკური აზროვნების, საკუთარი აზრის არგუმენტირებისა და სხვისი აზრის კრიტიკული შეფასების უნარები, აგრეთვე, ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან ნებისმიერი ინფორმაციის შეგნებულ ათვისებას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ვითარდება ღირებულებითი კონფლიქტების გადაჭრის უნარები.

#### ლიტერატურა:

1. Грэйс Крайг „ психология развития”, Питер, 2000.
2. შოთა მალაზონია „ პედაგოგიკა“, თბილისი, 2001.
3. რობერტ ჯ. მარზანო, კლასის მართვა, პირველი ქართული გამოცემა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
4. თამარ მოსიაშვილი, „საჯარო სკოლაში შიდა კონტროლის მექანიზმები და მართვის სტილი საქართველოში“, 2012.
5. ინტერნეტ გზითი. ნინო ლაპარტყავა, კლასის მართვის სტრატეგიები, [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)

### რეზიუმე

კლასის მართვა - ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვას და მოსწავლეთა არასასურველი ქცევის თავიდან აცილებას. კლასის ეფექტური მართვა გულისხმობს პირობების შექმნას მიზანმიმართული სწავლებისა და სწავლისათვის. განსხვავებენ კლასის მართვის სამ სტილს: 1. ავტორიტარულს, 2. დემოკრატიულს, 3. ქაოსურს. მასწავლებელი გადაწყვეტილებას არ იღებს დამოუკიდებლად. მისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრება და დამოკიდებულება საკითხთა მიმართ. მასწავლებელი ამ დროს მიმართულების მიმცემია. კლასის მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მასწავლებელი თავისი სტრატეგიებით დაეხმაროს მოსწავლეებს, შეისწავლონ ახალი, კლასისთვის შესაფერი და სოციალურად გამართლებული ქცევა. მასწავლებლის ინდივიდუალური უნარები და მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასის ეფექტურ მართვაზე.

## TEACHERS' ROLE IN CLASS MANAGEMENT AND HANDLING CONFLICT

Nana Nadiradze, Students secretary

### RESUME

Class management - it is a process which aims managing the lesson smoothly and avoiding unwanted behavior of the pupils.

Effective management of the classroom means the creation of conditions for deliberate teaching and learning. There are three class management style: 1. Authoritarian, 2. democratic, 3. chaotic. The teacher doesn't make decisions independently. For teacher it is always exceptionally important pupil's opinions and attitudes towards the issues. In terms of the classroom management it is important that teacher helps the pupils by his strategy, explore new, socially justified and appropriate behavior for class. Teacher's individual skills and teacher-pupil relationship quality have a significant impact on the effective management of the class.

## განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდები

*ნინო ორჯონიკიძე, პროფესორი  
მალხაზ ელიაური, მოწვეული სპეციალისტი*

ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ქმედებას, რომელიც გვაწვდის მტკიცებულებას, რომ პროდუქტისა და/ან მომსახურების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პირობები დაცულია. ყველა ეს პროცედურა უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს, რომ შექმნას ნდობა იმისა, რომ პროდუქტი თუ სერვისი ხარისხის მოცემულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ტერმინი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ბიზნესის სფეროში გამოიყენება, მოიცავს ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, რომლებიც ზრდის ნდობას იმისადმი, რომ მოცემულ სტრუქტურას, სისტემას და ან სტრუქტურულ ერთეულს შეუძლია მომსახურების დამაკმაყოფილებელ დონეზე შესრულება.

ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს ხარისხის კონტროლს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის ფიზიკურ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს ამ მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის შესაბამისობას წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფა მრავალ ეტაპს მოიცავს, იწყება რა დიზაინით და გრძელდება განვითარებით, წარმოებით, მოიცავს ასევე ინსტალაციას, მომსახურებასა და დოკუმენტაციის აღრიცხვას.

ხარისხის ყველა სისტემა ეფუძნება გარკვეულ მოდელს. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოდელი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა ხარისხის მართვის საშუალებას. ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია შეიმუშაოს ხარისხის მართვის საკუთარი (დამოუკიდებელი) მოდელი. მაგრამ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად იყენებენ უკვე აპრობირებულ და აღიარებულ მოდელებს, რომლებიც ეფუძნებიან:

- ISO 900 სერიის საერთაშორისო სტანდარტებს;
- ევროპული უნივერსიტეტების (ENQA) ასოციაციის მოთხოვნებს;
- ხარისხის მენეჯმენტის ევროპული ფონდის (EFQM) საერთაშორისო პრემიის მინიჭების მოთხოვნებს;
- ჰოლანდიურ-ბელგიურ (ადაპტირებული ბოლონიის პროცესთან) მოდელს და სხვა.

თითქმის ყველა არსებული ხარისხის მენეჯმენტის მოდელი დაფუძნებულია ხარისხის საყოველთაო მართვის (TQM) პრინციპებზე.

ჰოლანდიურ-ბელგიური მოდელი (ადაპტირებული ბოლონიის პროცესთან) მოდელი მიმართულია უმაღლესი სასწავლებლების სტიმულირებისაკენ, ხარისხის საყოველთაო მართვის (TQM) პრინციპების დანერგვით საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მომსახურების მიწოდების მუდმივი გაუმჯობესების გზების ძიებისაკენ. კრიტერიუმების ჯგუფში „შესაძლებლობები“ შედის პროცესების განვითარების ხუთი სტადია:

- ხელმძღვანელობის ლიდერობა;
- პოლიტიკა და სტრატეგია;
- პერსონალის მენეჯმენტი;
- რესურსები და პარტნიორები;
- პროცესების მენეჯმენტი.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე განისაზღვრება „შედეგები“-ს ჯგუფის შემდეგი კრიტერიუმები:

- მომხმარებლის დაკმაყოფილებულობა;
- პერსონალის დაკმაყოფილებულობა;
- უმაღლესი სასწავლებლის გავლენა საზოგადოებაზე.

მოდელში, რომელიც ეფუძნება ლისაბონის კონვენციას (შეიცავს ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს) უმაღლესი განათლების ხარისხისადმი, უმაღლესი განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა ემყარება შემდეგ ფაქტორებს:

- ბოლონიის პროცესის ელემენტების დანერგვა და მოთხოვნები უმაღლესი განათლების ხარისხისადმი;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და ამაღლების მსოფლიო თანამედროვე ტენდენციები.

შესაძლებელია განვიხილოთ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდები, კერძოდ:

• უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის მართვის შეფასებითი მეთოდი SWOT-ანალიზი, ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა (Strengths - ძლიერი მხარეები, Weakness - სუსტი მხარეები, Opportunities - შესაძლებლობა, Threats - საფრთხეები);

• ხარისხის ტოტალური მართვის მეთოდი (TQM);

• მოდელი, რომელიც ემყარება ISO 9000-2000 სერიის სტანდარტების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო სივრცეში ბიზნესის სფეროდან შემოვიდა SWOT ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ე.წ. Seven S's მოდელი იმის შესამოწმებლად, თუ რომელ სფეროებში უნდა მოვიძიოთ სუსტი და ძლიერი მხარეები:

• Strategy - სტრატეგია - აქვს თუ არა უსდ-ს სტრატეგია? იცნობს თუ არა მას ყველა თანამშრომელი? ხორციელდება თუ არა ეს სტრატეგია? მოწმდება თუ არა სტრატეგიის განხორციელება?

• Structure - სტრუქტურა - რამდენად უწყობს ხელს უსდ-ს სტრუქტურა მის ფუნქციონირებას? ხომ არ აქვს ადგილი ფუნქციების დუბლირებას? ხომ არ არსებობს დაუფარავი სფეროები (გაპს)?

• Systems - სისტემები - იგულისხმება მუშაობის მანერა. მუშაობის როგორი კულტურა არსებობს? ხომ არ არის საჭირო ხშირი ჩასწორებები? რატომ არის საჭირო შესწორებები? რამდენად ცნობილია ყველა თანამშრომლისათვის მისი და კოლეგების ფუნქციები და პასუხისმგებლობები?

• Staff - პერსონალი - აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესაბამისობა დასახული მისიის განხორციელებისათვის. საკმარისი რაოდენობის პერსონალია თუ არა უსდ-ში?

• Skills - უნარები - გააჩნია თუ არა პერსონალს შესაბამისი ცოდნა და უნარი?

• Style - სტილი - უსდ-ს ფარგლებს გარეთ კოლეგებთან, მომხმარებლებთან (მაგალითად, სტუდენტები, დამსაქმებლები, დონორები და ა.შ.) ურთიერთობის სტილი;

• Shared values- საერთო ღირებულებები - ღირებულებები, რომლებიც აერთიანებს უსდ-ს პერსონალს. ეს ასპექტი ყველაზე უფრო რთული აღსაწერია. ქართულ შრომით კულტურაში საერთო ღირებულებები ნაკლებადაა ფეხმოკიდებული, მაგრამ, ამავდროულად, საკმაოდ მძლავრი ინსტრუმენტი კორპორაციული იდენტობისათვის.

წარმოდგენილი ფაქტორების დახმარებით შესაძლებელია საკუთარი ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში. ცხადია, ამას უნდა დაემატოს ისეთი ასპექტებიც, როგორცაა არსებული რესურსები, იმიჯი და ა.შ.

აღწერილი პროცესი გვეხმარება SWOT ანალიზის განხორციელებაში სტრატეგიული დაგეგმვის კუთხიდან. მაგრამ ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში აუცილებელია კიდევ ერთი ასპექტის გათვალისწინება: ანალიზის შედეგად რა სამომავლო ქმედებებს გეგმავს უსდ-ს არსებული ვითარების შენარჩუნების (თუ ვითარება დამაკმაყოფილებელია) ან გაუმჯობესების მიზნით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას საჭიროა მოხდეს ქმედებების პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგება, ვადების გათვალისწინებით, ზოგი მოქმედება მოკლევადიან, ხოლო ზოგიც - გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს.

ვინ უნდა შეასრულოს SWOT ანალიზი? ტრადიციულად ითვლება, რომ გარეშე პირი ყოველთვის უფრო ობიექტურია, მაგრამ ქართულ რეალობაში საკმაოდ პრობლემური იქნება სპეციალურად ამ ტიპის ანალიზის ჩასატარებლად გარეშე ექსპერტების მოწვევა. სასურველია უსდ-ს თანამშრომელთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ჩართვა ანალიზის შემუშავების თუ არა, განხილვის პროცესში მაინც, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის დაკარგვა. ზოგ უნივერსიტეტში მიმართავენ კითხვარების მეთოდს - ანალიზის ჩატარების მეთოდი დამოკიდებულია უსდ-ს (ფაკულტეტის/დეპარტამენტის) ზომაზე და ხელთ არსებულ რესურსებზე.

SWOT ანალიზის განხორციელებისას ასევე მნიშვნელოვანია სწორი ორიენტირების შერჩევა - ვის/რას ვედრებით? რა მიგვაჩნია კარგად და შესაბამისად რა მიგვაჩნია ძლიერ და სუსტ მხარედ? შედარებისათვის სწორი ორიენტირის შერჩევის პროცესს benchmarking ეწოდება.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაანალიზირებული მიდგომები არ გამოირცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს, ირიბად ან პირდაპირ უზრუნველყოფენ უმაღლესი სასწავლებლის აუცილებელი ფუნქციების მართვას, აღნიშნული მიდგომების კომბინირებული გამოყენება შესაძლებელს ხდის განათლების ხარისხის მენეჯმენტის შესაძლო შექმნის უზრუნველყოფასა და დანერგვას.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდების განხილვის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის სახით წარმოვადგინოთ მათი შედარებითი ანალიზი.



ISO 9000	TQM	SWOT
არ არის აუცილებელი კონცენტრაცია კონკრეტულ მომხმარებელზე	კონცენტრაცია კონკრეტულ მომხმარებელზე	კონცენტრაცია მიზანზე
არ არის ინტეგრირებული უმაღლესი სასწავლებლის კორპორაციულ სტრატეგიაში	ინტეგრირებულია უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიაში	მეთოდика, რომელიც იძლევა საბაზო (აუცილებელ) ინფორმაციას სტრატეგიის შემუშავებისთვის
ტექნიკურ სისტემებზე და პროცედურებზე კონცენტრაცია	კონცენტრაცია ფილოსოფიაზე, კონცეფციაზე, ინსტრუმენტებზე და მეთოდოლოგიაზე	კონცენტრაცია შესაძლო გარე საფრთხეებზე, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე
ყველა თანამშრომლის ჩართულობა საჭირო არ არის	ხაზს უსვამს ყველა თანამშრომლის ჩართულობას	სასურველია ყველა თანამშრომლის ჩართულობა
არ არის კონცენტრირებული უწყვეტ გაუმჯობესებაზე	უწყვეტი გაუმჯობესება და TQM სინონიმებია, TQM გვევლინება განათლების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესად.	მეთოდика, რომელიც მიმართულია უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის
ხარისხზე პასუხისმგებლობა უნდა იყოს განსაზღვრული და დოკუმენტურად გაფორმებული, მაგრამ ხშირად ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის განყოფილებებს, მაგ., განათლების ხარისხის განყოფილება	თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია განათლების ხარისხზე	თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია SWOT ანალიზის ხარისხზე
პასუხისმგებელ განყოფილებებზე შესაძლო კონცენტრაცია	ყველა განყოფილების, ფუნქციების ორგანიზება	არ არის შეზღუდვები
ეყრდნობა პროცესულ მიდგომას	პროცესული და სისტემური მიდგომები ურთიერთშეთავსებადია	მოქნილია, გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ ამბიციას

ცხრილი 2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდების შედარებითი ანალიზი

აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემა უნდა შემუშავდეს კომბინირებული მიდგომების ბაზაზე და უნდა შეიცავდეს ყველა მიდგომის დადებით მხარეებს. ამასთან, აუცილებელია გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომლებიც ეხება უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის მენეჯმენტის შიგა სისტემის არსებობისა და ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგიას შემოთავაზებული მოდელების ბაზაზე და მათ შესაძლებელ გამოყენებას უმაღლესი სასწავლებლების თვითშეფასებისა და საატესტაციო ექსპერტიზის დროს: უმაღლეს სასწავლებელში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კრიტერიუმების შეფასებების დასაშვები მნიშვნელობები უნდა დადგინდეს ექსპერტიზის გზით; აუცილებელია შემუშავდეს უმაღლესი სასწავლებლის თვითშეფასების (შეფასების) რეგლამენტირებული პროცედურა მოცემული მოდელის ბაზაზე; აუცილებელია შიგასაუნივერსიტეტო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებული მოდელისა და კრიტერიუმების ეფექტურობის ყოველმხრივი და ფართო განხილვა მათი თვითგამოკვლევის, ატესტაციისა და სახელმწიფო აკრედიტაციის პროცედურებში დანერგვამდე; ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დასამუშავებელი მოდელი და მისი არსებობისა და ეფექტურობის შეფასების პროცედურას უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი, როგორც უმაღლესი სასწავლებლისთვის, ასევე იმ ექსპერტებისთვისაც,

რომლებიც მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლის ატესტაციის პროცედურაში; ორგანიზაციაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დამუშავება და დანერგვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელს თავს მოვახვიოთ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ერთიანი მოდელი, თუმცა შესაძლებელია და საჭიროცაა მისი რეკომენდირება.

#### ლიტერატურა:

1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ. ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
2. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში. II ნაწილი უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში. ხულია გონზალესი; რობერტ ვაგენაარი. დეუსტოს უნივერსიტეტი; გრონიგენის უნივერსიტეტი, 2005.
3. ბერლინის კომუნიკე. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა. ბერლინი, 19 სექტემბერი, 2003.
4. თუნინგის მიდგომების გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. პროექტის ანგარიში. რედაქტორები: ლ. ბაქრაძე; თ. ჭანტურია, თბილისი, 2009.
5. ბოლონიის დეკლარაცია. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე. ბოლონია 19 ივნისი, 1999.
6. პრადის კომუნიკე. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე. პრადა 19 მაისი, 2001.
7. ა. სამადაშვილი; შ. ჯაფარიძე. განათლების ხარისხის მართვა. ხარისხის პრემიები, თბილისი, 2007.
8. [www.education.ge](http://www.education.ge)
9. [www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge)
10. [www.innova.ge](http://www.innova.ge)

#### რეზიუმე

ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ქმედებას, რომელიც გვაწვდის მტკიცებულებას, რომ პროდუქტისა და/ან მომსახურების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პირობები დაცულია. ყველა ეს პროცედურა უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს, რომ შექმნას ნდობა იმისა, რომ პროდუქტი თუ სერვისი ხარისხის მოცემულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს ხარისხის კონტროლს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის ფიზიკურ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს ამ მასალის, სტრუქტურის, კომპონენტისა თუ სისტემის შესაბამისობას წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფა მრავალ ეტაპს მოიცავს, იწყება რა დიზაინით და გრძელდება განვითარებით, წარმოებით, მოიცავს ასევე ინსტალაციას, მომსახურებასა და დოკუმენტაციის აღრიცხვას.

უმაღლეს სასწავლებელში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კრიტერიუმების შეფასებების დასაშვები მნიშვნელობები უნდა დადგინდეს ექსპერტიზის გზით; აუცილებელია შემუშავდეს უმაღლესი სასწავლებლის თვითშეფასების (შეფასების) რეგლამენტირებული პროცედურა მოცემული მოდელის ბაზაზე; აუცილებელია შიგნითი უნივერსიტეტო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებული მოდელისა და კრიტერიუმების ეფექტურობის ყოველმხრივი და ფართო განხილვა მათი თვითგამოკვლევის, ატესტაციისა და სახელმწიფო აკრედიტაციის პროცედურებში დანერგვამდე; ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დასამუშავებელი მოდელი და მისი არსებობისა და ეფექტურობის შეფასების პროცედურას უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი, როგორც უმაღლესი სასწავლებლისთვის, ასევე იმ ექსპერტებისთვისაც, რომლებიც მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლის ატესტაციის პროცედურაში; ორგანიზაციაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დამუშავება და დანერგვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელს თავს მოვახვიოთ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ერთიანი მოდელი, თუმცა შესაძლებელია და საჭიროცაა მისი რეკომენდირება.

## MAIN METHODS OF QUALITY ASSURANCE IN EDUCATION

Nino Orjonikidze, Professor  
Malkhaz Eliauri, Specialist by contract  
RESUME

Quality assurance is action providing with assertion that necessary conditions for effective implementation of products and/or services are maintained. All the mentioned procedures shall carry systematic feature in order to establish liable environment that quality of products or services meet given requirements.

Quality assurance includes quality control, which, in turn, involves activities related to physical characteristics of materials, structure, components and systems and assures relevance of the mentioned materials, structure, components and systems with requirements determined in advance. Correspondingly, quality assurance includes number of stages starting with designing and continuing with development, producing, it also includes installation, services and document registry.

Admissible values of assessment in quality management system at higher educational institutions should be established through experting; it is necessary to develop regulated procedure of self-evaluation (evaluation) on the basis of the given model; comprehensive and extended consideration of effectiveness of developed model and criteria of quality management system is necessary before their establishment in self-research, attestation and state accreditation; model of quality management system to be developed, as well as procedures of its existence and assessment of effectiveness should carry recommending nature for higher educational institutions and experts who participate in attestation procedures of higher educational institutions; development and establishment of quality management systems shall be voluntary in organisations, it is inadmissible to force higher educational institutions to establish unified system of quality management involuntarily, although it may be recommended.

### *ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები Exact and Natural Sciences*

#### სამცხე-ჯავახეთის ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეები

*ნელი გოგინაშვილი, პროფესორი  
რობერტ მაღლაკელიძე, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი  
გიორგი მაღლაკელიძე, მოწვეული სპეციალისტი*

სამცხე-ჯავახეთი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში და მოიცავს საქართველოს სამ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას: თორს, სამცხესა და ჯავახეთს. ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს, ასევე საქართველოს მხარეებს: ქვემო ქართლს, შიდა ქართლის იმერეთსა და გურიას. მისი ფართობი - 6413 ათასი კმ<sup>2</sup>-ია და საქართველოს 9.1% მოიცავს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განცალკევებული გეომორფოლოგიური წარმონაქმნია. მისი მცენარეულობა თავისებურია და გარკვეული ხარისხით კონტრასტული (სოსნოვსკი, 1933). ის წარმოადგენს ხმელთაშუაზღვიურ, ირან-თურქეთისა და ჩრდილო ნახევარსფეროს უძველესი ფლორებისათვის დამახასიათებელ გეოგრაფიული-გენეტიკური ელემენტების გზაჯვარედინს. ეს ლანდშაფტურ-გეობოტანიკური სარტყელი მოიცავს უნიკალურ ტბებსა და ჭაობებს, მთის სტეპების მთავარ მოდიფიკაციებს, მთის ქსეროფიტულ ბუჩქნარებს, მშრალ და მეზოფილურ მდელოებს და ტყის რელიქტურ ნაშთებს, რომლებიც ერთ დროს ჩვეულებრივად არსებობდა ჯავახეთის ზეგანზე (სოსნოვსკი, 1933; კეცხოველი, 1959).

სამხრეთ მთიანეთის რეგიონის ზეგანზე (პლატოზე) ლავური ნაკადებისა და ვულკანური კონუსებისაგან (პიკები) წარმოდგენილია ორი რელიეფური ფორმა. ვულკანოგენური და ოროგენული

პროცესები ემთხვეოდა გლაციალურს (პლიოცენ-პლეისტოცენი), რის შედეგადაც მოხდა მესამეული ფლორის დესტრუქცია (სოსნოვსკი, 1933).

თანამედროვე ფლორა განვითარდა, აგრეთვე, კომპლექსური პროცესების შედეგად. გამყინვარებას მოსდევდა ქსეროთერმული პროცესები, რომელთაც განაპირობეს მეზოფილური, ქსერომეზოფილური და ქსეროფიტული მდელოების წარმოქმნა. პარალელურად ვითარდებოდა ჭარბტენიანი მცენარეულობა. ისტორიული წყაროების თანახმად ჯავახეთში ტყეს ეკავა დიდი ტერიტორია (ტროიცი, 1927). ეს ტყეები თითქმის მთლიანად განადგურდა ადამიანის მიერ; ამჟამად შემორჩენილია მცირე ფრაგმენტებად.

სამცხე-ჯავახეთი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონია. მდიდარია ენდემური, იშვიათი და რელიქტური სახეობებით. არსებობს ენდემების სხვადასხვა დეფინიცია – არიალის სიდიდის მიხედვით. სამხრეთ საქართველოს ქსეროფიტული ბუჩქნარების ეკოსისტემებში წარმოდგენილი ენდემებისათვის შემუშავებულია შემდეგი დეფინიციები (ხინთიბიძე, 1990): ლოკალური ენდემები, მიკროარიალოფიტები (მაგ., თეთრობის პლატოს ენდემები), ენდემები: მესხეთის, მესხეთ-ქართლის, მესხეთ-ართვინის, ჯავახეთის, მცირე კავკასიონის, საქართველოს, კავკასიის, მცირე აზიისა და წინა აზიის. ქვემოთ წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ენდემური სახეობების საერთო ნუსხა. თეთრობის პლატოს ლოკალური ენდემებია: თეთრობის კრაზანა – *Hypericum thethrobicum* და კეცხოველის ფამფარულა – *Scorzonera ketzhoweli*, კოზლოვსკის ფამფარულა – *S.kozlovskiy*. თეთრობის პლატოზე მაღალი კონსერვაციული ღირებულება აქვს უძველეს ხმელთაშუაზღვიური აუზის თანასაზოგადოებას *Asphodeline taurica*-სა და *Stipa pulcherrima* შემცველობით, რომელიც აგრეთვე ყირიმისათვისაც არის დამახასიათებელი.

თეთრობის პლატოზე მოზარდი 6 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში (1982) და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში (2003). ესენია: ასფოდელი – *Asphodeline taurica*, თეთრობის კრაზანი – *Hypericum thethrobicum*, ჯავახეთი ფამფარულა – *Scorzonera dzhawakhetica*, კეცხოველის ფამფარულა – *Scorzonera ketzhoweli*, კოზლოვსკის ფამფარულა – *S.kozlovskiy* და ანხონიუმი – *Anchonium elichrysfolium*.

მესხეთის ენდემებია: ასტრაგალუსი – *Astragalus argilosus*, *A.aspindzicus*, *A. kozlovskiy*, *a. leonidae*, *A. meskheticus*, *A. roddeanus*, *A. vardziae* მაჩიტა – *Campanulla raddeana*, სოსნოვსკის პირთეთრა – *Cerastium sosnovskiy*, აწყურის მიხაკი – *Dianthus azkurensis*, მესხეთის ესპარცეტი – *Onobrychis meschetica*, პოდოსპერმუმი – *Podospermum idae*, სალბი – *Salvia compar*, მესხეთის ფამფარა – *Tragopogon meskheticus*.

მესხეთისა და ქართლის ენდემები: პირთეთრა – *Carastium argenteum*, კავკასიური ერისიმუმი – *Erysimum caucasicum*, კურდღლისცოცხა – *Genisita transcaucasicum*, ქართული მზეყვავილა – *Helianthemum georgicum*, იბერიული ქარაძენძი – *Nepeta iberica*, ქართლის ფსეფელუსი – *Psephellus carthalinicus*, კუზნეცოვის რემურია – *Reaumuria kuznetzovii*, ტრანსკავკასიის ჩუა – *Scrophularia diffusa*, სოსნოვსკის კლდისვაშლა – *Sempervivum sosnovskiy*, ბორჯომის ურცი – *Ziziphora berzhomica*.

მესხეთის და ართვინის ენდემები: ასტრაგალუსი – *Astragalus trychocalys*, აჭარის ნარი – *Cirsium adjaricum*, ხარაძის ყვავისფრჩხილა – *Coronilla xaradzeae*, ელიტრიგია – *Elytrigia sinuata* ტურკევიჩის კრიალოსანა – *Hodysarum turkeviczii*, ქართლის იურინეა – *iurinea carthaliniana*, მინუარცია – *Minuartia micrantha*, სოსნოვსკის ესპარცეტი – *Onobrychis sasnovskiy*, მესხეთის ფსეფელუსი – *Psephellus meskheticus*, ბეგეონდარა – *Thymus coiufolius* (= *T.sosnovskiy* Grossh.).

მესხეთის და ჯავახეთი ენდემი: ჯავახეთის ფამფარულა – *Scorzonera dzhawakhetica*.

ჯავახეთის ენდემები: თეთრობის კრაზანა – *Hypericum tethrobicum*, კეცხოველის ფამფარულა – *Scorzonera ketzhoweli*, კოზლოვსკის ფამფარულა – *S.kozlovskiy*.

მცირე კავკასიონის ენდემები: ირანული კურდღლის ბალახი – *Anthyllis irenae*, ასტრაგალუსი – *Astragalus gotschaicus*, სოსნოვსკის კვაპურა – *Bupleurum sosnovskiy*, გულისაშვილის ღიღილო – *Centaurea gulissaschvilii*, ტრანსკავკასიის ღიღილო – *Centaurea transcaucasica*, სომხეთის მახობელი – *Cephalaria armeniaca*, კავკასიური ნარი – *Cirsium caucasicum*, რძიანა – *Euphorbia armena*, ჯავახეთის ხმალა – *Gladiolus dzavakheticus*, სტევენის წინწკალა – *Gypsophila stevenii*, შირვანის სელიჭა – *Linaria schirvanica*, აკინფიევის მინუარცია – *Minuartia akinfiievii*, არომატული ანისული – *Pimpinella aromatica*, ფსეფელუსი – *Psephellus dealbatus*, ქართული ბერყენა – *Pyrus georgica*, ფამფარა – *Tragopogon serotinus*, ცერცველა – *Vicia akhmaganica*, etc.

კავკასიის ენდემები: კლდის ხახვი – *Allium kunthianum*, ბიბერმტანის შვრიელა – *Bromopsis biebersteinii*, კავკასიური ტყის ცოცხი – *Cytisus caucasicus*, ალექსეენკოს ჩიტისთავა – *Gagea*



*alexenkoana*, ქანას ჩიტისთავა – *C.chanae*, კრიალოსანა – *Hedysarum sericeum*, კლდისვაშლა – *Sempervivum pumilum*, თავყვითელა – *Senecio massagetovii*.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში გვხვდება უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს უძველესი რელიქტები: ნიტრარია – *Nitraria schoberi* და კუზნეცოვის რემურია – *Reaumuria kuznetzovii*.

სუბალპურ და ალპურ ზონაშიც მრავალი ენდემი გვხვდება, მათ შორის, საქართველოს შემდეგი ენდემები: ფარსმანდუკი – *Achemilla adelodictya*, *A. aurata*, *A. bakurianica*, *A. erectilis*, *a. grandidens*, *A.hypotracha*, *A.indurata*, *A.microdictya*, *A.pasacualis*, *A.punotracha*, სოსნოვსკის პირთეთრა – *Carastium sosnowskyi*, დეზურა – *Delphinium tamarae*, გროსჰაიმის ეუფრაზია – *Euphrasia grossheimii*, სოსნოვსკის ეუფრაზია – *E.sosnowskyi*, ქემულარიას ესპარცეტი – *Onobrychis kemuariae*, ქართული მედგარი – *Pulsatilla georgica*, etc.

კავკასიის ენდემების რიცხვი აქ მართლაც დიდია: ეშმაკის ქოში – *Aconitum nasutum*, ტკაცუნა – *Androsace raddeana*, კავკასიის წყალისკრეფია – *Aquilegia caucasica*, სტევენის არენარია – *Arenaria steveniana*, სკიპალო – *Cephalaria gigantea*, ღიმი – *Chaerophyllum humile*, მიხაკი – *Dianthus subulosus*, კავკასიური მარწყვბალახი – *Potentilla caucasica*, გულფოთოლა ფურუსულა – *Primula cordifolia P. ruprechtii*, მედგარი – *Pulstilla violacea*, ცისთვალა – *Scilla rosenii*, სტელარია – *Steliaria ancaloides*, ლამქარა, თუეკრიუმი, გროსჰაიმის ცერცველა – *vicia grossheimii* და სხვ.

კლდე-ნაშალების მცენარეულობა განსაკუთრებით მდიდარია ენდემური სახეობებით: ასტრაგალუსი – *Astragalus raddeanus*, მაჩიტა – *Campanula raddeana*, აწყურის მიხაკი – *Dianthus azkurensis*, სალბი – *Salvia compar*, სკროფულარია – *Scrophulariadiffusa*, სოსნოვსკის კლდისვაშლა – *Sempervivum sosnovskyi*, თავყვითელა – *Senecio massagetovii* და სხვ.

რელიქტური სახეობები: მაჩიტა – *Campanula crispera*, ღილილო – *Centaurea bella*, შოვიცის ერესიმუმი – *Erysimum sowitzianum*, ქართლის იურინეა – *Jurinea carthaliniana*, ლიბანის ბოსტნის ია – *Veronica livanensis* და სხვ. გვხვდება კლდიან ადგილებში აწყურსა და ბორჯომს შორის მდინარე მტკვრის გასწვრივ.

სამცხე-ჯავახეთში ჭარბტენიანი ტერიტორიის შემადგენლობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ლოკალურად გავრცელებული სახეობა ისლი – (*Carex wiluica*), რომელიც გვხვდება მდ. ქციის სათავეებში, ნარიანის ველზე, ტაბაწყურის მიდამოებში, მეზობელ მთებზე და ქმნის ორგინალურ ცენოზებს. აქვე გვხვდება ბუმბოსანას – *Urticularia minor* და წყლის სამყურას – *Manyanthes trifoliata* იშვიათი ცენოზები.

სამი იშვიათი ლოკალურად გავრცელებული სახეობა: შროშანა – *Lilium kesselringianum*, ჯავახეთის ხმალა – *Gladiolus dzavakheticus* და მესხეთის ესპარცეტი – *Onobrychis mesghetica*, გვხვდება ტაბაწყურის ტბის სამხრეთ ნაპირზე. გარდა ამისა, აქვე, ტბის მიდამოებში გვხვდება კავკასიის რამდენიმე ენდემური სახეობა: ტკაცუნა – *Androsace roddeana*, ალექსეენკოს ბუჩქისძირა *Corydalis alexenkoana*, გროსჰაიმის ქარაძენდი – *Nepeta grossheimii*, ტყის ცერცვალა – *Orobus ciliatidentatus*, წიწინაური – *Polugala mariamae*, მედგარი – *Pulsatilla violacea*, გროსჰაიმის ცერცვალა – *Vicia grossheimii*.

მესხეთის დეპრესიაში აგრეთვე გვხვდება მერქნიანი მცენარეების ენდემური და რელიქტური სახეობები, როგორცაა ქართული ბერყენა – *Pyrus georgica*, ჭანჭყატი – *Euonymus leiophloea*, უხრაკი – *Ostrya carpinifolia*, ცირცელი – *Sorbus caucasigena*, რომლებსაც დაცვის განსაკუთრებული ზომები სჭირდება.

სივრცე სოფ. წნისსა და საქართველო-თურქეთის საზღვარს შორის (900-1400 მ) ხასიათდება მაღალი ენდემიზმით.

ახალციხის (მესხეთის) დეპრესიის ფარგლებში, გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდინარე ძინძეს სათავეში ვულკანური წყება შეიცავს განამარხებულ ფლორას („გოდერძის ფლორა“), რომელშიც წარმოდგენილია მესამეული პერიოდის ტროპიკული ტყეების კომპონენტები – პალმები, მაგნოლიები და სხვა, რომელთა განამარხება მოხდა ვულკანურ ფერფლში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საქართველოს წითელ წიგნში (1982) და წითელ ნუსხაში (2003) შეტანილი 19 სახეობა არის გავრცელებული: ანხონიუმი – *Anchonium elichrysifolium*, ასფოდელი – *Aspodeline taurica*, ასტრაგალუსი – *Astragalus curi*, მაჩიტა – *Campanula crispera*, ბუჩქისძირა – *Corudalis erdelii*, კეცხოველის მიხაკი – *Dianthus ketzhowelii*, ჯავახეთის ხმალა – *Gladiolus dzavakheticus*, ქაცვი – *Hippophae rhamnoides*, თეთრობის კრაზანა – *Hypericum thethrobicum*, კაკალი – *Juglans regia*, უხრაკი – *Ostrya carpinifolia*, ყაყაჩო – *Papaver bracteatum*, მაღალმთის მუხა – *Quercus macranthera*, ჯავახეთის ფამფარულა – *Scorzonera dzhawakhetica*, კეცხოველის ფამფარულა – *S.ketzkgowelii*, კოზლოვსკის

ვამფარულა - *S. kozlowskyi*, თავყვიტელა - *Senecio massagetovii*, ხარისშუბლა - *S. rhombifolius*, მესხეთის ვამფარა - *Tragopogon meskheticus*.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გავრცელებული მცენარეებიდან 44 სახეობა არის შეტანილი საქართველოს იშვიათ მცენარეთა სიაში (კეცხოველი, 1977): მაღალმთის ბოკვი - *Acer trautvetteri*, ყვავტყემალი - *Amelanchier rotundifolia*, ასტრაგალუსი - *Astragalus argillosus A.lenidae*, *A. meskheticus A. trichocalyx*, შმაგა - *Atropa caucasica*, სოსნოვსკის ქვაპურა - *Bupleurum sosnovskyi*, აჭარის ღიღილო - *Centaurea adjarica*, სოსნოვსკის პირთეთრა - *Cerastium sosnovskyi*, ცერათოიდესი - *Ceratoides papposa*, კავკასიური კუნელი - *Crataegus caucasica*, კნაპა - *C. orientalis*, გუგულის კაბა - *Dactylorhiza euxina*, *D.unvilleana*, ფუტკარა - *Digitalis ferruginea*, ფმატი - *Elaeagnus angustifolia*, ჯორისძუა - *Ephedra procera*, ღვინა - *Fritillaria latifolia*, ხახვისთავა - *Grossheimia macrocephala*, გიმანდენია - *Gymnadenia conopsea* ვილჰელმსის დიყი - *Heracleum wilhelmsii*, ქართლის იურინეია - *Iurinea carthaliniana*, ცხრატყავა - *Lonicera iberica*, წყლის სამყურა - *Menyanthes trifoliata*, ჩიტბუდა - *Neottia nidus-avis*, მესხეთის ესპარცეტი - *Onobrychis meskhetica*, ჯადვარი - *Orchis coriophora*, სტევენის ჰეონი - *Paeonia steveniana*, მესხეთის ფსევდელუსი - *Psephellus meskheticus*, ქართული მედგარი - *Pulsatilla georgica*, მედგარი - *Pulsatilla violacea*, პანტა - *Pyrus caucasica*, ბერყენა - *Purus salicifolia*, შავი ასკილი - *Rosa spinosissima*, ფოლიო - *Scabiosa columbaria*, სობოლევსკია - *Sobolevskia clavata*, ცირცელი - *Sorbus caucasigena*, ვაციწვერა - *Stipa stenophylla*, ცაცხვი - *tilia begoniifolia*, ვამფარა - *Trogopogon marginatus*, სასტვირია - *Valeriana aliariifolia*, კატაბალახა - *Valeriana officinalis*.

რეგიონში გვხვდება ბევრი ველური სახეობა მცენარეების, რომელთაც ადამიანი იყენებს ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში, საკვებად, ფურაჟის, საწვავის, ხე-მასალის, სამოვრის და ა.შ. სხვ. სახით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გვხვდება IUCN-ის წითელ ნუსხაში (2004) შეტანილი მხოლოდ ორი მცენარე: თეთრყვავილა - *Galanthus alpinus*, და ტიგრანის დიდგულა - *Sambucus tigranii*. პირველი მათგანი გამოიყენება, როგორც სამკურნალო მცენარე. მეორე – ძალზე იშვიათია, ნანახია ასპინძის რაიონში.

მცენარეთა რამდენიმე სახეობა შეტანილია CITES-ის ნუსხაში (ბიწამე, რუხამე, 2001): თეთრყვავილა - *Galanthus alpinus* (= *G. caucasicus*), ყოჩივარდა - *Cuclamen coum subsp caucasicum*., უთხოვარი - *Taxsus baccata*, ჯადვარისებრთა ოჯახის წარმომადგენლები - ანკამპტისი - *Anacamptis pyramidalis*, ცეფალანთერა - *Cephalanthera damasonium*, *C.longifoliua C. rubra*, ცელოგლოსუმი - *Celoglossium viride*, კოლაროლიზა - *Corallorhiza trifida*, გუგულის კაბა - *Dactylorhiza amblyoloba*, *D.armeniaca*, *D. euxinna*, *D. romana subps. georgica*, *Durvileana*, ეპიპაქტისი - *Epipactis helleborine*, *E.persica*, *E.microphulla*, ტყის მრავალმარღვა - *Goodyera repens*, გიმნადენია - *Gymnadenia conopsea*, ჩიტბუდა - , *Neottia nidus avi* ჯადვარი - *Orchis coriophora*, *O. mascula subsp.longicalcrata*, *O.militaris subsp.stevenii*, *O.morio subsp. caucasica*, *O. pallens*, *O. palustris subsp.pseudolaxiflora*, *O. ustulata*. ორფოთოლა - *Platanierhabifolia*, *P. montana*, ტრაუნშტაინერა - *Traunshteinera sphaerica*.

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთი მდიდარია ენდემური, იშვიათი და რელიქტური სახეობებით და იგი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონია.

#### ლიტერატურა:

1. Долуханов А., Растительность Грузии, т. 1. Мецниერება, 1989.
2. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.
3. Хинтибидзе Л., Ксерофильные флористические комплексы Южной Грузии // Автореф. дис.д-ра биол. наук. Тбилиси, 1990.
4. Kikodze D., Environmental baseline BTC/SCP Pipeline Project ESIA. Dzelkva Ltd., 2002.
5. Мукбаниანი М., Флористический состав лесов Месхети: Автореф. Тбилиси, 1976.
6. Нахуцришвили Ш., Основные черты растительного покрова южного нагорья Грузии. В книге «Растительный покров высокогорий и его хозяйственное использование. Т. 2. 1966.
7. Nakhutsrishvili G., The vegetation of Georgia (Caucasus). Braun-Blanquetia 15:1-74, Camerino, Italy, 1999.
8. Сосновский Д., К вопросу о флористическом характере Джавахетии, 1933.
9. საქართველოს წითელი წიგნი, 1982.
10. Takhtajian A., Floristic regions of the world, Univ. Caif. Pres. Berkley, 1986.
11. Троицкий Н., Остатки лесов в Ахалкалакском уезде, Тифлис, 1927
12. წითელი ნუსხა, 2004.

## რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეული სახეობების საერთო ნუსხა და რეგიონში მათი გავრცელების თავისებურებები.

### ENDEMIC, RARE AND RELICT PLANTS OF SAMTSKHE-JAVAKHETI

Neli Goginashvili, Professor

Robert Maghlakelidze, Specialist by contract, Doctor

Giorgi Maghlakelidze, Specialist by contract

### RESUME

The list of endemic, rare and relict plant species, which are spread in Samtskhe-Javakheti region, is presented in this article.

## ქართველი სპორტსმენები ევროპის 2015 წლის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე

*ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი*

ოლიმპიური თამაშები ერთ-ერთი უპირველესი და გამორჩეული მოვლენაა, ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშები საწყისს იღებს უძველესი პერიოდიდან საბერძნეთში. თანამედროვე ზაფხულის მსოფლიო ოლიმპიური თამაშები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ 1896 წლიდან.

რაც შეეხება ევროპის კონტინენტზე ოლიმპიური თამაშების ჩატარებას, ეს საკითხი რამდენიმე ათეული წლების მანძილზე იდგა დღის წესრიგში.

ევროპის ქვეყნების ეროვნული კომიტეტების მოთხოვნით და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების ჩატარებამდე ერთ წლით ადრე ჩატარდეს ევროპის კონტინენტის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

2015 წლის ევროპის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მასპინძლობის საპატიო მისია წილად ხვდა აზერბაიჯანის დედაქალაქს, ბაქოს.

2015 წლის 13 ივნისიდან 28 ივნისამდე ბაქოში ჩატარდა ევროპის პირველი ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო სპორტის 20 სახეობის 31 დისციპლინა.

საქართველოს 105 სპორტსმენი მონაწილეობდა სპორტის 13 სახეობის 17 დისციპლინაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, ეროვნულმა კომიტეტმა, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ყველაფერი გააკეთა მოსამზადებელ პერიოდში ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების ღირსეული გამოსვლისთვის.

2015 წელს ბაქოში ჩატარებულ ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ევროპის კონტინენტის 50 ქვეყნის 5992 სპორტსმენი. უნდა აღინიშნოს, რომ თამაშები ორგანიზაციული თვალსაზრისით ჩატარდა ორგანიზებულად და სპორტის ყველა სახეობაში შედეგები გამოირჩეოდა მაღალი დონით.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა ბაქოს პირველ ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე 2 - ოქროს, 6 - ვერცხლის და 8 - ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საერთო ჩათვლაში კი ქართველმა სპორტსმენებმა 21-ე ადგილი მოიპოვეს.

გარკვეული წლების შემდეგ საქართველოში გამოჩნდა ნიჭიერი ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა, რომელიც ოთხ იარაღზე ფინალში გავიდა, ყველაზე შედეგიანად კი ლენტით „იცეკვა“ და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. მან ქართულ ფოლკლორზე აგებული გამოსვლა შესთავაზა დარბაზს და დიდი ეფექტი მოახდინა მასზე. როგორც კი იწყებდა ნომერს, დარბაზი მყისვე ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა



და ცეკვითაც აყოლებდნენ რიტმს. სალომე ფადავას მიერ ბრინჯაოს მედლის მოპოვება დადებითად უნდა შეფასდეს და, იმედია, კვლავ წარმატებით გააგრძელებს სპორტულ კარიერას.

მშვილდოსნებისაგან მედალს არავინ ელოდა, არადა ამ ისტორიულ თამაშებზე პირველი მედალი მათ მოიპოვეს. შერეულ წყვილებში ხათუნა ნარიმანიძე და ლაშა ფხაკაძე ფინალში გავიდნენ, სადაც იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონებს შეხვდნენ და მცირე უპირატესობით წააგეს მათ მიერ მოპოვებული ვერცხლის მედალი დიდ მიღწევით უნდა ჩაითვალოს.

სპორტის ქართველი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლას. შეიძლება ითქვას, რომ მათ კარგად იასპარეზეს, მაგრამ უმნიშვნელო გადაცდომები რომ არა, შეიძლება მათ მიერ მოპოვებული 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლებს დამატებოდა 2 ოქროს ან ვერცხლის მედალი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ბექა ლომთაძემ და ელიზბარ ოდიკაძემ. ბრინჯაოს მედალოსნები კი გახდნენ ჯუმბერ ყველაშვილი, სანდრო ამინაშვილი და გენო პეტრიაშვილი. ქართული სპორტის თავყვანისმცემლებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ გმირობის ტოლფასი იყო ბექა ლომთაძისა და სანდრო ამინაშვილის მიერ მოპოვებული მედლები, რომლებმაც შეჯიბრების პროცესში მიღებული მძიმე ტრავმების მიღების შემდეგ, გუნდის ექიმის ზურაბ კახაბრიშვილის დახმარებით, ბოლო წამებამდე იბრძოლეს თავდადებით.

სამბისტებმა - ვახტანგ ჩიდრაშვილმა, კახა მამულაშვილმა და დავით კარბელაშვილმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. აღსანიშნავია, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსის სტუდენტმა დავით კარბელაშვილმა სერიოზული ტრავმის მიუხედავად ბრინჯაოს მედალი შესძინა საქართველოს სპორტულ დელეგაციას.

შეჯიბრების ბოლო დღეებში ჩაებნენ ასპარეზობაში ძიუდოსტები, სწორედ მათ შესძინეს საქართველოს წარგზავნილებს პირველი ოქროს მედლები.

ოქროს მედალი მოიპოვა ევროპის სამეზოს და მსოფლიოს ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა.

ლომივით იბრძოდა მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი, რომელმაც ფინალში შებოჭვით მიაღწერს მხარეები ორ სასონი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ნუგზარ ტატალაშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ამირან პაპინაშვილმა.

ქების ღირსია ძიუდოსტთა ნაკრები გუნდი, რომლებმაც თამაშებზე გუნდურ პირველობაზე მეორე ადგილი მოიპოვეს.

ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელიც სპორტის ისტორიის კუთვნილება გახდა, საქართველოს სპორტსმენთა ასპარეზობას სათანადო ანალიზი გაუკეთეს სპორტის სამინისტრომ და სპორტის ეროვნულმა ფერედაციებმა. მათ საბოლოო დასკვნებში, ლაპარაკი არის ზოგიერთ ნაკლოვან მხარეებზე, როგორც მოსამზადებელ პერიოდში, აგრეთვე შეჯიბრების პროცესში. კერძოდ, მომავალში ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ფსიქოლოგიურ მომზადებას.

## ლიტერატურა:

1. [www.msy.gov.ge](http://www.msy.gov.ge)


## ფოტომასალა:

ოქროსმედალოსანი ძიუდოსტები

ავთანდილ ჭრიკიშვილი



ადამ ოქრუაშვილი





ვერცხლისმედალოსანი მძლეოსნები - ხათუნა ნარიმანიძე და ლაშა ფხალაძე



ბრინჯაოსმედალოსანი მხატვრული ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა



## რეზიუმე

ნაშრომი „ქართველი სპორტსმენები ბაქოს 2015 წლის ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე“ ავტორის მიერ გადმოცემულია ქართველ სპორტსმენტა მიღწევები. გარდა ამისა, გაანალიზებულია ზოგიერთ სპორტის სახეობაში წარუმატებლობის შედეგები და დასახულია მათი გამოსწორების გზები.

ნაშრომში მოცემული მასალები დახმარებას გაუწევს ქართული სპორტის ისტორიით დაინტერესებულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

## GEORGIAN SPORTSMEN ON FIRST 2015 EUROPEAN OLYMPIC GAMES

Aleksandre Iashvili, Professor

### RESUME

Georgian sportsmen's achievements are given in the paper - Georgian Sportsmen Georgian Sportsmen on first 2015 European Olympic games. In addition, some of the failures and the ways of their improvement in some kinds of sport are analyzed here.

The materials given in the paper will also help those who are interested in the history of Georgian sport.

## АДАПТАЦИОННО РАЗВИВАЮЩАЯ ФИЗИЧЕСКАЯ ПОДГОТОВКА

*Мариам Убирия, приглашенный специалист, доктор медицины  
Георгий Мдзинарашвили, ассоциированный профессор*

Способность человека к самостоятельному решению двигательных задач зависит не только от физической подготовленности, но и от эмоциональной и психической устойчивости [2, 4, 7, 8]. Исследования [3, 6, 8] показали, что в процессе активного овладения субъектом новыми двигательными навыками и умениями лежит желание или необходимость у индивидуума освоить их для себя. Направленное психическое воздействие превращает объективный стимул (мотив) в субъективный [5, 6]. В 1973 г. П.К. Анохин выдвинул учение о «функциональной системе» как о физиологической основе поведенческого акта, в котором основными компонентами являются: мотивация, обстановочная и пусковая афферентация, память. Сочетание высокого уровня потребности в достижении цели с высоким интеллектом наблюдается только при значительном уровне адаптационно развивающей физической подготовленности [1, 2, 7, 8].


Одна из сторон спортивной теории и практики рассматривается как физическая подготовка, включающая в себе комплекс физических упражнений, направленных на развитие физических качеств, координационных способностей (относительно конкретного вида спорта), на достижение определенного уровня психологической подготовленности. Однако двигательная деятельность человека более разнообразна, чем конкретный вид спорта, и более специфична, чем сумма всех двигательных возможностей индивидуума. Поэтому нами предлагается система совершенствования функциональных возможностей человека через адаптационно развивающую физическую подготовку [1, 8], которая предусматривает формирование механизма взаимодействия умственных и физических возможностей человека.

Концептуальной основой адаптационно развивающей физической подготовки явилось наличие фундаментальных сведений о человеке [1, 2, 3] как о самоуправляемой, самоорганизующейся и самообучающейся системе [2, 4, 5, 7], активно использующей в своей адаптационной деятельности способность к саморазвитию [3, 6, 8]. Усложнение внешней обстановки, сенсорная перегрузка, выключение или ограничение поля зрения, эмоциональное перенапряжение не только способствует эффективному проявлению и развитию физических качеств, но и активизирует деятельность коры больших полушарий и подкорковых центров головного мозга.

Согласно концепции Н.А. Бернштейна [4] многократное повторение стандартных ситуаций ограничивает возможности текущей коррекции движений, формируя динамически устойчивое движение. Однако увеличение числа степеней свободы самоуправляемых систем через повышение уровня адаптационно развивающей физической подготовки расширяет количество путей в достижении единственно правильной цели [8].

Педагогическое наблюдение за школьниками подтвердило ранее установленный факт: фундамент двигательных действий («кванты» и алгоритмы движений), заложенных впервые годы жизни ребенка и доведенных до автоматизма, является основой банка двигательной памяти. По мере созревания мозга и укрепления с ним связей анализаторов взрослеющий человек произвольно или непроизвольно «складывает» кванты движений в двигательные алгоритмы с дальнейшим их «объединением» в целостные движения. В подростковом и юношеском возрасте, когда происходит овладение приемами самозащиты и навыками будущей профессии, продолжают использоваться элементы сенсорных перегрузок. Повышаются сила и скорость сопротивления условного противника; движения выполняются из непредсказуемых исходных положений; используются специфические средства, требующие быстрой смены ритма внутри целостного двигательного цикла [1, 3, 4, 8]. Введение средств и методов с элементами неопределенности, связанных с недостатком времени на принятие решения и выполнение необходимого действия [1, 2, 8], вызывает значительную эмоциональную напряженность [1, 2, 5, 6].

На графике представлен один из вариантов использования специфических средств и методов физического воспитания в виде сюжетно-модельно-ролевых игр как части адаптационно развивающей физической подготовки.



**График распределения специальных средств и методов в адаптивно развивающей физической подготовке:** 1. Вариативные физические упражнения. 2. Усложнение внешней обстановки. 3. Сопряженное воздействие. 4. Сенсорная перегрузка. 5. Сопротивление условного противника. 6. Усложненное исходное положение. 7. Сокращение отрезков времени во внутренней структуре двигательного действия. 8. Ограничение или расширение жизненного или двигательного пространства. 9. Выключение или ограничение поля зрения. 10. Максимально-эмоциональное напряжение. 11. Выполнение действий в моделируемых экстремальных условиях. 12. Максимальная быстрота и точность выполнения действий.

Данный раздел физического воспитания включает три взаимосвязанных этапа (А, В, С), со следующими возрастными группами: А – с 6 до 13 лет; В – с 13 до 16 лет; С – с 16 до 22 лет.

Педагогический эксперимент, проведенный со школьниками и студентами, показал, что использование адаптивно развивающей физической подготовки положительно отразилось на уровне функциональной подготовленности испытуемых. У детей младшего и среднего школьного возраста и студентов он увеличился соответственно на 45; 36,6 и 33,3%.

Регулярные занятия адаптивно развивающей физической подготовкой позволили сформировать у подрастающей личности необходимый объем двигательной памяти, который мог наиболее эффективно использоваться в экстремальной ситуации.

**Выводы.** Для подготовки двигательного аппарата человека к встрече с экстремальными или быстро меняющимися условиями внешней среды, с элементами неопределенности, предлагается в существующую систему физического воспитания ввести раздел специальной адаптивно развивающей физической подготовки в форме сюжетно-модельно-ролевых игр с регулируемым психоэмоциональным воздействием и специальными упражнениями с элементами неопределенности.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Анохин П.К., Принципиальные вопросы общей теории функциональных систем. Принципы системной организации функций. - М.: Наука, 1973, с. 3-60.
2. Бальсевич В.К. Онтокинезиология человека. – М.: Теория и практика физической культуры, 2000. – 275 с.
3. Бернштейн Н.А., Очерки по физиологии движений и физиологии активности. – М.: Медицина, 1966. – 349 с.
4. Ивойлов А.В. Средства и методы обеспечения функциональной устойчивости точностных движений в спортивной деятельности: Автореф. докт. дис., 1987. – 38 с.
5. Лубышева Л.И. Социология физической культуры и спорта. – М.: Академия, 2001. -240 с.
6. Матвеев Л.П. Теория и методика физической культуры. – М.: ФиС, 1991. -543 с.
7. Попов В.А., Основы адаптации двигательной системы человека к изменяющимся условиям внешней среды. – Великие Луки: ВЛГИФК, 2000. – 220 с.
8. Шамардин А.И и др. Адаптивно развивающая физическая подготовка в семье. – Волгоград: ВГАФК, 1999. – 191 с.

**ადაპტაციურად განვითარებადი ფიზიკური მომზადების შესახებ  
მარიამ უბირია, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი  
გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია ჩატარებული კვლევების შედეგები და დასკვნა იმის შესახებ, თუ რა დადებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მამოძრავებელი აპარატის დროულ მომზადებას ექსტრემალურ სიტუაციების და გარემო პირობების უეცარ ცვლებადობის დროს. ადაპტაციურად განვითარებადი ფიზიკური მომზადების რეგულარული გაკვეთილები საშუალებას აძლევს მომავალ თაობას განუვითაროს და ჩამოუყალიბოს მოძრაობების მახსოვრობის საჭირო დონე, რაც ეფექტურად გამოიყენებული იქნება ექსტრემალურ სიტუაციის დროს.

**ADAPTIVE AND DEVELOPING PHYSICAL TRAINING  
Mariam Ubiria, Specialist by contract, Doctor  
Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor  
RESUME**

The author offers to enter the section of special adaptive-developing physical training in the form of subjective-model-role games with the adjustable psychoemotional influence and special exercises with the elements of uncertainty into existing system of physical education. It is submitted for the training of the motor apparatus of a human being for extreme or varying conditions of environment.

**ბიზნესი და მართვა  
*Business and Management***

**„დიდი აბრეშუმის გზა“ და ღვინის ტურიზმი საქართველოში**

*მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

კაცობრიობის ისტორიის მრავალფეროვნება, მისი განვითარება განპირობებულია კულტურათა მრავალფეროვნებით, ზოგჯერ დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრებისა და შეხედულებების არსებობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კულტურათა დიალოგის აუცილებლობას. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს „დიდი აბრეშუმის გზის“ ქვეყნების ისტორიული წარსული, როდესაც სხვადასხვა სარწმუნოებისა, კულტურის, წეს-ჩვეულებების მქონე ხალხები ერთმანეთთან ურთიერთობდნენ ხელსაყრელი ეკონომიკური თუ კულტურული კავშირებით. სწორედ „დიდი აბრეშუმის გზაზე“ არსებული კულტურული მემკვიდრეობის დანატოვარის გაცნობა დავისახეთ მიზნად თემატური ტურიზმის, კერძოდ, ღვინის ტურიზმის განხილვისას.

დღესდღეობით, XXI საუკუნის დასაწყისში, ეს ერთხანს მივიწყებული მარშრუტი კვლავ უდიდეს მნიშვნელობას იძენს, რათა მისი მდიდარი ისტორიულ-კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნას ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახლებური, ოპტიმალური ფორმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, გაიმართოს კულტურათა დიალოგი, რომელიც უფრო დააკავშირებს კულტურებსა და ცივილიზაციებს და უთუოდ ჰარმონიულს გახდის სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა ურთიერთგამდიდრების, მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს.



ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დღევანდელი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით საქართველოს საშუალება ეძლევა სრულად გამოავლინოს ქართველ ერში დაგროვილი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი, ახლებურად წარმოაჩინოს მსოფლიოში ქართული ფენომენი. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და სხვა დარგებში.

ამერიკელმა პროფესორმა მაკგოვერნმა (Mc.Govern, 2003), ქართული ეროვნული საგანძურის გამოფენის კატალოგში ჩაწერა: „საქართველო ღვინის სამშობლოა, გვიანი ქვის ხანის, ნეოლითის მონაცემების მიხედვით, კაცობრიობის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღვინის კულტურა სწორედ საქართველოდან მკვიდრდება. შულავერში აღმოჩენილი უძველესი მომინაურებული ყურძნის წიპწები, რომლებიც ჩვ.წ-მდე 7000-6000 წლებით თარიღდება, ადასტურებს, რომ იმ დროისთვის მტკვრის ხეობაში, სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში უკვე არსებობდა კარგად განვითარებული მეღვინეობის კულტურა“.

ქართული ღვინის წარმოებას ზურგს ათასწლეულები უმაგრებს, მეტიც, სამეცნიერო წრეებში სულ უფრო და უფრო ტრიალებს ვერსია რომ ღვინის სამშობლო სწორედ საქართველოა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მსოფლიოში ღვინის აღმნიშვნელ საერთაშორისო სიტყვას ქართულ ეტიმოლოგიას უკავშირებს. საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად კერადაა აღიარებული, რაც მრავალი, როგორც სამამულო ასევე უცხოელი მკვლევარების არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ სხვა წყაროებით კიდევ ერთხელ დასტურდება. კერძოდ: გათხრებისას აღმოჩენილია კულტურული ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წიპწები, რომლებიც ჩვენს ერამდე 6-5 ათასი წლის წინ თარიღდება. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო ძველისძველი მარანი, რთული მოწყობილობით, ღვინის შესანახად გამოყენებული უზარმაზარი თიხის ქვევრი, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ.ად. I ათასწლეული). გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონს მახლობლად (ბაგინეთში), სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ.ად. IV-III ათასწლეულით. ბორჯომში ნაპოვნია 11, ვარძიაში კი 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი.

აღსანიშნავია, რომ კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და სადაურობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა ცნობილი მეცნიერი ა. ვავილოვი, რომელმაც საბჭოთა ექსპედიციასთან ერთად მოიარა 60-მდე ქვეყანა. მის მიერ მოცემული მასალებიდან ირკვევა, რომ „ვაზის კულტურა თავის დასაბამს იღებს ერთადერთი ცენტრიდან ე.წ. მცირე აზიური კერიდან“. ამ სტრიქონების ავტორი წინააზიურ კერაში უმთავრესად გულისხმობს ამიერკავკასიას, განსაკუთრებით კი საქართველოს. ამავე აზრს იზიარებენ სხვა აღიარებული ისტორიკოსები, რომელთა აზრით „კავკასიაში ვაზი არ ყოფილა სხვა ქვეყნებიდან შეტანილი, არამედ იზრდებოდა ბუნებრივ პირობებში უხსოვარი დროიდან“. სწორედ, რომ კავკასიიდან გავრცელდა ჯერ იტალიაში და შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში და აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთში (კვარაცხელია, 2010).

უძველესი დროიდან ღვინო ითვლებოდა ღმერთებისგან ბოძებულ საჩუქრად. ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებული ქვეყნების მითოლოგიაში აღწერილია როგორ იყენებდნენ ძველი ექიმები „ღმერთების საჩუქარს“ ფარმაკოლოგიაში, კერძოდ, ავადმყოფობის შემდგომ პერიოდში ძალის აღსადგენად. თანამედროვე მედიცინაც ცნობს ღვინის სამკურნალო თვისებებს, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში.

მსოფლიოში ღვინის ახალ სამყაროს გამოყოფენ ძველი ღვინის სამყაროსაგან. ჩვენ ძველს მივეკუთვნებით და სწორედ ამ ძველ სამყაროში გვაქვს გარკვეული როლი. ჩვენი ღვინის ტურიზმი განსხვავდება მათი ღვინის ტურიზმისაგან.

არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი. ეს განცვიფრება იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში. ვაზმა და ღვინომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართული ერისათვის იგი მისი კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ვაზის სამშობლოში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის საკმარისი რესურსი არსებობს. ამის საფუძველს საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გვაძლევს. რაც მთავარია ღვინის უნიკალური ჯიშების არსებობა ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის შესანიშნავ საფუძველს ქმნის, მსოფლიოში ცნობილი 2000

ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. საქართველოს შეუძლია სასიკეთოდ გამოიყენოს ყურძნის უნიკალური ჯიშების სახით არსებული რესურსი.

ქართული მევენახეობის მწვერვალი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იყო. ქართული მეღვინეობის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელიც ფლობდა თელიანის მამულს. სწორედ იქ დაიწყო ადგილობრივი, სხვადასხვა სახის ღვინოების (რქაწითელი, მწვანე, საფერავი) დამზადება. ალექსანდრე ჭავჭავაძემ ღვინის დაყენების ევროპული ტექნოლოგიის შემოტანით განაახლა საქართველოში ათასწლეულებით დამკვიდრებული ღვინის წარმოების ტრადიცია. გააუმჯობესა კახური ღვინის ხარისხი, შამპანური ღვინოებისა და კონიაკის დასამზადებლად დანერგა და განავითარა ორიგინალური ტექნოლოგიები. ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო პირველი ენოლოგი საქართველოში. მან წინანდალში ღვინის საწარმო, ორთქლით არყის სახდელი საწარმო და უზარმაზარი მიწისქვეშა ღვინის მარანი ააშენა, რომელშიც დიდი ქვევრები განალაგა და კასრების სახელოსნოც გახსნა. წინანდლის ენოთეკაში დღემდე დაცულია ალექსანდრე ჭავჭავაძის პირადი ღვინის კოლექცია, რომელიც 70 მარკის 16500 ბოთლ ღვინოს შეიცავდა.

XIX საუკუნეში ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინის ქარხანაში დამზადებული ღვინოები მისივე სიცოცხლეში პოპულარული გახდა არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. ისინი, განვითარების შედეგად, წინანდლის, თელიანის, მუკუხანისა და ნაფარეულის მარკის ღვინოებად გარდაიქმნენ. გეოგრაფმა ელის რეკლუმ, პოეტის თანამედროვემ, ასე გადმოსცა სათქმელი: „ალექსანდრემ ძალა არ დაიშურა თავისი ღვინის საწარმოს განვითარებისათვის და მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო: ქართული ღვინო მთელ ევროპაში გახდა ცნობილი; კახური ღვინო თავისი ხარისხით ევროპულ ღვინოებს ნამდვილად ტოლს არ უდებს“ მართლაც, ერთ ქართულ ანეკდოტში ნათქვამია, რომ ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: წინანდლის მარნის ღვინის დალევამდე და მისი დაჭაშნიკების შემდგომ. წინანდლის მარკის ღვინო დღესაც იწარმოება საქართველოში და სხვა ქვეყნებში ექსპორტზეც გადის. ზემოთ აღნიშნული წვლილის გარდა, ალექსანდრემ საუკეთესო ღვინის სარდაფები და მაღაზიები თბილისში, სტავროპოლსა და სხვა ქალაქებშიც გახსნა.

ღვინის პოპულარიზაცია მჭიდრო კავშირშია ღვინის ტურიზმთან. 2012 წლის მაისში საქართველოში ჩამოსული ტურისტების მარკეტინგული კვლევით, რომელიც ჩაატარა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის დაკვეთით, დადგინდა, რომ: საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა მხოლოდ 5,6% არის დაინტერესებული ღვინის ტურიზმით. ეს სიმცირე შესაძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით იყოს გამოწვეული. თუმცა, ჩვენდა საამაყოდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტების მთავარი შენაძენი ქვეყანაში ყოფნისას ღვინოა. ამ მხრივ ტურისტი ქალები მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან ღვინო შეიძინა სტუმრად მყოფი ქალების 36,4%-მა და მამაკაცების 37,7%-მა.

ქვეყანაში არსებული ლეგენდები დაკავშირებული ღვინოსთან, ისტორიული ფაქტები, ადგილმდებარეობის კარგად ცოდნა საშუალებას გვაძლევს შევიშუშაოთ თემატური ტურისტული მარშრუტის ასპექტები. ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან მხოლოდ ტურისტულ სააგენტო ინტერტურს ჰქონდა ვებ საიტზე განთავსებული ღვინის ტური.

ინტერტურის ღვინის ტური

ხანგრძლივობა 7 დღე

ფასი – 700 აშშ \$-დან

1. დღე - დახვედრა აეროპორტში, ტრანსფერი და სასტუმროში მიყვანა.

2. დღე - ვიზიტი კახეთის რეგიონში. დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ალ. ჭავჭავაძის რეზიდენციისა და მე-19 საუკუნის ღვინის მარნის დათვალიერება (წინანდალი); თელავში – ერეკლე II სახლ-მუზეუმის და იყალთოს აკადემიის დათვალიერება. დასწრება კახელების ტრადიციულ რთველზე და კახური სამზარეულოს გასინჯვა. ღამისთევა კახეთში.

3. დღე - თელავის ღვინის მარნების დათვალიერება და ღვინის დაგემოვნება. ვიზიტი ალავერდის მონასტერში, ბადაგონის ღვინის ქარხანაში, გრემის მონასტერში, ყვარელის ღვინის ქარხანაში, ნეკრესის მონასტერსა და კლდეში ამოკვეთილ ღვინის მარანში. კახური სამზარეულოს გასინჯვა და ღამისთევა თელავში.

4. დღე - გურჯაანის ღვინის ქარხნების დათვალიერება და ღვინის დაგემოვნება.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონახულება და დაბრუნება თბილისში.

5. დღე - ვიზიტი დასავლეთ საქართველოში, უფლისციხე – უძველესი კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ვიზიტი ქუთაისში – დათვალიერება ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის გელათის, სათაფლიის მღვიმისა და კონიაკის ქარხნის - „ვარციხე“.

საღამოს ტრადიციული ადგილობრივი სამზარეულოს გასინჯვა. ღამისთევა ქუთაისში

6. დღე ვიზიტი რაჭაში – ნიკორწმინდის ეკლესიის დათვალიერება, ღვინო „ხვანჭკარის“ დაგემოვნება. თბილისში დაბრუნება, საღამოს ვახშამი ტრადიციულ ქართულ რესტორანში

7. დღე - ტრანსფერი აეროპორტში.

„აბრეშუმის გზის“ მარშრუტების არჩევისას ჭარბობს 4 ძირითადი ფაქტორი:

1. სხვადასხვა კულტურების შესწავლა
2. ისტორიული ინტერესები
3. ღირსშესანიშნაობების ნახვა, ეგზოტიკა
4. თავგადასავალი

„აბრეშუმის გზის“ ტურები იგეგმება წინასწარ, ყველა მომხმარებელთან ერთად 60 დღით ადრე, რაც ტუროპერატორებს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ მოპოვებული მასალებით და ინფორმაციით უკეთ მოამზადოს მომხმარებელი და ტურიც უფრო სახალისო გახადოს.

ტურიზმის თეორიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ 2020 წლისათვის ტურიზმის მამოძრავებელ ძალად ვიზილავთ თემატურ ტურიზმს. ტურიზმის ამ მიმართულებას მიეკუთვნება ტურისტული პროგრამები განხორციელებული ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში. ამის მაგალითია ცნობილი ტური „ფრანგული ღვინის გზებით“. სამწუხაროდ ეს ტურპროდუქტი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი საქართველოში, რასაც აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ამ მიმართულების განსავითარებლად საჭიროა გავიზიაროთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც დიდი ხანია ჩართული ამ სფეროში. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნებიან: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, პორტუგალია, კვიპროსი, საბერძნეთი და ავსტრია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციური ღვინის ტურიზმის განვითარებისა, თუმცა არსებობს მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორცაა ინფორმაციის სიმცირე ღვინის ტურებთან დაკავშირებით, მომსახურების დაბალი დონე, ცუდი ინფრასტრუქტურა და მრავალი სხვა.

ღვინის ადგილი ტურიზმში, ქვეყანაში არსებული რესურსებისა და შესაძლებლობებით განისაზღვრება. იგი კულტურის ნაწილი და სარფიანი შემოსავალია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის. ტურიზმის არსი სხვის სიამოვნებასა და საკუთარ მოგებაშია. ღვინის ტურიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებულ ბიზნესად და საკუთარი კულტურის დემონსტრირების ეფექტურ საშუალებად ითვლება.

#### ლიტერატურა:

1. კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი, თბ., 2010.
2. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008.
3. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, თბ., 2008.
4. ნადარეიშვილი ნ., მელაძე მ., აბრეშუმის გზა და ტურიზმის მომავალი საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, თსუ, თბ., 1999.

[www.gnta.ge](http://www.gnta.ge)

[www.telianivally.com](http://www.telianivally.com)

[www.since1011.com](http://www.since1011.com)

[www.ntt-silkroad.com](http://www.ntt-silkroad.com)

<http://travelgeorgia.gol.ge>

<http://www.parlament.ge/TOURISM>

#### რეზიუმე

არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი. ეს განცვიფრება იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში. ვაზმა და ღვინომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ერისათვის, იგი მისი კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ვაზის სამშობლოში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის საკმარისი რესურსი არსებობს. ამის საფუძველს საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გვაძლევს. რაც მთავარია ღვინის უნიკალური ჯიშების არსებობა

ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის შესანიშნავ საფუძველს ქმნის, მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშებიდან 500 ქართულია. საქართველოს შეუძლია სასიკეთოდ გამოიყენოს ყურძნის უნიკალური ჯიშების სახით არსებული რესურსი.

## "GREAT SILK ROAD" AND THE WINE TOURISM IN GEORGIA

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

### RESUME

The land of Georgia has not gone to foreign travelers, that they were not surprised by the kindness of Georgian wine, they are always referred to praises and glory of Georgian wine. The surprise has been caused by the fact that our vineyards are the oldest in the world. Vineyards and wine special importance with Georgian nation, it became an integral part of its culture. There are sufficient resources for the development of the wine tourism in the vine homeland. The basis for the unique geographic location of Georgia. The existence of a unique wine varieties in Country, excellent foundation for the development of wine tourism. From 2000 varieties of grape which is famous in the world 500 is Georgian.

### კომუნიკაციის როლი ფირმის მმართველობით საქმიანობაში

*ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი*


კომუნიკაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის მმართველობით საქმიანობაში.

ორგანიზაციის მართვის პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი ენიჭება კომუნიკაციას. კომუნიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ორი ან მეტი ადამიანი ცვლის და გაიაზრებს მიღებულ ინფორმაციას. ამ პროცესის მიზანია გარკვეული ქცევის მოტივირება, ან მასზე ზემოქმედება. კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას, რომლის საფუძველზე მენეჯერები ღებულობენ გადაწყვეტილებებს და ურთიერთობენ ორგანიზაციის მუშაკებთან. კომუნიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელ გზას. ეს ტერმინი გულისხმობს, აგრეთვე აზრის გადაცემას, ურთიერთობას ენის საშუალებით.

კომუნიკაცია ორგანიზაციათა ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ხელმძღვანელები (მენეჯერები) თავიანთი სამუშაო დროის თითქმის 80%-მდე ხარჯავენ კომუნიკაციაზე, (სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე). საათში 48 წუთს ისინი ატარებენ შეხვედრებზე, სატელეფონო საუბარსა და უბრალოდ არაფორმალურ საუბრებში. ტიპური მენეჯერის დროის დანარჩენ 20%-ს შეადგენს მაგიდასთან მუშაობა, რისი დიდი ნაწილიც კვლავ კომუნიკაციას წარმოადგენს, წერის ან კითხვის ფორმით. მენეჯერები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას, როგორც კომპანიის შიგნით, ასევე გარეთაც, შემდეგ გარდაქმნიან მას და ანაწილებენ იმ ადამიანებზე, ვისთვისაც განკუთვნილია ეს ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაცია დიდ როლს ასრულებს ორგანიზაციების წარმატებით მუშაობაში, მენეჯერთა უმრავლესობას ის მიაჩნია ეფექტიანობის მიღწევის მთავარ დაბრკოლებად. ასეთი შეხედულებების საფუძველია ფაქტი, რომ ორგანიზაციებში პრობლემათა წარმოქმნის მთავარი მიზეზი სწორედ არაეფექტური კომუნიკაციაა.





განასხვავებენ კომუნიკაციებს ორგანიზაციებსა და მათ გარე ფაქტორებს შორის და კომუნიკაციებს თვით ორგანიზაციის შიგნით.

ორგანიზაციები გარე კავშირებისთვის იყენებენ კომუნიკაციის მრავალფეროვან საშუალებებს: რეალურად არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს მიმართავენ რეკლამის მეშვეობით, წარადგენენ წერილობით ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ინსტანციაში; ადგენენ კონიუნქტურულ მიმოხილვებს (კომპლექსურ ინფორმაციას) სამომხმარებლო ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ და სხვ. ორგანიზაციები საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარებისას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ იმიჯის შექმნას.

ორგანიზაციების შიგნით კომუნიკაციები მყარდება როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი გზით. დაღმავალი კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას მართვის უმაღლესი დონიდან ქვედა დონისაკენ. დაღმავალი კომუნიკაციები შედგება შეტყობინებებისა და ინფორმაციისაგან, რომელსაც ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობა ხელქვეითებს უგზავნის. აღმავალი კომუნიკაცია ხორციელდება ქვევიდან ზევით. აღმავალი კომუნიკაციების საშუალებით უმაღლესი დონის ხელმძღვანელები არკვევენ ორგანიზაციის შიგნით შექმნილ ვითარებას და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აღმავალ და დაღმავალ კომუნიკაციებს უწოდებენ ვერტიკალურ კომუნიკაციებს.

ინფორმაციის ვერტიკალურად გაცვლასთან ერთად ორგანიზაციებში ხორციელდება ინფორმაციის ჰორიზონტალური გაცვლაც ჰორიზონტალური კომუნიკაციების მეშვეობით. ჰორიზონტალური კომუნიკაციები მყარდება ერთი დონის სხვადასხვა განყოფილებებს შორის; ინფორმაციის ჰორიზონტალური გაცვლა აუცილებელია საქმიანობის კოორდინაციისთვის.

ფორმალურ კომუნიკაციებთან ერთად ორგანიზაციებში მყარდება არაფორმალური კომუნიკაციებიც, რომელთაც უწოდებენ „ხმების გავრცელების“ არხებს. მათი მეშვეობით ინფორმაცია ვრცელდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ფორმალური კომუნიკაციების დროს, მაგრამ „ხმები“ მიჩნეულია არაზუსტი ინფორმაციის საკომუნიკაციო წყაროდ, თუმცა, როგორც გამოკვლევებით დადასტურდა, ისინი ხშირად ზუსტად ასახავენ ფაქტობრივ მდგომარეობას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია „საიდუმლო ტელეგრაფი“. იგი ხდება კომუნიკაციის საშუალება, როცა იხურება კომუნიკაციის ფორმალური არხები. ზოგიერთი შეფასებით ყველა კომუნიკაციის 70%-მდე ხორციელდება „საიდუმლო ტელეგრაფით“. იგი აქტიურდება, როცა ორგანიზაციაში იწყება ცვლილებები, მოუსვენრობა და უარესდება ეკონომიკური მდგომარეობა. გასაკვირია, მაგრამ ამ გზით გადაცემული ინფორმაცია გამოირჩევა სიზუსტით და ხშირად მას არა აქვს კავშირი ჭორებთან. ბევრ მენეჯერს სურდა მისი ლიკვიდირება, რადგან ისინი თვლიდნენ მათ შესახებ გადაცემულ ინფორმაციას არასწორად და საზიანოდ, მაგრამ მენეჯერებს უნდა ესმოდათ, რომ ყოველი ექვსი შეტყობინებიდან, რასაც ისინი იღებენ, ხუთი შემოდის „საიდუმლო ტელეგრაფით“. გარკვეული მენეჯერები მშვენივრად ერკვევიან კომუნიკაციის მოცემული არხის დელიკატურობაში. მათ იციან, ვისთანაა დაკავშირებული და რომელი

მომუშავე ასრულებს მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის გავრცელებაში. თითქმის ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი კრიზისულ მომენტებში, კომუნიკაციების მართვა საჭიროა გონივრულად, რომ „საიდუმლო ტელეგრაფი“ არ გახდეს ინფორმაციის ერთადერთი წყარო.

ორგანიზაციის მართვის პროცესში დიდ როლს ასრულებს პიროვნებათაშორისი კომუნიკაციები, რომელთა ეფექტიანობაზეც მოქმედებს მრავალი ასპექტი. მათ შორის ძირითადია: აღქმა, ვერბალური ინფორმაცია, არავერბალური სიმბოლოები, უკუკავშირის დაბალი დონე, მოსმენის უნარი.

საერთოდ ინფორმაციის გადაცემის დროს ადამიანთა რეაქცია განისაზღვრება მათ მიერ მოვლენის აღქმით და არა იმით, თუ რა ხდება სინამდვილეში. აღქმის პროცესზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი, რომელთა დროულად გამოვლენა საშუალებას იძლევა არასწორი აღქმით გამოწვეული დაბრკოლებები დროულად იქნეს თავიდან აცილებული. მენეჯერებსა და ხელქვეითებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე გარკვეულ გავლენას ახდენს მათ შორის არსებული კომუნიკაციური კლიმატი. ნდობის ატმოსფერო ზრდის ზუსტი ინფორმაციის ნაკადს და ხელს უწყობს მართვის ეფექტიანობის ამაღლებას. ინფორმაციის გადაცემისას გარკვეული დაბრკოლებები შეიძლება გამოიწვიოს ვერბალურმა კომუნიკაციამ. იგი ხშირად ხდება არასწორი გაგების მიზეზი.

ინფორმაციის გადაცემისას, აგრეთვე, შეიძლება გამოიყენონ სახის გამომეტყველება, ინტონაცია, ჟესტი და სხვა. ისინი ყველა მიეკუთვნება ინფორმაციის გადაცემის არავერბალურ ხერხებს. არავერბალურმა სიმბოლოებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომუნიკაციურ პროცესზე მაშინაც კი, როცა სემანტიკური სიმბოლოები გამოხატავენ დადებით აზრს. საჭიროა პიროვნებათაშორისი კომუნიკაციების დამყარებისას არავერბალური სიმბოლოები შეესაბამებოდეს იდეას, რომლის გადაცემაც ხორციელდება. ყოველდღიურ სამსახურებრივ ურთიერთობაში უდიდესი როლი ენიჭება არავერბალურ კომუნიკაციებს. არავერბალურ კომუნიკაციაში გამოიყენება ნებისმიერი სიმბოლოები გარდა სიტყვებისა, თუმცა ისინი სიტყვებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ძირითადად ხდება არავერბალური და ვერბალური სიმბოლოების ერთდროულად გამოყენება, რაც აძლიერებს ან ცვლის სიტყვის მნიშვნელობას.

გარდა ვერბალური და არავერბალური ხერხებისა, მენეჯერს შეუძლია მიმართოს წერილობით კომუნიკაციას. ბევრი ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად გადმოსცეს თავისი აზრი წერილობითი ფორმით. არსებობს შემდეგი მიზეზები იმისა, თუ რატომ გვირჩევნია ვერბალური კომუნიკაცია წერილობითს:

ადამიანებთან ვერბალური კონტაქტი ბევრად სწრაფია მოითხოვს ნაკლებ ძალისხმევას პირისპირ კონტაქტის დროს ვიღებთ დაუყოვნებლივ პასუხს და შეგვიძლია დავაკვირდეთ ადამიანების რეაქციას და დამოკიდებულებას საკითხის შესახებ. იმისდა მიხედვით, თუ როგორ საპასუხო რეაქციას მივიღებთ, საშუალება გვქმნება რამდენადმე ადაპტაცია გავუკეთოთ შეტყობინებას. ყოველთვის არ ვართ დარწმუნებული ჩვენს უნარზე, რომ შეგვიძლია ვწეროთ გრამატიკულად და შეუცდომლად.

თუმცა, ყველა შემთხვევაში, არის სიტუაციები, სადაც წერილობითი კომუნიკაცია უმჯობესია, თუ აუცილებელი არა. კომუნიკაცია უფრო ეფექტური იქნება, თუ მას წერილობითი სახით წარადგენ იმ შემთხვევაში, როდესაც: გინდა ერთი და იგივე შეტყობინება გაუგზავნო ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანებს. სხვადასხვა მიზეზის გამო საჭიროა შეტყობინება არსებობდეს ჩანაწერის სახით.

მენეჯერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი წერის კულტურა. წერილი უნარების განვითარება საკმაოდ ძნელია. ბევრ ადამიანს აქვს პრობლემა წეროს მარტივად და გასაგებად. არსებობს ასეთი გამოთქმა: „არასოდეს გამოიყენო ორი სიტყვა იქ, სადაც ერთი სიტყვითაც შეიძლება გამოხატო იგივე აზრი“. ფორმალური წერილების, სამსახურებრივი ჩანაწერების, წერილობითი მოხსენებების მომზადების უნარ-ჩვევების განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ყველაფერი მენეჯერის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია და, აქედან გამომდინარე, საჭიროა როგორც ინფორმაციის მიმღებს, ისე გადამცემს გააჩნდეს მოსმენისა და სწორად გადმოცემის უნარი. მოსმენის კულტურა გარკვეულწილად მოითხოვს თვითდისციპლინას. პიროვნებათაშორისო კომუნიკაციების დაბრკოლება შეიძლება გამოიწვიოს უკუკავშირის უფულებელყოფამ.

ორგანიზაციებმა რომ მიაღწიონ დასახულ ამოცანებსა და მიზნებს, მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური კომუნიკაციური არხების შექმნა ორგანიზაციების შიგნით. კომუნიკაცია ორგანიზაციათა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა. აუცილებელია მოხერხდეს, რომ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ობიექტურად და ზუსტად მიეწოდებოდეს სათანადო განყოფილებებსა თუ პირებს. კომპანიის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწორი და ეფექტიანი კომუნიკაცია და სწორად მიღებული გადაწყვეტილებები.

### ლიტერატურა:

1. ზუმბურიძე ო., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
2. კილაძე თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009.
3. მახარაძე თ., კომუნიკაციის როლი ორგანიზაციაში, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009.
4. შუბლაძე გ., მღებრიშვილი გ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 2008.

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კომუნიკაციური მენეჯმენტის როლი ორგანიზაციის მართვის პროცესში. კომუნიკაცია ორგანიზაციათა ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. კომპანიის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწორი და ეფექტიანი კომუნიკაცია.

### ROLE OF COMMUNICATION IN COMPANY MANAGEMENT

Lia Bibilashvili, Associate Professor

### RESUME

The paper deals with the role of management in the process of communication management. Communication is the main and the effective function of organizations. The company's success will largely determine the correct and effective communication.

### სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საქართველოში

*დავით ბიძინაშვილი, პროფესორი*

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი, უპირველესად, კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების სფეროებს, ასევე, იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობას უკავშირდება და, როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას.

საბაზრო ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არეალი არსებითად ფართოვდება და მისი ობიექტები ხდება არა მარტო ის ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ. კერძოდ: მიწას, ტყეს, წყალს, ბიოლოგიურ რესურსებს, სახელმწიფო საკუთრებას და ა. შ.

ქვეყანაში ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეურნეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი

დაცვა, პირველ რიგში, სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- კონტროლის სუბიექტი (ვინ ამოწმებს);
- კონტროლის ობიექტი (ვის ამოწმებენ);
- კონტროლის საგანი (რა მოწმდება);
- კონტროლის პრინციპები;
- კონტროლის მეთოდები;
- კონტროლის მექანიზმი;
- კონტროლის სისტემა.

კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტი, რაზედაც დამოკიდებულია ჩატარებული საკონტროლო-სარევიზიო ღონისძიებათა ეფექტიანობა, კონტროლის სუბიექტები, ანუ მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შემმოწმებელი პიროვნებები (რევიზორები, კონტროლიორები, აუდიტები და ა. შ.) მათი საქმიანობა რეგლამენტირებულია ნორმატიული იურიდიული აქტებით და მთლიანობაში ქმნიან ფინანსურ სამართალს.

ფინანსური კონტროლის სუბიექტები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს. ეს ორგანიზაციები იყოფა კონტროლის სახეებისა (გარე და შიდა) და მართვის დონის (სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი) მიხედვით. მაგალითად, საქართველოში გარე კონტროლის სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახური (საქართველოს კონტროლის პალატა).

ყველა სახისა და დონის კონტროლის სუბიექტების საქმიანობა უნდა იყოს კოორდინირებული და ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული.

ფინანსური კონტროლის ობიექტი - ეს ის ორგანიზაცია (სამინისტრო, უწყება), რომლებიც იყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, სახელმწიფო ქონებას, ბუნებრივ რესურსებს ან გააჩნიათ შეღავათი დაბეგვრის, ექსპორტის, იმპორტის და ა. შ., სფეროში.

რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე კონტროლის ობიექტებს შესაბამისად წარმოადგენს ის ორგანიზაციები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო სახსრებს იყენებენ.

მართალია, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი მოიცავს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორს, მაგრამ იგი, როგორც მისი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალიდან ჩანს, ვრცელდება კერძო სამეწარმეო (ბიზნესის) საქმიანობაზეც.

ამდენად, ფინანსური კონტროლის ობიექტი არის არა მარტო საგადასახადო-საბიუჯეტო სფერო და საბიუჯეტო პროცესი, არამედ საბაზრო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესი; სწორედ ამითაა განპირობებული ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფო მართვისა და კონტროლის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, უაღრესად დიდი როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტებია:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (მათი აპარატების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა);

- სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;

- სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

- საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სახეებისა, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ ან იყენებენ სახელმწიფო სახსრებს ან საგადასახადო, საბიუჯეტო ან სხვა სახის შეღავათებით სარგებლობენ;

- საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასახელმწიფო ფონდები და სხვა არასახელმწიფო კომერციული ორგანიზაციები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობების მინიჭებას;

- სამეწარმეო სტრუქტურები და ფიზიკური პირები საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციათა შემადგენელი ნაწილი და მართვაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღის, საგანს შეადგენს საწარმოების,



დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაფართოებული კვლავწარმოების (პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროები) პროცესის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის, მართვის მეთოდების სრულყოფით მასზე ზემოქმედებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მეთოდის ზოგად ცნებაში იგულისხმება კონტროლის ფუნქციების განხორციელების მიზნით განსაზღვრული თანმიმდევრობით გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რითაც დგინდება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერება და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

შემოწმების საერთო მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს და შესწავლილ იქნეს საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სუსტი ადგილები. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დეტალური მეთოდით შემოწმების დროს, პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი შესამოწმებელი საწარმოს მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა (ამ დროს თითოეული სახის დოკუმენტი გულდასმით უნდა გაისინჯოს და გაკეთდეს სათანადო ნიშანი: „გაისინჯულია“). არითმეტიკული მეთოდით შემოწმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ დოკუმენტებში შემოწმდეს გაანგარიშებებისა და შეტანილი ციფრების სისწორე (განსაკუთრებით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები).

დოკუმენტების შემხვედრი მეთოდით რევიზიის დროს ამოწმებენ სამეურნეო პროცესებით გამოწვეული ორი მოპირდაპირე მხარის დოკუმენტებს. საკონტროლო ინვენტარიზაციით, რომელიც ინიშნება ჩატარებული ინვენტარიზაციის უტყუარობაში დარწმუნების მიზნით, ახდენენ საწარმოო საშუალებების ფაქტიურ შემოწმებას. იგი ინიშნება ზემდგომი ორგანოს, პროკურატურის, საგამომიებო ან სხვა მოთხოვნით.

ლაბორატორიული ანალიზი და საექსპერტო შემოწმება ხდება მაშინ, როცა ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიის გადასამოწმებლად იწვევენ ექსპერტს, ასევე, რომელიმე მატერიალურ ფასეულობათა კუთრი წონის, ხარისხის და ა.შ. დასადგენად.

ცნობებსა და ახსნა-განმარტებებს შემოწმებლები მოითხოვენ ობიექტების ხელმძღვანელებისაგან და დამრღვევთაგან რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების, მითვისებების, გაფლანგვების ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევის ფაქტებზე.

დოკუმენტების ამოღება ხდება იმ შემთხვევაში, როცა უსწორო და საეჭვო დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს საექსპერტიზოდ, მოხდეს მისი შემხვედრი შემოწმება (საგამომიებო ორგანოებისათვის გადასაცემად იღებენ დოკუმენტის დედანს და მის მაგივრად ტოვებენ ასლს).

რევიზიის მასალების სისტემატიზაციისთვის შემოწმებელი აწარმოებს დღიურს, რათა შემოწმების შედეგებზე შეადგინოს შესაბამისი აქტი.

საქართველოს სახელმწიფო შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული შემოწმება, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების, დაწესებულების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენციას ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს, აგრეთვე სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულებების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედგენის შესწავლა-ანალიზს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო კანონი შიდა აუდიტის სუბიექტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს ცენტრთან კოორდინირებულად და ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე.

შიდა აუდიტის სუბიექტები უნდა შეიქმნას შემდეგ დაწესებულებებში:

- ა) საქართველოს სამინისტროებში;
- ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;
- გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში-გამგეობებში (მერიებში) შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

შიდა აუდიტის სუბიექტები შესაძლოა ასევე შეიქმნას სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (საქართველოს კონტროლის პალატაში), კერძო სამართლის იურიდიულ პირებში (რომელთა აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მათივე გადაწყვეტილებების საფუძველზე.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა; ობიექტურობა; პროფესიონალიზმი; საჯაროობა; გამჭვირვალობა; კანონიერება.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში შიდა აუდიტის სუბიექტები თანამშრომლობენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან (საქართველოს კონტროლის პალატასთან) და ამ მიზნით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ურთიერთობის კოორდინაციას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს ამ კანონის მოთხოვნებისა და შიდა აუდიტის სუბიექტების უფროსის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე, რომლის მიზანსა და მოქმედების სფეროს დაწესებულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და იგი უნდა შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისგან:

აუდიტის დაგეგმვა; აუდიტის განხორციელება; ანგარიშგება; შემდგომი ღონისძიებები შეთავაზებული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით;

შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე განხორციელებული შიდა აუდიტი შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის: თემატური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი; ოპერაციული აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ფინანსური აუდიტი; კამერალური აუდიტი.

დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების პროცესში და არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს ან/და შიდა აუდიტორების სხვა ფუნქციების შესრულება და საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტთან, რისკის მართვასთან და ინსპექტირებასთან.

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად უნდა შედგეს შიდა აუდიტორული დასკვნა, რომლებიც უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორის მიერ ცალკეული პროცესის, სისტემის ან შიდა აუდიტისადმი დაქვემდებარებული სხვა საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის, დოკუმენტაციის და სხვა მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

შიდა აუდიტორს შიდა აუდიტისა და რისკის შეფასების განხორციელების ფარგლებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, შეუზღუდავი დაშვება აქვს დაწესებულების სისტემის ორგანოს ყველა საქმიანობასთან და დოკუმენტაციასთან.

შიდა აუდიტორი უფლებამოსილია აუდიტის საგანთან დაკავშირებით შიდა აუდიტის ან/და რისკის შეფასების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტაციის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტაციის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტის ან/და რისკის მართვის პროცესში.

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს თითოეული შიდა აუდიტორული დავალების შესასრულებლად საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, განხორციელების სიხშირე და შიდა აუდიტორთა რაოდენობა.

შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ცენტრის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტორის განხორციელების მეთოდოლოგია;

ბ) შიდა აუდიტის დაწყებამდე შიდა აუდიტის განხორციელების შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი და პროგრამა, ასევე უფლება-მოვალეობათა ნუსხა;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) შიდა აუდიტორული დასკვნის შედგენამდე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტის შედეგები.

შიდა აუდიტორს არ აქვს უფლება, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა რისკის მართვასთან და შიდა შიდა აუდიტთან დაკავშირებული ფუნქციებისა.

ფინანსური მართვისა და კონტროლის ზოგად წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, რომლის საფუძველზე თითოეულმა დაწესებულებამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ცენტრთან შეთანხმებით, არსებული მდგომარეობისა და დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა. ცენტრმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ინსტრუქცია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ.

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება ცალკეული დაწესებულების მიერ მისთვის დაკისრებული შემდეგი ამოცანების ჯეროვნად შესრულების მიზნით, კერძოდ:

ა) ფინანსური ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური ინფორმაციის სრულიად და დროულად წარდგენა;

გ) საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

დ) აქტივებისა და სხვა რესურსების დაცვა ზიანისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი მართვით, დაუსაბუთებელი ხარჯვითა და არაეფექტური, არაეკონომიური გამოყენებით, ასევე არამართლზომიერი და არამიზნობრივი ხარჯვით. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

საქართველოს სახელმწიფოს კანონის „შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს: კონტროლის გარემო; რისკის მართვა; კონტროლის ღონისძიებები; ინფორმაცია და კომუნიკაცია; სისტემის მონიტორინგი და შეფასება.

კონტროლის გარემო მოიცავს:

ა) თანამშრომელთა პირად, პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებს, მართვისა და ხელმძღვანელობის მეთოდს, დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის საქმიანობის მისიებისა და მიზნების განსაზღვრას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების, უფლებისა და მოვალეობის, ასევე ანგარიშგების დონეების იერარქიულობას; წერილობითი პროცედურებისა და შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას; საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენციას; ადამიანური რესურსების მართვას.

რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა უნდა განხორციელდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

კონტროლის ღონისძიებები უნდა ჩამოყალიბდეს რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირების მიზნით. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას, უნდა იყოს დროული და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.



კონტროლის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს: ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს; ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების განხორციელებისათვის და კონტროლისათვის; ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღიარებას და გადახდის განხორციელებას შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე; სახსრებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; შიდა აუდიტორის მიერ განხორციელებულ წინასწარ და შემდგომ სამართლებრივ კონტროლს; ფინანსური ოპერაციების სრულად, ზუსტად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას; ცალკეული ფინანსური ოპერაციის ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებას; პროცედურულ ზედამხედველობას; შრომითი რესურსების ეფექტური მართვის პროცედურების დამკვიდრებას.

გამართული და ძლიერი შიდა აუდიტის ინსტიტუტების დანერგვისათვის საჭიროა არსებობდეს ხელშემწყობი გარემო, დაწესებულების ხელმძღვანელების, შიდა აუდიტორებისა და ასევე ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური მითითებების სახით. კოორდინირებული მუშაობით, ინიციატივით და შესაბამისი მხარეების დახმარებით შესაძლებელი გახდება დასმული პრობლემების დროული და უმტკივნეულო მოგვარება.

აუდიტის ობიექტებს შორის მყარი კომუნიკაციის დამყარების უზრუნველყოფა, რათა გაზიარებული იყოს ერთმანეთის გამოცდილება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვასა და მენეჯერული გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. აგრეთვე აუცილებელია იმ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაზიარება, რაც თანხების არაეფექტიანი ხარჯვის შემცირების წინაპირობას წარმოადგენს;

საბიუჯეტო სახსრების ეფექტური ხარჯვისა და ასევე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კარგად მომზადებული აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქმიანობის პროცესში იხელმძღვანელებენ ეფექტიანობის პრინციპებით. ეფექტიანი ქმედებების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორგანიზაციის მმართველობითი რგოლის გადამზადება და იმ პრინციპების შესწავლა, რომელიც მათი საქმიანობის მაღალშედეგობრიობას უზრუნველყოფს;

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარება და მათი პრაქტიკაში დანერგვა არის გარანტია იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა მაქსიმალურად გამჭვირვალედ, ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელდეს. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში ეფექტიანი ქმედებები და მმართველობითი რგოლის მიერ მიღებული მიზნობრივი გადაწყვეტილებები გარკვეული თანხების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს, რომლის გამოყენებით კიდევ უფრო მეტი პროგრამისა თუ პროექტის განხორციელებას ჩაეყრება საფუძველი. აღნიშნული პროცესი, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ყოველდღიურად მზარდი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.

საბიუჯეტო პროცესში ეფექტიანობის პრინციპების დანერგვა ეფექტიან მთავრობას გულისხმობს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ეფექტიანი მმართველობა სწორედ დემოკრატიულ პრინციპებს ემყარება, რომელიც საბიუჯეტო პროცესში საბიუჯეტო თანხების გამოყენების მიზნობრივ, ეფექტიან და მოსახლეობაზე ორიენტირებულ მიდგომებში გამოიხატება.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ („სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“), 2010 წლის 26 მარტი, #2839-III
2. საქართველოს კანონი - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, 2012 წლის 29 ივნისი, #6598-რს
3. საქართველოს კანონი - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, თბილისი, 2012.
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტი, თბილისი, 2013.
5. სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სტრატეგიული ხედვა, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2009;
6. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1013, 2010 წლის 30 ივლისი, თბილისი, „შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები“;
7. [www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge)
8. [www.sao.ge](http://www.sao.ge)



## რეზიუმე

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი, უპირველესად, კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების სფეროებს, ასევე იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობას უკავშირდება და, როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას.

ქვეყანაში ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეურნეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა.

## SYSTEM OF STATE FINANCE CONTROL IN GEORGIA

**Davit Bidzinashvili**, Professor

### RESUME

State control of the overall system of financial control in a special place. This place is primarily the object of public finances is defined, which includes the state budget formation and applications, as well as those of the elements of the unity of the country's national wealth-related management activities and usually includes natural resources, manufacturing, distribution and consumption fields of subjects industrial and financial activities.

Financial control is a major factor in terms of market relations in the country due to the fact that the market economy, promoting economic activities, the need for high efficiency, which increases the formation of the country's material and financial resources, the protection, rational and effective use of a process control.

## ეკონომიკური თავისუფლების არსი და საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში

*გიული გიგუაშვილი, პროფესორი*

XX საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტის, ვილჰელმ რიოპკეს (Vilhelm Riopke 1899-1966) მიხედვით, “ლიბერალიზმი”, როგორც უკანასკნელი თაობების სულიერი და სოციალური ისტორია, ასზე მეტი წლის წინათ, XIX საუკუნის პირველ დეკადაში წარმოიშვა სიტყვიდან „თავისუფლება“ (Liberty), თუმცა მისი ფესვები გაცილებით უფრო ღრმაა. [1] დღეს „თავისუფლებას“ არა მარტო ანალიტიკური, არამედ საკმაოდ დიდი ნორმატიული და ემოციური დატვირთვაც გააჩნია, ამიტომ მას სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. „ლიბერალიზმის“ პირველადი პოლიტიკური მნიშვნელობა შეზღუდულ სახელმწიფოს, პიროვნულ თავისუფლებას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას აღნიშნავდა. ჯორჯ სტიგლერის აზრით, „თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა კეთილდღეობა, ანუ დანახარჯების შემცირება და ცხოვრებაში გადასალახავი დაბრკოლებების ნაკლები რაოდენობა“. [2] საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მომხრეები თვლიან, რომ არავინ იმსახურებს სხვებზე მეტ წარმატებას, რადგან ყველაფერი უბრალოდ ხდება და ჩვენზე დამოკიდებული არ არის. სამართლიან საზოგადოებაში თითოეულ ჩვენგანს იმდენი სიკეთე უნდა გააჩნდეს, რამდენიც შესაძლებელია და ამის ორგანიზება ეფექტური სახელმწიფო ქმედების შედეგად უნდა მოხდეს.

ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შემოგვთავაზა ადამ სმიტმა თავის კლასიკურ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნების შესახებ“, რომელშიც ავტორის მიერ დასახელებული იყო ქვეყნების და მათი მოსახლეობის აყვავების ძირითადი პირობები: კარგი კანონები, გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად არ აწევბა მოსახლეობას და მშვიდობა. იქვე იყო ფორმულირებული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი წესი: რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ საქმიანობაში, მით უფრო უკეთესია ეკონომიკისთვის.

შემდგომი საუკუნეების განმავლობაში არცთუ ისე ცოტა მკვლევარმა შეიტანა თავისი წვლილი ეკონომიკური ლიბერალიზმის განვითარებაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ავსტრიული, ჩიკაგოსა და ფრაიბურგის სკოლების წარმომადგენლების მოსაზრებების შესახებ. კერძოდ, „ავსტრიელები“ (ვ. მენგერი, ფ. ფონ ბემბავერკი, ფ. ფონ ვიზერი, ლ. ფონ მიზესი, ფ. ფონ ჰაიეკი, გ. ხაბერლერი, ფ. მახლუპი, მ. როთბარდი, ლ. ლახმანი), „ჩიკაგოელები“ (ფ. ნაითი, ჯ. ვინერი, გ. საიმონსი, მ. ფრიდმენი, ჯ. სტიგლერი, რ. კოუზი, ჯ. ბიუკენენი, გ. ბეიკერი, ა. ხაბერლერი, ა. ალჩიანი), ნეოლიბერალები ფრაიბურგის უნივერსიტეტიდან (ა. რიუსტოვი, ვ. როპკე, ვ. ოიკენი, ლ. ერხარდი), მათ შეიმუშავეს ღირებულების, კაპიტალის, ფულის, პროცენტის, ფირმების, გრძელვადიანი წონასწორობის, ინფლაციის, საქმიანი ციკლების, სახელმწიფო რეგულირების, საზოგადოებრივი არჩევანის და საერთაშორისო ფულადი სისტემის თეორიები, რითაც ფაქტობრივად შექმნეს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება.

ეკონომიკური თავისუფლება, თანამედროვე გაგებით, გულისხმობს ხელშეუხებელ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების, ვაჭრობის, დაგროვების, ინვესტირების, გამომუშავების და შექმნილის გამოყენების, ფასების დაწესების, საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე მხარეების ურთიერთთანხმობის შედეგად ნებისმიერი ფულადი ერთეულის გამოყენების თავისუფლებას. [3]

ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას სახელმწიფო და არასახელმწიფო პირები ძირითადად ზღუდავენ ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორებიცაა კერძო საკუთრების კონფისკაცია, კონტრაქტების შეუსრულებლობა, სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი და არაპროგნოზირებად ცვალებადი პირობები, პირდაპირი სახელმწიფო გადასახადები, სახელმწიფო სესხები, სახელმწიფო ინფლაციური გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები, საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალები, ინფლაცია, რეგრესული სავალუტო-ფულადი პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირება, პროტექციონიზმი.

მაღალი გადასახადები ზრდის წარმოების დანახარჯებს, აძვირებს მათ პროდუქციას, ხდის მას ნაკლებად კონკურენტუნარიანს, აუარესებს ეროვნული კომპანიების პოზიციებს ახალ და ძველ ბაზრებზე. სხვა თანაბარ პირობებში პროდუქცია უფრო მაღალი გადასახადების მქონე ქვეყნიდან უფრო ძვირია და, შესაბამისად, ნაკლებად კონკურენტუნარიანი.

გადასახადების და სხვა გადასახდელების შედეგად მოგროვებული ეკონომიკური რესურსების უკმარისობა მთავრობას სესხების აღებას აიძულებს. შიდა ბაზრიდან აღებული სესხი ეროვნული მასშტაბით ამცირებს დანაზოგებს და ინვესტიციებს, ზრდის პროცენტის განაკვეთებს, აძვირებს კომერციულ კრედიტს. გარე ბაზრიდან სესხის აღება ზრდის საგარეო ვალებს, ხოლო სახელმწიფოს ბანკროტობით და სავალუტო კრიზისით ემუქრება.

ტრადიციული საბიუჯეტო შემოსავლების უკმარისობისას სახელმწიფო მიმართავს ფულად ემისიას და, შესაბამისად, ინფლაციურ გადასახადებს - ეკონომიკურად ყველაზე არაეფექტურ და საბიუჯეტო სფეროს მუშაკთათვის, პენსიონერებისა და ფიქსირებული შემოსავლის მქონე ყველა პირისთვის ყველაზე დამთრგუნველ ქმედებას. ეკონომიკური პროცესების რეგულირებისას სახელმწიფო ფინანსურ რესურსებს ბიუჯეტის გვერდის ავლით გადაანაწილებს. ნორმების, წესების, შეზღუდვების, კვოტების, შეღავათების, ნებართვების, გამონაკლისების და სხვათა დაწესებით იგი ეკონომიკური რესურსების მოძრაობის მიმართულებებსა და მასშტაბებს ცვლის, რითაც მათ ნაკლებად ეფექტიანს ხდის.

სახელმწიფო შეზღუდვები საგარეო ვაჭრობაზე, სავალუტო-გაცვლით ოპერაციებზე, კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილებაზე აძნელებს ადგილობრივი მწარმოებლების ადაპტაციას მსოფლიო ბაზრის პირობების მიმართ, მიყვავართ კაპიტალის გადინებისაკენ, ანელებს ნაციონალური ეკონომიკის ზრდას, აძლიერებს სამეურნეო სტაგნაციას. საბაჟო ტარიფები, არასატარიფო ბარიერები ზღუდავს უცხოური საქონლის შემოდინებას, ზრდის მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისაგან ნაციონალური ეკონომიკის იზოლაციის ხარისხს.

ეკონომიკური კანონმდებლობის მუდმივი ცვლილებები და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი კოორდინატების არასტაბილურობა (ინფლაციის ტემპები, სავალუტო კურსის საპროცენტო განაკვეთები, გადასახადების რაოდენობა და განაკვეთი, საბაჟო ტარიფები და სხვა რეგულაციები)

ზღუდავს ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას, ამცირებს მათ სამეურნეო აქტივობას, ანელებს ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ეკონომიკური თავისუფლებაა. საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს ნოვაციებისთვის. ყოველივე ზემოხსენებულის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფომ, გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყნებს შიგნით თუ საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის და, მათ შორის, საქართველოსთვის.

ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არაერთი მეცნიერის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მეცნიერთა უმრავლესობის აზრს იმის შესახებ, რომ სამყაროს მამოძრავებელი ძალა თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებაა, სახელმწიფო პოლიტიკა კი, მის დასაცავად და გასამტკიცებლად არსებულ ქმედებათა ერთობლიობა. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურად ახერხებს ამას ესა თუ ის სახელმწიფო. ვფიქრობთ, ეკონომიკური თავისუფლება, თავისი არსით ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული როგორც მიკრო, ისე მეზო, მაკრო და მეგა დონეებზე. ცნობილი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწის, გერმანული ეკონომიკური სასწავლის მამამთავრის - ლუდვიგ ერჰარდის /Ludwig Wilhelm Erhard/ სიტყვებს თუ გავიხსენებთ: „თავისუფალი მეურნეობა შეესაბამება თავისუფალ მეწარმეობას, თავისუფლება ერთიანი და განუყოფელია. პოლიტიკური და სამეურნეო თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება ისეთი რთული დიალექტიკური ერთიანობაა, რომ მისგან, თუნდაც ერთი ნაწილის გამიჯვნით, ყველა დანარჩენი დაიშლება”.

თანამედროვე საზოგადოება თანხმდება ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობაში. ამასთან, ეკონომიკური თავისუფლების ხარისხობრივი ზრდის პროცესის პარალელურად საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რეგულირების სფეროები. სახელმწიფო რეგულირება საჭიროა ეკონომიკის ოთხივე დონეზე:

- მიკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა უნდა იყოს მინიმალური და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი რაც შეიძლება მაღალი;
- რეგიონალურ დონეზე ანუ მეზო დონეზე, საჭიროა ეკონომიკაში ჩარევა, როგორც თვითმართველობის, ისე ეკონომიკური სტრატეგიიდან გამომდინარე;
- მაკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც, ვინაიდან თუ მაკრო სფერო გამოვიდა წონასწორული მდგომარეობიდან, ადგილი ექნება ეკონომიკურ დესტაბილიზაციასა და სტაგნაციას, რაც გაცილებით მეტად შეზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას;
- მეგა დონეზე საჭიროა ისეთ გლობალურ პრობლემებთან ბრძოლა, როგორებიცაა: ეკოლოგიური პრობლემები, ტერორიზმი, მსხვილი მონოპოლიური წარმონაქმნებით გამოწვეული საშიშროება და ა.შ., რაც ზრდის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მეწარმეთა ფენაა, რომელიც ბაზრის კარნახით მოქმედებს და ამით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფას და განვითარებას. რაც უფრო მყარად ჩამოყალიბდება მეწარმეთა ახალი კლასი, მით უფრო გარანტირებული იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა. სახელმწიფომ მეწარმეებს უნდა შეუქმნას ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეს უნდა მართავდეს მხოლოდ ბაზარი და სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. გლობალიზაცია და ბიზნესგარემოს სრულყოფა მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რომელიც გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. კონკურენტული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით აუცილებელია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომლის პირობებში ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება სტაბილურ კანონებზე და მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე. [4]

ეკონომიკურ თავისუფლებაზე მსჯელობის დროს, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ არსებული რეალობა. საერთაშორისო ორგანიზაცია „ერეიზერის ინსტიტუტი“ ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“. ყოველწლიური კვლევა „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“ 152 ქვეყანას შეეხება და ხუთ ძირითად კრიტერიუმს



ეყრდნობა. ესენია: მთავრობის ზომა, რომელიც სამთავრობო ხარჯების მოცულობას ასახავს; საკუთრების უფლების დაცულობა და სასამართლო; ჯანსაღი ფულადი პოლიტიკა; საგარეო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტების, დასაქმებისა და ბიზნესის რეგულაციები. ეს ხუთი კრიტერიუმი 40-ზე მეტ ქვეპუნქტს აერთიანებს, რომელთა მიხედვით განისაზღვრება ეკონომიკური თავისუფლება მთელ მსოფლიოში.

2014 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ანგარიში „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში 2014“. ანგარიშის მიხედვით, საქართველომ საუკეთესო ოცეულში დაიმკვიდრა პოზიცია, 152 ქვეყანას შორის მე-16 ადგილი დაიკავა და ყველაზე თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში პოზიციები გაიმყარა. კვლევითი ინსტიტუტი ყოველწლიურად საკუთარ ანგარიშს ორი წლის წინ არსებულ მდგომარეობაზე ავრცელებს. აღნიშნული რეიტინგი ეყრდნობა 2012 წლის ეკონომიკურ მონაცემებს და მასში არ შესულა 2013-2014 წლებში საქართველოში განხორციელებული ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ საქართველო 2012 წლის ანგარიშში (რომელიც 2010 წელს მოიცავდა) 42-ე ადგილზე იყო, ხოლო 2013 წელს (მოიცავდა 2011 წელს) 25-ზე.

ქართველი ექსპერტები საქართველოს წინსვლის განმაპირობებელ ფაქტორად ძირითადად ასახელებენ პრივატიზებას, ანუ სახელმწიფოს წილის შემცირებას საკუთრებაში; ასევე მნიშვნელოვანია 2012 წელს აღებული გეზი სახელმწიფო ხარჯების შემცირებისაკენ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში; მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო სამართლებრივი სისტემის მიმართულებით; მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა სასამართლო დავებში კერძო პირების ინტერესების დაცვა; მონეტარული პოლიტიკისა და ინფლაციის საკითხის მოწესრიგება და რეგულირებების შემცირება. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში მაღალი საფეხური ავტომატურად არ ნიშნავს, რომ უკვე მიღწეულია კეთილდღეობის მაღალი ხარისხი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში თუკი მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდება საკმარისად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შესაძლებელია ეკონომიკური კეთილდღეობისკენ უფრო სწრაფი ნაბიჯებით წინ წასვლა. მაგალითად, ამ რეიტინგს ლიდერობს ჰონგ-კონგი და სინგაპური. ორივე ეს ქვეყანა 50 წლის წინ საკმაოდ ღარიბი და ერთი შეხედვით უპერსპექტივო იყო, მაგრამ დღეს ეს ქვეყნები ლიდერობენ მსოფლიოს ეკონომიკური კეთილდღეობის ხარისხით“. [5]

საქართველო სხვა კვლევითი ორგანიზაციების შეფასებითაც ეკონომიკური თავისუფლების მხრივ მოწინავე ადგილს იკავებს. საქართველო „ჰერითიჯის ფონდის“ /Heritage Foundation/ 2014 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში 22-ე ადგილს იკავებდა 72.6 ქულით. Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2015-ის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. ანგარიშში მითითებულია, რომ გასულ წელთან შედარებით, პირველ რიგში გაუმჯობესება გამოიწვია კორუფციისაგან განთავისუფლებამ, მონეტარულმა თავისუფლებამ და სამთავრობო ხარჯების შემცირებამ, რომელმაც გადაწონა შრომის თავისუფლების შემცირება. [6]

2015 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს.

საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული, ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები.

საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 7 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება.

საქართველოს ქულები (ისევე როგორც რეიტინგი) გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება.

კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ 1 კომპონენტში - შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა (79.9 ქულა).

საკუთრების უფლების დაცვის მხრივ ვითარება გასული წლის შემდეგ უცვლელია და საქართველოს 40 ქულა აქვს, კორუფციიდან თავისუფლების მხრივ 49; მიუხედავად იმისა, რომ „ფისკალური თავისუფლების“ კომპონენტში საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.1-ით შემცირდა, სარეიტინგო ადგილი 5 პოზიციით გაუმჯობესდა და 87.2 ქულით 34-ე ადგილი დაიკავა.

ბიზნესის, დასაქმებისა და ვაჭრობის თავისუფლების სფეროებში რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო 88.6, 79.9 და 88.6 ქულით ლიდერობს. სავალუტო თავისუფლების მხრივ 82.7 ქულით საქართველო მხოლოდ ბოსნია-ჰერცეგოვინას ჩამორჩება. ფონდის ანგარიშში საქართველოში ფინანსური თავისუფლება 60 ქულითაა შეფასებული.



ბოლო ათი წლის მანძილზე, ეკონომიკური თავისუფლების თანმიმდევრულმა გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკის დინამიურ განვითარებას. ღია ბაზრების მხარდამჭერმა სახელმწიფო პოლიტიკამ გაზარდა კეთილდღეობა და გააძლიერა საქართველოს სწრაფვა ეკონომიკური თავისუფლებისაკენ. თუმცა ეკონომიკური თავისუფლების ყველა სვეტში არ აღინიშნება გაუმჯობესება: კანონის უზენაესობა რჩება სუსტი და კორუფციის დონე, მიუხედავად გაუმჯობესებისა, უფრო მაღალია, ვიდრე ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ სიაში პირველ ადგილზეა ჰონგ-კონგი, ხოლო ბოლოზე - ჩრდილოეთ კორეა. საქართველო არის ლიტვასა და ისლანდიას შორის. რუსეთი 140 -ე ადგილზეა, სომხეთი - 41-ზე, აზერბაიჯანი - 81-ზე, თურქეთი - 64ზე. [6]

წელს, საქართველომ 21 წლის განმავლობაში საუკეთესო ქულა მიიღო. ამით ქვეყანამ „ნაწილობრივ თავისუფალიდან“ „უმეტესად თავისუფალი“ ეკონომიკის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

ვფიქრობთ, დღეს ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა იწყება ეკონომიკური თავისუფლებით. ეკონომიკური თავისუფლება აუცილებელი პირობაა თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისთვის. ეკონომიკური თავისუფლების მთავარი უზრუნველმყოფია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ეკონომიკაში ჩარევის მასშტაბები ისე, რომ მივიღოთ ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმი და იმავდროულად უზრუნველვყოთ მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

#### ლიტერატურა:

1. ვილჰელმ რიობკე, ლიბერალიზმის კულტურული იდეალი, 1947წ. თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებულის I წიგნი, 2006.
2. Tibor R. Mashan, The Status of the Victim in Social Theory,“ Filozofia Istrazivaja, ტ. 41 1991, გვ. 489-97.
3. გერლიანი რ, ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში. <https://ramazepc.wordpress.com/2011/05/02/>
4. ერქომაიშვილი გულნაზ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თსუ 2013, გვ. 19
5. მჭედლიძე კახა, საქართველოში ეკონომიკური თავისუფლება გაუმჯობესდა. <http://www.radiotavisupleba.ge/content/ekonomikuri-tavisupleba/26643850.html>
6. <http://www.heritage.org/index/country/georgia>

#### რეზიუმე

ეკონომიკური თავისუფლების თანმიმდევრულმა გაუმჯობესებამ საქართველოში ხელი შეუწყო ეკონომიკის დინამიურ განვითარებას; ღია ბაზრების მხარდამჭერმა სახელმწიფო პოლიტიკამ გაზარდა კეთილდღეობა და გააძლიერა საქართველოს სწრაფვა ეკონომიკური თავისუფლებისაკენ. ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს რეიტინგი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრეიზერის ინსტიტუტის“ მიერ 2014 წელს წარმოდგენილი ანგარიშის - „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“ და Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2014 და 2015-ის მიხედვით.

### THE ESSENCE OF ECONOMIC FREEDOM AND RATING GEORGIA OF THE WORLD ECONOMIC FREEDOM INDEX

Giuli Giguashvili, Professor

#### RESUME

Georgia's gradual improvement in economic freedom has contributed to the dynamic development of the economy; Support for a policy of open markets to contribute to the expansion of the welfare and the pursuit of economic freedom. Improving every year in our country at the World Economic Freedom Index. The article presents the international organization of the "Fraser Institute" Economic Freedom of the World: 2014 Annual Report and Index of Economic Freedom published by The Heritage Foundation in 2014 and 2015 by.

## კონკურენციის ფორმები და თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე

*ლელა მაისურაძე, მოწვეული სპეციალისტი*

კონკურენციამ, როგორც საბაზრო სისტემის მნიშვნელოვანმა ელემენტმა, XIX საუკუნის ბოლოდან მიიქცია ყურადღება. მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში ისეთ ახალ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორცაა: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარება; ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების პოზიციებში მკვეთრი ძვრები; მოწყობილობათა მრავალი სახის სასიცოცხლო ციკლის შემცირება; კონკურენციული ბრძოლის ახალი ფორმების გამოვლენა; ცალკეულ პერიოდებში ფასების პოლიტიკის ცვლილება პროდუქციის ერთეულზე და დანახარჯების ცალკეულ ელემენტებზე საბაზრო ფასების დინამიკის თავისებურებებთან დაკავშირებით; ფასებსა და ხარისხს შორის დამოკიდებულებების მზარდი გავლენა მის კონკურენტუნარიანობაზე; ხარისხის მართვა ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში და მისი გავლენა ექსპორტის ეფექტურობისა და ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ამ წლებში არსებითი ცვლილებები განიცადა ბაზრის სტრუქტურამ. მონოპოლიზაციის გაძლიერების პერიოდი შეიცვალა. კონკურენციის ძლიერმა გამწვავებამ და არსებული სტრუქტურის რღვევამ შემდგომ კვლავ გააძლიერა მონოპოლიზაციის ტენდენციები, შეიქმნა უფრო მოქნილი და მყარი სტრუქტურები. ამ მოვლენებმა, თავის მხრივ ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყნების კონკურენტუნარიანობასა და მათ საქონელზე.

მსოფლიო სასაქონლო ბაზრების მაღალგაჯერებულობის პირობებში, როდესაც მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, ყოველ მწარმოებელ ფირმას მკაცრი ბრძოლა უხდება მომხმარებელთა უპირატესობის მოპოვებისათვის. საქონლის სიმრავლე, მრავალფეროვნება მომხმარებელს ერთდროულად სთავაზობს ერთი და იმავე მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთნაირ ან სხვადასხვა წესს, თანაბარ და უმნიშვნელოდ განსხვავებულ ფასობრივ პირობებში. ასეთ სიტუაციაში მომხმარებლის უპირატესობა ეძლევა კონკურენტულ საქონელს, რომელიც თავისი ღირებულების ერთეულზე აკმაყოფილებს მეტ მოთხოვნებს და ხასიათდება უფრო მაღალი დონით, ვიდრე კონკურენტების საქონელი.

გადახდისუნარიანი მოთხოვნისათვის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავდება მონოპოლიური წარმოების პირობებში. მსხვილი ფირმები თავიანთი მიზნების წარმატებით რეალიზაციისთვის იყენებენ კონკურენციის სხვადასხვა ფორმებს, მათგან ძირითადია: სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო-საწარმოო და სავაჭრო მეტოქეობა.

სამეცნიერო-ტექნიკური მეტოქეობა - ამ დროს ბრძოლა ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის შემდეგი გზებით მიმდინარეობს:

- ახალი პროდუქტების დამუშავება; თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა;
- სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დაგროვება და გამოყენება; პატენტების შექმნა და გამოყენება;

სამეცნიერო-ტექნიკური მეტოქეობისას, ჩვეულებრივ გამოიყენება, ორი მოდელი: კონკურენტული და მონოპოლისტური.

კონკურენტული მოდელი ემყარება იმას, რომ კონკრეტული ფირმები იყენებენ ცნობილი საწარმოო ტექნიკიდან ყველაზე ეფექტურს. მოგება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესიდან შეიძლება არ იყოს ხანგრძლივი, რამდენადაც კონკურენტი ფირმები იღებენ ნებისმიერ ტექნიკურ სიახლეებს. მოგებას ახალშემონაღებებით ღებულობს ყველა კონკურირებადი ფირმა სიახლის დანერგვის შემდეგ, მაგრამ დანახარჯებს ტექნიკურ კვლევებზე სწევნ მხოლოდ დამუშავებლები.

მონოპოლისტური მოდელი ემყარება იმას, რომ წმინდა მონოპოლისტს შესაძლებლობა აქვს სისტემატურად მიიღოს მნიშვნელოვანი მოგება ახალშემონაღებთა ხარჯზე. მას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები აქვს, ვიდრე კონკურირებად ფირმებს, მაგრამ მონოპოლისტური ბაზრის გამო ახალი ტექნიკის ან პროდუქციის დამუშავების სტიმული მცირდება, მონოპოლისტებმა მანქანებისა და მოწყობილობების მორალური ცვეთის გამო დანაკარგების აცილებისათვის შეიძლება ახლად შექმნილი ტექნიკა და პროდუქცია დამალონ,

სამრეწველო-საწარმოო მეტოქეობა ვლინდება საწარმოო სიმძლავრის გაფართოების, ახალი სახის პროდუქციის ათვისების და წარმოებაზე დანახარჯების შემცირების სახით. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში საწარმოო ეფექტურობა მიიღწევა იმის ხარჯზე, რომ ფირმის თავისუფალი შესვლა და გამოსვლა ბაზარზე საშუალებას აძლევს მას იმუშაოს გამომუშავების ოპტიმალური ნორმის პირობებში,

როდესაც წარმოების ხვედრითი დანახარჯები მინიმალურია. ამასთანავე, პროდუქციაზე ფასები დგინდება დაბალ დონეზე და უთანხმდება საშუალო ერთობლივ დანახარჯებს. წმინდა მონოპოლიის პირობებში ფირმას შეუძლია შეამციროს პროდუქციის გამოშვება და დააწესოს უფრო მაღალი ფასები, ამის ხარჯზე შეამციროს რესურსების ხარჯვა და მოახდინოს მოგების მაქსიმიზაცია, მაგრამ კონკურენციის პირობებში მდგომარეობა რთულდება დანახარჯების ხარჯზე, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ამიტომ გამოიყენება ორი მიდგომა: მასშტაბის ეფექტი და „X-არაეფექტურობა“.

*მასშტაბის ეფექტი.* მოცემული ტექნოლოგიისა და წარმოებაზე დანახარჯების პირობებში სამომხმარებლო მოთხოვნა შეიძლება არასაკმარისი იყოს იმისთვის, რათა შევიწინარჩუნოთ პროდუქციის ისეთი მოცულობის მწარმოებელი კონკურირებადი ფირმების დიდი რაოდენობა, რომელიც მასშტაბის ზრდით თითოეულ მათგანს არსებითი ეფექტის რეალიზების საშუალებას მისცემდა. ასეთ შემთხვევაში ფირმა ბაზართან შეფარდებაში დიდი უნდა იყოს, ე.ი. ის უნდა იყოს მონოპოლისტიური, უნდა შეეძლოს ეფექტურად აწარმოოს პროდუქცია გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე წარმოების მცირე დანახარჯებით.

*X-არაეფექტურობა.* ჩვეულებრივ, წარმოების დანახარჯების კვლევისას, ახდენენ დაშვებას, ფირმა მოქმედი ტექნოლოგიებიდან ირჩევს სწორედ იმას, რომელიც ყველაზე ეფექტურია და რომელიც ფირმას შესაძლებლობას მისცემს ყოველი გამოშვების დონეზე მიაღწიოს საშუალო დანახარჯების მინიმუმს. რეალურ სინამდვილეში ყოველი ფირმა, როგორც წესი, სრული ზომით ვერ იყენებს დანახარჯების შემცირების არსებულ შესაძლებლობებს. დანახარჯების საშუალო მინიმალურ დონემდე შემცირების პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისათვის შემოღებულია ცნება „X-არაეფექტურობა“. მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ფირმის ფაქტობრივი დანახარჯები წარმოების ნებისმიერი დონისათვის მაღალია, ვიდრე მინიმალური შესაძლებელი დანახარჯები. ასეთი გადაჭარბება წარმოიქმნება ფირმის სამეწარმეო რისკიდან გადახრისას, არაკომპეტენტური მენეჯერების ნათესავების სამუშაოთი უზრუნველყოფისას, ფირმის მუშების არასაკმარისი სტიმულირებისას.

*სავაჭრო მეტოქეობა.* მეტოქეობის ეს ფორმა ემყარება ფასების გამოყენებას. ამასთან, ფორმირდება სამხრთვი მეტოქეობის პირობებში: პირველი - გამყიდველებს შორის ყველაზე მაღალ ფასებში გასაღებისათვის; მეორე - მყიდველებს შორის საქონლის ყველაზე დაბალ ფასებში შეძენისათვის; მესამე - გამყიდველებსა და მყიდველებს შორის უფრო მაღალ ფასებში გაყიდვისა და საქონლის ყველაზე დაბალ ფასებში შეძენისათვის.

ამასთან დაკავშირებით განსხვავებენ ფასობრივ და არაფასობრივ კონკურენციას. ფასობრივი კონკურენცია, როგორც წესი, წარმოებს მოცემულ პროდუქციაზე ფასების ხელოვნური დაწვეით. ამისათვის ფართოდ გამოიყენება ფასობრივი დისკრინინაცია, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოცემული პროდუქტი იყიდება სხვადასხვა ფასებში და ეს ფასობრივი განსხვავება გამართლებული არ არის დანახარჯებში განსხვავებით. ფასობრივი დისკრინინაცია შესაძლებელია სამ შემთხვევაში:

- გამყიდველი შეიძლება იყოს მონოპოლისტი ან გარკვეული ზომით ფლობდეს მონოპოლიურ ძალაუფლებას;

- გამყიდველს უნდა ჰქონდეს უნარი, გამოყოს მყიდველთა ჯგუფები პროდუქციაზე გადახდის სხვადასხვა შესაძლებლობებით;

- თავდაპირველ მყიდველს არ შეუძლია საქონლის ან მომსახურების გადაყიდვა.

ფასობრივი დისკრინინაცია ყველაზე ხშირად გამოიყენება მომსახურების გაწევისას (ექიმების, ადვოკატების, სასტუმროების მფლობელების მომსახურება), პროდუქციის ტრანსპორტირების დროს მომსახურებისას, საქონლის რეალიზაციისას, რომლის გადანაწილება ერთი ბაზრიდან სხვაზე არ შეიძლება (მაღფუჭებადი პროდუქციის ტრანსპორტირება ერთი ბაზრიდან სხვაზე).

არაფასობრივი კონკურენცია მიმდინარეობს ძირითადად პროდუქციის ხარისხის და მისი გაყიდვის პირობების სრულყოფით, გასაღების „სერვისიზაციით“. პროდუქციის ხარისხის ამაღლება შეიძლება მოხდეს ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი, საქონლის ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფით; მეორე - საქონლის მომხმარებლის სურვილებთან მისადაგებით. არაფასობრივმა კონკურენციამ პროდუქციის ხარისხის სრულყოფის მეოხებით მიიღო სახელწოდება „პროდუქტზე კონკურენცია“. კონკურენციის ეს სახე ემყარება მისწრაფებას, დაიპყროს დარგობრივი ბაზრის ნაწილი ახალი პროდუქციის გამოშვებით, რომელიც ძველი მოდელებისაგან პრინციპულად განსხვავდება ან წარმოადგენს მის მოდერნიზებულ ვარიანტს.

ხარისხის სრულყოფაზე დაფუძნებული კონკურენცია წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, ხარისხის ამაღლება ემსახურება ფასების ფარული შემცირების და გასაღების გაფართოების ხერხს,



მეორე მხრივ, „ხარისხი“ - ეს სუბიექტური შეფასებაა, რომელიც ხსნის ხარისხის ფალსიფიკაციის გზებს რეკლამისა და ლამაზად შეფუთვის გზით.

არაფასობრივმა კონკურენციამ გასაღების სრულყოფის გზით გაყიდვის პირობებით კონკურენციის სახელწოდება მიიღო. კონკურენციის ეს სახე ემყარება მყიდველების მომსახურების სერვისის გაუმჯობესებას. აქ შედის მომხმარებლებზე ზემოქმედება რეკლამის შედეგად, ვაჭრობის სრულყოფა, მომხმარებელთა მომსახურებაში შეღავათების დაწესება საქონლის შეძენის შემდეგ, ე.ი. მისი ექსპლუატაციის პროცესში.

კონკრეტული საბაზრო ურთიერთობები სისტემატურ ცვლილებებს განიცდის. ეს მქლავნდება, პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობებში სტიქიურობის ელემენტების შემცირებასა და მარეგულირებელი საწყისების გაძლიერებაში. სახელმწიფო დონეზე მიმდინარე ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო პოლიტიკის გატარება მოტივირებულია იმით, რომ კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურ კოორდინაციას, მაგრამ მისი საჭირო დონეზე შენარჩუნება სახელმწიფო მხარდაჭერას მოითხოვს მონოპოლიების ბაზარზე ქცევის წინააღმდეგ, ე.ი. მონოპოლიურად მარეგულირებელი ძალების წინააღმდეგ. თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო კონკურენციის მთავარი სუბიექტები გახდნენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. მათ აქვთ სხვადასხვა ბაზარზე მანევრირების შესაძლებლობა მთლიანად ტნკ-ს გლობალური სტრატეგიის ჩარჩოებში. მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს ორი ტენდენცია: არაფასობრივი მეტოქეობა ოლიგოპოლიის ჩარჩოებში და ბაზარზე ურთიერთქმედების, შეთანხმებული მოქმედების კოორდინაციისკენ მისწრაფება და კონკურენციული ომები აუტსაიდერების წინააღმდეგ. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ფირმები მიზანმიმართულად თრგუნავენ ფინანსურად ნაკლებძლიერ, მაგრამ საკმარისად კონკურენტუნარიანი პროდუქციის მქონე მეტოქეებს. გაძლიერდა მონოპოლიების კონკურენტული ბრძოლა აუტსაიდერებთან ერთი სექტორიდან მეორეში კაპიტალის გადაადინების გზაზე. არც თუ იშვიათად კონკურენციის ეკონომიკურ მეთოდებთან ერთად ტნკ-ში ფართოდ იყენებენ ძალადობას, ბოიკოტს, კონკურენტებზე ზეწოლის მეთოდებს.

კონკურენციის ეკონომიკურ საფუძვლად იქცა ურთიერთობანი წარმოების სფეროში. აქ კონკურენტების მთავარი ძალისხმევა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის ბრძოლისაკენ არის მიმართული. ესენია:

- კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა, რომელიც პასუხობს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებს და საბოლოოდ მომხმარებლის მოთხოვნებს. ეს უნდა მოხდეს შრომის ნაყოფიერების გაზრდის ხარჯზე;

- ახალი პროდუქციის შემუშავების ან გამოშვებული პროდუქციის სრულყოფისას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენება. პრინციპულად ახალი პროდუქციის გამოშვება;

- ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე და ყველა რგოლში წარმოების ხარჯების მუდმივი შემცირება;

- მომხმარებელთან (მსხვილ მოწოდებებზე) ფასის შეთანხმება პროდუქტის გამოშვების დაწყებამდე და ახალ პროდუქტიაზე ფასის დადგენა ყველა კონკრეტულ ბაზარზე გასაღების პირობების გათვალისწინებით;

- ფირმების ბრძოლას ნედლეულის წყაროებისთვის ემატება საქონლის დამზადების ყველა ვერტიკალური საფეხურის დამორჩილებისთვის ბრძოლა - ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებიდან მაკომპლექტებელ კვანძებამდე;

- შიდასაფირმო კავშირების გამოყენება გამომუშავებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და კონკრეტულ ბრძოლაში უპირატესობის მიღებისთვის. ეს კეთდება შემდეგი საშუალებებით: ლიცენზიების და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემა თავის შვილობილი კომპანიებისთვის, ფასებით მანიპულირებით; პროდუქციის ხარისხის და სიახლის ამაღლებით საზღვარგარეთულ საწარმოებში; უცხოური მომმარაგებელი წარმოების შექმნა.

საერთაშორისო კონკურენციაში თანამედროვე ეტაპზე მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს ორი ტენდენცია, ეკონომიკურ ურთიერთობათა ორი ძირითადი სახეობა: 1. არაფასობრივი მეტოქეობა ოლიგოპოლიის ჩარჩოებში და ბაზარზე ურთიერთმოქმედების, შეთანხმებული მოქმედების კოორდინაციისაკენ მისწრაფება (ოლიგოპოლია მსოფლიო მასშტაბით წარმოების გარკვეული სექტორების ეკონომიკური პოტენციალით ახლო მდგომი ტნკ-ს ვიწრო დაჯგუფებაა). 2. კონკურენტული ომები აუტსაიდერების წინააღმდეგ თვით მის თავიდან მოშორებამდე.

კონკურენცია ფასების არაფასობრივი ფაქტორების ხაზით გადამწყვეტ როლს თამაშობს ტნკ-ს სტიმულირებაში, ხელს უწყობს კომპანიის წარმოების ეფექტურობის ამაღლებას. ის უზბიძგებს ფირმებს სიახლეების შემოღებისაკენ. ამჟამად საბაზრო პირობებისათვის დამახასიათებელია ბაზრის გაჯერება,



განპირობებული პროდუქციის მოცულობის და ფასების რეაქციის სისწრაფით მოთხოვნის ზრდაზე, ამიტომ კონკურენცია არის წარმოების აუცილებელი ეფექტურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

ტრანსნაციონალური ოლიგოპოლიების ჩარჩოებში კონკურენციას სპეციფიკური ნიშნები გააჩნია. წარმოების და კაპიტალის ფირმა-გიგანტების ხელში. კონცენტრაციის მაღალ დონეს ხარისხობრივად ახალი მომენტები შეაქვს საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების მთელს სტრუქტურაში: ერთი მხრივ, მწვავედება წინააღმდეგობები და კონკურენტული ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე როგორც ფირმა გიგანტებსა და აუტსაიდერებს, ასევე თვითონ უმსხვილეს კომპანიებს შორისაც; მეორე მხრივ, ფირმა-გიგანტებს უადვილდებათ საერთო ენის პოვნა, კომპრომისის მიღწევა.

კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის დამახასიათებელია ტნკ-ს ოლიგოპოლიების შექმნა, სადაც პარტნიორები კეთილგანწყობილნი არიან ერთმანეთისადმი. ტნკ-ს რიცხვი ოლიგოპოლიაში არ არის დიდი და მის წევრებს შორის მონოპოლიური კონკურენციის ხანგრძლივი ურთიერთობანი არსებობს თავისი სპეციფიკური თავისებურებებით. სწორედ ოლიგოპოლიური სტრუქტურა განპირობებს უმნიშვნელოვანესი დარგების კომპანიებს შორის შიდა დარგობრივი ურთიერთკავშირის ახალი ფორმების წარმოქმნას, ოლიგოპოლიების ჩარჩოებში ტნკ აკოორდინირებს თავის საქმიანობას ცალკეულ პერიოდებში კოორდინაციის მოქნილი, არაფორმალური მეთოდების საფუძველზე, განსაკუთრებით გავრცელებულია ე.წ. ურთიერთდათმობების პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც ტნკ შეგნებულად არ მიდის ღია მეტოქეობაზე. კონკურენტ ტნკ შორის ეკონომიკური ურთიერთობანი აგებულია არა მსხვრევაზე, არამედ ძალთა შექმნილი ბალანსის შენარჩუნებისაკენ მისწრაფებაზე ოლიგოპოლიების ჩარჩოებში კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე.

იმ დარგებში, სადაც ოლიგოპოლიები არცთუ დიდი ხნის შექმნილია და ფირმა აღწევს საკმარის ურთიერთგაგებას, იგი აყენებს წაბადვის ან ლიდერის გაყოლის ტაქტიკას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ოლიგოპოლიური დაჯგუფების ერთი წევრი ზრდის ფასს ან აფართოებს საწარმოო სიმძლავრეებს, დანარჩენები დაუყოვნებლივ იმეორებენ ამ ნაბიჯს; როცა ერთი ითვისებს ახალ წარმოებას ან ებმება ახალ სექტორში, სხვებიც იმასვე აკეთებენ; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუ ლიდერი კონკრეტულ ომზე გადავა; როდესაც ოლიგოპოლიის ერთი მონაწილე აფართოებს ფილიალების ქსელს საზღვარგარეთ, სხვებიც მას მისდევენ იმავე ბაზარზე. ეს, ჩვეულებრივ, ტიპიურია იმ სექტორებისათვის, რომლებშიც უმსხვილეს კორპორაციებზე გაყიდვის 60-70% მოდის. მიბადვის პრაქტიკა საზღვარგარეთული ინვენსტიციების დარგში დამახასიათებელია როგორც ამერიკული, ასევე იაპონური და გერმანული ტნკ-სთვის.

ლიდერობის ტაქტიკა ფასებში ყველაზე ეფექტურად გამოიყენებოდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც მონოპოლიურ-მარეგულირებელი ძალები მრეწველობაში ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა საბაზრო, განსაკუთრებით, ფასობრივი პოლიტიკის ურთიერთქმედების ან პირდაპირი შეთანხმების სფეროში. ეს კეთდებოდა პრეისკურანტული ფასების სისტემის შექმნის გზით, რომლებიც დაახლოებით ერთნაირი იყო სიდიდით და სინქრონულად იცვლებოდა. 80-90-იან წლებში ფასობრივი ლიდერობის პრაქტიკამ ისეთ დარგებში, როგორებიცაა რადიოტექნიკური, კვების, საფეიქრო, პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა, რადგანაც ამ დარგებში მრავალი ახალი კონკურენტი გაჩნდა. ეს ეხება საავტომობილო მრეწველობასაც. თუ წინათ ფასობრივი კონკურენცია მიმართული იყო უპირატესად მცირე კომპანიების მოცილებისაკენ. ამჟამად იგი გამწვავდა მსხვილ კორპორაციებს შორის. ფასობრივი ომები დამახასიათებელი გახდა ფოლადის, ავტომობილების, ქიმიური საქონლის, ელექტრონიკის, ყველა სახის ტრანსპორტისა და სხვა ბაზრებისათვის.

თანამედროვე პირობებში მცირერიცხოვან მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მსხვილ ფირმებს საშუალება ეძლევათ მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად, დათრგუნონ, თუმცა ფინანსურად ნაკლებძლიერი, მაგრამ საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის მქონე (ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების) მეტოქეები. გაძლიერდა მონოპოლიების კონკურენტული ბრძოლა აუტსაიდერთან ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალის გადადინების გზაზე ძნელად გადასალახავი ბარიერების დაყენების გზით. ასეთი ბარიერების რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

- ბარიერები, რომლებიც განსაზღვრავს ოპტიმალური წარმოების (რენტაბელობის) ზომა. რობოტების, მოქნილი საწარმოო სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ოპტიმიზაციის დონეს, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ უზარმაზარი ფინანსური რესურსების მქონე უმსხვილესი კომპანიებისათვის.

- ბარიერები, რომლებიც დაკავშირებულია რიგი სექტორების პროდუქციის მეცნიერებატევადობასთან, ისეთებისა, როგორიცაა ელექტრონული მანქანათმშენებლობა, აქ საჭიროა არა

მხოლოდ სკესს-ზე მსხვილი ერთდროული ხარჯები, არამედ შესაბამისი ინფორმაციის და გამოცდილების დაგროვებაც;

- საპატენტო მონოპოლია, რომლის წყალობითაც ტნკ ღებულობენ განსაკუთრებულ უფლებებს ყველა სახის ტექნოლოგიის 15-20 წლით ტექნიკური და კომერციული ექსპლუატაციისათვის, ე.ი. პატენტის მოქმედების ვადით;

შიდასაფირმო გაცვლა, რომელიც ვარაუდობს საკონტროლო საწარმოების განსაკუთრებულ პირობებს კონკრეტულ ბაზრებზე მწვავე კონკურენციის პირობებში (სესხები, სუბსიდიები), რომელიც ხელს უწყობს თავიანთი საწარმოების კაპიტალდაზღვევებს და ხელს უშლის კონკურენტების კაპიტალის გადადენას.

არსებითად შეიცვალა მსხვილი ფირმების ეკონომიკური ურთიერთობების მეთოდები წვრილ და საშუალო კომპანიებთან. მონოპოლიზაციის პროცესი ვერ სპობს და ვერ ამცირებს არამონოპოლიზებული სექტორის მასშტაბებს. საშუალო და წვრილ ფირმებს არა მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შეინარჩუნონ წარმოების მომსახურებათა სხვადასხვა ტრადიციული სფერო, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიპყრონ პოზიციები ახალ დარგებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან. ბევრი ე.წ. ვენჩურული კომპანია, რომლებიც შექმნილია გამოყენებითი სამეცნიერო-ტექნიკური შემუშავებების და წარმოებაში მათი დანერგვისათვის, გამოდის, როგორც დამოუკიდებელი ფირმები,

თანამედროვე პირობებში კონკურენტული ბრძოლის ეკონომიკურ საფუძვლად იქცა მსხვილი საკუთრება, რომელიც გაერთიანებულია ტნკ ჩარჩოებში. სოფლის მეურნეობის უმრავლეს სექტორებში საქონლის წარმოება და გასაღება უმსხვილესი კომპანიების მცირე რაოდენობის ჯგუფების ხელში აღმოჩნდა. მათ კონტროლი დააწესეს საქონლის წარმოებასა და გასაღებაზე, მსოფლიო ბაზარზე ფასები კარნახობენ და ამ ფასებს მაღალ დონეზე ინარჩუნებენ. ტნკ ფართოდ იყენებენ პირდაპირ ძალადობას, ბოიკოტს, ნაძალადევ შერწყმას და კონკურენტზე ზეწოლის მეთოდებს,

კონკურენციის როლი, განსაკუთრებით ფასობრივისა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს მოხდა როგორც ეროვნული სასაქონლო, ასევე მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. მსხვილ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ფასობრივი პოლიტიკის სხვადასხვა სახეობები პროდუქციის და ბაზრის ხასიათის და აგრეთვე სხვა წამყვანი მწარმოებლების მოქმედების გათვალისწინებით. ტრანსნაციონალური ოლიგოპოლიის მონაწილენი, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი პოტენციალი აქვთ და ერთნაირად არ სურთ სიახლეთა დანერგვა, უარს ამბობენ დამანგრეველ ფასობრივ კონკურენციაზე, როგორც მეტოქეობის იარაღზე.

დაახლოებით თანაბარი ფინანსურ-ტექნოლოგიური რესურსების მქონე კონკურენტ კომპანიებს ბრძოლის ფასობრივი მეთოდების გამოყენება ზედმეტად ძვირი უჯდებათ და, რაც მთავარია, მისი ინიციატორები გამარჯვებას პრაქტიკულად ვერ აღწევენ. ტრანსნაციონალური ოლიგოპოლიების შიგნით ფასების შემცირების საფუძველზე ფრონტალური შეტევა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მხოლოდ ძალთა თანაფარდობაში რადიკალური ძვრების წარმოქმნის შემთხვევაში, როდესაც ცალკეული ტნკ-ის მკვეთრად გაზრდილი კონკურენტუნარიანობა მას გავლენის სფეროს გადაკვეთის საშუალებას აძლევს.

### ლიტერატურა:

1. Майкл Е. Портер, Конкурентная стратегия, Методика анализа отраслей и конкурентов, Масква, 2005.
2. Майкл Е. Портер, Конкурентов преимущество, Альпина Бизнес букс, Москва, 2005.
3. ვ. ლობჯანიძე, საგარეო ბაზარი: კონკურენტუნარიანობის პრობლემები, „ლამპარი“, თბილისი, 2005.

## რეზიუმე

კონკურენცია ბაზრის და მთლიანად საბაზო მეურნეობის მექანიზმის ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს. ის წარმოებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ეკონომიკური ბერკეტია. მისი შესაბამისობა მომხმარებლის მოთხოვნებთან. საწარმოს საერთაშორისო შრომის ბაზარზე ფუნქციონირებისა და განვითარების ერთერთი ობიექტური პირობაა.

საერთაშორისო კონკურენციაში თანამედროვე ეტაპზე მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს ორი ტენდენცია, ეკონომიკურ ურთიერთობათა ორი ძირითადი სახეობა: 1. არაფასობრივი მეტოქეობა ოლიგოპოლიის ჩარჩოებში და ბაზარზე ურთიერთმოქმედების, შეთანხმებული მოქმედების კოორდინაციისაკენ მისწრაფება (ოლიგოპოლია მსოფლიო მასშტაბით წარმოების გარკვეული სექტორების

ეკონომიკური პოტენციალით ახლო მდგომი ტნკ-ს ვიწრო დაჯგუფებაა). 2. კონკურენტული ომები აუტსაიდერების წინააღმდეგ თვით მის თავიდან მოშორებამდე.

კონკურენცია ფასების არაფასობრივი ფაქტორების ხაზით გადამწყვეტ როლს თამაშობს ტნკ-ს სტიმულირებაში, ხელს უწყობს კომპანიის წარმოების ეფექტურობის ამაღლებას. ის უზიდავს ფირმებს სიახლეების შემოღებისაკენ. ამჟამად საბაზრო პირობებისათვის დამახასიათებელია ბაზრის გაჯერება, განპირობებული პროდუქციის მოცულობის და ფასების რეაქციის სისწრაფით მოთხოვნის ზრდაზე, ამიტომ კონკურენცია არის წარმოების აუცილებელი ეფექტურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

ტრანსნაციონალური ოლიგოპოლიების ჩარჩოებში კონკურენციას სპეციფიკური ნიშნები გააჩნია. წარმოების და კაპიტალის ფირმა-გიგანტების ხელში. კონცენტრაციის მაღალ დონეს ხარისხობრივად ახალი მომენტები შეაქვს საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების მთელს სტრუქტურაში: ერთი მხრივ, მწვავედება წინააღმდეგობები და კონკურენტული ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე როგორც ფირმა გიგანტებსა და აუტსაიდერებს, ასევე თვითონ უმსხვილეს კომპანიებს შორისაც; მეორე მხრივ, ფირმა-გიგანტებს უადვილდებათ საერთო ენის პოვნა, კომპრომისის მიღწევა. თანამედროვე პირობებში კონკურენტული ბრძოლის ეკონომიკურ საფუძვლად იქცა მსხვილი საკუთრება, რომელიც გაერთიანებულია ტნკ ჩარჩოებში. სოფლის მეურნეობის უმრავლეს სექტორებში საქონლის წარმოება და გასაღება უმსხვილესი კომპანიების მცირე რაოდენობის ჯგუფების ხელში აღმოჩნდა. მათ კონტროლი დააწესეს საქონლის წარმოებასა და გასაღებაზე, მსოფლიო ბაზარზე ფასები კარნახობენ და ამ ფასებს მაღალ დონეზე ინარჩუნებენ. ტნკ ფართოდ იყენებენ პირდაპირ ძალადობას, ბოიკოტს, ნამძალაღვე შერწყმას და კონკურენტზე ზეწოლის მეთოდებს,

კონკურენციის როლი, განსაკუთრებით ფასობრივისა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს მოხდა როგორც ეროვნული სასაქონლო, ასევე მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. მსხვილ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ფასობრივი პოლიტიკის სხვადასხვა სახეობები პროდუქციის და ბაზრის ხასიათის და აგრეთვე სხვა წამყვანი მწარმოებლების მოქმედების გათვალისწინებით. ტრანსნაციონალური ოლიგოპოლიის მონაწილენი, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი პოტენციალი აქვთ და ერთნაირად არ სურთ სიახლეთა დანერგვა, უარს ამბობენ დამანგრეველ ფასობრივ კონკურენციაზე, როგორც მეტოქეობის იარაღზე.

## FORMS AND FEATURES OF COMPETITIONS ON A MODERN STAGE

Lela Maisuradze, Specialist by contract

### RESUME

The competition represents the basis of market and totally of market economics mechanism function. It is the economic level of degree's elevation of the production. Its conformity with consumer's requests at the International market of production is one of the objective condition of function and development.

Market relations plenty of competition take systematic changes. For the first time it is manifested in the reductions of spontaneous elements; in the intensification of the antimonopoly, legislative state politics is motivated that the competition represents the effective coordination of the economical occupation, but its conservation on the necessary level demands state supporting against the conduct on the monopoly's market, so that against the forces monophonically regulators.

On the modern stage Tran National Corporations became the main subjects of the international competition. They have the possibility of the maneuverability totally on the different market in the frames of global structures of Tran National Corporations.

Two tendencies densely confluence each other: non valuable rivalry in the oligopoly's.

Frames and the reciprocal action on the market, the aspiration towards to the agreed coordination and wars plenty of competition against the outsiders.

The big firms that's posses the monophonically situation purposely press the rivals of the competition's production sufficiently financially less powerful.

The fight plenty of competition of monopoly's is reinforcement with outsiders on the way of capital transfer from one branch into second. Not so rarely with economic methods of the competition Tran National corporations use widely the violence, the boycott, the methods of the influence on the competitions.



## საბაზრო ეკონომიკის განვითარების ციკლურობის თავისებურებები თანამედროვე პირობებში

*ლეილა მამულაშვილი, პროფესორი  
ციური დურული, პროფესორი*

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი დიდი სიზუსტით ასრულებს ეკონომიკის რეგულატორის როლს. საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულად არის მოცული ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობებით. შერეული ეკონომიკის პირობებშიც კი წამყვანი როლი საბაზრო ურთიერთობებს უნდა ეკავოს. კონკურენციულ ბრძოლაში საჭიროა მონაწილეობდეს ყველა სამეურნეო რგოლი და სუბიექტი. ადამიანთა საქმიანობის პრაქტიკა მიუთითებს ეკონომიკური პირობების ცვალებადობაზე. ეკონომიკურმა აღმავლობამ შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური კრიზისი ანუ ეკონომიკური დაქვეითება, რომელსაც მოჰყვება მთლიანი შიდა პროდუქტის, დასაქმებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება. ამ პროცესს თან ახლავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა. შემდეგ ეს პროცესი შეიძლება განმეორდეს ანუ აღმავლობას კვლავ მოჰყვეს ახალი კრიზისი. წარმოების ასეთი აღმავლობა და დაცემა ქმნის ეკონომიკურ ციკლს.

ცალკეული ეკონომიკური ციკლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლივობითა და ინტენსივობით. მიუხედავად ამისა, ყოველ მათგანს ერთი და იგივე ფაზები გააჩნია, რომელთა ფორმულირება სხვადასხვა მკვლევარების მიერ მეტნაკლებად განსხვავებულია. ციკლურობა - ესაა ეროვნული ეკონომიკის და მსოფლიო მეურნეობის, როგორც ერთი მთლიანის, განვითარების ფორმა, მოძრაობა ერთი მაკროეკონომიკური განვითარებიდან მეორისაკენ. არცერთი ეკონომიკური ციკლი ზუსტად არ იმეორებს მეორე ციკლს, მაგრამ მათ მაინც აქვთ ბევრი საერთო ნიშანი: აღმავლობა და დაქვეითება, წარმოების გაფართოება და დაცემა - ეკონომიკური ციკლის მთავარი ფაზებია. ეკონომიკური ციკლი ყველგან აღწევს, იგი პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სფეროში იგრძნობა. საქმიანი აქტივობის ციკლში მკვეთრად ფიქსირდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ორი ეტაპი: ეკონომიკის აღმასვლა და კრიზისი. ეკონომიკის აღმასვლა იწყება საქმიანი აქტივობის გამოცოცხლებით, რაც გამოიხატება ახალი კონტრაქტების დადებით, უმუშევრობის შემცირებით, სამომხმარებლო მოთხოვნილების ზრდით, რომლის საფუძველზეც ხდება წარმოების მოცულობის ზრდა. ამერიკულ ლიტერატურაში აღმავლობის მწვერვალი განისაზღვრება როგორც ბუმი. საბაზრო სისტემის კრიზისი ხასიათდება წარმოების მკვეთრი დაცემით, რომელიც იწყება საქმიანი აქტივობის შემცირებით. კრიზისი განსხვავდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევისაგან რომელიმე საქონელზე ან რომელიმე დარგზე იმით, რომ ის აღმოცენდება ხოლმე, როგორც პროცესი, რომელსაც თან ახლავს ფასების მკვეთრი დაცემა, ბანკების გაბანკროტება, სამრეწველო საწარმოთა გაჩერება, საპროცენტო განაკვეთის ზრდა, უმუშევრობა. ეკონომიკური ციკლის დაცემას, როგორც წესი, მოყვება დეპრესიის პერიოდი.

რაც შეეხება წარმოებასა და დასაქმებას, ჩვეულებრივ დაქვეითებისაგან ყველაზე მეტად ზარალდება მრეწველობის ის დარგები, რომლებიც წარმოების საშუალებებსა და ხანგრძლივი სარგებლობის სამომხმარებლო საქონელს უშვებენ. წარმოება და დასაქმება მოკლევადიანი გამოყენების სამომხმარებლო საქონელთა გამომშვევ დარგებში, ჩვეულებრივ, ნაკლებად რეაგირებენ ციკლებზე. მრეწველობის დარგები და მუშები, რომლებიც დაკავშირებული არიან საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ნაგებობების მშენებლობასთან, მძიმე მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მსგავს საქონელთა წარმოებასთან, მნიშვნელოვან დარტყმას განიცდიან. მრეწველობის ის დარგები კი, რომლებიც აწარმოებენ ხანგრძლივი მოხმარების საქონელს, აღმავლობის ფაზაში განვითარების მაქსიმალურ სტიმულს ღებულობენ. ციკლურობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების ერთ-ერთი საშუალება. რამდენადაც ციკლურობის მახასიათებელი ნიშან-თვისებაა მოძრაობა არა წრიულად, არამედ სპირალურად, რაც პროგრესული განვითარების ფორმას წარმოადგენს.

ცნობილია ეკონომიკური ციკლების რამდენიმე ტიპი, რომლებსაც ტალღები ეწოდებათ. ეკონომიკურ ლიტერატურაში მათ არქმევენ იმ მეცნიერთა სახელებს, რომლებმაც აღნიშნული პრობლემის კვლევას მიუძღვნეს ნაშრომები. ყველაზე მეტად ცნობილია შემდეგი ეკონომიკური ციკლები: ნ. კონდრატიევის (50-60 წელი), რომელსაც ეწოდა „გრძელი ტალღები“, ს. კუზნეცოვის (18-25 წელი) კ. ჯუგლიარის (10 წელი), ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები (2 წელი 4 თვე). „ხანგრძლივი ტალღების“ განვითარების თეორიის შემუშავება დაიწყო 1887 წელს, ინგლისელმა მეცნიერმა ხ. კლარკმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია 54 წლიან წყვეტას 1793 წ. და 1847 წ. კრიზისებს შორის. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. ჰოლანდიელი მეცნიერების ა. გედერენის და ს. ვოლფის მეცნიერული ნაშრომები



მოიცავენ მასალების ორიგინალურ სტატისტიკურ დამუშავებას ტექნიკური პროცესების, როგორც ციკლურობის ერთ-ერთი ფაქტორის განხილვისას.

სხვადასხვა წლებში წარმოება შეიძლება გაიზარდოს დაბალი ან მაღალი ტემპებით, ხოლო რიგ შემთხვევებში ზრდას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ნიშანი, რაც წარმოების შემცირებას ნიშნავს. ამიტომ ეკონომიკის ზრდის დინამიკას ზუსტად ასახავს ტალღისებრი ხაზი, რომელთაგან თითოეული ახასიათებს ეკონომიკის განვითარების მთლიან ციკლს. მეცნიერ-ეკონომისტები გამოყოფენ შემდეგ ტენდენციებს:

- ციკლები ერთი საუკუნის მანძილზე;
- ციკლები, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ათეულ წელს;
- ნორმალური ეკონომიკური ციკლები;
- მცირე ციკლები;
- ეკონომიკის ცალკეული დარგების შიგნით სპეციფიკური რყევები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა);

- ცალკეული მოვლენების სპეციფიკური რყევები;

ციკლურობას, როგორც ეკონომიკურ კანონზომიერებას ყველა მეცნიერ-ეკონომისტი როდი აღიარებს. მაგრამ ციკლურობა, როგორც პრობლემა, საინტერესოა ყველა თანამედროვე ადამიანისათვის. ეკონომიკური ციკლის მთავარი დეტერმინანტი – კაპიტალდაბანდება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე. ინვესტიციაზე მოთხოვნა დამოკიდებულია სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების პოლიტიკაზე. ეკონომიკის ციკლური განვითარება მონეტარული პოლიტიკითაა განპირობებული. ეკონომიკური კრიზისების წარმოშობა ობიექტური კანონზომიერებაა და მისი გვერდის ავლა ეკონომიკური კვლავწარმოების პირობებში თითქმის შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის მიმართ განსხვავებულია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ინტეგრირებული თითოეული ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, რომელიც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას ექსპორტ-იმპორტზე, ტრანსნაციონალური კომპანიების არსებობას, მეზობელ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა.

აშშ-ს ეკონომიკა განიხილება, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი. ამ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის შენელების ნებისმიერი ნიშანი უარყოფით ეფექტს ახდენს სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე. უკანასკნელმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც გამოიწვია აშშ-ს საბანკო სისტემის კრაშმა, „დომინოს“ პრინციპით გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოზე, წამოიჭრა საკითხი: შეუძლია თუ არა გლობალურ ეკონომიკას თავიდან აიცილოს აშშ-ს ციკლური განვითარების ზემოქმედება. ფინანსური ინტეგრაციის ზრდა ერთობლიობაში ხელს უწყობს ციკლური განვითარების შედეგების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არის ფორმირებული ერთიანი მიდგომა ეკონომიკის ციკლურ განვითარებასთან დაკავშირებით. ეკონომიკური ციკლების და კრიზისების ბუნებასთან და მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენენ საკამათოს. იგი ემყარება განსხვავებულ მიდგომებს აღნიშნული საკითხის კვლევიდან გამომდინარე სხვადასხვა მაკროეკონომიკურ სკოლებში. ზოგადად, არსებობს შემდეგი შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: ციკლურობა გამოწვეულია როგორც შიდა, ასევე გარე მიზეზებით. მოცემულ შემთხვევაში, შიდა ფაქტორები - ძირითადი და საბაზოა, მაშინ, როდესაც გარე ფაქტორები აძლევენ ბიძგს და ხდებიან მიზეზი კრიზისული მოვლენების დასაწყებად; ეკონომიკური ციკლები გამოწვეულია ეკონომიკასთან დაკავშირებული გარე მიზეზებით. კონკრეტულ გარე ფაქტორებს შორის, რომლებიც იწვევენ კრიზისებს ეკონომიკაში და ხელს უწყობენ მისი განვითარების ციკლურობას ასახელებენ შემდეგ მიზეზებს - ომებს, პოლიტიკურ მოვლენებს, მოსახლეობის მიგრაციას და ა. შ; ციკლურობა შიდა ფენომენია, რომელიც თან ახლავს თვით ეკონომიკურ სისტემას და გენერირებულია: არასაკმარისი მოხმარებით წარმოებასთან შედარებით; წარმოების საშუალებების წარმოების გადაჭარბებით სამომხმარებლო საქონლის წარმოებასთან შედარებით; ასევე შესაძლებელია დასახელდეს ეკონომიკაში კრიზისებსა და ციკლებზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები:

- კრიზისების სიხშირე, განპირობებული ძირითადი კაპიტალის მასიური განახლებით, რომელიც ადგენს ეკონომიკური ციკლის დროებით ჩარჩოებს;
- არაგადახდისუნარიანობის კრიზისამდე მიყვანა საქონლის კრედიტით გაყიდვის გამო.
- ურთიერთდაპირისპირება თანამედროვე წარმოების ზუსტ ორგანიზაციასა და ბაზრის სტიქიურ ბუნებას შორის;

- წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის

ციკლების და კრიზისების ბუნების ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულების გამო ეკონომიკის ციკლური განვითარების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი სხვადასხვაგვარია. ისინი განიხილება მხოლოდ ერთობლიობაში. მიზეზთა წრე, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ პროგრესს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კრიზისების წარმოშობის ისეთ ფაქტორებად გვევლინება, როგორცაა ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობასა და ბუნებას შორის წონასწორობის დარღვევა, ადამიანური პოტენციალის არარაციონალური გამოყენება, შრომის წახალისების შესუსტება და საზოგადოებაში დაგროვება.

ეკონომიკური კრიზისი ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური გაჯანსაღების, ინოვაციური პროცესების აუცილებელი დაჩქარების, მაკროეკონომიკური მართვის ახალი მეთოდების შემუშავების, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის და სამუშაო ადგილების შექმნის საბიუჯეტო სტიმულირების, მართვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავების, თავისუფალი ფასწარმოქმნისა და თავისუფალი კონკურენციის ხელშემწყობი პირობაა. მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრიზისების სწორი და დროული პროგნოზირება, რათა წინასწარ შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული მდგომარეობის უმტკივნეულოდ გადატანას.

#### ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
2. თ. ბლანშარი, მაკროეკონომიკა, მეხუთე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
3. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, მაკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012.
4. [for.ge/view.php?for\\_id=3204&cat=3](http://for.ge/view.php?for_id=3204&cat=3)
5. [intermedia.ge/სტატია/59659](http://intermedia.ge/სტატია/59659)
6. [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=13430](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=13430)
7. [www.nplg.gov.ge/.../library.exe?](http://www.nplg.gov.ge/.../library.exe?)
8. [eeu.edu.ge/uploads/biznesadministrireba/34makroekonomikaRg.doc](http://eeu.edu.ge/uploads/biznesadministrireba/34makroekonomikaRg.doc)

### რეზიუმე

ეკონომიკური ციკლი ყველგან აღწევს, იგი პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სფეროში იგრძნობა. საქმიანი აქტივობის ციკლში მკვეთრად ფიქსირდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ორი ეტაპი: ეკონომიკის აღმასვლა და კრიზისი. ეკონომიკის აღმასვლა იწყება საქმიანი აქტივობის გამოცოცხლებით, რაც გამოიხატება ახალი კონტრაქტების დადებით, უმუშევრობის შემცირებით, სამომხმარებლო მოთხოვნილების ზრდით, რომლის საფუძველზეც ხდება წარმოების მოცულობის ზრდა. ციკლურობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების ერთ-ერთი საშუალება, რამდენადაც ციკლურობის მახასიათებელი ნიშან-თვისებაა მოძრაობა არა წრიულად, არამედ სპირალურად, რაც პროგრესული განვითარების ფორმას წარმოადგენს.

## CYCLE FEATURES OF MARKET ECONOMY DEVELOPMENT IN MODERN CONDITIONS

Leila Mamulashvili, Professor

Tsiuri Duruli, Professor

### RESUME

The economic cycle reaches everywhere, it actually felt in all spheres of the economy. Business activity has been observed in the series of two-stage development of the market economy: the rise and the economy crisis. Economic activity begins sakniani revitalization, which is reflected in the new contracts, the decline in unemployment, consumer demand growth, of which the increase in production volume. Cycle can be seen as one of the means of self-regulation of the market economy. As far as the mark-cyclical characteristic feature of the movement is not a circle, but a spiral, which is a form of progressive development.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო

*ლალი ოსაძე, ასოცირებული პროფესორი  
სოფიო ცეცხლაძე, მოწვეული სპეციალისტი*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, რომ ჩართულიყო შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. საქართველოს აქტიური მონაწილეობა მსოფლიო თანამეგობრობაში ისევე, როგორც ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა, სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეულ სახელმწიფოებთან. მათ შორის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ურთიერთობები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ).

წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, სსფ-ის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა. მჭიდრო თანამშრომლობამ სსფ-თან საქართველოს საშუალება მისცა, დაეძლია ჰიპერინფლაციური პროცესები, შემოეღო გაცილებით მყარი ეროვნული ვალუტა, მოეხდინა საგარეო ურთიერთობების ნორმალიზება და ა.შ. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, როგორც ქვეყნის კრედიტორის როლი თანამედროვე ეტაპზე ძალიან დიდია, მიგვანიშნებს სსფ-ის მიერ განხორციელებული პროგრამების გარკვეულ ნაკლოვანებებზე. აღნიშნული ნაკლოვანებების გამოვლენა მეტად მნიშვნელოვანია, რათა ურთიერთობები სსფ-სა და საქართველოს შორის გაცილებით ეფექტიანი გახდეს მომავალში.

ურთიერთობები საქართველოსა და სსფ-ს შორის გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, სსფ-ის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი კრედიტორის როლი ძალიან დიდია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მეორე მხრივ, კი არსებობდა გარკვეული უთანხმოებანი ამ ორ სუბიექტს შორის. კრედიტების არამიზნობრივი ხარჯვა და რეკომენდაციების შეუსრულებლობა ურთიერთობათა დაძაბვის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

სსფ შეიქმნა 1944 წლის ივლისში ბრეტონ-ვუდსში (აშშ). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი გახდა ახალი სავალუტო სისტემის ფორმირება, ვინაიდან ოქროს სტანდარტზე დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო. სწორედ აღნიშნული პრობლემა გახდა მიზეზი 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის კონფერენციისა, რომელიც აშშ-ის ინიციატივით ჩატარდა. შეიქმნა სრულიად ახალი სავალუტო სისტემა, რომლის წევრ სახელმწიფოებს უნდა ეხელმძღვანელათ ერთიანი პრინციპებით საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. 44 სახელმწიფოს წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების სავალუტო-ფინანსური კონფერენციის სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. სწორედ აღნიშნული ხელშეკრულება იქცა ორგანიზაციის წესდებად. მას შემდეგ ხელშეკრულება სამჯერ იქნა გადასინჯული:

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ოფიციალურად 1945 წლის 27 დეკემბერს ამოქმედდა, როდესაც 29 ქვეყნის წარმომადგენლის მიერ მოხდა სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის წესდებათა რატიფიცირება. მომდევნო წლისთვის პრაქტიკულად დასრულდა სსფ-ის ფორმირება და უკვე 1947 წლის მარტიდან მან სავალუტო ოპერაციების განხორციელება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ სსრკ (და შესაბამისად, საქართველოც) სსფ-ის წევრი არ იყო.

სსფ თანდათანობით ჩამოყალიბდა საკმაოდ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც გაეროს წევრ 186 სახელმწიფოს აერთიანებს.

დაარსებიდან დღემდე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა არსებითი ცვლილებები განიცადა. სსფ-ის შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ვაშინგტონში, ხოლო სამუშაო ენა არის ინგლისური.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები ყალიბდება ძირითადი კაპიტალისა და დაგროვების ხარჯზე. კაპიტალი განისაზღვრება კვოტებით სსფ-ის წევრი ქვეყნების შენატანებით. კვოტით დგინდება ქვეყნის ხმების რაოდენობა და რესურსების გამოყენების ლიმიტი. კვოტების გადასინჯვა ხუთ წელიწადში ერთხელ წარმოებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების კვოტების საწყისი სიდიდე განისაზღვრება ამ ქვეყნების მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით. კვოტის გამოსათვლელი რამოდენიმე ფორმულა არსებობს, მათ შორისაა ბრეტონ-ვუდსის ზოგადი ფორმულა, რომლის გარდაქმნითაც მიღებულია დანარჩენი ფორმულები:

- $CQ = (0.01Y + 0.025R + 0.05P + 0.2276VC)(1 + C/Y)$  (ბრეტონ-ვუდსის ფორმულა);

სადაც,

CQ არის გასაანგარიშებელი კვოტის სიდიდე;

Y – მთლიანი შიდა პროდუქტი მოცემული წლის მიმდინარე საბაზრო ფასებში;

R – თორმეტი თვის ოქროსა და უცხოური ვალუტის საშუალო რეზერვები, მათ შორის, უკანასკნელი წლის კუთვნილი ნასესხობის სპეციალური უფლება და რეზერვები საერთაშორისო სავალუტო ფონდში;

P – მიმდინარე გადასახდელების უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო დონე;

C – მიმდინარე შემოსულობათა უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო დონე;

VC – მიმდინარე შემოსულობათა ცვლილებები.

საქართველოს წილი კვოტა სსფ-ში ამჟამად 150.3 მლნ SDR-ს შეადგენს, რაც მთლიანი მოცულობის 0.07%-ია. ამის გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანას ფონდში გააჩნია 1,753 ხმა (მთლიანი ხმების 0.08%).

№1 ცხრილში მოყვანილია ათი ყველაზე დიდი კვოტის მქონე სახელმწიფოს მონაცემები.

ცხრილი №1

ქვეყანა	კვოტა (მლნ SDR)	კვოტა (%)	ხმების რაოდენობა	ხმები (%)
აშშ	37,149.3	17.09	371,743	16.74
იაპონია	13,312.8	6.12	133,378	6.01
გერმანია	13,008.2	5.98	130,332	5.87
დიდი ბრიტანეთი	10,738.5	4.94	107,635	4.85
საფრანგეთი	10,738.5	4.94	107,635	4.85
ჩინეთი	8,090.1	3.72	81,151	3.65
იტალია	7,055.5	3.24	70,805	3.19
საუდის არაბეთი	6,985.5	3.21	70,105	3.16
კანადა	6,362	2.93	63,942	2.88
რუსეთი	5,944	2.73	59,704	2.69

ტრადიციულად, ყველაზე მეტი კვოტა და, შესაბამისად, ხმის უფლებაც, სსფ-ში აშშ-ს გააჩნია. ამის გამო მას თითქმის ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება გადაწყვეტილებების მიღებისას. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კვოტების მოცულობა მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე არაა დამოკიდებული (მაგალითისთვის, მე-8 ადგილზე მყოფი საუდის არაბეთი მშპ-ის მოცულობის მხრივ მსოფლიოში მხოლოდ 26-ე ადგილზეა).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანია წევრ სახელმწიფოებში მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება. წესდების მიხედვით სსფ-ის მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და მისი სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ქვეყნებში დასაქმებისა და რეალური შემოსავლის მაღალი მაჩვენებლების მიღწევა;

- საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ერთობლივი მუშაობა წევრ ქვეყნებთან სავალუტო-ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად;

- ვალუტის დევალვაციის თავიდან აცილების მიზნით წევრ სახელმწიფოთა ვალუტების სტაბილურობისთვის ხელის შეწყობა;

- ხელის შეწყობა წევრი ქვეყნებისთვის, ფონდის რესურსების გამოყენებით მიაღწიონ წონასწორობას;

- ხელი შეუწყოს სავალუტო შეზღუდვების ლიკვიდაციას, რომელიც აფერხებს მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას;

- საგადამხდელი ბალანსში წონასწორობის დარღვევათა ვადებისა და მასშტაბების შემცირება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოსთვის პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორი. მის მიერ გამოყოფილი კრედიტების საშუალებით საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.



1994 წლიდან დღემდე საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ოთხი კრედიტი მიიღო. საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული კრედიტების ეტაპობრივ შესყიდვას ახორციელებს. დეტალურად განვიხილოთ სსფ-ის მიერ გამოყოფილი კრედიტების პირობები:

1) საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი კრედიტი განისაზღვრა - 75.32 მლნ აშშ დოლარით - აღნიშნულ კრედიტზე საშეღავათო პერიოდი 4.5 წლით განისაზღვრა, ხოლო ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 5.5 წლით.

2) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე კრედიტი თანხით 30.13 მლნ აშშ დოლარი 1995 წლის 3 ივლისს - და ამავე წლის 4 ნოემბერს - 16.65 მლნ SDR. აღნიშნულ კრედიტზე საშეღავათო პერიოდი განისაზღვრა 3.25 წლით, ხოლო ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი - 1.75 წლით.

3) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე კრედიტი (სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული მექანიზმი) თანხით (188.31 მლნ აშშ დოლარი) კრედიტი გამიზნული იყო სტრუქტურული გარდაქმნებისათვის.

4) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეოთხე კრედიტი დამტკიცებულ იქნა 2008 წლის 15 სექტემბერს. კრედიტის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ იყო მიმართული. პროგრამის დასრულების ვადა დადგინდა 2011 წლის 14 ივნისამდე.

2010 წელს სსფ-ის მექანიზმის გამოყენებამ ხელი შეუწყო საქართველოს საერთაშორისო რეზერვების შევსებას და საგადამხდელო ბალანსის გარღვევის თავიდან აცილებას.

2014 წლიდან ამოქმედდა სარეზერვო დაფინანსების მექანიზმის პროგრამა, რომელიც 36 თვე გაგრძელდება და 100 მილიონი სპეციალური სესხების უფლებების (დაახლოებით 154 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფას. მისია იწონებს საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმას გამოაქვეყნოს ინფლაციის ყოველკვარტალური ანგარიშები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით და 2015 წლიდან სისტემატიურად ჩაატაროს პრესკონფერენციები. მისიის პროგნოზით მიმდინარე წლის საბიუჯეტო დეფიციტი ნაკლები იქნება.

სსფ-ს პროგრამა მიზნად ისახავს 2017 წლისთვის დეფიციტის მაჩვენებლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2½ პროცენტამდე შემცირებას, რათა გაგრძელდეს სახელმწიფო ვალის კლება მშპ-სთან შედარებით და წახალისდეს ქვეყნის საგარეო პოზიციის კორექტირება. როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმატებებზე საუბარი, მასვე თან სდევს ფონდის საქმიანობის კრიტიკა. სსფ-ის საქართველოში ოცწლიანი მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერად შეიძლება შეფასდეს. მისი ინიციატივით თუ მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს ბევრი გულშემმატკივარი გამოუჩნდა, თუმცა ბევრია მოწინააღმდეგეც.

საქართველოში სსფ-ის საქმიანობის მთავარ დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ქვეყანაში საფინანსო სისტემის ფორმირება და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. სსფ-მა დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, რომელიც ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესებს არეგულირებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერდა ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა ჰიპერინფლაციური პროცესების აღმოფხვრა. აღნიშნულმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა, წარმატებით განეხორციელებინა ფულადი რეფორმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციითა და მხარდაჭერით საქართველოში ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა. სსფ-მა დიდი როლი ითამაშა, ასევე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და უცხოური ვალეების რესტრუქტურის პროცესში. მან ღია მხარდაჭერა გამოუცხადა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას საბიუჯეტო ხარჯებში ჯანდაცვისა და განათლებისათვის პრიორიტეტის მისანიჭებლად.

მიუხედავად სსფ-ის მიერ საქართველოში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, სამწუხაროდ, არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რომელიც სსფ-ის რეკომენდაციასა თუ მოთხოვნას მოჰყვა. მათგან აუცილებლად უნდა გამოვყოთ შემდეგი:

- 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ურჩია, დარჩენილიყო ე.წ. „რუბლის ზონაში“ და არ შემოეღო საკუთარი ეროვნული ვალუტა. ამ ყველაფერს 1993 წელს რუსეთის მხრიდან ფულადი ბანკნოტების არასტაბილური მოწოდება მოჰყვა, რის გამოც ქვეყანა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. სსფ იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი თავდაპირველი პოზიცია და მხარი დაეჭირა საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღებისთვის;

• საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, რომ ბრუნვიდან გადასახადი (მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილი სხვაობა საქონლის საცალო და საბითუმო ფასებს შორის) შეეცვალა დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ), რაც შესაბამისი საგადასახადო სისტემის არარსებობის პირობებში მეტად რთული განსახორციელებელი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ცალსახად დაშვებულ იქნა შეცდომა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა, გაეუქმებინა არსებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც მეწარმეების მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას ითვალისწინებდა, რომელიც რეინვესტირებას ხმარდებოდა. ამით ქვეყანაში, რომელიც ისედაც ინვესტიციების უდიდეს დეფიციტს განიცდიდა, შეიზღუდა წარმოების განვითარების საფინანსო რესურსების მოძიების სტიმული. აღნიშნული ქმედებით მეწარმეებს ფაქტობრივად გაუქრათ წარმოების შემდგომი განვითარების სტიმული;

• 1997 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა წლის ბოლოს დაამტკიცა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც სსფ-ის ექსპერტების მონაწილეობით იქნა მომზადებული. აღნიშნული კოდექსი ხშირ შემთხვევაში არათუ რიგითი გადამხდელისთვის, არამედ სპეციალისტისთვისაც გაუგებარი იყო.

მიუხედავად უამრავი კრიტიკისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდს დღეს ალტერნატივა არ გააჩნია. მისი მხარდაჭერის გარეშე საქართველოსთვის ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა და იქნება შემდგომი ეკონომიკური განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და საერთაშორისო ფონდის ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნულმა საკითხმა მეტი აქტუალობა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს შორის ომის შემდგომ შეიძინა. აგვისტოს ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნდობის დეფიციტის წარმოქმნას.

სსფ-ის ახლანდელი ტაქტიკა ემსახურება ქვეყნებში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, საკამათო აღარ უნდა იყოს ფონდთან თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობა.

შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ სსფ-ის საქმიანობა საქართველოში მისი ეკონომიკური განვითარებისა და მყარი ფინანსური საფუძვლებისკენ არის მიმართული. ბუნებრივად უნდა იქნას აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან.

დაუშვებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მხოლოდ ერთი მხრიდან განხილვა და ყოველმხრივ უსაფუძვლო კრიტიკა, როგორც ამას ზოგიერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი აკეთებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სსფ-ის როლი განუზომლად დიდი იყო და არის ჩვენი ქვეყნის წინსვლის პროცესში.

#### ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ვეშაპიძე შ., ასლამაზაშვილი ნ., გრიშკაშვილი ა., კაკაშვილი ნ., ლეკაშვილი ე., ლონდარიძე ა., პაპაჩაშვილი ნ., სეფაშვილი ე., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ევროპული უნივერსიტეტი, თბ., 2008;
2. კაკულია რ., ბახტაძე ლ., საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები, „ვერქე“, თბ., 2007;
3. პაპავა ვ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, „იმპერიალი“, თბ., 2000;
4. ჯიბუტი ა., ლლონტი ი., საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003;
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალი“, თბ., 2010;
6. [www.ena.lu](http://www.ena.lu)
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
9. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
10. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
11. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

## რეზიუმე

წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, სსფ-ის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა. მჭიდრო თანამშრომლობამ სსფ-თან საქართველოს საშუალება მისცა, დაეძლია ჰიპერინფლაციური პროცესები, შემოეღო გაცილებით მყარი ეროვნული ვალუტა, მოეხდინა საგარეო ურთიერთობების ნორმალიზება. როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმატებებზეა საუბარი, მასვე თან სდევს ფონდის საქმიანობის კრიტიკა. თუმცა, სსფ-ის საქართველოში ოცწლიანი მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერად შეიძლება შეფასდეს.

ბუნებრივად უნდა იქნას აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სსფ-ის როლი განუზომლად დიდი იყო და არის ჩვენი ქვეყნის წინსვლის პროცესში.

## INTERNATIONAL MONETARY FUND AND GEORGIA

Lali Osadze, Associate Professor  
Sofio Tsetskhladze, Specialist by contract  
RESUME

Over the years, the government's economic programs are being set up with the active participation of IMF. The close cooperation with the IMF has allowed him to tackle inflation processes, introduce more solid national currency, on the normalization of foreign relations. Georgia has had a successful twenty-year career in the IMF can be described, but there are many opponents of the IMF-despite considerable progress achieved by Georgia-promotion, unfortunately, a number of mistakes were made.

Despite a lot of criticism, the IMF does not have the alternative. Without his support for Georgia and will further economic development would actually can proper-label.

## საბაჟო ტარიფისა და საბაჟო გადასახდელის განსაზღვრისათვის საქართველოში

*თეა ხორგუაშვილი, პროფესორი  
თამარ მაკასარაშვილი, პროფესორი*

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მძიმე საბიუჯეტო კრიზისმა საბაჟო ორგანოების ამოცანებიდან პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო გადასახდელისა და საბაჟო მოსაკრებლების მობილიზაციას და ბიუჯეტში ჩარიცხვას. მანამდე ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელისაგან გათვალისწინებულ შემოსავლებს საპროგნოზო მაჩვენებლის ფორმა ჰქონდა, რამაც თანდათანობით სავალდებულო მაჩვენებლის ფორმა მიიღო. სავალდებულო გეგმის შესრულება სირთულეს წარმოადგენდა, რასაც თან სდევდა ორგანიზაციული ცვლილებები. საბაჟო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმალურობის ძიებამ საბაჟო დეპარტამენტს რამდენჯერმე შეუცვალა ზემდგომი ორგანოები და პირები. 2007 წლიდან საბაჟო დეპარტამენტი სსიპ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურის ერთეულია და უკვე ამ უწყების ზემდგომობით ახორციელებს შესაბამის საქმიანობას.

საქართველომ, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, უარი თქვა სახელმწიფო მონოპოლიაზე წარმოებისა და მომსახურების სფეროში, მათ შორის, საგარეო ვაჭრობაში. საქართველომ აღიარა თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო საზღვარზე ტვირთბრუნვის დაჩქარება და გაზრდა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესია, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საქონლის ან საქონლის ჯგუფის

საქართველოში შემოტანა ან გატანა არ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. სწორედ აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო და, მათ შორის, საქართველო, ახორციელებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო საბაჟო რეგულირებას.

ექსპორტ-იმპორტის სატარიფო რეგულირება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ყველაზე გავრცელებული და ქმედითი ფორმაა. სატარიფო მეთოდების ქვეშ იგულისხმება რეგულირების ეკონომიკური მეთოდების ის ნაწილი, რომლის დროსაც რეგულირება ხორციელდება საბაჟო გადასახდელის და საბაჟო ტარიფის საშუალებით.


საბაჟო გადასახდელი ასრულებს შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს:

1. ფისკალურ ფუნქციას, რამდენადაც შემოსული თანხა, წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროს;
2. სავაჭრო-პოლიტიკურ ფუნქციას, რამდენადაც მისი საშუალებით შესაძლებელია იმპორტირებული პროდუქციის შიდა ბაზრებზე დამკვიდრების შეზღუდვა. აღნიშნული ბაჟი იცავს ეროვნულ მწარმოებლებს უცხოური კონკურენციისაგან;
3. მორალურ ფუნქციას, ზოგიერთი საქონლის იმპორტის აკრძალვა შეიძლება დაკავშირებული იყოს მორალურ ცნობიერებასთან, ბუნების დაცვასთან, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და ა.შ.

საბაჟო გადასახდელების კლასიფიკაცია ხორციელდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად, დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განასხვავებენ:


- იმპორტზე ბაჟს, რომლითაც იბეგრება შიდა ბაზარზე რეალიზაციისათვის განკუთვნილი იმპორტირებული საქონელი. იგი ყველა ქვეყანაში გამოიყენება. ადრეულ ეტაპზე იმპორტზე გადასახდელი უზრუნველყოფდა ფისკალურ ფუნქციას, თანამედროვე ეტაპზე კი ამ ფუნქციას დაემატა ადგილობრივი ბაზრის დაცვის ფუნქცია;
- ექსპორტზე ბაჟს, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ნორმების თანახმად იშვიათად გამოიყენება, რადგანაც ხელს არ უწყობს საერთაშორისო საქონლის გაცვლის პროცესს. იგი როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სხვაობას შიდა რეგულირებად ფასსა და მსოფლიო ბაზარზე ფასს შორის კონკრეტულ საქონელზე ან/და ნედლეულზე იმ მიზნით, რომ შემცირდეს ექსპორტი და იმავდროულად გაიზარდოს ეროვნული ბიუჯეტი;
- ტრანზიტზე ბაჟს, რომლითაც იბეგრება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრანზიტად გამავალი საქონელი.

სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს შორის საბაჟო გადასახადზე დაახლოებით 2% მოდის.



საბაჟო გადასახდელების კლასიფიკაცია მიმოქცევის სფეროს, მიზნებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც შეიძლება სქემატურად ასე წარმოვადგინოთ:





საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის კლასიკურ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთობაში მხარეთა დაცვის საკმარის დონეს, წარმოადგენს საბაჟო ტარიფი.

საბაჟო ტარიფი ეს არის საქონლის ჩამონათვალი, რომლისაგანაც გადაიხდება ბაჟი მოცემული საქონლის ერთეულზე საბაჟო გადასახდელის განაკვეთის ჩვენებით.

საბაჟო ტარიფის ძირითადი შემადგენელია:

- საიმპორტო საქონლის სისტემატიზირებული ჩამონათვალი;
- საიმპორტო საქონლის საბაჟო ღირებულების და ბაჟის გადახდევინების მეთოდების სისტემა;
- ბაჟის დაწესების, ცვლილებების ან/და გაუქმების წესი;
- საბაჟო სფეროში აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილების საზღვრები.

საბაჟო ტარიფები აიგება სასაქონლო კლასიფიკატორის საფუძველზე, სადაც სხვადასხვა საქონელი ჯგუფდება დარგის და მისი დამუშავების ხარისხის კრილში. თითოეულ საქონელს ენიჭება მრავალნიშნა ციფრული კოდი გაეროს საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტების შესაბამისად.

განასხვავებენ საექსპორტო და საიმპორტო ტარიფებს. საექსპორტო ტარიფები რამდენადმე ეწინააღმდეგება საბაჟო ურთიერთობების პრინციპებს, რომლის თანახმად ბაჟი უნდა გადაიხდევინებოდეს იმ სახელმწიფოს ხაზინაში, სადაც რჩება და მოიხმარება საქონელი. საექსპორტო ტარიფების შემთხვევაში კი გამოდის, რომ იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელი უხდის გადასახადს ექსპორტიორი ქვეყნის ბიუჯეტს.

საქართველომ საექსპორტო ტარიფზე უარი თქვა. აღნიშნული პირობა აუცილებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობისათვის.

ზოგიერთი საქონლის და ნივთის ქვეყნიდან გატანა არა მარტო არ იბეგრება, არამედ არც სტატისტიკურად აღირიცხება, როგორც ექსპორტი. ასეთ საქონელზე ამბობენ, რომ ის გათავისუფლებულია გადასახდელებისაგან. ხოლო საქონელი, რომლის ქვეყნიდან გატანა ფორმდება და

აღირიცხება, როგორც ექსპორტი, როდენობითაც და ღირებულებითაც, ამბობენ, რომ ის იბეგრება ნულოვანი გადასახადით. საქართველო იყენებს სწორედ ნულოვან დაბეგვრის რეჟიმს ექსპორტთან მიმართებაში.

გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი: შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების ექსპორტისათვის მომსახურების ტარიფი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი მოცულობით:

- შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) ექსპორტისათვის - 1 ტონაზე 160 ლარის ოდენობით;
- შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტირებისათვის - 1 ტონაზე 40 ლარის ოდენობით;
- ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტისათვის - 1 ტონაზე 50 ლარის ოდენობით.

საიმპორტო ტარიფები ქვეყანაში იმპორტული საქონლის შემოტანის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტია და, ამავე დროს, ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების მთავარი წყარო.

1992 წელს, როდესაც დაწესდა პირველი ეროვნული უნიფიცირებული ტარიფები, იმპორტის ტარიფს შეადგენდა 2%, ექსპორტზე - 8%, ბარტერზე -20%. 1994 წელს ტარიფებმა მიიღო რამდენადმე ნორმალური სახე, მოიხსნა საექსპორტო და ბარტერის ტარიფები. იმპორტის ტარიფი განისაზღვრა 12% და საბაჟო ტარიფებს საფუძვლად დაედო საბაჟო ღირებულება, ანუ საქონლის ღირებულება საზღვრის გადაკვეთის მომენტში. მოგვიანებით იმპორტზე ტარიფების უნიფიცირებული სისტემა შეიცვალა დიფერენცირებული სისტემით და დღეს გვაქვს 0%, 5% და 12% სატარიფო სისტემა იმპორტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რიგი საქონელი და ნედლეული არ იბეგრება, ხოლო დაბეგვრის რეჟიმში მოქცეული საქონელი და ნედლეული დიფერენცირებულად 5% ან 12%- ით იბეგრება.

საბაჟო ტარიფების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრას, რადგან სხვადასხვა ჯგუფის ქვეყნებთან მიმართებაში საიმპორტო ბაჟი დიფერენცირებულია. ამასთან საბაჟოდ განიხილება საიმპორტო საბაჟო გადასახდელის ის განაკვეთები, რომლებიც გამოიყენება იმ ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე, რომელთა მიმართ მოცემულ ქვეყანასთან მოქმედებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. მოცემული პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნის მიმართ იყენებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, საიმპორტო - საბაჟო გადასახდელის შემცირებისას რომელიმე მესამე ქვეყნის მიმართ საიმპორტო გადასახდელი ავტომატურად უნდა შემცირდეს იმავე საქონელზე, იმავე დონემდე, როგორც მესამე ქვეყნისათვის.

ამრიგად ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული რეფორმები საბაჟო სფეროში ძირითადად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ჭრილში მიმდინარეობდა.

საბაჟო ორგანოებს მიეცა საქონლის იმპორტ-ექსპორტზე დაწესებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პარალელური უფლება. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით ასევე ისარგებლებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემაზე აქამდე ავტორიზებული სხვა სახელმწიფო უწყებები, რომ კერძო სექტორს საშუალება ექნება თავად აირჩიოს, თუ რომელ უწყებას მიმართოს ლიცენზიის ან ნებართვის მისაღებად.

პოზიტიური სიახლე არის საბაჟო საწყობების კონტროლის კუთხით განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც საწყობში შენახული საქონლის ფიზიკურ კონტროლზე უარის თქმისა და აუდიტის დანერგვას გულისხმობს, როგორც კონტროლის ალტერნატიულ ფორმას. ასევე საკანონმდებლო და პროცედურულ დონეზე გასწორდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების დღგ-ით და დაბეგვრის საკითხი. შემოღებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტულ პრაქტიკაში არსებული პროცედურები, როგორცაა საქონლის წინასწარი დეკლარირება და ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება.

#### ინტერნეტ-რესურსები:

1. [http://www.rs.ge/Default.aspx?sec\\_id=4971&lang=1#](http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4971&lang=1#)
2. <http://rs.ge/5972#>
3. [http://rs.ge/Default.aspx?sec\\_id=4793&lang=1#](http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4793&lang=1#)
4. [http://rs.ge/Default.aspx?sec\\_id=4799&lang=1#](http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4799&lang=1#)
5. [http://rs.ge/Default.aspx?sec\\_id=4797&lang=1#](http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4797&lang=1#)
6. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)
7. <http://mof.ge/4963>
8. [www.rs.ge/common/get\\_doc.aspx?=7129](http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?=7129)

## რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურად სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო რეალურად არ არსებობს. საზოგადოდ, მცირე ქვეყნებთან შედარებით, დიდი ქვეყნები უფრო დამოუკიდებლები არიან, მაგრამ დიდ ქვეყნებშიც შესაძლოა, სრული დამოუკიდებლობის მძაფრი პოლიტიკის გამო, მომხმარებლები დაზარალდნენ. ეკონომიკის გახსნილობას თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები. იგი, აღრმავებს რა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, არ ხსნის, ერთი მხრივ, წინააღმდეგობას ქვეყანათა თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტაციასა და, მეორე მხრივ, შიდა ბაზრების დაცვასა და საექსპორტო ექსპანსიის სტიმულირებას შორის. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა ან შერბილება შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით. საქართველოს მიერ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბაჟო სისტემამ დაიწყო წარმატებული ინიციატივების განხორციელება, რომელიც საბაჟო პროცედურების საუკეთესო საერთაშორისო, ევროპულ პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას ემსახურება.

## FOR DETERMINATION TAX TARIFF AND TAX FEES IN GEORGIA

Tea Khorguashvili, Professor  
Tamar Makasarashvili, Professor  
RESUME

In the modern world economically completely independent state in fact does not exist. In general, small countries, big countries are more independent, but the big countries may be harsh policy of complete independence, affected users. Economic openness is accompanied by some contradictions. It deepens the process of internationalization of the economy, does not explain, on the one hand, countries with free trade orientation and the resistance on the other hand, the protection of domestic markets and stimulate the export expansion. Overcoming these obstacles can be mitigated or through state regulation of the economy. By the activity of the Ministry, it can be said that a successful initiative, the customs system, which is the best international customs procedures, harmonization of European practices.

## სოციალური მეცნიერებანი და სამართალი Social Sciences and Law

### პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი ქურდობისათვის

მალხაზ ლომსაძე, პროფესორი

ქურდობის მომზადება. კოდექსის მე-18 მუხლი დანაშაულის მომზადების ცნებას ზოგადად განსაზღვრავს. ამ მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. პრაქტიკულად ამ ზოგად ცნებაში იგულისხმება ყოველგვარი კონკრეტული ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩასადენად რაიმე პირობას ქმნის. ამიტომ დანაშაულის მომზადებად არ ჩიათვლება მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნება, როცა კაცმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფერი მოუმოქმედია თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. იურიდიულ ლიტერატურაში განზრახი დანაშაულის ოთხ სტადია გამოყოფენ: 1) განზრახვის გამომჟღავნება, 2) დანაშაულის მომზადება, 3) დანაშაულის მცდელობა და 4) დამთავრებული დანაშაული. იურიდიულ

ლიტერატურაში უდავოდ ითვლება, რომ განზრახვის გამომჟღავნება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. ადამიანი ისჯება არა მარტო აზრის გამოთქმისათვის, არამედ კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა ის საფრთხეს უქმნის ან აზიანებს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად, თანამონაწილეობისას კაცი დანაშაულის ჩადენამდე შეპირდა სუბიექტს, რომ დაფარავს დანაშაულს. შეპირება განზრახვის გამომჟღავნებაა და არა აქვს მნიშვნელობა, შეპირება შესრულდა თუ არა. ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად მსჯელობს თ. წერეთელი, რომლის აზრით, „ განზრახვის გამომჟღავნება არ უნდა წარმოადგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრივი განზრახვის რეალურად განხორციელებისათვის, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება განზრახვის გამომჟღავნება მომზადებისაგან“.<sup>1</sup>

„პირობების განზრახ შექმნა“ იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მომზადება ისევე, როგორც მცდელობა დამახასიათებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. დანაშაულის მომზადება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დროის ფაქტორს თუ მივიღებთ მხედველობაში, განზრახვა შეიძლება დავეყოს უცრად აღმოცენებულ და წინასწარ მოფიქრებულ განზრახვად. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მაშინ, როცა წინასწარ მოფიქრებულ განზრახვასთან გვაქვს საქმე.

„პირობების შექმნა“ ფართო ცნებაა და მრავალგვარ მოქმედებას მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ ქმედების ობიექტური მხარე, რა ხერხითა და საშუალებით შეიძლება მისი ჩადენა.

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას ან შექმნას, თუ მომარჯვებას დანაშაულის ჩასადენად. იარაღი ან საშუალება შეიძლება იყოს ყოველგვარი საგანი. მაგალითად, ქურდობის ჩასადენად კაცმა შეიძლება გააკეთოს კიბე, მამზადოს ბინაში შეღწევის გეგმა, დაამზადოს მორგებული გასაღები და სხვა. ერთი სიტყვით, ყველა დანაშაულის ჩასადენად სპეციფიკური იარაღი თუ საშუალებაა საჭირო.

როცა დანაშაულის იარაღის დამზადება-შექმნაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. მორგებული გასაღების დამზადება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება ქურდობის მცდელობად, როცა ეს გასაღები წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული ქურდობის ჩადენისაკენაა დამზადებული. მაგალითად, კონკრეტულმა კაცმა იშოვა ავტომანქანების გასასხნელი საშუალება რამე საქმეში გამომადგებაო, მაგრამ ჯერ დაკონკრეტებული არა აქვს, რას ჩაიდენს ამით, ასეთი შემთხვევა დანაშაულის მომზადებად ვერ დაკვალიფიცირდება.<sup>2</sup>

მომზადებად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევაც, როცა კაცმა დაამზადა მორგებული გასაღები ქურდობის ჩასადენად, მაგრამ ობიექტი ჯერ არ გამოუნახავს, არ დაუკონკრეტებია.

მაგრამ დანაშაულის ჩასადენად „პირობების შექმნა“ მარტო იარაღის ან საშუალების გამოძებნა-დამზადებას როდი გულისხმობს. მოსამზადებელ მოქმედებად მიიჩნევენ აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელ ცნობების შეგროვებას, დაზარალებულის დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ ადგილას გატყუებას, ჩასაფრებას, სადაც უნდა გამოიაროს კაცმა, დაცული ობიექტის დარაჯის დათრობას და ა. შ.

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება აგრეთვე დანაშაულის თანამონაწილეთა გამოძებნა.<sup>3</sup> მომზადებად ჩაითვლება ის შემთხვევა, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე კაცს შორის, როგორ ჩაიდინონ ბინის გაქურდვა, ვინ შევიდეს ბინაში, ვინ დადგეს მეთვალყურედ. ასევე დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როცა კაცი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა, ეძებს დამხმარეს და სხვა.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ მხრივ უშედეგო წაქეზების საკითხი. თ. წერეთელი უშედეგო წაქეზებას და დახმარებას დანაშაულის მომზადებად აკვალიფიცირებს. ეს მომზადება სავსებით მისაღებია.

მოსამზადებელი მოქმედება განზრახი დანაშაულის განვითარების ადრეული სტადიაა და ის საკმაოდ დაცილებულია დამთავრების სტადიას. ამიტომ არის, რომ დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ იწვევს პასუხისმგებლობას. ამ სამი კატეგორიის დანაშაულიდან, რომელიც კოდექსის მე-

<sup>1</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1963, გვ. 77.

<sup>2</sup> Коментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Москва, 2000, от. 50.

<sup>3</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 80- 81.



12 მუხლითაა დადგენილი, პასუხისმგებლობას მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება იწვევს.

ქურდობის შემთხვევაში კოდექსის 177-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები წარმოადგენენ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს და ამიტომ ქურდობის მომზადება, რომელიც ჩადენილია მარტივ ფორმაში ან რასაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს ან ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ქურდობის მცდელობა. ზოგადად დანაშაულის მცდელობა, როგორც თვითონ ტერმინი მიგვანიშნებს, განზრახი ქმედებაა და დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული, თუმცა დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა, ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

ის აზრი, თითქოს „არსებობს დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე: 1) დანაშაულის მომზადება მუხ. 18. 2) დანაშაულის მცდელობა მუხ. 19. 3) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მუხ. 21“<sup>1</sup> სრულიად გაუგებრობაზეა აგებული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე ხდება და ამიტომ ამ შემთხვევაში დაუმთავრებელი დანაშაულის დამოუკიდებელ სახესთან როდი გვაქვს საქმე. დანაშაულის მცდელობა მოსამზადებელ მოქმედებასა და დამთავრებულ დანაშაულს შორისაა. მოსამზადებელი მოქმედებისაგან, ეს იმით განსხვავდება, რომ მცდელობა უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა, ხოლო მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის. რაც შეეხება დამთავრებულს, აქ საფრთხე უკვე რეალიზებულია. „დამთავრებული დანაშაულის დროს - ამბობს თ. წერეთელი, - არსებობს არამართო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს.“<sup>2</sup>

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა. ეს პირდაპირაა აღნიშნული კოდექსის მე-19 მუხლში. მაგრამ, როგორც ვიცით, განზრახვა ორი სახისაა - პირდაპირი და არაპირდაპირი. ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი, მაგრამ უკანასკნელ წლებში თანდათანობით იწყო დამკვიდრება იმ აზრმა, რომ დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.

დანაშაულის მცდელობის ასეთმა გაგებამ, როგორც ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც მოიკიდა ფეხი. გამოითქვა შეხედულება, რომ „ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც“.<sup>3</sup>

ასეთი აზრი არ გამომდინარეობს კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად“. სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

„მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, - წერდა თ. წერეთელი, - რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე.“<sup>4</sup>

სასამართლოს არა აქვს სწორად გაგებული ნივთის დაუფლების მომენტი ქურდობის დროს. ნივთის დაუფლება ნიშნავს იმას, რომ ეს ნივთი დაზარალებულის ჯიბიდან ამოღებულია, დაზარალებული მას ფსიქიკურად აღარ ფლობს და ნივთს უკვე ქურდი დაეპატრონა, ნივთი ქურდის ჯიბეშია. „ქურდობა, - წერდა თ. წერეთელი - დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ქონება ამოღებულია მესაკუთრის ან მესამე პირის მფლობელობიდან და გადასულია ბოროტმოქმედის მფლობელობაში.“<sup>5</sup>

ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები ქურდობის დამთავრების მომენტთან დაკავშირებით. სასამართლოს 2002 წლის 4 მარტის განაჩენით დ. პაპავას მსჯავრი დაედო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 16 მაისის განაჩენით დამცველის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის ქმედება გადაკვალიფიცირდა ქურდობის მცდელობად. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულია:

<sup>1</sup> პ. დაუთაშვილი, ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003, გვ.88

<sup>2</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ.102.

<sup>3</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, თბილისი, 2002, გვ.39.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976. გვ.119.

<sup>5</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 50.

„დავით პაპავას ქმედება დაუმთავრებელი მცდელობაა. მან ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა დანაშაულებრივი ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

განაჩენი ამ დებულებას იმით ასაბუთებს, რომ „დ. პაპავას ნივთის დაუფლება-განკარგვაში ხელი შეუშალა მე-3 პირმა, პოლიციელმა, რომელმაც დანაშაულის ჩადენისთანავე დააკავა იგი, რითაც მოუსპო ნაქურდალი ნივთის დაუფლებისა და განკარგვის საშუალება“.

წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად დადგენილია, რომ დ. პაპავამ დაზარალებული მ. კიკნაძის ჯიბიდან საფულე ამოაცალა. განაჩენი იშველიებს დაზარალებულის სიტყვებს, რომ „როგორც კი საფულე ამოაცალეს, ქურდი მაშინვე იქნა დაკავებული.“

რამდენად სწორია ამ ქმედების დანაშაულის ქმედების მცდელობად დაკვალიფიცირდება? განა დაზარალებულისათვის „საფულის ამოცლა“ ნივთის დაუფლებას არ ნიშნავს? ნივთის დაუფლება ნიშნავს იმას, რომ ეს ნივთი დაზარალებულის ჯიბიდან ამოღებულია, დაზარალებული მას ფიზიკურად აღარ ფლობს და ამ ნივთს უკვე სხვა ადამიანი, ქურდი დაეპატრონა, ის ქურდის ჯიბეშია. დაუფლებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რომ ქურდი მაშინვე დააკავეს. „ქურდობა, - წერს თ. წერეთელი, - დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ქონება ამოღებულია მესაკუთრის ან მესამე პირის მფლობელობიდან და გადასულია ბოროტმოქმედის მფლობელობაში.“<sup>1</sup>

ამ დანაშაულის თავისებურება აქვს ბინის ან სხვა საცავის გაქურდვის შემთხვევაში. ბინაში შეღწევის დროს ქურდობა არ იქნება დამთავრებული, ვიდრე ქურდი ბინიდან არ გამოვა, მაგრამ ბინიდან გამოსვლისთანავე ქურდი ნივთს დაუფლებულია და მისი იქვე დაკავება არ ნიშნავს, რომ ქურდობა დამთავრებული არ არის.

ეს პრინციპი არ მოქმედებს ტრანსპორტის მიმართ, ე.ი. იმ შემთხვევის მიმართ, როცა ქურდობა ტრანსპორტში ხდება. დ. პაპავამ ქურდობა ავტობუსში ჩაიდინა. ამიტომ, როგორც კი მან დაზარალებულს საფულე ამოაცალა, იგი ნივთს დაეუფლა. მით უმეტეს, რომ პოლიციელმა დ. პაპავას პირადობის მოწმობა წარუდგინა და აღინიშნა: ავტობუსიდან ჩაიყვანა. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ დ. პაპავა მოპარულ ნივთს დაუფლებული იყო. რაც შეეხება ნივთის განკარგვის შესაძლებლობას, სასამართლოს არც ეს ცნება არა აქვს გაგებული სწორად. ნივთის განკარგვის შესაძლებლობა მის დაუფლებასთან არის დაკავშირებული. როცა ქურდი ნივთს დაეუფლება, მას უკვე აქვს მისი განკარგვის შესაძლებლობა. ის გარემოება, რომ შემთხვევით ქურდი პოლიციელმა შენიშნა, ამას ქურდობის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ, თუ ქურდს შემთხვევით არ დააკავებდნენ, ის ნაქურდალს თავისუფლად განკარგავდა. მაგალითად, ბინაში შესული ქურდიც ეუფლება ნივთს და ჯიბეში იდებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის იმგვარი დაუფლება, რომ მას განკარგვის შესაძლებლობა ჰქონდეს. ის ჯერ ისევ დაზარალებულის ბინაშია.

სხვის ბინაში ქურდობა დამთავრებული იქნება მაშინ, როცა ნაქურდალის გამოყენება ბინაში ხდება; მაგალითად, მოიპარეს სასმელ - საჭმელი და ბინაში შეჭამეს და დალიეს.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა დ. ივანოვის სისხლის სამართლის საქმე. 2002 წლის 31 მაისის განაჩენით დ. ივანოვს მსჯავრი დაედო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით. დ. ივანოვი 2001 წლის 17 ოქტომბერს შევიდა ქ. თბილისში უზნაძის ქუჩაზე მდებარე მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში და მითვისების მიზნით ჩანთაში ჩააწყო „პროგრამული მართვის ჩარხი და რობოტის 11 ცალი პლატ“, რომელთა საერთო ღირებულება 120 ლარი იყო. დ. ივანოვი პოლიციამ შენობაშივე დააკავა. სასამართლომ დ. ივანოვის ქმედება დამთავრებულ დანაშაულად დააკვალიფიცირა მე-19 მუხლზე მითითებულად. ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეა საკასაციო პალატის 2003 წლის 20 თებერვლის განჩინებით შეცვალა დ. ივანოვის ქმედების კვალიფიკაცია.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია დანაშაულის მცდელობის დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. თუმცა კოდექსის მე-19 მუხლი მცდელობის ასეთ დაყოფას არ იცნობს. დაუმთავრებელია ისეთი მცდელობა, როცა სუბიექტმა დაიწყო დანაშაულის აღსრულება, მაგრამ თავისი მოქმედება ბოლომდე ვერ მიიყვანა. მაგალითად, სუბიექტმა ხელი ჩაყო ჯიბეში ფულის დასაუფლებლად, მაგრამ დააკავეს.

დამთავრებულია მცდელობა, როცა დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა, რაც „მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა.“ მაგალითად, სუბიექტმა ბინაში შეაღწია და მოიპარა ფული, ხოლო იქიდან გამოსვლისას დააკავეს.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული), თბილისი, 2004, გვ. 9-10.

შემდეგი საკითხი, რომელიც დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკაში წამოიჭრება და რომელსაც არც თუ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, უვარგისი მცდელობის საკითხია, უვარგისი მცდელობის ორ სახეს გამოყოფენ: 1) უვარგისი საშუალებით მცდელობა და 2) უვარგისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა.

„მცდელობად უვარგისი საშუალებებით - წერს თ. წერეთელი, - ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებსაც თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით არ შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი.“<sup>1</sup>

უვარგისი სამართლებრივი სიკეთე მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა და ამიტომ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარია. მაგალითად, ცარიელი სეიფის გატეხვა ქურდობის მიზნით.

მცდელობა დასჯადია ნებისმიერ კატეგორიის დანაშაულისა. აქედან დასკვნა, დასჯადია ქურდობის ყველა სახის მცდელობა.

მცდელობის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია უნდა განისაზღვროს მე-19 მუხლითა და კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, სადაც აღწერილია იმ დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ჩადენის მცდელობა მოხდა რეალურად.

ამრიგად, ქურდობის მცდელობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის 19. 177-ე მუხლებით.

ქურდობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. კოდექსის 21-ე მუხლით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სუბიექტი, თუ ის დანაშაულებრივ საქმიანობას ნებაყოფლობით შეწყვეტს. ასეთი შეწყვეტა უნდა მოხდეს დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობის სტადიაზე. ნებაყოფლობითობა ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე, ამას აკეთებს საკუთარი ნებით, ყოველგვარი გარეგანი იძულების გარეშე.

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია, ამიტომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება. ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკანდახევის საშუალებას აძლევს; გამოჩენილი გერმანელი იურისტის ა. ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის. მ. ტურავა წერს, რომ „დამთავრებული მცდელობის შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიაში“ საკითხავია, რატომ მაინცდამაინც დამთავრებული მცდელობის შემთხვევაშია დასაბუთებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება „ოქროს ხიდის“ თეორიით? „ოქროს ხიდის“ თეორია გამოიყენება არა მარტო დამთავრებული, არამედ ყოველგვარი მიღწევის მცდელობის დროს.

ყველაზე მეტ სირთულეს პრაქტიკაში მაინც დანაშაულის შეწყვეტის ნებაყოფლობითობის საკითხი იწვევს. ნებაყოფლობითობა უშუალო კავშირშია დანაშაულის შეწყვეტის მოტივის საკითხთან. რა მოტივი ამოძრავებს ამ დროს სუბიექტს? მიღებულია, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რა მოტივით, ზნეობრივი თუ უზნეოთი ხელმძღვანელობს ამ დროს ადამიანი. ზოგჯერ სუბიექტი შიშის მოტივით შეიძლება ხელმძღვანელობდეს.

ნებაყოფლობითობის გარდა, აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაული დროებით კი არ მიატოვა, არამედ საბოლოოდ შეწყვიტა ის. თუ დადგინდება, რომ სუბიექტმა დაწყებული დანაშაულის დამთავრება უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო, მაშინ ის პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება.

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს სუბიექტს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. მაგალითად, სუბიექტმა ქურდობის მიზნით გატეხა, ბინის კარი, შემდეგ ქურდობა აღარ ჩაუდენია. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ქურდობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მაგრამ შეიძლება გვქონდეს ნივთის დაზიანების ან განადგურების შემადგენლობა (მუხლი 187-ე).

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ერთპიროვნულ ამსრულებლობაზე, როდესაც სუბიექტი თვითონ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, მაგრამ თავისებურება ახლავს ამ საკითხს თანამონაწილეობის დროს. როცა ამსრულებელი თანამონაწილისაგან დამოუკიდებლად შეწყვეტს დანაშაულს, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მხოლოდ ამსრულებელი და არა თანამონაწილე, რადგან 21-ე მუხლით გათავისუფლება წმინდა პერსონალურ საფუძველს ემყარება.

თანამონაწილე, ვთქვათ, წამქეზებელი, თუ მანამ გადაწყვეტს დანაშაულზე ხელის აღებას, ვიდრე ბოლომდე დაარწმუნებს ამსრულებელს, რომ ჩაიდინოს ქურდობა, ე.ი. წააქეზებს მას, მაშინ ხელის აღება დანაშაულზე უმოქმედობით შეიძლება. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა თანამონაწილემ ყველაფერი

<sup>1</sup> ტურავა, სისხლის სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 59.



გააკეთა თავის მხრივ და ახლა მხოლოდ ამსრულებელზეა დამოკიდებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ასეთ დროს ქურდობის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის თანამონაწილეს დასჭირდება აქტიურობა. მან უნდა იმოქმედოს ამსრულებელზე და ან უნდა გადაარწმუნოს ის, რომ აღარ ჩაიდინოს ქურდობა, „დროულად შეატყობინოს ხელისუფლების ორგანოს“, ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი მას.

რაც მთავარია, ამსრულებელზე ზემოქმედებით თანამონაწილემ ხელი უნდა შეუშალოს ქურდობის დასრულებას. ეს დებულება ეხება წამქეზებელსაც და ორგანიზატორსაც. რაც შეეხება დანაშაულის დამხმარეს, მას ყოველთვის როდი მოეთხოვება ქურდობის დასრულებისათვის ხელის შეშლა.

დამხმარე ორი სახისაა: 1) ფსიქიკური და 2) ფიზიკური. ფსიქიკური დახმარების ერთ-ერთი სახეა ამსრულებლის რჩევა-დარიგება. ამიტომ დამხმარემ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ამსრულებელმა არ ისარგებლოს ამ დარიგებით. ამ თვალსაზრისით დამხმარე წამქეზებელს უთანაბრდება და ამიტომ, წამქეზებლის მსგავსად, მასაც მოეთხოვება, რომ ბოლომდე არ მიიყვანოს დანაშაული. სწორედ ასეთ დამხმარეს გულისხმობს 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როცა ადგენს, რომ, „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ... არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.“

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთი სახის ფსიქიკურ დამხმარეზე, როგორცაა ამსრულებლისათვის რაიმე ქმედების შეპირება. ასეთია, მაგალითად, ქურდობის დაფარვის დაპირება. კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ქურდობის ნებაყოფლობით შეწყვეტისათვის საკმარისია, თუ დამხმარემ „ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება“. დამხმარეს ამ შემთხვევაში არ ევალება შედეგის თავიდან აცილება. სამაგიეროდ, ის ვალდებულია დაპირებაზე ამსრულებელს დანაშაულის დაწყებამდე უთხრას უარი.

როგორ უნდა გავიგოთ პრაქტიკულად „დანაშაულის დაწყება“? თუ „დანაშაულის დაწყების“ მომენტად დანაშაულის მომზადებას ჩავთვლით, მაშინ „შეპირება“ უკვე მომზადებაა. ამიტომ შეპირებაზე უარი შესაძლებელია მომზადების შემდეგაც, მაგრამ იმ მომენტამდე, ვიდრე ამსრულებელს ჯერ კიდევ შეუძლია უკან დახევა. ქურდობის დაფარვის შეპირებაზე უარით დახმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის სტიმულს უკარგავს, იმ სტიმულს, რომელიც მან ამსრულებელს დაფარვის შეპირებით მისცა.

ის, ვინც წინასწარ დაჰპირდა ქურდს დანაშაულის დაფარვას, ნებაყოფლობით წყვეტს დანაშაულს და ატყობინებს ამას ამსრულებელს იმ დროს, როცა ქურდი საქმიანობას შეუდგება. მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როცა შეტყობინება აუცილებელი არ არის და საკმარისია არ შესრულდეს შეპირებული მოქმედება. ეს ხდება მაშინ, როცა შეპირებული მოქმედება ქურდობის შემადგენელი ელემენტია. მაგალითად, მოახლე დაპირდა ქურდებს, რომ ღამით სახლის კარს ღიას დატოვებდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა. თუ ქურდებმა სხვა გზით მაინც მოახერხეს ბინაში შეღწევა, მოახლე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

უფრო მარტივად წყდება საკითხი ფიზიკური დახმარების დროს. კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ფიზიკურ დამხმარეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან „დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.“

კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ ვერ მოახერხეს დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტა, მათი მცდელობა, რომ ამსრულებელს ქურდობა ბოლომდე არ მიეყვანა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემამსუბუქებელ გარემოებად და შესაბამისად მათ სასჯელი შეუმსუბუქოს.

ორგანიზატორსა და წამქეზებელს ყველა შემთხვევაში ევალებათ ამსრულებლის საქმიანობაში ჩაერიონ და დანაშაული ბოლომდე არ მიიყვანონ, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ფსიქიკურ დამხმარეზე. ფსიქიკური დამხმარე მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ქურდობის დამთავრებისათვის, თუ მან ამსრულებელს ურჩია, დაარიგა ის, როგორც უნდა ჩაედინა დანაშაული.

კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილით არ დაისჯება ის, ვინც დანაშაულის „შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.“

ცალკე განხილვის საგანია ქურდობის ნებაყოფლობით შეწყვეტა თანამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობის დროს.

თანამსრულებლობის დროს ეს უმთავრესად უმოქმედობითაა შესაძლებელი. შუალობითი ამსრულებლობის დროს, პირიქით, ქურდობის ნებაყოფლობით შეწყვეტა მოქმედებას მოითხოვს. აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როცა ამსრულებელმა უკვე ამოქმედა „ცოცხალი იარაღი“, მაგრამ სხვაგვარად შეუშლის ხელს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას.



## რეზიუმე

სისხლის სამართლის კანონით ისჯება არა მარტო დამთავრებული დანაშაული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულიც. სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას აწესებს დანაშაულის მომზადებასა და მცდელობისათვის. ნაშრომში გადმოცემულია დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების იურიდიული ბუნება, გაანალიზებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, გამოთქმულია მთელი რიგი მოსაზრებები სისხლის სამართლის თეორიასთან დაკავშირებით და განზოგადებულია სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომი დახმარებას გაუწევს სისხლის სამართლის სფეროს მეცნიერ-იურისტებს, პრაქტიკოს მუშაკებსა და მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირებს.

## LIABILITY FOR INCOMPLETE CRIME

Malkhaz Lomsadze, Professor

## RESUME

Based on Criminal Code it is punishable not only committed crime, but the crime that was unfinished. The Criminal Code sets responsibility for the preparation and an attempt to commit crime. The paper describes legal nature of crime preparation, an attempt to commit crime and voluntary changing of a decision. There is also analyzed Criminal Law, expressed a number of opinions in relation to the theory of Criminal Law as well summarized judicial practice. The work given will assist fellow lawyers and the individuals concerned.

## რეპორტაჟის მომზადების მეთოდები და მისი, როგორც პუბლიცისტური ჟანრის განვითარების ეტაპები ქართულ მედიაში

*ალექსანდრე მღებრიშვილი, პროფესორი*

რეპორტაჟი შედარებით ახალგაზრდა ჟანრთა ჯგუფს განეკუთვნება. ქართულ პერიოდულ პრესაში იგი მხოლოდ XX საუკუნის დამდეგიდან ჩნდება. ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ განმარტებად მიჩნეულია 1913 წლის გაზეთი „იმერეთი“, სადაც რეპორტაჟი სინამდვილის ობიექტური ასახვის საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული: „რეპორტაჟი თანამედროვე გაზეთის საუკეთესო იარაღია, რომლითაც ის დაუახლოვდება ხალხს, საზოგადოებას, ჩაითრევს მას თავის მორევში და შექმნის იმ მკვიდრ საფუძველს, რომელზედაც შეუძლებელია არ აყვავდეს ჩვენი გაზეთი“ [1].

ქართულ სინამდვილეში ახლადდაბადებული რეპორტაჟებიდან მკვლევარები მიუთითებენ ხოლმე წერის, თემატიკის, ფაქტის ჩვენების და ყველა სხვა კომპონენტის ერთობლიობის სანიმუშობის თვალსაზრისით გამორჩეულ მ. ჯავახიშვილის რეპორტაჟზე - „ორიოდე დღე ალავერდის მადანში“, რომელიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა [2].

„რეპორტაჟი“ ფრანგული წარმოშობის ტერმინია და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ სხვადასხვა მედიასაშუალებებით გადაცემულ ცნობებს ნიშნავს [3].

რეპორტაჟი ინფორმაციული გვარის ერთ-ერთი ჟანრია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟანრი გარკვეულ ადგილს უთმობს კვლევით კომპონენტს, საბოლოოდ ჟანრის სპეციფიკას განსაზღვრავს მისი დანიშნულება და ინფორმაციული ბუნების განსაკუთრებული დოზა. რეპორტაჟის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს ფაქტის/მოვლენის ანალიზი. იგი რეპორტაჟში მეორეხარისხიანი ფუნქციის მატარებელია. ამ ჟანრში გადაწყვეტილი თხზულების ძირითადი არსი განსაზღვრულია ფაქტის, ახალი ამბავის ჩვენების

მძლავრი მუხტით. მთავარი მიზანი აუდიტორიამდე სიახლის მაქსიმალური ოპერატიულობით წარდგენაში მდგომარეობს.

პროფ. ნ. ტაბიძის აზრით, „მეტად მნიშვნელოვანია რეპორტაჟის, როგორც ჟანრის, გამოიყენება რეპორტაჟული მიდგომისაგან. შეიძლება არა ერთი და ორი ნაწარმოების დასახელება, რომლებშიც არის მოქმედება - თხრობის თანხედრობა, დინამიკურობა, დიალოგები და ა.შ., მაგრამ ისინი ყოველთვის როდი განსაზღვრავენ თხზულების ჟანრობრივ სპეციფიკას. არსებითია იმის გარკვევა, სინამდვილის ასახვის რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე - მხატვრულთან თუ პუბლიცისტურთან; ურთიერთგანპირობებულობაში გვეძლევა თუ არა ჟანრის თავისთავადობის განმსაზღვრელი ნიშნები.

ანტუან ეკვიუპერის „ადამიანთა მიწას“ ზოგიერთები რეპორტაჟს უწოდებენ. ეს ნონსენსია. „ადამიანთა მიწა“ პუბლიცისტის სფეროს არ განეკუთვნება. იგი მხატვრული ტილოა. ვერც იულიუს ფუჩიკის „რეპორტაჟს სახრჩობელიდან“ მივიჩნევთ ამ ჟანრის ნიმუშად. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დავეკმაყოფილებით მოკლე რეზიუმეით. ცალკეული მხატვრული თუ პუბლიცისტური (ვთქვათ ნარკვევი) თხზულება იმიტომ არის მავანთა და მავანთა მიერ რეპორტაჟად სახელდებული, რომ მასში რეპორტაჟის ელემენტებს თვალსაჩინო ადგილი ეთმობა“ [4].

რეპორტაჟისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მეტი თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ, რით ემსგავსება და რით განსხვავდება იგი სხვა ინფორმაციული გვარის ჟანრებისგან.

#### **მსგავსება.**

##### **რეპორტაჟი და შენიშვნა:**

- მათ საფუძველს რეალური ფაქტი წარმოადგენს;
- ერთთემიანობა;
- არ ახასიათებთ ღრმა ანალიზის ელემენტი;
- მაქსიმალური ოპერატიულობა.

##### **რეპორტაჟი და ანგარიში:**

- ფაქტის ჩვენება ღრმა და მრავალმხრივი განმარტების გარეშე;
- ოპერატიულობა;
- ჟურნალისტი ფაქტის აუცილებელი თვითმხილველია.

#### **განსხვავება.**

##### **რეპორტაჟი და შენიშვნა:**

- რეპორტაჟში მთავარია ფაქტის მიმდინარეობის პროცესი. შენიშვნა ამ მხრივ შეზღუდული არ არის. მისი გამოყენება შესაძლებელია უკვე დასრულებული ფაქტის/მოვლენის ასახვის მიზნით. ინფორმაციულ შენიშვნას არ ახასიათებს თემის განვითარება, მისი მიზანია დასრულებული ფაქტის გააზრება და შეფასება;
- რეპორტაჟში თხრობა დინამიურია, შენიშვნაში - სტატიკური;
- რეპორტაჟის ავტორი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ფაქტის მიმდინარეობის პროცესს. ინფორმაციული შენიშვნის ავტორისათვის ეს სავალდებულო არ არის;
- რეპორტაჟი მოცულობით ვრცელია შენიშვნის ტექსტისაგან;
- რეპორტაჟში უფრო ფართო ადგილი ეთმობა ფაქტისადმი ავტორის შეხედულებების, განცდების და დამოკიდებულებების ჩვენებას, ვიდრე შენიშვნაში.

##### **რეპორტაჟი და ანგარიში:**

- რეპორტაჟი იწერება პროცესში მონაწილის თვალთ, ანგარიში კი მემატანის პოზიციიდან;
- რეპორტაჟში თხრობა დამაბულია, ანგარიში ამას არ თხოულობს;
- რეპორტაჟისგან განსხვავებით, ანგარიშის ასახვის ობიექტი შეზღუდულია;
- რეპორტაჟი თხოულობს ფაქტის მიმდინარეობის პროცესში ჩართვის ეფექტს, ანგარიშში კი დასრულებული ფაქტი ფიქსირდება.

რეპორტაჟის სახეებად დაყოფის შესახებ მკვლევართა გარკვეული ჯგუფები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

ნ. ბოგდანოვისა და ბ. ვიაზემსკის მიხედვით, რეპორტაჟის სამი სახე გამოიყოფა, ესენია: მოვლენური, თემატური და საკითხის დასმითი.


მოვლენური რეპორტაჟი ჩვენ სხვა ავტორებთანაც გვხვდება და მასზე ოდნავ მოგვიანებით გვექნება საუბარი. თემატური რეპორტაჟი, ბოგდანოვისა და ვიაზემსკის აზრით, მნიშვნელოვნად განსხვავდება მოვლენურისგან. იგი მომდინარეობს არა მოვლენის, არამედ თემისაგან, რომელიც რედაქციამ ან ავტორმა თავიანთი ინიციატივით ამოირჩიეს... თუ მოვლენური რეპორტაჟის შექმნის დროს ჟურნალისტი მოვლენას უნდა მიჰყვებოდა, თემატური რეპორტაჟის წერისას იგი თვითონ არის საქმის ბატონ-პატრონი. მას

შეუძლია რეპორტაჟის სასურველი გეგმა შეადგინოს, ხოლო თუ მოინდომებს, შემდეგ შეცვალოს კიდეც ის [5].

თემატური რეპორტაჟი ოდნავ შეცვლილი სახით და საწარმოო რეპორტაჟის სახელწოდებით კიდეც შეგვხვდება სხვა მკვლევართა კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობისას. რაც შეეხება „საკითხის დამყენებელ“ რეპორტაჟს, ვინაიდან ამ ჟანრის მიზანს პრობლემის დასმა არ წარმოადგენს, სარწმუნოა პროფ. ნ. ტაბიძის მოსაზრება, მისი მისი ცალკე სახედ გამოყოფის აუცილებლობის საეჭვოდ მიჩნევის შესახებ [6].

პროფ. ტ. კვანჭილაშვილი გამოსახვის ტექნიკური საშუალების ერთიან საფუძველზე გამოყოფს:

1. საგაზეთო-საჟურნალო (ანუ ნაბეჭდი) რეპორტაჟი;
2. რადიორეპორტაჟი;
3. ტელერეპორტაჟი;
4. კინორეპორტაჟი;
5. ფოტორეპორტაჟი.



მოცემული კლასიფიკაცია ემყარება მედიასაშუალებათა გამომსახველობითი ტექნიკის ნიშნებსა და თავისებურებებს. ამ მხრივ, გარკვეულ სხვაობათა გამო, პირველივე პუნქტის მოცემულობაში (საგაზეთო-საჟურნალო ანუ ნაბეჭდი რეპორტაჟი) ხდება გამიჯვნა. პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მსჯელობით, საქმე გვაქვს ორგვარ - საგაზეთო და საჟურნალო რეპორტაჟთან. ზოგი ფიქრობს, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ მოცულობაშია, ე. ი. საგაზეთო მცირეა, საჟურნალო კი უფრო დიდი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათ შორის განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, მოცემულობითი განსხვავება თავისთავად უკვე შესაძლებლობას იძლევა ერთში სხვანაირად გავშალოთ ჩვენი შესაძლებლობა, ხოლო მეორეში - სხვაგვარად. მეორეც, გაზეთისა და ჟურნალის სხვადასხვაგვარი პერიოდულობის გამო, მათ ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეპორტაჟებს სხვადასხვაგვარი ოპერატიულობა მოეთხოვება. მესამეც, განსხვავებული ოპერატიულობის გამო ორივე ამ რეპორტაჟს სხვადასხვაგვარი თემატიკისა და ფაქტების შერჩევა უხდება - საგაზეთოს უფრო სადღეისო, საჟურნალოს კი უფრო „დღეგრძელი“ თემების შერჩევა მართებს [7].

ტ. კვანჭილაშვილი საგაზეთო-საჟურნალო რეპორტაჟის ქვესახეებად წარმოადგენს:

- ❖ საწარმოო რეპორტაჟს;

- ❖ მოვლენურ რეპორტაჟს;
- ❖ სამოგზაურო რეპორტაჟს;
- ❖ ლიტერატურულ რეპორტაჟს;
- ❖ პორტრეტულ რეპორტაჟს.

პროფ. ნ. ტაბიძის აზრით, ლიტერატურულ რეპორტაჟს უწოდებენ იმ ნაწარმოებს, რომელშიც მხატვრული აღწერა მძლავრობს... ვრცელი და ფართო განზოგადება რეპორტაჟის ამოცანა არ არის. ასევე, ხსენებული ჟანრი ვერ იკისრებს მრავალი ფაქტისა და მოვლენის გარკვეული ერთობლიობის ასახვას.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ლიტერატურული რეპორტაჟის არსებობა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ [8].

ვინაიდან რეპორტაჟის ძირითადი ხაზი გადის პროცესზე, პიროვნების სახის წინა პლანზე წამოწევა კი იწვევს მოქმედების უკან გადატანას და არღვევს ძირითად წესს, პროფ. ნ. ტაბიძე უმართებულოს უწოდებს პორტრეტული რეპორტაჟის გამოყოფასაც [9].

აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, პორტრეტული ნარკვევის არსებობა თავად მოცემული კლასიფიკაციის ავტორმაც დააყენა ეჭვის ქვეშ და ჯერ კიდევ, „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის“ მეორე ნაწილში საგაზეთო-საჟურნალო რეპორტაჟის ზემოთ ჩამოთვლილი ქვესახეები მის გარეშე წარმოადგინა [10].

ამრიგად, თუ გავანებებთ თავს გამოსახვის ტექნიკურ საშუალებებს, ანუ, თუ ვიმსჯელებთ, ზოგადად რა სახეები გააჩნია რეპორტაჟს მიუხედავად იმისა, რომელი არხით გვეძლევა იგი, საფუძვლად ასახვის საგნის თავისებურებებს გამოვიყენებთ და ლიტერატურულ და პორტრეტულ რეპორტაჟებსაც გამოვრიცხავთ, აღმოჩნდება, რომ რეპორტაჟს შეიძლება გამოეყოს სამი სახე:

1. თემატური ანუ საწარმოო რეპორტაჟი;
2. სამოგზაურო რეპორტაჟი;
3. მოვლენური რეპორტაჟი.



**თემატურ ანუ საწარმოო რეპორტაჟში** ასახულია შრომით პროცესებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. იგი მოიცავს შრომით პროცესს, მიუხედავად იმისა სად, რომელ დარგში ხდება იგი. სიტყვა საწარმოო მოცემულია ფართო გაგებით და ყოველგვარ შრომით პროცესს აერთიანებს.

**სამოგზაურო რეპორტაჟი** ასახავს ინდივიდის ან პირთა ჯგუფის მოგზაურობის პროცესს. ჟურნალისტი მოგზაურობის მიმდინარეობის პროცესის კვალდაკვალ გადმოგვცემს შთაბეჭდილებებს, ნანახს და განცდილს.

**მოვლენური რეპორტაჟი** ეხება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს (ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს: მიტინგები, დემონსტრაციები, მატჩები, შეჯიბრებები და პოლიტიკური, სპორტული თუ სხვა სახის გამორჩეული ფაქტები).

რეპორტაჟზე მუშაობის ძირითადი ეტაპებია:

- ❖ სათაური შესაძლებელია შეიცავდეს მინიშნებას მოქმედების დროსა და ადგილზე;
- ❖ ტექსტის პირველივე სტრიქონიდან იწყება მოქმედება;
- ❖ აუდიტორია მყისიერად შედის საქმის კურსში და უჩნდება დასწრების ეფექტი;
- ❖ ფაქტი აისახება დინამიურად, მოქმედების მიმდინარეობის კვალდაკვალ, თანამიმდევრობით;
- ❖ ყურადღება მახვილდება მოქმედების და მისი მიმდინარეობის ადგილის სპეციფიკურ დეტალებზე;
- ❖ მოვლენათა სწრაფი განვითარებისას თხრობა დამაბული და დინამიურია;
- ❖ მოვლენათა მდორე განვითარებისას ჟურნალისტი საკუთარი შთაბეჭდილებებით და განცდებით ცდილობს ბალანსის აღდგენას.



რეპორტაჟზე მუშაობისას გასათვალისწინებელია პოლ სტეინლის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც, ლოიალური და ნდობით აღჭურვილი აუდიტორიის მოსაპოვებლად რეპორტაჟი სარწმუნო უნდა იყოს.

რეპორტაჟში მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და დასაბუთებული, რათა მაყურებელთან შესაძლებელი გახდეს პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

მაყურებლის ნდობის მოსაპოვებლად რეპორტიორმა უნდა გადმოსცეს მხოლოდ შემოწმებული ფაქტები. თქვენი ამოცანაა იმ ძირითადი მასალის შეგროვება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გასაშუქებელ თემას და მაყურებლისთვის მიწოდება ინფორმაციის წყაროს მითითებით. მაყურებლის ნდობის შესანარჩუნებლად რეპორტიორი ინფორმაციის მოპოვებასა და გადაცემას ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა მიუდგეს.

აუდიტორიის ნდობით აღჭურვილი საინფორმაციო სამსახურები ჭორებს არ გადასცემენ და არ მარჩიელობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მომხდარიყო. მაყურებელი ვერ ენდობა ჭორებს, რადგან ჭორი უმეტეს შემთხვევაში არადაამაჯერებლად ჟღერს; ვერ ენდობა საეჭვო ინფორმაციასაც, რადგან უმეტეს შემთხვევაში მოვლენები ისე არ ვითარდება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს [11].

წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი გარემოებაა თემის სწორად შერჩევის საკითხი. „როგორც არ უნდა ცდილობდნენ ჟურნალისტები, რომ ახალი ამბების განმსაზღვრელად მიუკერძოებლობა და ობიექტურობა აქციონ, ჟურნალისტიკა დაფუძნებულია შერჩევაზე, არჩევანი კი ძალიან სუბიექტური რამაა. იგი დამოკიდებულია ჟურნალისტის პროფესიულ გამოცდილებაზე, მის განათლებაზე და მასზე ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების შეუმჩნეველ გავლენაზე.“

პროფესიულ გადაწყვეტილებებს სხვა მოსაზრებებიც განსაზღვრავს: მომხმარებლის გართობის აუცილებლობა, რადგან საჭიროა შენარჩუნება მკითხველების და მაყურებლებისა, რომელთაც განუწყვეტლივ აცდუნებს გართობის ინდუსტრია; ჟურნალისტიკაზე, როგორც ბიზნესზე, ისეთი ზეწოლა, როგორიცაა შეზღუდული ბიუჯეტი, კონკურენცია, რეკლამის განმათავსებელთა მოთხოვნები“ [12].

რეპორტაჟის თემა ღირებული, ინფორმაციული მუხტით დატვირთული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტიდან უნდა მომდინარეობდეს. ერთ შემთხვევაში, ფაქტი შეიძლება წინსწრებით იყოს ცნობილი (მაგ. მიტინგი, საფეხბურთო მატჩი, მნიშვნელოვანი ობიექტის გახსნა და მრ. მისთ.), ხოლო, მეორე მხრივ, ჟურნალისტი თავად ეძებს საზოგადოებისთვის საყურადღებო, საინტერესო და მნიშვნელოვან ახალ ამბებს. გაუხმაურებელი ამბავი, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს გამოიწვევს, შეიძლება მომდინარეობდეს ისეთი წყაროებიდან, როგორებიცაა: პირადი კონტაქტები, სარედაქციო შეტყობინება, დიდი როლი ენიჭება ბასრ პროფესიულ ალღოს დ. ა. შ.

პროფ. ნ. ტაბიძე თემის შერჩევის ისეთ პოპულარულ ხერხზე ამახვილებს ყურადღებას, როგორიცაა - ჟურნალისტი იცვლის პროფესიას. „ამგვარი ფერისცვალება იმით არის მოტივირებული, რომ შემოქმედს საშუალება მიეცეს, უკეთ გაიცნოს სინამდვილე.“

ჟურნალისტი როცა პირადობის მოწმობით ცხადდება ობიექტზე, თანაც კრიტიკული განზრახვით, მის წინაშე ბევრი კარი იგმანება. „სტუმარს“ საპარადო შესასვლელიდან იღებენ და აცილებენ. პროფესიის შეცვლის შემთხვევაში კი ეს წინაღობები ქრება“ [13].

პ. სტეინლის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პრიორიტეტები შემდეგი მიმართულებებით ნაწილდება:

- ❖ სიზუსტე;
- ❖ ოპერატიულობა;
- ❖ სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია;
- ❖ მოვლენის ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა [14].

რეპორტაჟის ასახვის საგნის ყურადღებით შერჩევის შემდეგ, ძირითადი აქცენტები გადაიტანება მის შემდეგ ჟანრულ მახასიათებლებზე:

- წარმოდგენილი ჟანრის მოთხოვნაა ფაქტის/მოვლენის მნიშვნელოვან მხარეებზე ყურადღების გამახვილება;
- ფაქტის მიმდინარეობის ადგილზე მიმდინარე პროცესის ჩვენება;
- ფაქტის მიმდინარეობის ადგილზე მასის განწყობილების ზუსტი ასახვა;
- ფრაზა ტევადი და ლაკონიურია;
- თხზულებაში მოცემული ყოველი დეტალი ძირითადი აზრის გადმოცემას ემსახურება;
- რეპორტაჟის ერთ-ერთი მოთხოვნათაგანია მიმღებ აუდიტორიას შეუქმნას ფაქტის/მოვლენის მიმდინარეობის ადგილზე დასწრების ეფექტი;

- მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სუბიექტიდან მომდინარე განცდის აღწერას;
- ასეთივე მნიშვნელოვანია პროცესის ჩვენება.

სხვა მოსაზრებით, „ჟანრის ძირითადი მახასიათებლებია:

თვალსაჩინოება (იქმნება მოვლენის „სენსორული დეტალების“ გაერთიანებით: ხმით, ფერებითა და ვიზუალიზაციით);

დინამიკურობა (მოქმედების ეტაპობრივი განვითარება: დასაწყისი, მოქმედების გამმაფრება და კვანძის გახსნა);

ინფორმაციულობა - დეტალებით მაქსიმალურად გაჯერება: მოქმედ გმირთა სახის გამომეტყველება, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ტანისამოსი, ასევე მათი მოქმედება და საუბარი; ჟურნალისტმა უნდა აჩვენოს გარემო, სადაც მოვლენა ხდება“ [15].

რეპორტაჟის ავტორი მონაწილე, თვითმხილველი უნდა იყოს იმ პროცესისა, რის გადმოცემასა და საზოგადოებისათვის ჩვენებასაც ესწრავის. იგი ზედმიწევნით უნდა ასახავდეს მიმდინარე პროცესს და ამჟღავნებდეს საკუთარ დამოკიდებულებასაც. ასეთ დროს, დამოკიდებულების გამჟღავნება გულისხმობს ისეთი დამატებითი დეტალების გაცნობას, რომელთა ჩვენება მხოლოდ ავტორის ხელთაა და აუდიტორიას ფაქტის უკეთ აღქმამი უწყობს ხელს.

„მოვლენასა და აღმქმელს შორის მანძილის გაზრდა ბუნებრივად იწვევს რეპორტიორის გააქტიურებას. საგაზეთო რეპორტაჟში პროცესის აღწერას დიდი ადგილი ეთმობა, რადგან სხვა მხრივ შეუძლებელია მოვლენის სათანადო გაცნობიერება. ტელევიზიაში კი გამოსახულება მკაფიოდ ჩანს ეკრანზე და ამდენად, მისი დეტალურად აღწერა ზედმეტია. აქ წინ იწვევს ობიექტის კვალიფიკაცია, კადრს მიღმა არსებულზე საუბარი. რა თქმა უნდა, შეფასება საგაზეთო რეპორტაჟისთვისაც დამახასიათებელია, მაგრამ განსხვავებულია ფაქტისა და კომენტარის შერწყმა, მათი ურთიერთმიმართების მასშტაბები და ფორმები“ [16].

რეპორტაჟის უმთავრეს თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მისთვის უცხოა დისტანციიდან ფაქტის/მოვლენის გახსენება, აუდიტორია ახალ ამბავს აღიქვამს აწმყო დროში. იგი ისმენს, ხედავს ფაქტს მისი მიმდინარეობის პროცესში, მოვლენათა განვითარების ეპიცენტრში იმყოფება.

ჩვენ მიერ ნათქვამის მიუხედავად, რეპორტაჟში თუ მაინც მოხვდა ძველი ფაქტი ან მოვლენა, მას მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს - აწმყო დროში მომდინარე ფაქტის უკეთ ჩვენება და საერთო სურათის უფრო ეფექტურად წარმოდგენაში ხელშეწყობა.

ჟურნალისტის ყოფნა შემთხვევის ადგილზე სავალდებულოა. დაკვირვების გზით იგი ოპერატიულ და მკაფიო წარმოდგენას ქმნის მიმდინარე ფაქტის/მოვლენის შესახებ. რეპორტაჟში ხდება მოვლენათა განვითარების ფიქსაცია, რომელიც გამდიდრებულია ავტორიტეტულ პერსონათა კომენტარებით. პ. სტეინლის მოსაზრებით, ავტორის კომენტარი უნდა იყოს ადვილად გასაგები და კარგად ჩამოყალიბებული. რეპორტიორის ლექსიკა უნდა იყოს ზუსტი და ადვილად გასაგები. სიუჟეტის ტემპი და რიტმი მაყურებელს საშუალებას უნდა აძლევდეს, მიჰყვეს თხრობას ყურადღების გაფანტვის გარეშე... [17].

რეპორტაჟში ახალი ამბავი გადმოიცემა მისი განვითარების ეტაპების თანმიმდევრული ჩვენებით. ავტორი აღწერს პროცესს, გარკვეულ ადგილს უთმობს საკუთარ შთაბეჭდილებებს, აზოგადებს ფაქტს და გამოაქვს დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის მიზანს ფაქტის ჩვენებასთან ერთად საკუთარი დამოკიდებულებისა და შემფასებლური ელემენტის ჩართვაც წარმოადგენს, რეპორტაჟის ჟანრული თავისებურება აუდიტორიას საშუალებას აძლევს თვალი მიადევნოს ფაქტის მიმდინარეობის პროცესს და ავტორისეული შეფასებების მართებულობასაც.

აქვე, ორიოდ სიტყვით დავძენთ მასალის შესაბამისი ილუსტრირების მნიშვნელობაზე, რომლის შესახებაც საგულისხმოა დ. ტალერის მოსაზრება - სიტყვების მსგავსად, ფოტოები, რომლებიც სტატიებს ახლავს თან, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინფორმაციის მიწოდების საქმეში. გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოს თუ ტელევიზიით ნაჩვენებ ვიდეოჩანაწერს - ვიზუალურ ელემენტებს - მკითხველამდე თუ მაყურებლამდე ძლიერი და, ხშირად, ემოციური აზრის მიტანა შეუძლია. ფოტოებით და კადრებით გადმოცემული ამბით გამოწვეული შედეგები, შესაძლოა, თავად იმ ხალხისთვისაც კი გაუცნობიერებელი იყოს, ვინც ისინი მასალისთვის შეარჩია.

მასალის ილუსტრირებისას გახსოვდეთ, რომ მასში წარმოდგენილი სახეები შესაძლოა, დიდხანს დაამახსოვრდეს მკითხველსა თუ მაყურებელს. მათ ტექსტი შეიძლება სულ არ წაიკითხონ და მხოლოდ ფოტო და სათაური შეამჩნიონ. ასე რომ, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი სურათების შერჩევა, რომლებიც თქვენ მიერ მომზადებული მასალის სულისკვეთებას ასახავს და არ ეწინააღმდეგება იმას, რის თქმასაც მასალით ცდილობთ [18].

რეპორტაჟის სასიცოცხლო არტერია დასწრების ეფექტის შექმნაა. „ზოგი ფიქრობს, რომ დასწრების ეფექტი გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ გადმოცემულ ამბავთან მიმართებას. გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ობიექტთან კავშირი, ე. ი. საკუთარი თავის მიჩნევა პროცესის მონაწილედ, არამედ ჟურნალისტთან კონტაქტიც. აუცილებელია, არა მხოლოდ პროცესის განვითარებას ვადევნებდეთ თვალს, არამედ რეპორტიორის აზრთა დინებასაც, შთაბეჭდილებების სიტყვიერ გაფორმებასაც... რაც უფრო აქტიურია ამ პროცესში ჩართვა, მით უფრო დიდია დამარწმუნებლობა“ [19].

დასწრების ეფექტის მიღწევა დადებითად აისახება რეპორტაჟის ეფექტურობის ზრდაზე. საზოგადოებას უჩნდება დამკვირვებლის, მეთვალყურის და პროცესში ჩართულობის, მასში მოქმედ პირად ყოფნის განცდა. ყოველივე ეს, ისედაც დინამიურ, ვითარებათა სწრაფი მონაცვლეობის ბუნებით გამორჩეულ რეპორტაჟს საზოგადოებაზე ზეგავლენის მძლავრი იარაღის ფუნქციას ანიჭებს.

ვინაიდან, რეპორტაჟი ფაქტს/მოვლენას მისი მიმდინარეობის პროცესში აშუქებს, იგი იმ ჟანრთა შორისაა, რომელთაც მაქსიმალური ოპერატიულობა ახასიათებთ. რეპორტაჟის წარმატების საიდუმლო ფაქტის დაუყოვნებლივ გადმოცემაშია საძიებელი. ბუნებრივია, ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემებთან შედარებით, ამ მხრივ გამორჩეულია თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული მედია, ტელევიზია და რადიო. უახლესი მედიატექნოლოგიების შესაძლებლობათა სპექტრი უკიდურესად ამცირებს მანძილს ფაქტის მიმდინარეობას, ანუ მოქმედებასა და აუდიტორიის მიერ მის აღქმას შორის. მოქმედებასა და აღქმას შორის მანძილის მინიმუმამდე დაყვანა, პირდაპირპროპორციულად ზრდის რეპორტაჟის ეფექტურობის ხარისხს.

ამრიგად, პროფ. ნ. ტაბიძის დასკვნით, **რეპორტაჟი არის პუბლიცისტიკის ჟანრი, რომელშიც პროცესის მონაწილე თუ მხილველი დინამიკურად, თვალნათლად და ოპერატიულად გვიჩვენებს მოქმედების თანმიმდევრულ განვითარებას და გვიქმნის დასწრების ეფექტს** [20].

მსგავსია პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მოსაზრებაც, რეპორტაჟი არის მებრძოლი და ცოცხალი, ოპერატიული ინფორმაციული ჟანრი, რომელიც ასახავს საზოგადოებრივად საინტერესო ფაქტსა თუ მოვლენას, უჩვენებს მას მიმდინარეობის პროცესში და მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ისიც, ავტორთან ერთად, ესწრებოდა ასახული ფაქტისა თუ მოვლენის მსვლელობას [21].

რეპორტაჟში ფაქტისადმი ჟურნალისტის დამოკიდებულების გამჟღავნება თავისებურია. დაუშვებელია ავტორის პოზიციის აუდიტორიისთვის თავს მოხვევა. ადამიანები ძალდაუტანებლად უნდა მივიდნენ სასურველ განწყობილებამდე და არა ღია განცხადებებით.

პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მოსაზრებით, ფაქტი საფუძვლად უდევს სხვა ჟანრებსაც. მაგალითად, ფაქტზეა აგებული ინფორმაციული შენიშვნაც და კორესპონდენციაც, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ თანმიმდევრულად გვიჩვენონ ფაქტისა თუ მოვლენის დასაწყისი, განვითარება, დასასრული. ისინი გვიყვებიან აღნიშნულ ფაქტზე თუ მოვლენაზე, გადმოგვცემენ მათ შინაარსს, ასახელებენ ადამიანებს, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ გვიჩვენონ ფაქტი მსვლელობის პროცესში. ისინი ასახვენ ფაქტს მისი დასასრულის შემდეგ... ინფორმაციული შენიშვნა პასუხს იძლევა კითხვებზე: სად? როდის? რა? (ე.ი. სად მოხდა, როდის მოხდა და რა მოხდა). კორესპონდენციაში ამ კითხვებს ემატება მეოთხე და პრინციპულად განსხვავებული კითხვა - როგორ? (ე.ი. რა ვითარებაში, რა გარემოში მოხდა). ამის გარდა, კორესპონდენციაში მოცემულია ფაქტის შეფასება, განზოგადება და ა.შ., მაგრამ არც ერთ აქ დასახელებულ ჟანრს არ მოეთხოვება გვიჩვენოს ფაქტისა თუ მოვლენის მსვლელობა, მისი მიმდინარეობის პროცესი.

რეპორტაჟში, თუ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით ვიმსჯელებთ, კორესპონდენციისთვის აუცილებელი ოთხი კითხვის გარდა, გაჩნდება მეხუთე კითხვა - რა თანმიმდევრობით მოხდა ფაქტი? [22].

მასასადამე, დასახელებული ავტორის მიხედვით, რეპორტაჟი ფაქტს ასახავს მხოლოდ და მხოლოდ მისი მიმდინარეობის პროცესში. ამასთან, იგი უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:



ამდენად, რეპორტაჟი ერთ-ერთი გამორჩეული პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც მაქსიმალური ოპერატიულობით გამოირჩევა და მარჯვე გამოსაყენებელია ისეთ დროს, თუ ფაქტის/მოვლენის მიმდინარეობის პროცესის სრულად წარმოჩენა გვაქვს განზრახული და ჩვენი მიზანია აუდიტორიის მოქმედებაში ჩართვა, მისთვის პროცესში თანამონაწილეობის ეფექტის შექმნა.

#### ლიტერატურა:

1. გაზ. „იმერეთი“, 1913, №100;
2. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, №2487; №2492; №2519;
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვეთი II, (არნ. ჩიქობავას რედ.), თბილისი 1990, გვ. 825;
4. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 164;
5. ნ. ბოგდანოვი, ბ. ვიაზემსკი, ჟურნალისტიკის ცნობარი, თბილისი, 1975, გვ. 331;
6. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 178;
7. ტ. კვანჭილაშვილი, საბჭ. ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 58;
8. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 177;
9. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 178;
10. საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, (პროფ. ი. ნატროშვილის რედ.), თბილისი, 1978, გვ. 94;
11. პ. სტეინლი, სატელევიზიო რეპორტაჟი, თბილისი, 2001, გვ. 5;
12. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 74;
13. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 180;
14. პ. სტეინლი, სატელევიზიო რეპორტაჟი, თბილისი, 2001, გვ. 10;
15. მარინე ვეკუა, ჟილ რუე (იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბილისი, 2013, გვ. 233;
16. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 170;
17. პ. სტეინლი, სატელევიზიო რეპორტაჟი, თბილისი, 2001, გვ. 6;
18. დ. ტალერი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, ლონდონი, 2004, გვ. 141;
19. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 172;
20. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2011, გვ. 175;
21. ტ. კვანჭილაშვილი, საგაზეთო ჟანრები, თბილისი, 1967, გვ. 42;
22. საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, (პროფ. ი. ნატროშვილის რედ.), თბილისი, 1978, გვ. 83.

#### რეზიუმე

რეპორტაჟი შედარებით ახალგაზრდა ჟანრთა ჯგუფს განეკუთვნება. ქართულ პერიოდულ პრესაში იგი მხოლოდ XX საუკუნის დამდეგიდან ჩნდება. ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ განმარტებად მიჩნეულია 1913 წლის გაზეთი „იმერეთი“, სადაც რეპორტაჟი სინამდვილის ობიექტური ასახვის საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული.



„რეპორტაჟი“ ფრანგული წარმოშობის ტერმინია და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ სხვადასხვა მედიასაშუალებებით გადაცემულ ცნობებს ნიშნავს.

რეპორტაჟი ინფორმაციული გვარის ერთ-ერთი ჟანრია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟანრი გარკვეულ ადგილს უთმობს კვლევით კომპონენტს, საბოლოოდ ჟანრის სპეციფიკას განსაზღვრავს მისი დანიშნულება და ინფორმაციული ბუნების განსაკუთრებული დოზა. რეპორტაჟის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს ფაქტის/მოვლენის ანალიზი. იგი რეპორტაჟში მეორეხარისხოვანი ფუნქციის მატარებელია. ამ ჟანრში გადაწყვეტილი თხზულების ძირითადი არსი განსაზღვრულია ფაქტის, ახალი ამბავის ჩვენების მძლავრი მუხტით. მთავარი მიზანი აუდიტორიამდე სიახლის მაქსიმალური ოპერატიულობით წარდგენაში მდგომარეობს.

რეპორტაჟს შეიძლება გამოეყოს სამი სახე:

1. თემატური ანუ საწარმოო რეპორტაჟი;
2. სამოგზაურო რეპორტაჟი;
3. მოვლენური რეპორტაჟი.

ვინაიდან, რეპორტაჟი ფაქტს/მოვლენას მისი მიმდინარეობის პროცესში აშუქებს, იგი იმ ჟანრთა შორისაა, რომელთაც მაქსიმალური ოპერატიულობა ახასიათებთ. რეპორტაჟის წარმატების საიდუმლო ფაქტის დაუყოვნებლივ გადმოცემაშია საძიებელი.

ამდენად, რეპორტაჟი ერთ-ერთი გამორჩეული პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც მაქსიმალური ოპერატიულობით გამოირჩევა და მარჯვე გამოსაყენებელია ისეთ დროს, თუ ფაქტის/მოვლენის მიმდინარეობის პროცესის სრულად წარმოჩენა გვაქვს განზრახული და ჩვენი მიზანია აუდიტორიის მოქმედებაში ჩართვა, მისთვის პროცესში თანამონაწილეობის ეფექტის შექმნა.

## **METHODS OF REPORTING PREPARATION AND ITS, - AS A GENRE OF JOURNALISM, - DEVELOPMENT STAGES IN GEORGIAN MEDIA** **Aleksandre Mghebrishvili, Professor** **RESUME**

Reporting is comparatively new genre. In Georgian periodic press, it appeared only in the beginning of 20th century. One of the earliest explanations is considered 'Imereti' newspaper of 1913, where reporting is considered as the best mean to express the truth.

'Reporting' is derived from a French word 'Reportage', according to the explanatory dictionary of Georgian language, it is explained as 'news taken place during a day, transmitted through different media'.

Reporting is one of the genres of information types. Irrespective the fact, that this genre devotes to research components, specification of genre is eventually determined its mission and particular portion of informative nature. Reporting is not mainly aims at analysis of facts. It has minor function in reporting. The main essence of essays in this genre is determined by facts, and new strong charge to show the news. The main purpose of reporting is delivery in maximum efficiency the news to audience.

Three types of reporting may be indicated:

1. Theme, or business reporting;
2. Travelling reporting;
3. Reporting, related to events.

Since the reporting reports facts/events in the course of its coverage, it is among the genres, which is characterised by maximum efficiency. We have to look for successful reporting in immediate delivery it to the audience.

Thus, reporting is one of the special genres of Journalism, which is maximum efficient when one needs to show the fact/ event completely and one aims at creation of effect of their participation to the audience.

## შრომის ბაზრის არსისა და შინაარსის გაგებისთვის

*ლალი სრესელი, მოწვეული სპეციალისტი*

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. კონკრეტულად, შრომის ბაზარი მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის სფეროს ორგანიზაციის საბაზრო ფორმაა.

შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების, მოსახლეობის დასაქმების პრობლემებსა და უმუშევრობის რეგულირების საკითხებს სიღრმისეულად იკვლევდნენ მთელი რიგი უცხოელი და ქართველი მეცნიერები. აღნიშნული პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ კვლავაც საჭიროა მოხდეს შრომის ბაზრის ფორმირების და ფუნქციონირების საკითხის კიდევ უფრო ფუნდამენტური და კომპლექსური გამოკვლევა.

შრომის ბაზრის განვითარების თეორიული, ისევე როგორც პრაქტიკული ასპექტები საკმაოდ გამოკვლეულია, მაგრამ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების ზრდის გათვალისწინებით, კვლავ არსებითად ითვლება ეკონომიკური კატეგორიებისა და პოსტულატების ტრანსფორმაციის პრობლემები და შრომითი ურთიერთობების განვითარება.

როგორც საბაზრო ეკონომიკის ელემენტი, შრომის ბაზარი ფუნქციონირებს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების მექანიზმების დახმარებით. ა. სმიტი, დ. რიკარდო, კ. მარქსი, ჯ. მილი, ა. მარშალი, ა. პიგუ - ესენი არიან ფუძემდებლები დასაქმების კლასიკური თეორიისა, რომელიც შემდეგ გადაიქცა თეორიულ ბაზად დასაქმების და შრომის ბაზრის კვლევის დარგში.

თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებში შრომის ბაზარი განიხილება, როგორც საბაზრო ურთიერთობების განსაკუთრებული სექტორი, რომლის აღწერა შეუძლებელია დავიდეს სტანდარტულ „მოთხოვნა-მიწოდების“ დონეზე. ამავე დროს მთელ რიგ ეკონომიკურ გამოცემებში, რომლებიც ეძღვნება შრომით ურთიერთობებს. ძალიან ხშირად ცნებები „დასაქმება“ და „შრომის ბაზარი“ ერთი რიგის კატეგორიებია. დასაქმების სისტემას ცალკეულ შემთხვევებში მიეწერება მთელი რიგი მისთვის არათვისობრივი ფუნქციები, სხვა შემთხვევებში - შრომის ბაზარს აძლევენ უნივერსალურ ხასიათს, ამავე დროს ამტკიცებენ რა, რომ „შრომის ბაზარი - ესაა სისტემა საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების, რომლებიც უზრუნველყოფენ აღწარმოებას (კვლავწარმოებას), გაცვლა-გამოცვლას, (ფასების მიხედვით ყიდვა-გაყიდვას, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთკავშირით განპირობებულს) და შრომის გამოყენებას.“

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზრის მოცემული განმარტება მოიცავს არა მარტო გაცვლა გამოცვლის სფეროს, არამედ შრომითი პოტენციალის კვლავწარმოების სფეროსაც, ასევე შრომის გამოყენების სფეროს (საწარმოებში ადამიანური რესურსების მართვის საბაზრო მექანიზმს). ბაზრის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის გაჩენა (მათ შორის, შრომის ბაზრის) დაკავშირებულია ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებასთან, საქონლის გაცვლა-გამოცვლის აუცილებლობით ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების და კერძო საკუთრების პირობებში იმისათვის, რომ უზრუნველყოფთ კაპიტალის შენახვა და მატება (კვლავწარმოება) აუცილებელია, რომ მოხდეს ცოცხალი შრომის გაერთიანება წარმოების საშუალებებთან. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ბაზრის (შრომითი ძალის) საშუალებით.

ეფექტიანად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება საზოგადოების უმთავრესი მიზნის - მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას ემსახურება. ამავე კონტექსტში ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას ასევე ეფექტიანად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი რესურსის - „შრომის“ რაციონალური განაწილება ფირმებს, დარგებს, პროფესიებსა და რეგიონებს შორის.

ბაზარი არა მარტო ეკონომიკური, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური შინაარსის მატარებელია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველას ეძლევა იმის საშუალება, რომ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი უნარი და შესაძლებლობები. საბაზრო ურთიერთობების ცენტრში დგას ეკონომიკურად თავისუფალი პიროვნება, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ბაზრის უმნიშვნელოვანეს მხარეთა ურთიერთდაკავშირება.

საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი შრომის ბაზარს უკავია, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ბაზრის სხვა სახეებისაგან განსხვავებით გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ შრომა არაა წარმოების ჩვეულებრივი ფაქტორი, ხოლო შრომითი მომსახურება, რომელიც დამსაქმებლის ინტერესების საგანს წარმოადგენს არ არის ჩვეულებრივი საქონელი. გარდა იმისა, რომ მას შესწევს უნარი შექმნას ახალი საქონელი, იგი მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვის მატარებელია, რადგანაც ის ურთიერთობები, რომლებიც შრომის ბაზარზე არსებობენ და უზრუნველყოფენ მომუშავეების დასაქმებასა და შრომის შესაბამისი ანაზღაურების მიღებას, ადამიანებს სოციალურ სტატუსსაც უცვლიან. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ შრომითი უნარის მატარებელი ადამიანი - ესაა მოქალაქეობრივი უფლებებით აღჭურვილი ანუ სოციალიზებული პიროვნება, რომელიც, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად გამოიყენებს საკუთარი შრომის უნარს. ამდენად, შრომის ბაზრის განსაკუთრებულობა გამომდინარეობს იქიდან, რომ აქ წარმოდგენილი ადამიანები შრომის უნარის არა უბრალო მატარებლები არიან, არამედ მათ გააჩნიათ ფსიქო-ფიზიოლოგიური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შრომითი აქტიურობის ხარისხზე, მოტივაციაზე.

შრომის ბაზრის კატეგორიის გაგებაში ეკონომიკურ ლიტერატურაში რამდენიმე მიდგომა არსებობს. აზრთა სხვადასხვაობა ეხება თვით ტერმინ „შრომის ბაზრის“ გამოყენების მიზანშეწონილობას. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ტერმინი „შრომის ბაზარი“ გამოიყენება მსოფლიოში მისი ფართოდ გავრცელების გამო, მაგრამ „ზუსტი, პოლიტეკონომიური აზრით ესაა სამუშაო ძალის ბაზარი, რადგან თვითონ შრომას არ გააჩნია ღირებულება და არ გვევლინება საბაზრო ურთიერთობების ობიექტად“. არგუმენტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ტერმინ „სამუშაო ძალის ბაზრის“ გამოყენებას, ემყარებიან კ. მარქსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სამუშაო ძალა, როგორც ადამიანის ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ცოცხალი ორგანიზმი და რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ ამა თუ იმ სახმარი ღირებულების წარმოებისას და არა შრომა, რომელიც მიზანმიმართულ საქმიანობას წარმოადგენს წარმოების პროცესში. ამიტომ არ შეიძლება გაიყიდოს ის, რაც არ არსებობს ე.ი. შრომა. ყიდვა-გაყიდვის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სამუშაო ძალა. სწორედ აქედან გამომდინარე, ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის ბაზრისა და ვთქვათ, საქონელთა ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმები იდენტური იქნებოდა. აქ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის ფუნქციონირების სპეციფიკური ხასიათი. კერძოდ, საქონელთა ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის აქტი ერთდროულად ხდება და იგი მთლიანად მთავრდება მიმოქცევის სფეროში, ისე რომ გაყიდვის ობიექტი იცვლის თავის მესაკუთრეს, მაშინ როდესაც შრომის ბაზარზე „სამუშაო ძალა“ არ გადადის მყიდველის საკუთრებაში, იგი არ შეიძლება მოვაშოროთ მის ფიზიკურ მატარებელს, არ შეიძლება ცალ-ცალკე არსებობდნენ მომუშავე და მისი სამუშაო ძალა. ისინი ერთმანეთის განუყოფელნი არიან. დამსაქმებლის ანუ მყიდველის საკუთრებაში გადადის მხოლოდ ამ „სამუშაო ძალის“ გამოყენების უფლება.

სწორედ ეს არის შრომის ბაზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანი ბაზრის სხვა სახეებისაგან.

შრომის ბაზარზე ადგილი აქვს დამსაქმებლის (დამქირავებლის) მიერ სამუშაო ძალის გამოყენების უფლების შეძენას გარკვეული პირობების ფარგლებში, რომელიც შრომით ხელშეკრულებაში არის დაფიქსირებული. ეს დამსაქმებელს საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებებისამებრ უზრუნველყოს წარმოების პიროვნული ფაქტორის ნივთობრივ ფაქტორთან შეერთება და წარმოების პროცესის განხორციელება. თავის მხრივ, მომუშავე შრომის ანაზღაურებას ღებულობს არა იმიტომ, რომ იგი ისეთ სამუშაო ძალას ფლობს, რომელიც აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნებს და, მაშასადამე, გამოიყენება წარმოების პროცესში.

ამდენად, მომუშავე ანაზღაურებას ღებულობს მისი სამუშაო ძალი სწარმოების პროცესში გამოყენების ან უშრომითი მომსახურების გამო და ეს ანაზღაურება არის გაწეული შრომითი მომსახურების ფასი.

ბევრი ავტორი შრომის ბაზარს განიხილავს, როგორც სისტემათა ურთიერთკავშირს, როდესაც ადგილი აქვს ფულის საშუალებით საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესს. საბაზრო ურთიერთობები ითვალისწინებენ უამრავი სასაქონლე ბაზრის არსებობას, მათ შორის ერთი განსაკუთრებული საქონლის - შრომის არსებობას.

სხვადასხვა ბაზრის (სხვადასხვა საქონლის) არსობრივი შინაარსის იგივეობიდან თუ ამოვალთ, რომელიც ერთად უყრის თავს საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს, მაშინ შრომის ბაზარი

შეიძლება განისაზღვროს, როგორც სისტემა ისეთი ურთიერთობებისა, რომლების შედეგად მოსდევს ყიდვა-გაყიდვას საქონლისა - სამუშაო ძალისა, ანუ შრომის უნარისა.

შრომის ბაზრის არსისა და შინაარსის ასეთი განმარტება ბოლო წლებში სერიოზული კრიტიკის საგნად იქცა. ა. როფე კატეგორიული ფორმით ამტკიცებს, რომ შრომის ბაზარზე იყიდება არა სამუშაო ძალა, არამედ შრომა. მიუხედავად იმისა, რომ როფე კატეგორიულად უარყოფდა კ. მარქსის თეორიას იმის შესახებ, რომ შრომის ბაზარზე იყიდება არა შრომა, არამედ მხოლოდ მისი შესრულების უნარი, (სამუშაო ძალა), ეს არ შეიძლება მივიღოთ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად, თუ სპეციალურად არ გამოვიკვლივთ აღნიშნულ პრობლემას. ამ ნაშრომში ჩვენ ვიზიარებთ ქართველი ეკონომისტების მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც „ადამიანის შრომის უნარი განისაზღვრება მისი (ადამიანის) ხარისხობრივი თავისებურებით, წარმოადგენს მის საკუთრებას და მის განუყოფელ სამუშაო ძალას, რომელიც გარკვეული ისტორიული პირობების შემთხვევაში იქცევა საქონლად, შრომის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ობიექტად.

შრომის ბაზრის არსს სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად განმარტავს. ქართველი მეცნიერი მ. შელია აღნიშნავს: „შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებას და გამოყენებას. კონკრეტულად შრომის ბაზარი მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის ორგანიზაციის საბაზრო ფორმა“.

რუსი მეცნიერების მიერ შრომის ბაზარი განმარტებულია, როგორც „სფერო, სადაც ფორმირდება სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება და რომლის მეშვეობით ხორციელდება სამუშაო ძალის გაყიდვა გარკვეული ვადით.“

სამუშაო ძალის ბაზრის, როგორც სისტემის მთავარ წარმომქმნელ წინაპირობას კი სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობა წარმოადგენს.

ამავე აზრს იზიარებენ ქართველი მეცნიერები მ. ლაცაბიძე და მ. ცარციძე. მათი აზრით „სამუშაო ძალის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ობიექტია სპეციფიკური საქონელი - სამუშაო ძალა (შრომის უნარი). სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და მის ფუნქციონირებაზე.

ქართველი მეცნიერი ნ. პაიჭაძე აღნიშნავს, რომ „შრომის ბაზარი, როგორც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი, დამქირავებელთა და დასაქირავებელი სამუშაო ძალის ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმია. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედებების საფუძველზე.“

თითქმის ანალოგიურს ამტკიცებენ სხვა მეცნიერებიც, რომელთა აზრით „შრომის ბაზარი“ არ წარმოადგენს უშუალოდ სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის რეგულატორს. იგი ქმნის მოთხოვნისა და მიწოდების დაკმაყოფილების პირობებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შრომის ბაზრის კატეგორიისადმი ტრადიციული მიდგომის ჩარჩოსა და ჩვენი კვლევის გათვალისწინებით, შრომის ბაზარი -წარმოების ფაქტორთა სისტემის, ეკონომიკური ზრდის პირობების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი სფერო, შრომის ბაზარი ასრულებს მრავალმხრივ ფუნქციას.

სწორედ შრომის ბაზარზე განისაზღვრება, ხელფასის სიდიდე, მისი ფორმები და მომუშავეთა დაქირავების პირობები, მათი დასაქმების სტრუქტურა, უმუშევრობის დინამიკა, სამუშაო ძალის მობილურობა, მომუშავეთა შესაძლებლობა და სხვა.

ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს „შრომის ბაზრისა“ და „სამუშაო ძალის ბაზრის“, როგორც სინონიმებისა და თანაბარმნიშვნელოვანი ცნებებად გამოყენებას. მაგალითად ლ. კოტლიარი შესაძლებლად მიიჩნევს „სამუშაო ძალის ბაზრის“ და „შრომის ბაზრის“, როგორც სინონიმების გამოყენებას, მაგრამ უფრო ზუსტად მაინც პირველს თვლის. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ ნ. ლაცაბიძე და მ. ცარციძე, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „ამ ტერმინების გაგება იდენტურია და იგი არ ცვლის მოცემული კატეგორიისა და ბაზარზე ჩამოყალიბებული ურთიერთობების არსს“, თუმცა მართებულად მიაჩნიათ „ვიხმაროთ ცნება, „სამუშაო ძალის ბაზარი“.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომის სფეროში მიმდინარე ურთიერთობების ხასიათის გათვალისწინებით, ასევე შრომის ბაზრის სპეციფიკურობიდან და მსოფლიოში მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ ტერმინი „შრომის ბაზარი“. ამგვარად შრომის ბაზარი - ესაა საბაზრო ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი, რომელიც შესაბამისი მექანიზმების (შრომის ბირჟები, შრომითი მოწყობის ბიუროები, პროფორიენტაციის ცენტრები და ა.შ.) საშუალებებით,



უზრუნველყოფს სამეურნეო კავშირების დამყარებას დამსაქმებლებსა (მოთხოვნის მხარე) და დასაქირავებელ მომუშავეებს (მიწოდების მხარე) შორის, დაქირავების პროცესის განხორციელებისათვის.

სპეციფიკური საქონლისადმი - შრომის ბაზარზე სამუშაო ძალისადმი - ასეთი მიდგომის წინააღმდეგ, ა. როფეს მოჰყავს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „თუ თანმიმდევრულნი ვიქნებით, სამუშაო ძალა უნდა იყიდებოდეს სამუშაო ძალის ბაზარზე, შრომის ბაზარზე კი უნდა იყიდებოდეს შრომა“.

ერთი შეხედვით ყველაფერი გასაგებია, თუ რატომაა, რომ შრომის ბაზარზე იყიდება არა შრომა, არამედ მისი შესრულების უნარი. დასმულ კითხვაზე პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ შრომის ბაზრის არსი, მისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი გამომდინარეობს თავად ბაზრის სუბსტანციისაგან - საქონლისაგან. მოცემულ შემთხვევაში ასეთ საქონლად ითვლება სამუშაო ძალა, მისი შრომის უნარი. აქედან გამომდინარე, ბაზარიც, სადაც ხდება შრომის უნარის რეალიზება, ითვლება სამუშაო ძალის ბაზრად. ეს ა. როფეს მიერ დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხის ერთი ნაწილია.

ამ პასუხის მეორე ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ „ზუსტ სამეცნიერო სიაში არ არსებობს „შრომის ბაზარი“, არის მხოლოდ „სამუშაო ძალის ბაზარი“, რა სახელითაც ის მყარადაა შესული ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში“.

ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციის საფუძველზე, იმის შესახებ, რომ შრომის ბაზარზე იყიდება არა შრომა, (როგორც მისი ფუნქციის რეალიზაციის უშუალო შემსრულებელი), არამედ სამუშაო ძალა, (შრომის უნარი) შეიძლება ჩამოვყალიბოთ შრომის ბაზრის არსი, როგორც შრომითი ურთიერთობების ერთობლიობა, რომელთა რეალიზაცია ხდება იმის საფუძველზე, თუ დროის ყოველ გარკვეულ პერიოდში მოთხოვნა-მიწოდების რა ურთიერთობები ყალიბდება სპეციფიკურ საქონელთან - სამუშაო ძალასთან დაკავშირებით.

#### ლიტერატურა:

1. ნ. პაიჭაძე, შრომის ეკონომიკა, თბილისი, 2000.
2. მ. ცარციძე, ნ. ლაცაბიძე, სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი, თბილისი, „ნიკე“, 1996.
3. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ავტორთა კოლექტივი ნ. პაიჭაძის ხელმძღვანელობით, თბილისი, 2009.
4. მ. ცარციძე, შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქართველოში, (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 2004.
5. კემპბელ. რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიქსი, თბილისი, 1993.
6. Ковалев С. Г., Тучков А. И., Рынок труда: понятие, закономерности, перспективы, СПб: Изд-во университета, « Экономика и право», 2002.
7. маршалл А., Принципы экономической науки, Издательская группа «прогресс» «универс» Москва, 1993.
8. Котляр А., О понятии рынка труда /Вопросы экономики, №5, 1998.
9. Рофе Ф. И., Экономика и социология, Учебное пособие, М., 1996.

#### რეზიუმე

საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შრომის ბაზარს, რომელიც გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. ეკონომიკურ ლიტერატურაში შრომის ბაზრის კატეგორიის გაგების საკითხისადმი რამდენიმე მიდგომა არსებობს.

შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხებს ღრმად მეცნიერულად იკვლევდნენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერები.

ნაშრომში განხილულია ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებანი ტერმინ „შრომის ბაზრის“ არსისა და შინაარსის შესახებ.

## UNDERSTANDING ESSENCE AND CONTENT OF LABOUR MARKET

Lali Sreseli, Specialist by contract

### RESUME

Labor market possesses a significant place in the whole marketing relationship system. Labor Market has got its specific characteristic features. It has got several different approaches and definitions in economic literature.

Not only foreign but also Georgian Scientists have been thoroughly studying the formation and functioning issues of labor market.

This research suggests the different ideas of several explorers and scientists towards the content and the meaning of the term "Labor Market."

## ახალგაზრდა თაობის საზრისის სოციალური საფუძვლები

*პაატა ქურდაძე, პროფესორი*

ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეული საზრისი, იგივე ცხოვრებისეული არჩევანი, რომელიც, ზედაპირული განხილვით, პროფესიის არჩევაა, ყოველთვის, ყველა ეპოქაში მეტად რთული და საპასუხისმგებლო მომენტი იყო და რჩება პიროვნების აღზრდასა და განვითარებაში. ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო ფილოსოფიურ, სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით. იგი დღეისათვის დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკის მშენებარე სახელმწიფოს სოციალურ - პედაგოგიურ სივრცეში უფრო მეტ აქტუალობას ღებულობს. ამას განაპირობებს ახალი, გაზრდილი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სივრცე, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობა და სწრაფად განვითარებადი საერთაშორისო პოლიტიკურ - ეკონომიკური ურთიერთობანი და სხვა ადამიანური ყოფითი და მსოფლმხედველობითი ასპექტები.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეული არჩევანი, მათი პროფესიული ორიენტაცია არ არის ერთი დღის საქმე. მას წლები სჭირდება. იგი იწყება სკოლის პირველი საფეხურის მერხიდან და გრძელდება პიროვნების ფორმირების ბოლო სტადიებამდე. ახალგაზრდა თაობის, ანუ რაც იგივეა, მოსწავლის არჩევნისთვის მზადება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: მოსწავლის პიროვნულ უნარებსა და თვისებებზე, მის ინტერესებსა და მისწრაფებებზე, მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, გონებრივ განვითარებაზე, მსოფლმხედველობაზე, მის მოწოდებაზე და სოციუმში სასურველი მდგომარეობის მოპოვებაზე. მოცემული საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასარჩევი პროფესიის სოციალურ სტატუსზე, რომელსაც შეიძლება პიროვნების ცხოვრებისეული საზრისის, არჩევანის სოციალური საფუძვლები ვუწოდოთ.

ამჯერად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ცხოვრებისეული საზრისის არჩევანის სოციალურ საფუძვლებში. ადამიანის, პიროვნების ცხოვრებისეული საზრისის არჩევანის საფუძველი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, არის პიროვნების თავისუფალი არჩევანის უფლება. პიროვნების თავისუფალი არჩევანის პრობლემატიკა ეპოქალურად წარმოადგენდა სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობისა თუ ფილოსოფოსთა ძირითადი კვლევის თემატიკას, რომლის გარჩევასაც ჩვენ ამჯერად არ ვაპირებთ და ვერც შევძლებთ ამ სტატიის ფარგლებში. ამჯერად მხოლოდ რელიგიურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. გავისხენოთ ახალი აღქმიდან: მაცხოვარი განკურნების წინ ეკითხებოდა ხალხს, სწამთ თუ არა მათ ძე ღვთისა, და ამის შემდეგ განკურნავდა მათ. ამით მაცხოვარი ადამიანს აყენებს თავისუფალი არჩევანის წინაშე, რაც მის რწმენაში გამოიხატება. თავისუფალი არჩევანის გაკეთებისათვის აუცილებელი მომენტია პიროვნების შინაგანი თავისუფლება, რის მიღწევაც თავისთავად მეტად რთული და ხანგრძლივი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი პროცესის შედეგია მხოლოდ. რაც შეეხება ზემოთ განხილულ შემთხვევას, მორწმუნე ადამიანი უკვე შინაგანად თავისუფალია. „მიწამეთ მე და მე გაგათავისუფლებთ თქვენ“ - გვასწავლის მაცხოვარი (იხ. მათეს სახარება). პიროვნების შინაგანი თავისუფლების თემა ასევე მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგ კლასიკოსთა კვლევებში. ამ მიმართებით

მეტად საინტერესოა გამოჩენილი გერმანელი პედაგოგისა და მკვლევრის იოჰან ფრიდრიხ ჰერბრატის შრომები.

ჰერბრატის მიხედვით, შინაგანად თავისუფალია ადამიანი მაშინ, როცა ნებისყოფა მთლიანად შეთანხმებულია გონებასთან და მათ შორის არ არის მერყეობა, სულიერი უთანხმოება, მაშინაც კი, როდესაც შინაგანი თავისუფლების იდეა უპირისპირდება სხვა ზნეობრივ იდეებს. იმ შემთხვევაში, თუ რწმენასა და ადამიანის ქცევას შორის თანხმობა არ არის, ჰერბრატის აზრით, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივად თავისუფალ ადამიანად. ამ აზრს ჩვენც ვეთანხმებით, რამეთუ, არ არსებობს ნამდვილი რწმენა ამ რწმენის სათანადო ქმედების გარეშე. რაც შეეხება თავისუფალი არჩევანის საკითხს, პიროვნების შინაგან თავისუფლებასა და მის ფორმირებაში აქაც საინტერესო იდეას გვაწვდის გერმანელი მკვლევარი. მის თეორიაში აღზრდის მიზანი წარმოდგენილია ორი თვალსაზრისით: 1. მიზანი, რომელსაც პედაგოგი ისახავს აღსაზრდელთან მიმართებაში; 2. მიზანი, რომელსაც აღსაზრდელი ისახავს, ან დასახავს, როცა მოზრდილი გახდება. ხსენებული მიზნები შესაძლებელია იყოს: 1. შესაძლებელი, დასაშვები მიზნები და 2. აუცილებელი, სავალდებულო მიზნები. აქედან, შესაძლებელი მიზანია ის მიზანი, რომელიც ადამიანმა შეიძლება დაისახოს თავისუფალი არჩევანის გზით თავისი შემდგომი მოღვაწეობისათვის. ეს არის სწორედ ცხოვრებისეული თვალსაზრისი, ცხოვრებისეული არჩევანი, რომელიც ყოფით რეალობაში გამოიხატება პროფესიის არჩევანში. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით, მოკლედ დავახასიათოთ სწორედ ამ უკანასკნელის არჩევანის სოციალური საფუძვლები. ხოლო, რაც შეეხება აუცილებელ მიზნებს, ეს მიზნები ერთნაირია ყველასათვის, ანუ ყველანაირი თვალსაზრისის მქონე ადამიანისთვის, თავისი მოღვაწეობის ყველა დარგში.

ცხოვრებისეული საზრისის საფუძველი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არის პიროვნების მსოფლმხედველობა. მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ უყალიბდება მოზარდის მსოფლმხედველობა. მოზარდის, ადამიანის და შემდგომში სრულყოფილი პიროვნების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე. ესენია: ძირითადად მრწამსი და რწმენა. ჩვენი აზრით, ეს არის გარესამყაროში, მათ შორის, სოციალურ მიმდინარე მოვლენების, კანონზომიერებისადმი მოცემული ინდივიდის დამოკიდებულება. ამიტომ, ზოგადად, ადამიანები შეიძლება დავეყთ ორ ძირითად ჯგუფად: 1. სკეპტიკოსებად და 2. მორწმუნეებად. მათ მიერ გარესამყაროს ხედვა სხვადასხვანაირია და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულია გარე სამყაროსა და მათ შორის სოციალურ მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულება. რაც შეეხება რწმენას: რწმენა ძირითადად განსაზღვრავს პიროვნების ქცევას. ასევეა მრწამსიც, ამიტომ ამ ორ მომენტს, როგორც სოციალურ ფენომენს, შეიძლება ვუწოდოთ თვალსაზრისის, ანუ ცხოვრებისეული არჩევანის უპირველესი პიროვნულ-სოციალური საფუძველი. მასზე დიდადაა დამოკიდებული, პიროვნება რა პროფესიას აირჩევს, მღვდელი იქნება თუ ქიმიკოს ექსპერიმენტატორი. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში კი მნიშვნელოვანია შემდეგი: თანდაყოლილი კონკრეტული ინდივიდისათვის დამახასიათებელი სულიერი მემკვიდრეობა, მისი ხასიათი, მენტალური მემკვიდრეობითი, რომელიც განისაზღვრება ეთნიკურობით და ტრადიციებით, განსაკუთრებით კულტურით და გარემოდან შექმნილი ცოდნით, ცოდნით სამყაროს შექმნისა და განვითარების კანონზომიერების შესახებ. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, გამომდინარეობს ორი თეორიიდან: კრეაციული და ევოლუციური თეორიებიდან.

გარდა მემკვიდრეობით თანდაყოლილი ნიჭისა და მისწრფებისა, პიროვნების ცხოვრებისეული არჩევანი დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მახასიათებელზე. ცნობილია, რომ ისინი ერთმანეთზე მჭიდროდ არიან დამოკიდებული, ხოლო მათი ცვლილება მაშინვე აისახება პიროვნების თვალსაზრისზე და მის ცხოვრებისეულ არჩევანზე. თუ ქვეყანაში გვაქვს აყვავებული ეკონომიკა, ისე, როგორც ეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებშია, მაშინ პროფესიის არჩევანში უპირატესობა ადამიანის მოწოდებასა და თანდაყოლილ ნიჭს მიეკუთვნება, ხოლო თუ ქვეყანაში ეკონომიკა არ არის სათანადოდ განვითარებული, შრომის ბაზარი ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს, ანუ რაც იგივეა, რომ ქვეყანაში ნაკლებად არის სამუშაო ადგილები, მაშინ ცხოვრებისეულ არჩევანში უპირატესობა ენიჭება არსებულ რეალურ პროფესიას. ასე მაგალითად: თუ ქვეყანაში წარმოება და სოფლის მეურნეობა ნაკლებად არის განვითარებული (მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში), მაშინ ძირითადად გაგვანია საჯარო სამსახურის სამართლებრივი და ძალისხმევის სტრუქტურისადმი დამახასიათებელი სახის პროფესიის სამუშაოები, სამედიცინო, სასწავლო და საბანკო სექტორისათვის დამახასიათებელი პროფესიის სამუშაო ადგილები, ხოლო სახალხო მეურნეობის სხვა დარგების პროფესიები ძალიან მცირე ოდენობით არის წარმოდგენილი. ეკონომიკურად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში წინა პლანზე მოსწავლეთა არჩევანში გამოდის ის პროფესიები, სადაც მეტი მატერიალური ანაზღაურებაა. ე.ი. ამ შემთხვევაში პრესტიჟულად ითვლება ის სამსახური, ის პროფესია, სადაც მეტი ეკონომიკური უზრუნველყოფაა

გარანტირებული, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ისეთებში, როგორცია: იაპონია, გერმანია და სხვა, აქ წინა პლანზე გამოდის თანდაყოლილი ნიჭიდან მომდინარე მოწოდება, ხოლო ეკონომიკურ-სოციალური მომენტები, საფუძვლები ცხოვრებისეული არჩევანისა, უკანა პლანზე გადადის, რამეთუ ასეთ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია საშუალო ფენის ცხოვრებისეული დონე. ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც საშუალო ფენის ცხოვრების დონე დაბალია, არ არსებობს საშუალო ფენა და არსებობენ მხოლოდ ღარიბები და სოციალურად დაუცველი ფენები. ასეთ ქვეყანაში. პრესტიჟულია ის პროფესიები, რომელნიც რეალურად არსებობენ და სადაც შესაძლებელია სამუშაო ადგილის შოვნა. ამრიგად, ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეული არჩევანი მკვეთრად არის დამოკიდებული ქვეყნის მოწყობის პრინციპზე მისი საზოგადოების, სოციალური მსოფლმხედველობაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, ქვეყანაში მიმდინარე გამოწვევებზე და, ბოლოს, დემოკრატიის ხარისხზე. თუ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი მაღალია, რაც შედეგია სოციალურ მოქალაქეთა თანასწორობისა და კანონის უზენაესობისა ორმაგი სტანდარტების გარეშე, ასეთ შემთხვევაში, იზრდება პიროვნების თავისუფალი არჩევანის ხარისხი, რაც თავისთავად განაპირობებს პიროვნების შინაგან თავისუფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი საწინდარია თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისა და მოცემული ქვეყნის თავისუფალი საზოგადოებისა. ხოლო თუ ადამიანს, ახალგაზრდა თაობას არ აქვს სამუშაო ადგილები, არ შეუძლია ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთება ნიჭისა და მოწოდების შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში პიროვნება არ არის თავისუფალი.

#### ლიტერატურა:

1. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბილისი, 2004.
2. ზ. ცუცქერიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, 1999.
3. ჯორჯ გ. დოუსონი, ტ. შაპირო, გერსონ ანტელი, გამოყენებითი ეკონომიკა, IV ინგლისური გამოცემის თარგმანი, 1997.

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეული არჩევანის, თვალსაზრისის სოციალური საფუძვლები. ავტორის აზრით, სოციალური საფუძვლები, რომელნიც განაპირობებენ ახალგაზრდა თაობის თვალსაზრისს, ცხოვრებისეულ არჩევანს, არის: მსოფლმხედველობა, მრწამსი, რწმენა, მოცემული სოციალური ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, საყოფაცხოვრებო და ყოფითი პირობები.

ჩამოთვლილი სოციალური საფუძვლებიდან, სხვადასხვა ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება სხვადასხვა სოციალურ ფენომენს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების ეკონომიკის განვითარებასა და დემოკრატიის ხარისხზე.

### SOCIAL BASIS OF OPINION OF YOUNG GENERATION

Paata Kurdadze, Professor

#### RESUME

The life choice of the young generation and social fundamentals of their viewpoint are discussed in this paper. According to the author, the social fundamentals that stipulate the viewpoint of the young generation and life choice are: world view, belief, faith, economic and political situation of the given society, household and living conditions.

From the above-mentioned list of social fundamentals, the preference is given to various phenomena in different countries. The last depends on the extent of the development of the economy and democracy of the given society.